ლერი ჩანტლაძე

ხათრიანი კაცი

(ერთი ცხოვრების ფრაგმენტები)

თბილისი
2010

UDC(უაკ) 821.353.1-31
ჩ-213

რედაქტორი **გიორგი ყუფარაძე**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **პაატა ქორქიასი**

სარჩევი

ასაკი 5
სახელი 11
რომანი ლეიბქვეშ 15
კარიერა "სტილისტსაც" შეიძლება ჰქონდეს 17
პირველი ქალი 23
„ფიქრის ფანჯარა" 32
„მიწის კურდღელი" 33
„ნომენკლატურა" 38
რესპუბლიკური „რეკორდის" ამბავი 44
მეორე ვიზიტი 49
ფიქრის ფანჯარა 53
პირველი გრძნობა 57
ფიქრის ფანჯარა 61
პირველი ცდუნება 63
„ბევსტროგონი" 68
მოსკოვი. რევოლუციის მოედანი 72
დედისგინების შესახებ 77
ფიქრის ფანჯარა 85
ჭუკჭუკი თბილისურ ეზოში 88
რუსული ნადიმი 95
გალაკტიონის ნიღაბი 101
ფიქრის ფანჯარა 104
„კუკლა" 108
გაქცევა ბორბალოდან 117
„ხალხის მტერი" 123
გურული ქორწილი 135
მწერლები გიჟები არიან? 137
„01" 144
შეყვარებული ნიკო 156
ნიკო და პოლ ბრეგი 162

„ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება“ 166
მოსკოვი. „კრასნაია პრესნია“ 170
ფიქრის ფანჯარა 177
ტყუპების პარადოქსი 178
სამი ქლიავი და ამირანი 182
ღუტიას სიკვდილი 186
დიდი კონსტანტინე და კონიაკის სირჩა 191
„ვიდაიუშჩიისა“ 194
„სანდუნოვი“ 200
„რაისთვინ“ ვცოცხლობთ? 205
მანგლისი. ფიჭვების ჭალა 210
ფიქრის ფანჯარა 220
“ტატრები“ 223
ფიქრის ფანჯარა 228
სამლიტრიანი ქილა ნავთისათვის 229
„კაი კოწიას“ ამბავი 241
კოშმარი 244
ზოგი რამ ჯვებეზე 251
ფიქრის ფანჯარა 254
მზის სიკვდილი 258

„ისტორია რომანია,
რომელიც ნამდვილად იყო.“
ძმები გონკურები

ასაკი

მთელი ღამე წრიალებდა ნიკო, ვერ იქნა და ვერ გადააბა ძილის ნაფლეთები ერთმანეთს. საწოლი ხმას არ იღებდა, მაგრამ ცოლს რას გამოაპარებ, სიბნელეში თვალგახელილს შუბლზე ხელს მოუთათუნებდა:

— რა გჭირს, ნიკუშ, რატომ ვერ ისვენებ?

— ჯანდაბა!

— დალიე წამალი.

— ხომ იცი, რომ პირიქით მოქმედებს?

— პირიქით როგორ?

— იმ დღეს ხო დავლიე ის, რა ჰქვია, დია... დიაზეპამი.

— მერე?

— რა, მერე... არ გახსოვს, როგორ ამშალა, ლოჯიიდან სამზარეულომდე მარათონი მქონდა.

— აბა, რა უნდა ჰქნა? ეგრე ხო არ შეიძლება?

— დამეძინება ალბათ.

— მუსიკა ჩართე.

— იავნანა? იქნებ შენ მიმღერო?

— ჰო, კარგი. - გაეცინა ნანას, - იცი, რა ჰქენი, დაითვალე და ჩაგეძინება.

— გუშინწინ ხო დავთვალე.

— მერე?

— რვაათასხუთასზე გათენდა!..

ნიკომ საბანი წაიხურა თავზე და საფიქრალად სასიამოვნო თემის მოძიებას შეუდგა. აქ კი ასპარეზი დიდია, შეგიძლია მოგონებათა სკივრი გახსნა, ანდა, მომავალს, ნაოცნებარს,

მიაკითხო. ისე, ორთავე ვარიანტი შეიძლება აამუშაო: წარსულიდან მომავალში ისკუპო და პირიქით, მომავლიდან - წარსულში. ფიქრისთვის შეუძლებელი არაფერია.

ბოლოს და ბოლოს, ნიკოს ჩაეძინა და გაღვიძებისას კოშმარი ეზმანა: ვითომ სამოცი წლისა შესრულდა და ნანა ეკაპასებოდა, ახლა მაინც გადაიხადე დაბადების დღეო. ნიკო გულს ასკდებოდა, ისაო, კაცო, ასე უცბად გაშპა ოცი წელი, რა დროს სამოცი და სიბერეაო!

გაღვიძებულს და თვალგახელილს კაიხანს უბაგუნებდა გული. როცა გააცნობიერა, რომ ყველაფერი სიზმარი იყო, კინაღამ სიმღერა შემოსძახა. სამოცამდე ხომ ჯერ შორსაა, მთელი ოცი წელია გასავლელი. ასე მაშინ ფიქრობდა, ორმოცი წლის ასაკში, თორემ ახლა, სამოცდაათს მიბიჯებული, „მთელი“კი არა, „სულ რაღაც“ ოცი წელიო, ამბობს და შეიძლება ერთი უგემური ამოოხვრაც თან მიაყოლოს.

სამოცი აფრთხობდა და აჰა, სამოცდაათმა მოაკითხა. რაო, ბევრია? სიბერეა?

მაინც რაა სიბერე? სულისა და ხორცის გეგმაზომიერი ცვეთის შედეგი, როცა არც ჯანი მოგდევს და აზრის სიცინცხალეც სადღაც, წარსულში, ჩარჩა. თუმცა პარადოქსულ სიტუაციებსაც ვერ გამორიცხავ: სული ცდილობს მხნედ იყოს, აზრები ფუთფუთებენ და არ გასვენებენ, ხორცი კი დაბეჩავებულა და თავის სიბეჩავეში აზრების ჩათრევას ცდილობს. ანდა, პირიქით: ხორცი ყოჩაღადაა, გაბრექილია, დილ-დილობით სამ კილომეტრსაც გაიძუნძულებს, მაგრამ აზრები თვლემენ და მათი ოდესმე გამოფხიზლების შანსი ნულის ტოლია.

როცა ნიკოს თანატოლები, ხუთ-ექვსი წლით იქით-აქეთ, შეიკრიბებიან პოკერის სათამაშოდ, ან საპურღვინოდ, ან გასვენებაში, სულ წნევასა და გულისცემაზეა საუბარი. მიდის ძველი და ახალი მედიკამენტების, დრომოჭმული და უახლესი მეთოდიკის, განხილვა. ცხადია, ეს ხდება პოლიტიკური და სოციალური სიტუაციის ლაკონური შეფასების შემდეგ.

— ბებრებო! - შეუძახა ერთხელ ნიკომ, - ზოგჯერ მაინც შეცვალეთ თემა. მოყევით, რა წიგნი წაიკითხეთ, რა საინტერესო სპექტაკლი ნახეთ, ვინ გაიცანით.

— შენ, გეტყობა, გამოქვაბულში ცხოვრობ! - ეს მოულოდნელი ფრაზა ავთანდილ დარჩიას, საკმაოდ ცნობილ პოეტ-ეპიგრამისტს, ეკუთვნის.

— ვითომ რატომ?- დაინტერესდა ნიკო.

— იმიტომ, ჩემო კარგო, რომ თუკი შენ ასაკში კაცს არც წნევა აწუხებს, არც გული და სახსრები, ის პითეკანთროპია და გამოქვაბულში ცხოვრობს.

— გულის და სახსრების რა მოგახსენოთ, მაგრამ უსახსრობა კი ნამდვილად მაწუხებს.

ყველამ გაიცინა და საპოკერო მაგიდას შემოუსხდნენ.

სანამ პოკერი, ყველაზე აზარტული და შინაარსიანი ფსიქოლოგიური თამაში, ჩაითრევდა, რაში აღარ დაუხარჯავს დრო: ჯოკერი, კინგი, პრეფერანსი, სეკა, ნარდი.. ჭადრაკი მაინც სხვა რანგისაა, ცალკე დგას. ვინც პოკერს გემოს გაუფცქვნის, ძნელად რომ სხვა თამაშზე გადაერთოს. პოკერი სიკვდილამდეა. რაც უნდა მისუსტებულ-მიხრწნილი იყოს პოკერისტი, თუკი კარტის ხელში დაჭერა და მასტების გარჩევა შეუძლია, თამაშს ვერ შეეშვება. რამდენი გუნდი („პულკა“) დაშლილა მიქელ-გაბრიელის უცერემონიო ჩარევის შემდეგ.

ჯერ ტელევიზიაში დგებოდა „პულკები“. ჩააიკეტებოდნენ დღის ბოლოს ფონოთეკაში და იგუდებოდნენ სიგარეტის კვამლით. ღამეებს ათენებდნენ. ნიკო პოკერის ანბანს შეშელიძემ აზიარა, როგორც გურულები ეძახდნენ, „მომსპარი ენის“ პატრონმა. ნელ-ნელა, თანდათანობით, საკმაოდ გამოცდილ მოყვარულად ჩამოყალიბდა. „პულკამ“ მალე ოჯახები მოიარა, მათ შორის, ნიკოსიც და ბოლო ათეულ (შეიძლება მეტიც – პოკერში ხომ უცებ გარბის დრო) წელიწადს ლორთქიასთან დაიმკვიდრა ბინა. აქ ყოველთვის, როგორც იტყვიან, არაორდინალური ვითარება სუფევდა, თბილისელი „კოლორიტები“ და მეტ-ნაკლები ინტე-

ლექტუალები იყრიდნენ თავს. რაღას არ გაიგონებდი, გლობალური ცხელ-ცხელი ამბებით დაწყებულს და ადგილობრივი ჭორებით დამთავრებულს. თან განუწყვეტლად რეკდა ტელეფონი.

— ვაა, სმოლნია?! - იტყოდა ლორთქია, ყურმილს მხარსა და ყურს შორის მოაქცევდა (ხელებში კარტი ეკავა) და თამაშს აგრძელებდა, - პაას!.. შენ არ გეუბნები (ყურმილში).. არა, ძმაო, სხვა საქმე უნდა მოვძებნო.. შენ არ გეუბნები! სისულელეა!.. შენ არ გეუბნები (მიმართავს გაკვირვებულ პარტნიორს). ათი გავხადე!.. შენ არ.. (ყურმილში).. კაი, ხო, მერე დაგირეკავ!..

ზოგჯერ, რა დასამალავია, კაი გვარიანი სკანდალიც აგორდებოდა, როცა მასპინძელს წამგებიანი კომბინაციები მოსდიოდა და თანაც იმ პარტნიორთან, რომელიც გულზე არ ეხატებოდა.

— ერთი შენი დედაც!.. - შეიგინებდა.

— რას იგინები?- მოკრძალებულად ჰკითხავდა გინების ადრესატი.

— შენ ვინ გაგინებს.. შენი დედაც!.. - არ ისვენებდა ენა.

ვერ ვიტყვი, რომ ლორთქიას შეგინება ძალიან სწყინდათ პარტნიორებს, მაგრამ ფაქტია, რომ არც მაინც და მაინც სიამოვნებდათ. ისიც უტყუარია, რომ ლორთქიას „პულკა“ წლების მანძილზე „მუშაობდა“ რეგულარულად.

ხანდახან იყო წყვეტილი, როცა რომელიმე პოკერისტს მოაკითხავდა ის დალოცვილი მიქელი. მირიან ბოგოლიშვილი რომ გამოაკლდათ, დროებით ფალიაშვილზე გადაინაცვლეს, ნოდარ ლორთქიფანიძესთან. ერთხანს აქ „გერონტოლოგიური“ პოკერები იმართებოდა, ოთხმოც წელს მიტანებულ-გადაცილებულები პაექრობდნენ ძირითადად. როცა ეს „პულკაც“ დაიშალა (ოთხი წევრი გამოაკლო მიქელ-გაბრიელმა, მათ შორის, მასპინძელიც), ისევ ლორთქიას აპარტამენტებს დაუბრუნდნენ შედარებით განახლებულ-შევსებული შემადგენლობით.

— ლორთქი ვარ, - დარეკავდა დილაადრიან, - მოხვალ? ექვს საათზე, არ დააგვიანო!..

ლორთქიას სალონმაც, თანდათანობით, მძიმე დანაკლისი განიცადა (წავიდნენ ლითანა, კოტე ქორიძე, ლერი ხარატი, ლერი გამრეკლიძე), მაგრამ სანამ მასპინძელი ცოცხალი იყო, მაინც „მუშაობდა“. ბოლო პოკერი ლორთქიას ბოლო დღე აღმოჩნდა. იმ დღეს აძლია და აძლია კარტმა, ორი „ფლეში“, პოკერის უმაღლესი კომბინაცია, გააკეთა. განცვიფრებულმა ხელები ზე აღაპყრო და შესძახა:

— იქ მატან, დალოცვილო?!

თურმე ასეც იყო: „პულკის“ დამთავრებიდან დაახლოებით ერთ საათში აღესრულა.

ისე, მე თუ მკითხავთ, უეცარი გარდაცვალება ახლობლებისთვისაა მძიმედ მოსანელებელი, თორემ მოკვდავისთვის, მით უმეტეს, საყვარელი საქმიანობის პროცესში, სანატრელი უნდა იყოს.

დიდი ივანე ჯავახიშვილი ლექციის კითხვისას წაიქცა. კომპოზიტორმა გოგი ცაბაძემ გულს უმღერა სერენადა, არ მიღალატოო! დამთავრება და მისი ღალატი ერთდროულად მოხდა. მწერალი ჯანსუღ ღვინჯილია სცენაზე, მიკროფონთან, დაეცა. ფილოსოფოსი თამაზ ბუაჩიძე კათედრაზე, პროგრამული მოხსენების დაწყებისთანავე, გაითიშა და აღარც მობრუნებულა. ედუარდ კოდუამ, აგრეთვე ფილოსოფოსმა, სიტყვა თქვა, დაჯდა და აღარც ამდგარა. ვახტანგ ფალიაშვილმა სადირიჟორო პულტთან, სტეკით ხელში, გადაინაცვლა იმ სამყაროში.

ყველას აშოროს ტანჯვა-წამებით სიკვდილი, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც თავს არ იცხელებდნენ სიკვდილზე ფიქრით და სრულიად მოუმზადებელნი შეხვდნენ უკანასკნელ დღეებსა და საათებს. ფილოსოფოსი ლევან კილაძე იმეორებდა ხშირად: „ბრძენი სოკრატე ასე მოძღვრავდა მსმენელებს: ფილოსოფოსობა, სიბრძნე, ყოველ წუთს მოსალოდნელ სიკვდილთან შეხვედრისათვის მზადებაშია, ასე ვთქვათ, სიკვდილში ვარჯიშში.“

თავადაც ხომ საქმით დაამტკიცა ამ პოზიციის სიბრძნე: სიკვდილი საკმაოდ ჯანმრთელმა, სამოცდაათწლიანი ასაკის მიუხედავად, ნებაყოფლობით და მშვიდად მიიღო.

„ცოების და ცოების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“, ბრძანა რუსთაველმა. იგივე აზრი, ხუმრობით, ასე გამოხატა ავლაბრელმა სომეხმა: „ნიმუტ ხარ და ნიმუტ არა!“

ასე, ჩემო სიცოცხლის მოყვარულებო! კი, ბატონო, გიყვარ-დეთ სიცოცხლე, მოუფრთხილდით, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ ხალხური სიბრძნე: „კაცი რო დაიბადება, იქვე საფლავი მზა არი, იგეთი გქონდეთ გუნება, ვით მოწმენდილი ცა არი.“

რაც შეეხება ნიკოს, პოეტ დარჩიას შენიშვნისა არ იყოს, შვიდი ათეული წლის მიჯნაზე დაბიჯების მიუხედავად, არც ერთი ბებრული სენი არ აწუხებდა, თუ იშვიათ წელკავს და წელიწადში ერთდღიან სურდო-ხველებას არ ჩავთვლით. ისე, ჩვენში დარჩეს და ნაღვლის ბუშტი ამოიკვეთა ორმოცდაათი წლის ასაკში და ზედაც ბრმა ნაწლავი მიაყოლა. მერე რა? არავითარ დისკომფორტს არ გრძნობს. ის კი არა, ნახევრად ხუმრობით ამბობს ხოლმე: ნაღვლის ბუშტი და ბრმა ნაწლავი ღმერთს გათვალისწინებული არ ჰქონდა, ეშმაკის ჩადებულია მისგან ნამალევადო.

ასაკის შეგრძნება არ აქვს და არც ჰქონია. ორი ვაჟი გაზარდა. არც ერთისთვის „შვილო“ არ უთქვამს. სხვათა შორის, შვილებიც, რომ წამოიჩიტნენ მას მერე, მხოლოდ სახელით მიმართავდნენ. ამჟამად შვილიშვილებიც ასე იქცევიან.

ეჩოთირება მსგავსი ვითარება, აქაო და მშობლების და წინაპრების პატივისცემას ჩრდილი ადგებაო!

ნიკო და მეც, სხვათა შორის, ასე არ ვფიქრობთ, დიქტატს მეგობრული სითბო გვირჩევნია, დიდაქტიკას – ცოცხალი მაგალითი!..

სახელი

სახელი მხოლოდ ერთიმეორისგან გასარჩევად როდი შეურქმევიათ კაცთათვის. განა სულერთია რანაირი ქუდი გხურავს? ჰოდა, სახელიც ქუდივით მორგებული უნდა იყოს. ნათხოვარ ქუდს და ქურთუკს შორიდანვე ეტყობა. სახელთან გვარიც მისადაგებული დაუწესებია უფალს, სახელის ხსენებაზე გვარიც თავისით უნდა მოტივტივდეს. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე, ზაქარია ფალიაშვილი, დათა თუთაშხია, ალუდა ქეთელაური..... გავაგრძელო? მე მგონი, საკმარისია! ახლა ასეთი გვარ-სახელიც ვნახოთ:

ვეფხია უჯმაჯურიძე!

ვერ დავიჯერებ, რომ მოგეწონათ. ის კი არა, ალბათ, იფიქრებთ, რომ ან სახელია ნათხოვარი, ან - გვარი. ვეფხიას მიგრიაული, ან წიკლაური უხდება, უჯმაჯურიძეს - სერგო, ბონდო, შალვა. ზაზა და კოკიც შეიძლება.

გვარსაც რომ შევეშვათ, სახელიც, ასე ვთქვათ, იმიჯთან შეუთავსებელი ჰქონდა ვეფხიას, სრულიად რეალურად არსებულ პიროვნებას, რომელზე ამბის მოყოლასაც ვაპირებ: გამხდარი, ტანმორჩილი, თუმცა სპორტული აღნაგობის, ცისფერთვალება და რაც მთავარია, სახეზე ეწერა მოკრძალება, გულახდილობა და თქვენი სამსახურისთვის მუდმივი მზადყოფნა.

კაცი ყველაფერს ეჩვევა და ვეფხიაც რომ შეჩვეოდა თავის სახელს, რა გასაკვირია. ისე, სხვათა შორის, სახელი დარქმეულია და როგორც იტყვიან, მეტრიკიდან ნაჯახითაც ვერ ამოაგდებ!

მეტრიკიდან კი, ბატონო, მაგრამ ყოველდღიური მოხმარებისთვის, ასე ვთქვათ, საყველპურად, ხომ შეიძლება რაიმე ნორმალური, არამყვირალა სახელი დაირქვას? ჰოდა, დაირქვა კიდეც: ნიკო. რითია ცუდი? თან ორსახელიანების მეტი რაა: რაულ-როდამი, ედუარდ-ედიშერი, იური-იორამი, ლერი-

ლევანი და რა ვიცი.... ერთი სიტყვით, საბუთებში ვეფხია, ურთიერთობაში ნიკოდ იქცა.

ალბათ, უკვე მიხვდით, რომ ნიკო უჯმაჯურიძე ზედმიწევნით რბილი და დამთმობი კაცი იყო. იმიტომ კი არა, რომ ფილოსოფიას მისდევდა ამგვარს. არა, ასეთი იყო და სხვანაირად არ შეეძლო. სიტყვაზე: ვთქვათ, ძაღლი ვიღაცას შეუყეფს ან უკბენს კიდეც, მაგრამ ეს სიბოროტით კი არ მოსდის, არა, ბატონებო, ძაღლია და იმიტომ. ასეთია მისი არსებობის კრედო: თუ არ დაუყეფა არავის და საკბენად არ გამოიწია, ძაღლადაც არავინ ჩააგდებს! შორს რომ არ წავიდეთ, გაიხსენეთ სულხან-საბას იგავი კუსა და მორიელზე.

როცა ნიკო, საკუთარი ინტერესების საზიანოდ, მავანს რაიმეს დაუთმობდა, სულაც არ ფიქრობდა, რომ რაღაც განსაკუთრებულ სიკეთეს ჩადიოდა. უკვე მოგახსენეთ, რომ სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო.

სწორედაც ამიტომ დავარქვი ნიკოს არა კეთილი, არამედ ხათრიანი კაცი. ვფიქრობ, არის განსხვავება და თანაც საფუძვლიანი. კეთილ კაცად ვერანაირად ვერ მიიჩნევა ის პიროვნება, რომელსაც სიავის გაკეთება არა და არ შეუძლია, ვინაიდან არჩევანის საშუალება არა აქვს, ასე ვთქვათ, სიკეთის „ავტომატია". ავტომატური ანუ არამოტივირებული სიკეთე რაღა სიკეთეა. ისე, ჩვენში დარჩეს და სიავის ავტომატს მაინც სიკეთის ავტომატი მირჩევნია. ალბათ, თქვენც!..

ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს ხათრიან, სხვათა სამსახურად ნიადაგ მზად მყოფ კაცთან, ნიკო უჯმაჯურიძესთან, უცოლ-შვილოსთან, მარტოხელასთან, ძმაკაცის ნახევაროთახიან ბინაში დროებით მცხოვრებთან. არ გაგიკვირდეთ და ავტომანქანის მფლობელთანაც. უშვილძირო ბიძის ნაჩუქარი ერთი ძველი, დაჭმუჭვნილი „ზაპო" ხანდისხან გადაადგილების საშუალებასაც წარმოადგენდა.

— რავა ჭაში ნახათქუნებ ვედროს დაგიმსგავსებიაო, - იმასხრა ერთხელ კარის მეზობელმა გიზომ და მერე ყველა

„ვედროს” ეძახდა ნიკოს „ზაპოროჟეცს”. ნიკოს სულაც არ სწყინდა. შეიძლება ითქვას, პირიქით: გულიანად იცინოდა და ამატებდა: ვედროთი წყალს მაინც ამოიღებს კაცი ჭიდანო, ამ ჯართს ვედრო არ ჯობსო! ასეა, გურულ კაცს ხუმრობა წყენოდეს, ჯერ არ მსმენია. ნიკოც ცოტათი აჭარბებდა იუმორის ხათრით. ნიკო, დედ-მამასთან ერთად, ყოვლად უხეირო, „კუსტარულ” ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა, ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე. რამდენიმე თვის წინ ვიღაც ბიძები მოვიდნენ, მობინადრეებს ხელშეკრულება გაუფორმეს და ბინები დაუქირავეს. სახლი, ცხადია, დაანგრიეს და კორპუსის შენება დაიწყეს. ნიკო მშობლებს შეუთანხმდა და საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებით წასული მეგობრის საცხოვრებელში დაიდო ბინა. ამ ბინის “იმიჯს” აგვირგვინებდა ბიძის ნაჩუქარი „ზაპო”. საერთოდ, „ზაპოზე” იმდენ დაუჯერებელ რამეებს ყვებიან, პირი ღია დაგრჩება. ვერ გამოიცნობ, როდის წავა ან როდის გაჩერდება. აღმართზე გიჟივით აშლიგინდება და ვაკეზე ოჩანი სახედარივით გაჯიუტდება. უნდა ითქვას, რომ ნიკოს „ზაპოროჟეცს” ყველა ეს ტიპური თვისება უკლებლივ ჰქონდა. ამის მიუხედავად, ნიკო ხშირად უნახავთ თავის „ჯართზე” ამხედრებული ქალაქის ქუჩებში.

ერთხელ ავტოინსპექტორმა გააჩერა და მანქანის გარეგნობა, ე.წ. „იმიჯი”, დაუწუნა: ზედმეტად არაესთეტიკურიაო! (განათლებული ინსპექტორი შეხვდა!)

— ჭაში ნახათქუნებ ვედროს რა “ესთეტიკური სახე” მოეთხოვება?- გულღიად გაუცინა ნიკომ.

— მართვის მოწმობას ჩამოგართმევთ და ჯარიმის ქვითარს გამოგიწერთ!.. ერთი თვის ვადას გაძლევთ. - უთხრა ულვაშა ლეიტენანტმა და აქტის შესადგენად მზადებას შეუდგა.

— ერთ თვეში რა შეიცვლება? - ცისფერი თვალები ალალად მიაშუქა ნიკომ.

— მანქანის ესთეტიკური სახე. - უგულოდ აუხსნა ულვაშამ.

ნიკომ აქ კი ვეღარ შეიმაგრა სიცილი:

— კაი, თუ ძმა ხარ, მე მაგის გამკეთებელი ვარ?! ისე, მართვის მოწმობა მაინც ჩამოსართმევი მაქვს.

— რატომ? - გამოცოცხლდა ინსპექტორი.

— აი, ნახე, ისე დაძველდა, მე ვარ თუ სხვა, ვერ გაარჩევ.

— კი, დაძველებულია, მაგრამ ყველაფერი იკითხება. ისე, რატომ არ გამოცვლი?

— ფული არა მაქვს.

— აბა, ბენზინს რითი ასხამ?

— ხანდისხან ბიძაშვილი მისხამს სამოწყალოდ....

— ახლა საით მიიჩქარი?

— მეზობელს კუჭის შეტევები დაეწყო და ნახალოვკაში მივდივარ, ექიმბაშთან.

— აჰა, აიღე! - ინსპექტორმა მართვის მოწმობა გაუწოდა და აქტის ბლანკი შეინახა.

— არც მაჯარიმებ?

— არა. წადი შენს გზაზე!

— ცოტა მაინც გამოგეწერა, - წაეხუმრა ნიკო.

— შენ, ძამიკო, ხომ არ მაღადავებ? - ინსპექტორის ხმას ბზარი შეეპარა.

— რას ბრძანებთ! - დაფრთხა ნიკო, - მადლობის მეტი რა მეთქმის!..

გზადაგზა კარგა ხანს ტუქსავდა თავს, ეს ღვთისნიერი კაცი რატომ გავანაწყენეო. ნაღდი ავისმოქმედის და ნაძირალას წყენინებას ერიდება და ამ კაი კაცს...

ამასწინათ, ნიკოს მანქანის სარკეს ვიღაც ცხვირმოუხოცელი ჯეელი უტრიალებდა.

— შენი მანქანისთვის გჭირდება? - ჰკითხა ნიკომ.

— ვინ მომაშავა მანქანა, - დაიჭყანა ჯეელი.

— აბა, რატომ ხსნი?!

— გავყიდი. თანაც ამ ტაშტს რათ უნდა ეგეთი სარკე?

— ტაშტია თუ ვედრო, მაგ სარკის მოხსნის უფლებას არ მოგცემ!

— ვითომ რათაო?!

— შენ არ გჭირდება, მაგ ტაშტის პატრონს კი უშოვია და დაუყენებია.

— მერე? შენი რა სადარდებელია, მაგის პატრონმა იკითხოს.

— ჰოდა, მე ვარ პატრონი!

— ე?! მაღადავებ?

— გამოიწი აქეთ!

ნიკო მანქანის კარს გასაღებს მოარგებს, გამოაღებს, ჩაჯდება, დაქოქავს და ჰაიდა!..

გაშტერებული ჯეელი კარგა ხანს გაუნძრევლად დგას, სანამ "ზაპო" მოსახვევში არ გაუჩინარდება.

რომანი ლეიბქვეშ

მგონი არ მითქვამს, რომ ნიკოს საცხოვრებელი ნახევრად-სარდაფსაც წარმოადგენდა. ერთი ტახტი, ერთი პატარა მაგიდა ორი სკამით, ერთი საჭურჭლე თარო, ხელპირსაბანი და კედელ-ში გამოჭრილი მოცუცქნული ტუალეტი, მასავით პატარა მას-პინძლის ზომაზე მორგებული. კიდევ იყო ორი თვითნაკეთი თარო: ერთი ტახტის თავზე და მეორე ტუალეტის კედელზე, ორთავე წიგნებით იყო გამოტენილი. ტუალეტის კარზე, შიგნიდან, ვან გოგის ერთი ცნობილი ნახატის რეპროდუქცია იწონებდა თავს.

ამ ყოვლად უხეირო დიზაინის მიუხედავად, ნიკო არავითარ დისკომფორტს არ გრძნობდა, ან კი რატომ უნდა ეგრძნო, როცა ფაქტობრივად, ეს, უკაცრავად პასუხია, ბინა, მხოლოდ ღამის გასათევად სჭირდებოდა და ისიც არა ყოველთვის. „სად მიღამდება, იქ მითენდებაო"- უყვარდა ციტირება. ისიც ხშირად უთქვამს: „რუსეთში რომ დავბადებულიყავი და მეცხოვრა, ალბათ, „ბომჟი" ვიქნებოდიო."

ერთი საიდუმლო ჰქონდა, რომელსაც გულდაგულ უმალავდა ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც. ჩვენ ვხვდებოდით, რომ ნიკოს მწერლობის ჭია უღიტინებდა, ლექსებსაც წერდა და პროზასაც არ აკლებდა ხელს, მაგრამ არ ვიცოდით სად ინახავდა ხელნაწერებს. საქმე მოულოდნელად „გაიხსნა": ჯოკერის თამაშით დაოსებულებმა ქალაქში გასვლა გადავწყვიტეთ. ნიკო ტუალეტში შევიდა. როგორც წესი, იქ კაიხნობით უყვარდა ჯდომა. განა ყაბზობის გამო, „სატუალეტო" ლიტერატურას კითხულობდა. ერთი სიტყვით, ჩაიკეტა კარი თუ არა, უორდერო ჩხრეკა ჩავატარეთ და მივაგენით ლექსების რვეულს და დაწყებულ მოთხრობას თუ რომანს ლეიბქვეშ.

ლევანმა პროზის კითხვა დაიწყო მოგუდულად. თან ცალი თვალი ტუალეტისკენ ეჭირა.

"ისინი სამნი იყვნენ. დაწალიკებული მიუყვებოდნენ აღმართზე შეკიდულ ბილიკს. როცა აივაკეს, შემოტრიალდნენ და ტაფობს გადახედეს. მეწინავემ, რომელსაც „ბრძენს" ეძახდნენ, ქუდი მოიხადა და ოფლიანი შუბლი ქუდითვე შეიმშრალა. მერე ტაფობზე, შორს, შორს, რაღაც წერტილს მიაჩერდა კაი ხნით. დგას ბრძენი და ფიქრობს : „რატომ? რისთვის?"

ამ დროს ტუალეტის კარის საკეტმა დაიჩხაკუნა. ლევანმა სასწრაფოდ შეჩურთა რვეულები ლეიბქვეშ.

ნიკომ ვერაფერი შენიშნა და ჩვენი ავანტურა მშვიდობიანად დამთავრდა. იქ კი დამთავრდა, მაგრამ მალე იჩინა თავი გაგრძელებამ. ხელნაწერის დასაწყისმა აღარ მოასვენა ლევანი და ერთ მშვენიერ დღეს, სანამ მორიგი ჯოკერი გაჩაღდებოდა, ყურადღება მოითხოვა: პოემა დავწერე და უმორჩილესად გთხოვთ მომისმინოთო. რა დროს პოემააო, ავყაყანდით. ლევანმა: დაწყნარდით, სულ ერთი გვერდიაო. „პოემა" ნიკოს პროზის გალექსილი პაროდია და პირადად მასთან გახუმრება აღმოჩნდა.

გულიანად ვიცინეთ. ცხადია, ნიკოც აგვყვა, თუმცა ამასაც მოვკარით ყური: „ო, რა მაგარი ნაძირალები ხართო!" რაღა

თქმა უნდა, სიყვარულით იყო ნათქვამი.

იმ „პოემიდან” ბოლო ორი სტროფი დამამახსოვრდა:

„თუმც არ წასულა ჩვენგან ხორცითა, მაგრამ მკვდარივით უკვე ვიგონებთ და ნაღვლიანად აღვადგენთ ჩვენთვის ლეიბქვეშ ნადებ რომნის სტრიქონებს: „რამდენჯერ იდგა ბრძენი გორაკზე და გასცქეროდა გულცივ პეიზაჟს, მარადიული ტანჯავდა კითხვა: რატომ? რეიზა?”

კამათი გამოიწვია სტრიქონმა: „მაგრამ მკვდარივით უკვე ვიგონებთ”... რატომ „მკვდარივით” და რატომ „ვიგონებთ”? - მივაწექით ლევანს, რომელმაც ყოვლად უსუსური არგუმენტაცია მოიშველია. არაფერი შევარჩინეთ. ბოლოს მიხვდა, რომ უფსკრულის პირას იდგა და აღსასრული არც ისე შორს იყო. ისევ ნიკომ შეაშველა ხელი:

— ნუ შეჯამეთ კაცი!.. ლეიბქვეშ სულშეხუთულ რვეულებს გულისხმობს... რა, არაა მკვდარივით მოსაგონარი? ერთი რიგიანი ეპიტაფიაც არ აწყენდა!

არ იყო ძნელი მისახვედრი ნიკოს გამოხდომის ქვეტექსტი: რაც იყო, იყო, არაფერს აღარ ვაგრძელებ და მით უმეტეს, აღარც ახალს ვწერო. ჩვენ ისეთი სახე მივიღეთ, ვითომ დავუჯერეთ. ყოველ შემთხვევაში, ლევანს „პოემა” კიდევ ერთხელ წავაკითხეთ, კიდევ ერთხელ ვიცინეთ და მისი შედევრი ისტორიის კუთვნილებად მივიჩნიეთ.

კარიერა “სტილისტსაც” შეიძლება ჰქონდეს

ჰო, ჯერ არ მითქვამს, რომ ნიკომ ეს ესაა ტელევიზიაში დაიწყო მუშაობა, საინფორმაციო პროგრამა „მოამბის” სტილისტად. ყველა ინფორმაციას გულდასმით კითხულობდა და „ოქმის” ენის ადამიანურზე გადმოყვანას ცდილობდა. ამ ნიადაგზე გაუთავებელი ნერვების წყვეტა ჰქონდა. ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც ზეპირ, ასე თქვათ, „საქაღალდე”,

ინფორმაციის მხარდამხარ ჯერ არ იყო შემოსული ვიდეოსიუჟეტები. ასე, რომ თითქმის ყოველი ინფორმაციის ჩასწორება უწევდა.

— ეს რა ჰქენ, კაცო?! - უტევდა რეგიონიდან ჩამოსული ავტორი, - როგო აგიჭრელებია ტექსტი, ხელახლაა გადასაბეჭდი!

— მაჩვენე! - ნიკო დახედავდა ფურცელს და უმალ ეთანხმებოდა, - კი, გადასაბეჭდია.

— მერე? არი მაგისი დრო?

— იცი, რა, - უხსნიდა შეწუხებული სტილისტი, - არ შეიძლება მანდ რომ წერ: „მოახდინა გასროლა..”

— მა როგო დავწერო?

—„მა როგო” კი არა, „აბა, როგორ”. დაწერე ადამიანურ ენაზე: „ისროლა“ ან „ესროლა”.

— ეე, კარგი რა! მთელი სამართალდამცავები ეგრე ლაპარაკობენ.

— მერედა, ძალიან მოგწონს? ან ეს რაა: „ჩვენს მიერ დაკავებულ იქნა..”

— შენ როგორღა იტყოდი?

— ოთხის მაგიერ ერთი სიტყვით: „დავაკავეთ”. გავაგრძელო?

ავტორი ბუზღუნ-ბუზღუნით წაცუხცუხდებოდა ტექსტის გადასაბეჭდად. რად გინდა მერე? მეორე დღეს ისევ: „ამოღებულ იქნა..”, „მოახდინა შეჯერება..”, „ეწვივნენ მაღალი სტუმრები..” (დავიჯერო, საშუალო ტანის ერთი მაინც არ ერია?), „ჩვენი კორესპონდენტი, როგორც იქნა, გავიდა მინისტრზე..”(კიდევ კარგი, მინისტრის ცოლზე არ გავიდა!).

— არ შეიძლება, ვახტანგ, - მორიდებით უხსნიდა პოპულარულ ჟურნალისტს ნიკო, - ითქვას: „აღტაცებაში მოვიდა”, „სისრულეში მოიყვანა”, „საჭიროდ თვლიდა”... ეს ყველაფერი რუსული კალკია.

პოპულარული ჟურნალისტი ჯერ „ვახტანგზე” იმრიზებო-

და: ის ხომ „ვახოთი” იყო ცნობილი და თანაც ნიკოს რეიტინ-გისა არ სჯეროდა. „ამან უნდა მისწოროსო?!” - ნერვები ეშლებოდა.

— ყველა ასე ამბობს... ყველას ეშლება?

— რა თქმა უნდა, - მოთმინებას არ ჰკარგავდა ნიკო, - თუ გაინტერესებს, გეტყვი მართებულ ფორმებს.

— მაინტერესებს, - უგულოდ მიუგდებდა პოპულარული ჟურნალისტი.

— „აღტაცება დაეუფლა” ან „აღფრთოვანდა”, „აღასრულა”, „საჭიროდ მიაჩნდა”... რას იტყვი, არ ჯობს?..

პოპჟურნალისტი თავს დაუქნევდა, მაგრამ მეორე დღეს ისევ სულში გამჯდარი კალკებით “წაიყვანდა” რეპორტაჟს (საით „წაიყვანდა,” თვითონაც ბუნდოვნად იცოდა).

მე კი მოგახსენეთ, რომ ნიკო უჯმაჯურიძე ხათრიანი და დამთმობი კაცია-მეთქი, მაგრამ ზოგჯერ, შიგა და შიგ, უცნაურ პრინციპულობას იჩენდა. მით უმეტეს, თუ ოპონენტს თვალებში არ უყურებდა და საკუთარ თავთან იყო დარჩენილი.

ამასთან დაკავშირებით, არცთუ იშვიათად შექმნილა თავშე-საქცევი ანუ როგორც ახლა უყვართ თქმა, „კურიოზული”, სი-ტუაციები.

ერთ მშვენიერ დღეს ნიკომ გადაწყვიტა პრესის საშუალებოთ გაეჩაღებინა ბრძოლა ქართული ენის სიწმინდისათვის და წამოიწყო ფელეტონების სერია საერთო სათაურით: „ენის კარიესი” (როგორც ცნობილია, კარიესი კბილების დაავადებაა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, პრობლემას ზუსტად მოერგო). სამიზნედ, დასაწყისისთვის, ნიკომ სპორტული ჟურნალისტიკა, კერძოდ კი ტელერეპორტაჟები, აირჩია.

მოგეხსენებათ, ფელეტონი, ტრადიციულად, გულისხმობს იუმორს (რაიც ნიკოს თავზესაყრელად ჰქონდა), სატირასაც, ზოგჯერ სრულიად სერიოზულ, მკაცრ გამოთქმებსაც. ნიკოს ფელეტონებში იუმორი საკმაო დოზით გახლდათ, რასაც ვერ ვიტყვით სატირასა და მკაცრ ტონზე. აქ უფრო თხოვნა

გამოსჭვიოდა: თუ ენა და მამული გიყვართ, გაწმინდეთ იგი გარედან თავსმოხვეული ნაგვისაგან!

ჯერ შეახსენა, რომ მათი წინამორბედი კომენტატორები არა მარტო სუფთა ქართულით ლაპარაკობდნენ, არამედ ნიადაგ ეძიებდნენ სპორტულ ტერმინოლოგიას ქართული ენის ნოყიერ ნიადაგზე. მაგალითისთვის, ეროსი მანჯგალაძის მიერ მიგნებული და ყველას მიერ აღიარებული „არის!" კმარა. დიდხანს იწვალა ეროსიმ, სანამ გოლის აღმნიშვნელ ამ სიტყვას მიაგნებდა. ხან „ბადე!"იძახა, ხან — „გოლი!", მაგრამ ის არ იყო, რასაც ბურთის გატანის ემოცია მოითხოვდა. „არის!" სულ სხვა მუხტით გამოირჩეოდა და ცნობილ სიმღერაში („არის, ასრულდა ოცნება!" — ჩვენი „დინამო" რომ გაჩემპიონდა) ძირითად სიტყვად მოგვევლინა.

ჰოდა, ერთ-ერთი შენიშვნაც სწორედ გოლს ეხებოდა. კომენტატორები მიეჩვივნენ ფრაზას: „გადაურჩა გაშვებულ გოლს". „გოლი" ხომ ისედაც გაშვებული ბურთია? ეს იგივეა, რომ ვთქვათ: „ვიღაც გარდაიცვალა და მოკვდა კიდეც." გოლის თემაზე კიდევ ერთი „შედევრი"უნდა აღინიშნოს: გამოთქმა "იტანენ (ვერ იტანენ) გოლს". კი, ბატონო, არის ასატანი და აუტანელი გოლები, მაგრამ აქ ხომ უნდოდათ ეთქვათ: „გააქვთ (ვერ გააქვთ) გოლი." განსაკუთრებით ჭრიდა ყურთასმენას „გენიალური" პასი, დარტყმა, კომბინაცია, ფეხბურთელი, მწვრთნელი და ა.შ. ეს სენი, სამწუხაროდ, შეეყარა ჟურნალისტიკას საერთოდ. „გენიალური მოდელი, ფეხსაცმელი, ჯინსები, ავეჯი.." ნიკო მოკრძალებით მიუთითებდა, რომ ეპითეტი "გენიალური"ეკუთვნის ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების კორიფეებს(რუსთაველს, მიქელანჯელოს, კანტს, ბეთჰოვენს, შექსპირს, აინშტაინს..) და არა შესანიშნავი, თუნდაც უბრწყინვალესი, დარტყმის შემსრულებელს.

ნიადაგ ისმის: "მსაჯმა მისცა სასტვენი.."ვის მისცა? სად ჰქონდა წამდაუწუმ ჩამოსარიგებელი ამდენი სასტვენი? ვერ ამოვიგდეთ ცნობიერებიდან რუსული კალკი "დალ სვისტოკ."

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩაფიქრებული სერიიდან მეორე ფელეტონის პუბლიკაციის შემდეგ ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, პაატა გიგოშვილმა, გამოიძახა და კაბინეტში შესულს ორივე საგაზეთო პუბლიკაცია დაუდო წინ.

— თუ არ ვცდები, ამ ფელეტონებს შენ აწერ ხელს, - უთხრა და ჩამოჯეჯილებული წარბების სიღრმიდან ჭროღა თვალები დაუმიზნა.

— არ ცდებით, ბატონო პაატა, - დაეთანხმა ნიკო და საქებარი სიტყვების მოსასმენად მოემზადა.

— მერე? იცი შენ, რომ ვისაც აკრიტიკებ და მეტყველებას ასწავლი, ყველანი ჩვენი სპორტული რედაქციის თანამშრომლები არიან?

— რას ბრძანებთ, არ ვიცოდი! - გულწრფელად შეიცხადა ნიკომ.

— ახლა ხომ იცი? ჰოდა, თუ კაცი ხარ, შეწყვიტე ეგ შენი პუბლიკაციები და საერთოდ, ჟურნალისტებს ნუ ანერვიულებ.

— მე?! ვანერვიულებ?!

— ჰო, შენ, ყველა ფრაზას და სიტყვას უკირკიტებ!

— აბა, რის სტილისტი ვარ, ბატონო პაატა?

— იცი, რას გეტყვი: დღეს სტილისტის თანამდებობა უკვე ანაქრონიზმად იქცა. უნდა გაუქმდეს!

— მერე მე?! - უაზროდ იკითხა ნიკომ.

— რა „მე”? შენა, რაო, სტილისტად დაიბადე? კარგი, ჰო, არ გეწყინოს, შენთვის მშვენიერი საქმე გვაქვს შერჩეული..

— რა საქმე? - ნიკომ არ იცოდა, წყენოდა თუ გახარებოდა.

— დაჯექი!.. მთლად ისე არაა, შენ რომ ფიქრობ. შენი ფელეტონები ნიჭიერადაა დაწერილი, იუმორს ვერავინ წაგართმევს. აქ ვითათბირეთ და.. მოიცა, „მახარეს”პირველ ნომერში ხომ არის შენი ფელეტონი.. აეროფლოტზე, რა ჰქვია?

— „ქარზე უსწრაფესი, ”კუ-104”

— კარგია, - გაიცინა თავმჯდომარის მოადგილემ, - ერთი სიტყვით, გადავწყვიტეთ „მახარე” სატირულ-იუმორისტულ ტელეჟურნალად დაკანონდეს, მაგრამ ჩვენ მაგის დრო არ გვაქვს და მომდევნო ნომრის მომზადება შენ მოგიწევს როგორც რედაქტორს. თვეში ერთ ნომერს მოამზადებ. თვლი, რომ შენი საქმეა?

— კი არ ვთვლი, მიმაჩნია!

— რაო?! აა!.. შენსას არ იშლი!. - მადიანად გაიცინა ბატონმა პაატამ, - რას იტყვი, თანახმა ხარ? თუ მოსაფიქრებლად დრო გჭირდება?

— რას ბრძანებთ, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ!..

ნიკომ ვიზიტი დამთავრებულად ჩათვალა და წამოდგა.

— მოიცა, რაღაც უნდა მეთქვა.. ჰო, შენზე ამბობენ, ისეთი ჯართით დარიხინობს, მსგავს საოცრებას, სანთლით რომ ეძებო, ვერ მოიძევ ქალაქშიო.

— სრული სიმართლეა, ბატონო პაატა, ოღონდ ქალაქში კი არა, რესპუბლიკაში.

— ჰოდა, არც შენ გეკადრება ეგ და არც ჩვენს ტელევიზიას, მით უმეტეს, „მახარეს”.

— აღარც ვაპირებდი, ისედაც მოიშალა..

— ერთი ეს მითხარი, თუ ძმა ხარ, - დაუტკბა პაატა, - საბუთებში რომ გიწერია, ვეფხია, ეგ სახელი ვინ დაგარქვა? თანაც სად, გურიაში..

— მე თბილისში დავიბადე. მამაჩემი შუბნიდან იყო, სოფელია ჩოხატაურის რაიონში. ბაბუაჩემ ერასტოს ხუთი შვილი ჰყავდა და ხუთივეს იმპორტული სახელები დაარქვა: პიერინა, ზინაიდა, აბელი, ვენიკო და პრომეთეოსი. მამაჩემი, აბელი, მეორე უკიდურესობაში გადავარდა და ასე დამანათლა. ალბათ, წმინდა ქართულმა ჟღერადობამ შეაცდინა.

— შეაცდინა?! რითაა ცუდი სახელი? აბა, რა გინდოდა, ჟან-ჟაკ-რუსო?

— არა, მონტესკიე მერჩივნა!

ორთავეს სიცილი წასკდა.
— ნიკო ვინ დაგარქვა?
— თავად დავირქვი.

პირველი ქალი

ზემორე აღწერილმა აუდიენციამ, თუ ბევრი არა, ცოტა რამ მაინც შეცვალა ნიკო უჯმაჯურიძის ყოველდღიურ პროზაში. სხვა თუ არაფერი, სტილისტის მონოტონური რვასაათიანი სამუშაო დღე ყველაზე „ბლატნოი“ რედაქტორის თავისუფალი რეჟიმით შეიცვალა. თვეში ერთი ორმოცწუთიანი ტელეჟურნალის გაკეთებას სულაც არ სჭირდებოდა ყოველდღიური სავალდებულო რუდუნება.

ყველაზე უფრო სასიამოვნო და გასაკვირიც ნიკოსთვის ის გახლდათ, რომ თვალდათვალ შეიცვალა თანამშრომლების დამოკიდებულება მის მიმართ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „მახარე“ გაუშვა ეთერში. ყველას „მახარე“ და „ნიკო“ ეკერა პირზე. დილიდანვე მის სამუშაო მაგიდასთან რიგი დადგა: ხელს ღონივრად ართმევდნენ, ზოგი ჰკოცნიდა კიდეც. განსაკუთრებით გაახარა და დააბნია საბავშვო გადაცემების რეჟისორის, ფატის, მოლოცვამ და ლოყაზე გემრიელმა კოცნამ. იმდენად შეცბა, რომ საპასუხო კოცნა კი არა, უაზრო ბლუკუნის მეტი ვერაფერი გაახერხა. ეს, ალბათ, ბექარ ღვინიანიძის ბრალიც იყო, ფატის უკან თავის რიგს რომ ელოდებოდა. ბექარი ცნობილი იყო თავისი ცინიზმით, ყველას და ყველაფერს აქილიკებდა, მაგრამ ისე სხარტად და მახვილად, რომ დიდხანს ანდაზებივით იმეორებდნენ. „ნეტა თვითონ რა გაუკეთებია ან რისი გამკეთებელიაო,“ იტყოდა მავანი, როცა ბექარის ნათქვამს მიურბენინებდნენ. „არაფრისო!“ და ატყდებოდა სიცილ-ფხუკუნი. მუხედავად ამისა, „ბექარას ყბაში“ მოხვედრას ყველა თოფივით ერიდებოდა. ბექარს კაიხანს ეკავა ნიკოს ხელი და არაფერი საქილიკო არ წამოსცდენია, „ყოჩაღ, ბიჭო,

არ მოველოდიო“, ეს კი გააგონა. ერთი სიტყვით, ფატი რაა, ტელევიზიის და რადიოს ლამაზმანები ისეთი ჯადო ღიმილით ესალმებოდნენ (ზოგი სალაპარაკოდაც უჩერდებოდა), რომ აღარ იცოდა, რომელ ერთზე ეფიქრა და ეოცნება.

ისე კი, იცოცხლეთ, რამდენი ნაოცნებარიც ნიკოს ჰქონდა. საერთოდ ხომ მორცხვი და მორიდებული იყო, ქალების დარგში, განსაკუთრებით. არა, მთლად ისე არ იყო, რაღაც გამოცდილებას ფლობდა.

სკოლის თერთმეტი და უნივერსიტეტის ოთხი წელი უმანკოდ, მხოლოდ ოცნებებში, ჩაატარა. ქალის თემაზე მსჯელობას ერიდებოდა, თუმცა ცდილობდა თავი უცოდველად არ ეჩვენებინა. სულ უკვირდა, როცა ბიჭები სკოლის ასაკში ნაგემებ სექსზე ყვებოდნენ, მაგრამ არ იმჩნევდა.

პირველი „ნათლობა“ სრულიად მოულოდნელად შედგა, მეოთხე კურსის ბოლოს, საგამოცდო სესიების დროს, როცა თითქმის ყოველდღე საჯარო ბიბლიოთეკაში აღამებდნენ. სქელულვაშა ქუთაისელმა, ნოდარ კოსტავამ, დაიწუწუნა, რომ საღამოსთვის მეძავი ჰყავდა დაბარებული, მაგრამ „ხავერა“ (შეხვედრის ადგილი, ბინა, დღეს რომ „ბაითს“ეძახიან) ვერ გაახერხა. მის წუწუნზე გურამ გურგულიამ ცქვიტა ყურები: ჩემი ძმა და რძალი სამოგზაუროდ არიან და ბინის გასაღები ჯიბეში მიდევსო. აბა, წავსულვართო, რეზო ლებანიძემ. შენ არ წამოხვალო? - ნიკოს მოუტრიალდნენ. რა ვიცი, ამდენი ერთადო.. კაი, თუ ძმა ხარო, თუ იმპოტენტი ხარ, გამოტყდი და თავს დაგანებებთო. თანაც კოსტავა ჩურჩულებს:

— იცით, რა მაგარი ქალია!..

მართლაც „მაგარი“ ქალი აღმოჩნდა მეძავი რიტა. გურგულიას ძმის სახლამდე ავტობუსით იმგზავრეს. ხან ერთს გაუცინებდა და საალერსო სიტყვებს ეტყოდა, ხან - მეორეს. ერთ გაჩერებაზე ნაცნობი სტუდენტი ამოვიდა და ყველას მიესალმა. ეგეც წამოიყვანეთო, წაუჩურჩულა კოსტავას რიტამ. გურგულიამ შორს დაიჭირა, აქაოდა, ისედაც ბევრნი ვართო,

არვითარ შემთხვევაშიო. რიტას გული დასწყდა და ბინაში შესვლამდე ხმა აღარ ამოუღია.

ფული წინასწარო, ბრძანა, სანამ გაიხდიდა. თითოეულისგან ორი მანეთი იყო საჭირო. სამმა პატიოსნად დადო, გურგულიას ორმოცი კაპიკი დააკლდა და კოსტავამ შეუსრულა. ის, როგორც მეძავისთვის „კლიენტების“ მშოვნელი, ნახევარ ფასს, ერთ მანეთს, იხდიდა. რიგის პრობლემა საჯაროშივე გადაწყდა. ლატარია გაათამაშეს სამში (კოსტავამ, როგორც ამ საქმეში უკვე გამოცდილმა, დანარჩენებს დაუთმო: თქვენ ყარეთ წილი, მე ბოლოს მივალო). პირველი ნომერი ნიკოს ერგო, მეორე – რეზოს, გურგულია დაიჩაგრა.

რიტამ აკრეფილი ფული ჩანთაში შეინახა, ჩანთა კი ბალიშქვეშ მოაყუჩა. მერე გახდას შეუდგა. ჯერ წელზევით გაშიშვლდა და ვეება თეთრი მკერდი გამოაჩინა. ქვედაწელი რომ სკამზე გადაფინა, კოსტავას გაეცინა – ისე მონუსხულები მიჩერებოდნენ ბიჭები თითქმის ბოლომდე შიშველ ქალს.

— ერთი დარჩეს, დანარჩენები აივანზე! - ბრძანა რიტამ.

— რა რიგი, რის რიგი! – დაიღრიალა გურგულიამ, - ბინა ჩემია და უნდა დამითმოთ!..

ბიჭები მიხვდნენ, რომ კანონიერი რიგის დაცვა არ გამოვიდოდა და აივანზე გაილალნენ. ის კი არა, ნიკოს გაუხარდა კიდეც, რიგი რომ წაართვა გურგულიამ..

— რას იტყვი, კმაყოფილი ხარ? – ჰკითხა რეზომ, როცა მარტონი დარჩნენ.

— ბევრი არაფერი, შენ?

— მეც ასე ვფიქრობ.

ალბათ, მიხვდით, რეზოსთვისაც რომ პირველი იყო. დიდი ხნის შემდეგ, მოწიფულობაში, ნიკოს ლექსების პირველ კრებულში, მკითხველი ნახავდა ასეთ სტრიქონებს: „ველური ვნება მიგვდენიდა შეშლილ ავაზებს ორმანეთიან მეძავების გულ-მკერდ-გავაზე.“

ნიკოს მეორე, უფრო სერიოზული, გამოცდილების ამბავი

უფრო შორიდან უნდა დავიწყოთ. სწორედ მეოთხე კურსის გაზაფხულზე თბილისის უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა საკავშირო კონფერენცია. ყოველ ჩამოსულს დამხვდური კოლეგა მიამაგრეს და ერთი თვის სტიპენდია წინასწარ დაარიგეს. ნიკოს ერთი მოსკოველი, სახელად საშა, ერგო. ნიკომ, როგორც იტყვიან, „თავი მოიქაჩლა“, წუთით არ მოსცილებია, აქეთ თეატრი ვარო, იქეთ – პანთეონიო, აბა, ექსკურსია მცხეთაშიო, თავის ცნობილი ღვეზელებით და ამოზელილი ლობიოთი, შიგადაშიგ, ველიამინოვზე, ხინკალ-ქაბაბით და სამწუხაროდ, წყალ-წყალა ლუდით. ახლა სუვენირები? კონფერენციის დამაგვირგვინებელმა ბანკეტმა კაფე „თბილისში“ ხომ სულ გააოგნა საშა და ყველა დანარჩენი სტუმარი.

— ნიკალაი, - ეხვეოდა ცრემლმორეული საშა, - ოღონდ მოსკოვში ჩამოდი, საშუალება მომეცი შენი გიდი ვიყო! ამ დღეებს ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ!

თქვენ წარმოიდგინეთ, ამის შანსი საშას სულ მალე მიეცა. შემოდგომაზე, მოსკოვში, შედგა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საკავშირო კონფერენცია, რომელზეც მომხსენებლებად ნიკო და კოსტავა მიავლინეს.

თოვლიანმა მოსკოვმა და განსაკუთრებით, მეტროპოლიტენმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კონფერენციის მონაწილენი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში, ცნობილ მაღლივ კორპუსებში, გაანაწილეს. გრძელ დერეფნებში ოროთახიანი, ეგრეთწოდებული „ბლოკები“, იყო ჩარიგებული, საერთო სანიტარული კვანძით. ნიკო და კოსტავა „ბლოკის“ ერთ-ერთ ოთახში მოათავსეს: ძირითადი საწოლის გვერდით „ლეჟანკა“ გაშალეს. ამ ოთახში ცხოვრობდა ერთი „ხანდაზმული“, ჯარ და სამსახურმოვლილი უკრაინელი სტუდენტი, ვიკტორ ონიშჩენკო, დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლისა, გამხდარი, დაკუნთული, უაღრესად სიმპათიური კაცი. ფანჯრის რაფაზე, შიგნიდან, კაი ბლომად თოვლი იდო. როგორც გამოირკვა, ვიკტორი ოდნავ შეღებულ ფანჯარას ტოვებდა ღამ-ღამობით. ყველაზე უფრო

ის გაუკვირდათ ქართველ სტუდენტებს, რომ ონიშჩენკო საბანს არ იხურავდა, თხელი გადასაფარებელი („ადიალა“) ეფარა და სიფრიფანა ზოლიანი პიჟამათი ეძინა.

— პიჟამას მაინც ვიცვამ, - ახსნა, - ყინვა რომ უშუალოდ კანზე მპწკენს, არ არის სასიამოვნო. თქვენ, რა თქმა უნდა, სამხრეთული კლიმატით განაზებული ხართ, ამიტომ ფანჯარაც უნდა მიკეტოთ და საბანიც დაიხუროთ.

— შენ სად დაიძინებ? - ჰკითხა ნიკომ - ამ ციცქნა ოთახში მესამე საწოლი არ მოთავსდება.

— თქვენ მაგაზე ნუ დარდობთ. რომელიმე დიაცს შევუ-გორდები ლოგინში.. დილით შევხვდებით, კონფერენციაზე.

ალბათ, ხვდებით, რომ კორპუსში ფეხის შედგმისთანავე ნიკოს საშასთან შეხვედრის მოლოდინი ჰქონდა. აკი გაუმართ-ლა კიდეც: იმ დერეფანში, სადაც უნდა დაბინავებულიყვნენ, ერთ-ერთი „ბლოკიდან“ სწორედ საშამ გამოყო გაბურძგვნილი თავი. ხელში გადაშლილი წიგნი ეჭირა, ალბათ, მოხსენებას ზუთხავდა. ქართველების დანახვაზე სახის ერთი კუნთიც არ შეტოკებია.

— სალამი, ბიჭებო, ბოდიშს გიხდით, კონფერენცია მაქვს! - თქვა და კარს მიღმა გაუჩინარდა.

განცვიფრებულ ნიკოს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს რომელიღაც ახლობლის უდროოდ გარდაცვალება აცნობეს.

ახლა რაც შეეხება მეორე „ცდას“.

კორპუსის სასადილოში, სადაც დღეში სულ ცოტა, სამჯერ მაინც უწევდათ ყოფნა, ერთი ზომიერად ჩათქვირული, ცისფერთვალება, ოქროსფერთმიანი მებუფეტე მუშაობდა. ვერაფერსაც ვერ გაუბედავდა, მაგრამ პირველივე დალაპარა-კებაზე ქალმა ისე გაუღიმა, რომ ნიკომ ადრენალინის მოზღვავება იგრძნო და გული აუჩქროლდა. საუზმეს რომ მორჩა, სიგარეტზე მიაკითხა, თუმცა სიგარეტი ჰქონდა.

— რომელს ინებებ? - კვლავ გაუღიმა მებუფეტემ, - „ნოვოსტს“ თუ „კრასნოპრესნენსკის“?

— სულერთია.. რა გქვია?

ქალმა მცირეოდენი პაუზის შემდეგ მაცდურად გაუღიმა, ახედ-დახედა და უთხრა:

— მარია.. მაშა. შენ?

— ნიკო.

მეტი ვეღარ გაბედა, იმ დღეს სამჯერ შეიძინა სიგარეტი.

— ამდენს ეწევი?! – გაუკვირდა მაშას, - თუ იმარაგებ?

— კი, ვიმარაგებ – გაიცინა ნიკომ, თან თავში უტრიალებდა: „ვუთხრა თუ არა? ვუთხრა თუ არა? ვეტყვი, აი, ამ სიგარეტს მოვწევ და ვეტყვი!“

მაინც ვერ გარისკა. მთელი ღამე წრიალებდა, ცალკე კოსტავას ხვრინვა უშლიდა ნერვებს. გაგონილი ჰქონდა, მხვრინავები დასტვენაზე ჩუმდებიანო. მართლაც, დაუსტვენდა თუ არა, ხვრინვა წყდებოდა, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ახალი შემართებით გაისმოდა.

გამთენიისას ჩაეძინა. როცა გაიღვიძა, საათს დახედა – ათი დაწყებულიყო. კოსტავა, ჩაცმულ-დახურული, წასასვლელად ემზადებოდა.

—რატომ არ გამაღვიძე?

—ისე ტკბილად გეძინა...

—აბა რა იქნებოდა, მთელი ღამე გამათენებინე!

—მე?!

— ჰო, რას შეიცხადე? ისე ხვრინავდი, მთელი მოსკოვი ფხიზლობდა.

— ცილს მწამებ.. შენი მოხსენება როდისაა? - თემა შეცვალა კოსტავამ.

— ზეგ, ბოლო დღეს. - ნიკომ საბანი გადაიძრო და ტუალეტს მიაკითხა, კოსტავამ კარი გაიხურა..

ნიკომ საუზმე მოათავა და მაშას მარტო დარჩენას ელოდებოდა. გული ძალუმად უბაგუნებდა. ქალი რაღაცას ხვდებოდა და ხანდახან კეკლუცად გამოხედავდა. როგორც იქნა, ბუფეტის მისადგომები დაცარიელდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

— მაშენკა, გამარჯობა!

— სალამი, ნიკალაი.. რა მოგართვა?

— რა?.. არაფერი.. ჰო, სიგარეტი.. მადლობა!

— კიდევ რამე?

— არა.. იცი, რა.. საღამოს, რომ მორჩები,,

— რა?

— შევხვდეთ.. ჩემთან ავიდეთ..

ნიკოს გული ამოვარდნაზე ჰქონდა, თან უკვირდა თავის გაბედულებისა..

— არ ვიცი.. საერთოდ ძალიან ვიღლები.. მოდი რა, თავი დამანებე, გოგოების მეტი რაა. ხომ ხედავ, შენთან შედარებით როგორი ბებრუცუნა ვარ.

— რა ბებრუცუნა! - აღელდა ნიკო, - ყველა გოგოს ჯობიხარ!.. წამოხვალ?

— არ ვიცი, ვნახოთ, როგორ ხასიათზე ვიქნები.. ეგრე საწყლად ნუ მიყურებ!

ნიკომ ახლაღა შეამჩნია, რომ მის უკან, ბუფეტთან, საკმაოდ გრძელი რიგი გაჩენილიყო. ყველანი შეკავებული ღიმილით უსმენდნენ დიალოგს და მოთმინებით ელოდნენ თავიანთ რიგს. ნიკო შეცბა და საჩქაროდ გაეცალა დახლს.

მომლოდინეებს ერთი ახოვანი, შავტუხა ბიჭი გამოეყო, ნიკოსთან მივიდა და ხმადაბლა უთხრა:

— წამოვა, არ მოეშვა!

ნიკომ კინაღამ მადლობა გადაუხადა მორალური მხარდაჭერისთვის, გაუღიმა და გასასვლელს მიაშურა. ზურგს უმაგრებდა ვიკტორ ონიშჩენკოს „მაქსიმა“: „ქალის გულს მოინადირებ ყურადღებით და სიჯიუტით!“

შუადღისას თითქმის იგივე დიალოგი გამეორდა ნიკოსა და მაშას შორის.

საღამოთი დიალოგი აღარ შედგა. მაშამ ანიშნა, დამელოდე და წამოგყვებიო. მარტო დარჩენილ ქალს ნიკომ სთხოვა, არ წახვიდე, ხუთ წუთში მოვალ, სანამ მიალაგ-მოალაგებო.

რამდენიმე სართული აირბინა, „ბლოკში“ შეიჭრა და ტახტზე წამოგორებულ კოსტავას მივარდა:

— აქ ქალი უნდა მოვიყვანო.. გთხოვ!.. ამაღამ სადმე გაათენე!..

— სად „სადმე“?! – დაიბოღმა კოსტავა.

— ბიჭებთან მიდი, რამეს მოგიხერხებენ.. არ გეწყინოს, თუ ძმა ხარ!.. ხომ იცი, ჯერ ქალი არ მყოლია..

— აბა, ის რა იყო, გურგულიასთან, დაგავიწყდა?

— ეგ არ ითვლება, შენც კარგად იცი! თუ ძმა ხარ, არ გეწყინოს, დაბლა მელოდება.

— ჰო, კარგი, კარგი. – უგემურად დაეთანხმა კოსტავა და პალტოს ხელი წამოავლო..

ნიკო ბგერის სისწრაფით გავარდა გარეთ, ემანდ არ გამასწროსო. ვერ იჯერებდა, რომ ქალი წამოყვებოდა და თანაც როგორ - მთელი ღამით.. მაშას უკვე ქურქი ჩაეცვა და ელოდებოდა.

უნდა გენახათ, როგორი ამაყი და ბედნიერი მოაცილებდა ქალს ნიკო დერეფანში და როგორი თანამგრძნობი ღიმილით აყოლებდნენ თვალს კორპუსის „აბორიგენები“.

თითო ჭიქა „მშრალი“ ღვინო მოწრუპეს და თორმეტმაც დაჰკრა. ნიკო წამოდგა, შუქი გამორთო. როცა მაშამ გახდა დაიწყო, გარეთ გასვლა დააპირა. სად მიდიხარო, გაუკვირდა ქალს, დარჩი და შენც გაიხადეო. ღმერთო, რა სულელი ვარო, გაიფიქრა ნიკომ და ფეხსაცმელები წაიძრო..

ვაჟი რამდენიმეჯერ აენთო და ჩაცხრა. არადა, ერთი საათიც არ გასულიყო. ნუ ჩქარობო, დაუყვავა ქალმა, წინ გრძელი ღამეაო, პირველად ხომ არ ხარო, ჩაეკითხა. რის პირველად, რას ამბობო, იუცხოვა ნიკომ. მით უმეტესო, აუჩქარებლად ორთავენი ვინეტარებთო..

მართალიც აღმოჩნდა..

ქალი ადრე ადგა, დილის ტუალეტი ჩაიტარა, ნიკოს ტუჩებში აკოცა და ჰკითხა, საღამოს ამოვიდეო? თავად ჩამოგაკითხავო.

ნიკო ისეთი დაღლილი და გამოფიტული იყო, რომ თუ ოდესმე ქალი მოუნდებოდა, არ ეგონა. მაშამ კიდევ ერთხელ აკოცა და გავიდა.

ნიკომ კარგა ხანს ინებივრა ლოგინში, კონფერენცია სულაც გადაავიწყდა. როცა თავი მოიწესრიგა, კორპუსიდან გავიდა, კიბისთავზე შეჩერდა, დათოვლილ მიდამოს გახედა, ცივი, სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ისე გაიზმორა, ძვლების ტკაცუნმა ბეღურები დააფრთხო. თეძოები სტკიოდა, სასიამოვნოდ. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მთელი მოსკოველი ქალები მასთან კოტრიალზე ოცნებობდნენ.

ახლაღა გაახსენდა ის, რისთვისაც მოსკოვს იყო მოვლინებული. ჩუმად შეიპარა საკონფერენციო დარბაზში. მეჩხრად შევსებული ამფითეატრი ხაბაროვსკიდან ჩამოსულ ხარიტონ კალანდაძის მოხსენებას უსმენდა უგულისყუროდ. ნიკომ კოსტავას ძებნა დაიწყო თვალებით, მაგრამ ვერ მიაგნო. ვერც ვერასდროს მიაგნებდა, ვინაიდან კოსტავა დარბაზში არ იმყოფებოდა.

შესვენებაზე მიიკითხ-მოიკითხა. აღმოჩნდა, რომ მისთვის თვალი არავის მოუკრავს არც დილით და არც მერე. კოსტავა არც იმ საღამოს გამოჩნდა და არც მომდევნო, ბოლო დილით. ნიკო შეფიქრიანდა, კონფერენციის ორგკომიტეტს მიაკითხა. ატყდა ერთი ამბავი: რეკვა მილიციაში, საავადმყოფოებში, პროზექტურებში.. ამაოდ, კოსტავას კვალი არ ჩანდა.

სხდომაზე ნიკომ მოკლე მოხსენება წაიკითხა, რომელმაც მსმენელთა გარკვეული ინტერესი დაიმსახურა. ერთიორი შეკითხვაც დაუსვეს, რომელზე პასუხებიც ჯაყ-ჯაყით მოახლაფორთა და ეს ენის ზერელე ცოდნას გადააბრალა.

კონფერენციის დამაგვირგვინებელი, სამარცხვინო „ბანკეტი“ უკვე თავდებოდა, როცა კოსტავა გამოჩნდა. სადღა იყო გაღაჟღაჟებული, ჩამრგვალებული ქუთაისელი. მათ წინ იდგა დაოსებული, შეფერთხილი, გალურჯებული მაწანწალა: ფიჯაკი დაჭმუჭვნილი, პერანგზე ძნელად თუ იტყოდი, რომ ოდესღაც

თეთრი იყო. ნუთუ ეს არის ყოველთვის პიწკად ჩაცმული, თავდაჯერებული კოსტავა?

პირველი, რაც მისგან მოისმინეს, იყო თხოვნა პატიების თაობაზე. არადა, რომ არ ეპატიებინათ, რა უნდა ექნათ?!

თუ გაინტერესებთ, რა ჰქონდა საპატიებელი, ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ. როგორც გაირკვა, ნიკოზე დაბოღმილმა კოსტავამ მოსკოვში დროებით მცხოვრებ ერთ ქუთაისელ ნაცნობს მიაკითხა და მანაც, პატივისცემის ნიშნად, მეძავებში წაიყვანა. ორდღიანი „გრიალი“ ძვირად დაუჯდა ქუთაისელ დონ-ჟუანს: მეძავებმა პირწმინდად „დაასუფთავეს“ და ჯიბეში მეტროს ერთადერთი ჟეტონი დაუტოვეს.

რა ჩარა იყო, მატარებლის ბილეთის ფული ქართველმა „აბორიგენებმა“ შეუგროვეს.

„ფიქრის ფანჯარა“

ფიქრს კაცისას დრო, სივრცე და გარემოება განსაზღვრავს. ასაკზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ ფსიქოლოგიური და სოციალური გარემოს როლზე ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ. შეყვარებულებს, გამაოგნებელ ბანგმიღებულებს, ფიქრიც ბანგიანი და დაბინდული დასდევთ, რაიც რადიკალურად განსხვავდება ეშმაკეული ცდუნებით შეპყრობილი კაცის ფიქრებისაგან. რაც შეეხება თავისუფლებაშეზღუდული ადამიანისას, როგორც ერთი მწერალი ამბობს, პატიმარს ფიქრებიც პატიმრული აქვს. ის კი არა, ერთი ბინის სხვადასხვა ოთახში ფიქრიც შეიძლება განსხვავებული გეწვიოს. ნიკომ, მაგალითად, ახალი ბინის ერთი პატარა ოთახის ფანჯარა ამოიჩემა. გადაეყუდებოდა რაფაზე, სიგარეტს აფუილებდა და ფიქრობდა. თემები ნაირ-ნაირი ჩაიქროლებდა, ყველა ერთნაირად ღირებული არ იყო, მაგრამ ამ დროს რომ ვინმეს ოთახის კარი შემოეღო ან სხვა ოთახიდან შეხმიანებოდა, ფიქრები ერთიმეორის მიყოლებით გაუფრინდებოდა. ცდილობდა უკმაყოფილება არ

გაემჟღავნებინა, ორიოდე სიტყვით მოიცილებდა მყუდროების დამრღვევს და გაწყვეტილი კრიალოსნის აკინძვას შეუდგებოდა. ერთხელ თავი ვეღარ მოთოკა და ცოლს უსაყვედურა:

— რატომ მიშლი ხელს?

— რაში, ნიკო, სიგარეტის წევაში?

— არა მარტო.

— აბა, სხვა რა?!

— ამ დროს ათას რამეზე ვფიქრობ, თანაც ნაყოფიერად.

— ათას რამეზე - გიჯერებ, მაგრამ ნაყოფიერად?!

— კაი, ახლა, სიტყვაზე ნუ გამომეკიდები!

ნანას გაეცინა და კარიც მიუხურა, მაგრამ ფიქრის კაიფი დაიკარგა. არადა, უტყუარ რამეს გეუბნებით, ის ფანჯარა, ხის ტლანქი რაფა და სიგარეტი რაღაც საამო კვალს თითქმის ყოველთვის ტოვებდა ქაღალდზე ან ცნობიერებაში. რაიმე ახალი აზრი ან მისი ნაფლეთი ულოგიკოდ უკავშირდებოდა ფანჯრიდან დანახულ ხის ტოტს, კორპუსის რომელიმე ფანჯარას ან მის თავზე ამოშვერილ გაზის გამათბობელის მილს. მომდევნო სიგარეტის გაბოლებისას ყოველი დაფიქსირებული საგანი „თავის“ ფიქრს ამოათრევდა უთავბოლო კორიანტელიდან. ნიკოს ნიადაგ ეჩქარებოდა „ფიქრის ფანჯარასთან“ დგომა თუნდაც რამდენიმე წუთით.

„მიწის კურდღელი“

ნიკო უჯმაჯურიძემ საკმაოდ მწირი სექსგამოცდილებით მიაღწია საცოლო ასაკს. ყოველ შემთხვევაში, „არიფი“ აღარ ეთქმოდა. ასე იყო თუ ისე, ხვდებოდა, რომ ამიერიდან ქალი ო. შ. მ. („ოჯახის შექმნის მიზნით“) უნდა ეძებნა, თუმცა კიდევ ერთ ცდაზეც არ იტყოდა უარს. თანაც ატყობდა, რომ წინ მოსალოდნელ „ცდათა“ საკმაო რაოდენობა ილანდებოდა.

სათანადო შანსმაც არ დააგვიანა. ერთ-ერთ გადაღებაზე რეჟისორმა კოტე ნათიძემ ულამაზესი და უსექსუალურესი

ბერძენი გოგო, სახელად ინგა, წამოიყვანა. მუსუსი კოტეს მზაკვრული მიზანი ყველასთვის ნათელი იყო, მაგრამ ამჯერად კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ინგამ, რატომღაც, ნიკოს დაადგა თვალი და მთელი გადაღების მანძილზე გვერდიდან არ მოსცილებია. ინგა ტიპური სანგვინიკი იყო, ნიადაგ საკისკისედ გაშზადებული. ყაყაჩოსფერი ტუჩები ჰქონდა და ყურყუმელა შავი, ზეთისხილისხელა პრიალა თვალები. მის გვერდით გულგრილი ყოფნა ყოვლად შეუძლებელი გამოდგა. ერთ მომენტში ნიკომ დრო იხელთა და კოტეს გადაულაპარაკა: რა ვქნა, კოტიკ, ხომ ხედავ, საშველს არ მაძლევსო. ვხედავო, უპასუხა, გამოდის, რომ შენთვის წამომიყვანია, მოსწონხარ, მიდი, მიაწექიო! არ გეწყინებაო, ჩაეკითხა ნიკო. ბავშვი ხომ არა ხარ, მიდი-მეთქი!

რაკი „ლიცენზია“ მოიპოვა, ნიკომ ინგას ხვალინდელი შეხვედრა შესთავაზა, ასე, სამ საათზე (შაბათი უწევდა). თანხმობა უმალ მიიღო. ამის მერე გადაღებამ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა, ჯგუფი კოტეს დაუტოვა და ინგა ავტობუსის გაჩერებამდე მიაცილა.

ცხოვრებას თითქოს დამატებითი აზრი მიეცა. არადა, სამიოდე საათის წინ არც კი იცოდა ინგას არსებობა. ცდილობდა გარკვეულიყო, რამ მოაჯადოვა ასერიგად. მხოლოდ გარეგნულ ხიბლში არ იყო საქმე, ინგა უშუალო, ბავშვივით სუფთა იყო. თუ რაიმე მოსწონდა, არ მალავდა, თუ არ მოსწონდა, არც იმას. „შეგხვდები, მომწონხარო!“, ისე უბრალოდ უთხრა, რომ ნიკოს გული გადაუქანდა.

მეორე დღეს, სამ საათზე, დაუგვიანებლად მოვიდა. შემოტკეცილი სარაფანი ეცვა და შემხვედრი მამაკაცები, კისერმოღრეცილები, ოხვრიანი მზერით მიაცილებდნენ. ნიკო სიამაყით და სიხარულით ივსებოდა: ეს მიწიერი მშვენება ხომ მასთან მოვიდა პაემანზე.

თბილისში დიდი ფეხბურთის დღე იყო: თბილისის „დინამო“ მოსკოვის „სპარტაკს“ ხვდებოდა. ბილეთის შოვნა

დიდ მიღწევად ითვლებოდა. ნიკოს, თქვენ წარმოიდგინეთ, ორი ბილეთი ედო ჯიბეში. მატჩი ხუთ საათზე იწყებოდა.

— წავიდეთ? - ჰკითხა ინგას და ბილეთები აჩვენა.

— სად, სტადიონზე?! ამ სიცხეში?! რა სისულელეა!

— აბა, რა ვქნათ?

— რა ვქნათო?! თბილისის ზღვაზე ავიდეთ, გავგრილდეთ.. მერე ჩემ სახლსაც გაჩვენებ.

როგორ არ დათანხმებულიყო!

ქუჩაში ბიჭები ბურთს აგორიალებდნენ, შიგადაშიგ ღღევანდელ ფეხბურთს ახსენებდნენ.

— ბიჭი! - დაუძახა ნიკომ ხუჭუჭთმიანსა და წითელმაისურიანს.

— მე მეუბნები?

— ჰო, მოდი ერთი წუთით!

ბიჭმა მოირბინა.

— გინდა ფეხბურთზე წასვლა?

— მერე? სად არი ბილეთი?!

— აჰა, ორი ბილეთი, ვინც გინდა წაიყვანე.

— ვაა, ნაღდია?!.. ნუგზარ, ჩაიცვი, სტადიონზე მივდივართ!.. დიდი მადლობა!. ვაა!..

ბიჭი თვალებს არ უჯერებდა. ინგამ კისკისი ატეხა, როცა ბიჭები კისრისტეხით გაიქცნენ.

ზღვაზე ავიდნენ თუ არა, ნავი იქირავეს. ნიჩბებს ინგა მიუჯდა და ისე ღონივრად მოუსვა, რომ რამდენიმე წუთში შუაში აღმოჩდნენ. ინგამ ნიჩბებს ხელი უშვა და გაშიშვლდა. ნიკომ თვალი ვერ მოწყვიტა უმშვენიერეს სხეულს. როცა ინგამ ლიფიც შეიხსნა, ვეღარ მოითმინა და გვერდით დაუსკუპდა. ცალი ხელი მოხვია და მეორე მკერდისკენ წაიღო.

— იწყება! - თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ინგამ და მკერდი არ დაანება - იქით ნაპირამდე ვერ მოითმენ?

იქითა ნაპირი უკაცრიელი და მაღალი ბალახებით იყო დაფარული. ინგამ რომ ლიფი შეიხსნა, ნიკოს ჯერ გაუკვირდა,

მერე თითქოს არ ესიამოვნა, მერე და მერე თავი დაარწმუნა, რომ ეს ბუნებრივი უშუალობის გამოხატულება იყო და სხვა არაფერი. ასე იყო თუ ისე, ინიციატივა ქალს გადააბარა.

ნავი წყლიდან სანახევროდ ამოათრიეს და ბალახებში შეაბიჯეს. ინგა გულაღმა წამოწვა და ხელები მისკენ გაიშვირა. ნიკო მიუწვა, მუხლი ბარძაყებსშუა შეუცურა და ტუჩებში ღრმად აკოცა. ნეტარებისაგან თითქმის გაითიშა. უცებ უცნაური ბიძგი იგრძნო, ჰაერში ავარდა და კარგა მოშორებით ჩაიკარგა ბალახებში. ინგას გულიანმა კისკისმა გააგებინა რაც მოხდა: რომელიღაც აღმოსავლური ორთაბრძოლის ილეთი ჩაუტარეს.

— ნიკუნჩიკ, სადა ხარ, რატომ არ მოდიხარ? - კისკისებდა ინგა, - ხომ არ გეწყინა, ტუშკანჩიკ, ჩემო მიწის კურდღელო?.. კარგი, რახან შენ არ მოდიხარ, მე მოვალ!..

ინგა თავზე წამოადგა გაგულისებულ ვაჟს, მერე ზედ დააწვა, ჩაეკონა და კოცნა დაუწყო, თან იმეორებდა:

— ტუშკანჩიკ.. მიწის კურდღელო.. ხომ არ გეწყინა?..

ნიკოს წყენამ გაუარა, ალერსს ალერსითვე უპასუხა და ქალს ზემოდან მოექცა, როგორც კი ხელი ქვემოთ დაუფათურა, ისევ ნაცნობი ილეთი ჩაუტარეს და სამიოდ მეტრის იქით მოისროლეს..

ეს კი მეტისმეტად მიიჩნია ნიკომ, ნავს მიაშურა და წყალში შეთრევა სცადა. აკისკისებული ინგა გვიან მიუხვდა მზაკვრულ ჩანაფიქრს და გამოქანდა:

— ე!..ე!.. აბა, რას აკეთებ, აქ მტოვებ?!.. შენ რა ბუტია ყოფილხარ?!.. ხუმრობა არ იცი?!..

— ხუმრობა დიაღაც ვიცი.. - ამოღერღა ნიკომ - მოაწექი!..

ინგამ ლიფი შეისკვნა, სარაფანი ჩაიცვა და ნიჩბებს დააწვა..

უკვე ბინდდებოდა. სანაპირო - დაცარიელებული, არავითარი ტრანსპორტი. ფეხით გაუყვნენ ქალაქისკენ მიმავალ ტრასას. გვარიანად დაღლილი და ნერვებმოშლილი ნიკო

ძლივს მიათრევდა ფეხებს, რაც შეეხება ინგას, ცეკვა-ცეკვით უვლიდა გარს და თან პოპულარულ სიმღერას უმღეროდა ინდური კინოფილმიდან.

— ტუშკანჩიკ, ჩემო მიწის კურდღელო! წამო ჩემთან სახლში, დედაჩემს გაგაცნობ.. წამოხვალ?..

— კიდე რა გინდა?.. - ბუზღუნებდა ნიკო - იცი, რას გეტყვი?.. თავი დამანებე, რა!.. არ დამირეკო და ტელევიზიაშიც არ მოხვიდე! ძალიან გთხოვ!..

— კი, კი, კი ბატონო! - სიმღერით პასუხობდა ინგა და ქურციკივით მიხტუნაობდა.

როგორ გგონიათ, ინგა მოეშვა ნიკოს? ნურას უკაცრავად, დაურეკა კიდეც და შესვენებაზე სამსახურშიც მიადგა. ნიკოს გაბრაზებამ რახანია გადაუარა და საშვი დაუშვა. როცა ინგამ დერეფანში შემოაბიჯა, ტელევიზიის ბიჭებმა ოთახები მიატოვეს და კედლებთან ჩამწკრივდნენ.

ნიკომ ინგა ოთახში შეიყვანა და სცადა ზედმიწევნით გულგრილი ყოფილიყო.

— რისთვის შეწუხებულხარ?

— შენს სანახავად მოვედი, ტუშკანჩიკ!

— ძალიან გთხოვ, ტუშკანჩიკს ნუ მეძახი!

— კი, ბატონო. ახლა ხომ შესვენება გაქვს?

— მერე?

— წამო, ალექსანდროვში გადავიდეთ.

— იქ რა უნდა გავაკეთოთ?

— სალაპარაკო მაქვს.

— აქ ვილაპარაკოთ.

— აქ არ მინდა! - მოულოდნელად დასერიოზულდა ინგა და უცებ შეტრიალდა - კარგად იყავი!

ნიკომაც „კარგადო“, მექანიკურად უპასუხა, მერე ადგილიდან მოწყდა და ინგას კიბისთავზე წამოეწია.

— რა ბუტია ყოფილხარ!

— შენგან ვისწავლე, ტუშკანჩიკ.

„ტუშკანჩიკ“ ნიკოს ამჯერად არ გაუპროტესტებია, ის კი არა, ვფიქრობ, ესიამოვნა კიდეც..

კაიხანს ისხდნენ ალექსანდრეს ბაღის სკამზე და თუ ახლომახლო არავინ იყო, საკმაოდ ღრმად და ვნებიანად კოცნაობდნენ. ზაურ ბარათელმა მაინც მოჰკრა თვალი და ტელევიზიაში გამოაცხადა: ნიკო უჯმაჯურიძეს კოცნის კვირეული დაეწყოო!

„ნომენკლატურა“

კოცნის კვირეულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ნერვების წყვეტისა კი მართლაც დაუდგა. ტელეჟურნალმა „მახარემ“ არნახული პოპულარობა მოიპოვა, განსაკუთრებით, სატირულმა და კრიტიკულმა სიუჟეტებმა, რომელსაც, მათდა სამწუხაროდ, სათანადო ორგანოების რეაგირება მოსდევდა. „მახარეს“ გამოშვებებს, ხალისთან ერთად, შიშიც სდევდა. ბუნებრივია, იმათთვის, რომელთაც სატირა და მხილება ეხებოდა. წერილი წერილზე, საჩივარი საჩივარზე, მოდიოდა. ზოგიერთ მაყურებელს მახარე რეალური პიროვნება ეგონა და ალალად უზიარებდა გულისტკივილს. ხშირად ეპატიჟებოდნენ: მოდი, თუ გიყვარდე და ნახე, რა დღეში ვართო.. მახარე, თუ კაცი ხარ, მოდი და გვიშველე!.. ძვირფასო მახარე, სიავესთან მებრძოლო.. და ასე და ამგვარად..

ნიკო ცდილობდა უპასუხოდ არც ერთი წერილი და მით უმეტეს, საჩივარი არ დაეტოვებინა, ჯერ კიდევ გულწრფელად სჯეროდა, რომ შეძლებდა უკეთურებასთან შედეგიან ბრძოლას. თავიდან თითქოს საქმე წაღმა მიდიოდა, მაგრამ მერე და მერე კრიტიკულ სიუჟეტებზე „ზემოდან“ რეაქცია შესამჩნევად შეიცვალა.

ერთ-ერთ გამოშვებაში ქალაქის მერიის უსულგულობა (უფრო მკაცრი გამოთქმა შეიძლებოდა გვეხმარა) იყო გაშზეურებული. საქმის ვითარება, მოკლედ, ასეთი გახლდათ: საბჭოთა

არმიიდან დემობილიზებული თბილისელი ბიჭი საკუთარ სახლში არ ჩაწერეს, აქაოდა, საცხოვრებელი ფართი მცირეა და სანიტარულ ნორმებს არ აკმაყოფილებსო. ბიჭი აქეთ ეცა, იქეთ ეცა, სახლმმართველობა აატალახა – ამაოდ. მერმა განცხადებას ერთი სიტყვა წააწერა რუსულად: „ატკაზაც!“ ესე იგი, უარი ვტკიცოთო!

ბიჭმა მერის რეზოლუციიანი ქაღალდის ხელში ჩაგდება როგორღაც მოახერხა, „მახარეს“ მიაკითხა და ნიკოს მაგიდაზე დაუდო. ნიკო გაოცდა და მასალის მომზადება ყველაზე გამოცდილ ჟურნალისტს, მინდია თოიძეს სთხოვა. თვითონაც კბილები უკაწკაწებდა, მაგრამ სერიოზულ თემაზე მუშაობდა და ვერ გადმოერთვებოდა. მინდია უცებ დაინტერესდა და ხალისით მოჰკიდა ხელი.

„მახარეს“ ნომერი ბომბივით გასკდა. „მე თბილისელი ბიჭი ვარ!“ - ასე ერქვა სიუჟეტს, რომელსაც ლაიტმოტივად ნოდარ დუმბაძის ლექსზე შექმნილი ნოდარ გიგაურის მელოდია გასდევდა. აღშფოთებული მაყურებლების სატელეფონო ზარებსა და წერილებს „ზემდგომი“ სტრუქტურებიდან წამოსული მრისხანება მოჰყვა. რედაქცია და გადაცემის ავტორი პარტიის თბილისის კომიტეტში დაიბარეს ტელევიზიის შეფთან ერთად, რომელმაც ქცევის სტრატეგია ერთი ფრაზით განსაზღვრა:

— უნდა დავწვეთ, ძმებო, თანაც გულაღმა!

პარტიული „ბოსის“ კაბინეტში ნათელი გახდა, რომ გულაღმა დაწოლას და წკმუტუნით ხელ-ფეხის ქნევას არავინ აპირებდა. „ბოსმა“ სულ მუშტები ურახუნა მაგიდას, ვინ მოგცათ ნომენკლატურის მუშაკის გაქიაქების უფლებაო, ან მერის რეზოლუციის და ფაქსიმილეს გამოჭენება რაღა იყოო, იცოდეთ, უმკაცრესად დაისჯებითო!

— თქვენ თუ უყურეთ გადაცემას? – ჰკითხა მინდიამ.

— მაგას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, სხვებმა ხომ ნახეს!

— ძალიან გთხოვთ მობრძანდით ჩვენთან და ნახეთ! - ფრთხილად ჩაერია ნიკო, - თუკი მერეც იმავე დასკვნას გააკეთებთ, რა გაეწყობა, დავისაჯოთ..

„ბოსმა“ ნახვა თავიდან საჭიროდ არ ჩათვალა, მაგრამ როცა ტელევიზიის შეფმა, ქალაქში ცნობილმა და დაფასებულმა ინტელექტუალმა, რედაქციის თხოვნას მხარი დაუჭირა, გატყდა და ხვალ, ორ საათზე, გეახლებითო, უგემურად განაცხადა. შებრუნდა და ოთახიდან დაუმშვიდობებლად გავიდა.

— ეგ კაცი ყოველთვის გამორჩეული იყო ზრდილობით, - აღნიშნა შეფმა.

ყველამ გაიცინა და სიტუაციის დაძაბულობა უცებ განიმუხტა.

მეორე დღეს პარტიული „ბოსი“ ორ თანმხლებ პირთან ერთად მობრძანდა, ზუსტად ორ საათზე. დამხვედრ კოლექტივს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მთასავით კაცი, თადარიგის პოლკოვნიკი, თავკაცობდა. საპროექციო დარბაზში ჩაიკეტნენ, ყველაფერი სიტყვა-სიტყვით მოისმინეს და დაწვრილებით ნახეს. ხანდისხან მინდიას კომენტარები ისმოდა გურული კილოთი და დიალექტიზმებით შეზავებული. როცა ჩვენება დამთავრდა, თავმჯდომარის მოადგილე წამოდგა, მინდიას ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა. მერე ნიკოს ჩამოათვა ხელი და მიულოცა ესოდენ სამართლიანი და გაბედული გადაცემა. პარტიული „ბოსი“ გაკვირვებული და შეცბუნებული ადევნებდა თვალს ამ სცენას.

— სადაც გინდათ, რა დონეზეც გინდათ, დააყენეთ საკითხი, - მოუბრუნდა თავმჯდომარის მოადგილე სტუმრებს, - ჩვენ ყველგან დავიცავთ ჩვენს პოზიციას. მე ვფიქრობ, ეს ჟურნალისტები სასჯელს კი არა, მადლობას და ჯილდოს იმსახურებენ და მიიღებენ კიდეც!

„ბოსმა“ ხმა ვერ ამოიღო, ვერც კარგად და ვერც ავად. საქმე ის იყო, რომ პირველი მოადგილე ცეკას ერთ-ერთი მდივნის ცოლისძმა გახლდათ. ერთი სიტყვით, „ბოსი,“ ამალითურთ,

კუდამოძუებული გაიძურწა დარბაზიდან.

თავმჯდომარის მოადგილემ სიტყვა არ გატეხა: მინდია და ნიკო ორ-ორი თვის ხელფასით წაახალისა. „მახარეს“ რეიტინგმა კი არნახულ სიმაღლეს მიაღწია.

ერთხელ, დღის თათბრის შემდეგ, ნიკო ტელევიზიის შეფმა დაიტოვა:

— ნიკო, ფრთხილად იყავი, ეგ ვირთხა ეგრე ადვილად საკუთარ მარცხს არ გაპატიებს. თუ საბაბი მიეცი, გაგსრესს.

შეფი ჩვენს ნაცნობ პარტიულ „ბოსს“ გულისხმობდა.

ნიკო შეპირდა, სინამდვილეში კი მორიგი „ბომბის“ აფეთქებისათვის მზადებას შეუდგა.

ამ პროცესში მოუხდა „ნომენკლატურის მუშაკთან“ დაპირისპირება-შეჯახება და კარიერის დასრულების საფრთხის წინაშე დგომა. ჩემზე უკეთ, ამ ამბავთან დაკავშირებით, საქმის კურსში ნიკოს მოხსენებითი ბარათი ჩაგაყენებთ:

„საქართველოს ტელერადიოკომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილეს, ბ-ნ ა. ძ-ს
ამავე კომიტეტის თანამშრომლის,
ტელეჟურნალ „მახარეს“ რედაქტორის,
ნიკო უჯმაჯურიძის

მოხსენებითი ბარათი

ა.წ. 20 მაისს, მოქ. არუთინოვის წერილ-საჩივარში მოხსენიებული ფაქტების გადასამოწმებლად გახლდით აღნიშნული მოქალაქის საცხოვრებელ ადგილას (ბინის დარქმევა უხერხულად მიმაჩნია). წერილში მოყვანილი ფაქტები სრულიად დადასტურდა. ყოფილი ბინის ჭერში დღისით ღრუბლები, ღამით კი ვარსკვლავები მოჩანს. მოქალაქე არუთინოვს და მის ოჯახს ეზოში, ღია ცის ქვეშ, სძინავს. აღმასკომიდან მოსული გაფრთხილება კატეგორიულად უკრძალავს მოქ. არუთინოვის

ოჯახს შენობაში ღამის გათევას. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმასკომი პასუხისმგებლობას იხსნის. იმავე კვირაძალში, იმავე აღმასკომიდან, მოსულია ოფიციალური შეტყობინება, რომელზეც შავით თეთრზე წერია, რომ ოჯახის ბინით დაკმაყოფილების საკითხს აღმასკომი განიხილავს მომავალი წლის მეორე კვარტალში.

საჩივარი და ორთავე შეტყობინება წარვუდგინე აღმასკომის თავმჯდომარეს, პავლე როდონაიას, რომელმაც გაკვირვება გამოხატა და მითხრა: მეორე შეტყობინების გამგზავნი, ალბათ, საქმის კურსში არ იყო, აღმასკომი ხვალვე დაინტერესდება ამ პრობლემის მოგვარებითო. ასე არ არისო? - ჩაეკითხა საბინაო განყოფილების გამგეს, გვერდით რომ ეჯდა. ამ უკანასკნელმა არც ჰო ბრძანა, არც - არა. მე მადლობა გადავუხადე თავმჯდომარეს და დავპირდი, რომ აღმასკომის პოზიციას ხვალვე ვაცნობებდი გაჭირვებულ ოჯახს. კართან მისული როდონაიას შეძახილმა შეაჩერა:

— ერთი წუთით, ახალგაზრდა! ნურაფერს აცნობებ, გადავიფიქრე!

— როგორ?!

— როგორ და ასე!

— კი, მაგრამ ერთი წუთის წინ..

— ახლა ასეა! მიბრძანდი!

— კი, ბატონო, ჩვენ გადავიღებთ სიტუაციას და გადავცემთ.

— რას იზამ?! ვინ გადაიღებს და გადასცემს?!

— მე, პირადად!

ამის გაგონებაზე როდონაია აყვირდა და ჩემ პიროვნულ შეურაცხყოფასთან ერთად „ნომენკლატურის“ მუშაკისათვის შეუფერებელი უვიცობა გამოამჟღავნა:

— ვინ გკითხავს შენ გადაღებას, ბიძიკო! ძალიან ბევრს იღებ საკუთარ თავზე! ვიცი მე თქვენი ამბავი, დადიხართ სავაჭრო დაწესებულებებში, დაინტერესებული ხართ!

— რით, იქნებ ამიხსნათ..

— ძალიან კარგად იცი, თავს ნუ იკატუნებ!.. რით და გამოძალვით, წაგლეჯით!

— მაგ სიტყვებისთვის პასუხს გაგებინებთ! - ვცდილობდი სიმშვიდე შემენარჩუნებინა.

— მოწმე გყავს?

მე მივუთითე მის გვერდით მჯდომ ქალბატონზე.

— ჰო, ბიჭო, ეს შენ დაგემოწმება, ხო იცი!.. მიბრძანდი!.. გადავიღებო.. გადავცემო.. ბევრი მოგინდომებია!..

— აბა, თქვენი აზრით ვინ იღებს და გადასცემს?

დაუჯერებელია, მაგრამ ზუსტად ასე მიპასუხა:

— ვინ და თავმჯდომარე და მისი მოადგილეები.

როდონაიამ სათითაოდ ჩამოთვალა გვარები.

ვიფიქრე, მომეყურა-თქო და ჩავეკითხე:

— ხუმრობთ?

— ესღა მაკლია შენნაირ ცხვირმოუხოცელთან გავიხუმრო.. გაიხურე კარი!..

ღრმად ვარ შეურაცხყოფილი. გთხოვთ მომცეთ უფლება ხვალ მაგნიტოფონით და კინოოპერატორით ვეწვიო როდონაიას და ჩავიწერო მისი „მონოლოგები.“

პ-ით ნ. უჯმაჯურიძე “

ტელევიზიის შეფს ნიკომ პირადად წარუდგინა მოხსენებითი ბარათი და დაელოდა, სანამ ჩაიკითხავდა.

— ღირს ვითომ? - შეფმა ძალუმი შუბლი მოისრისა, - რას მივაღწევთ სკანდალის მეტს?..

— ბატონო ანდრო, შედით ჩემ მდგომარეობაში, შეიძლება გული გამისკდეს!

ანდრომ შეხედა და მიხვდა, რომ უარს მძიმე შედეგი მოჰყვებოდა.

—კარგი, მინდია წაიყვანე, ოპერატორი არ გინდა. მაგნიტოფონზე კი, ბატონო, ჩაიწერე, თუ მოახერხებ.

რესპუბლიკური „რეკორდის“ ამბავი

ნიკო უაღრესად იყო გამწარებული, მაგრამ იმ საღამოს და გვიან ღამითაც ერთი-ორჯერ გაივლო გულში, იქნებ თავი დავანებო და იმ რეგვენს აღარ მივაკითხოო. მერე მაინც შელახული ღირსების განცდამ გადასძალა და საბოლოოდ გადაწყვიტა აუდიენცია გაემეორებინა. ჯერ კიდევ ყურში ხმიანობდა თავგასული ჩინოვნიკის თავხედური ფრაზები. ზოგჯერ ნერვიულ დაძაბულობას წუთიერი სიმშვიდე და სიხარული ცვლიდა. საქმე ის იყო, რომ ტელევიზიაში თანამშრომლობა დაიწყო თაზო ივანიშვილმა, სტუდენტობის მეგობარმა. თაზომ ერთი წლით გვიან დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი, თუმცა ხუთი წლით უფროსი იყო. ცხადია, გამოცდილებაც მეტი ჰქონდა. თაზო მულატივით შავგვრემანი, საშუალოზე ოდნავ მაღალი, მკვრივი აგებულების, საჭრეთლით ნაძერწი სახისა იყო. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, ქალებში რომ პრობლემები არ ჰქონდა. გამოუსწორებელი მუსუსი გახლდათ. გარჩევა არ იცოდა: ერთნაირად შეეძლო ულამაზესთან და უმახინჯესთან ფლირტაობა. ერთმა ჩვენმა ახლობელმა ბრძნულად შენიშნა: აბა, როგორ გინდათ, ნაღდი მუსუსი და დონ-ჟუანი სწორედ ასეთიაო.

ნიკო ცდილობდა „დიდი მაესტროს“ კვალს გაჰყოლოდა, მაგრამ ეს არცთუ კარგად გამოსდიოდა. მისგან განსხვავებით, თაზო ყველგან ცენტრალური ფიგურა და ლიდერი იყო, გართობის და დროსტარების დარგში ხომ განსაკუთრებით. უცებ იცოდა გაშინაურება, ტაქტიანად და ლამაზად. ახალგაცნობილს ისეთი განცდა ეუფლებოდა. თითქოს მასთან მრავალწლიანი ახლობლობა აკავშირებდა. გაუცხოების წაშლის დიდოსტატი გახლდათ თაზო ივანიშვილი. ხონელი კაცი სხვანაირი ვერ იქნებაო, უყვარდა თქმა ხუმრობის ტონალობაში, სხვა თუ არა, მოსე გაიხსენეთ, ხონელიო. გვიან ვხვდებოდით, რომ ამ კონტექსტში მოსე ხონელი არაფერშუაში იყო.

უნდა ითქვას, რომ დონ-ჟუანობას ხელი არ შეუშლია მისთვის რიგიანი იატორიკოსი, ლიტერატორი და შემდგომში ჟურნალისტიკაში და თქვენ წარმოიდგინეთ, ტელერეჟისურაშიც, წარმატებული ყოფილიყო.

დონ-ჟუანი, ერთ-ერთი ვერსიით, მსოფლიო რეკორდსმენი იყო „მონადირებული“ ქალების რაოდენობით, მაგრამ დროის მოკლე მონაკვეთში „ათვისებული“(თაზოს ტერმინია) დიაცების რიცხვით, ალბათ, თაზოს ტოლს ვერავინ დაუდებდა. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თაზო ახლოსაც ვერ მივიდოდა დონ-ჟუანის ფინანსურ და სოციალურ მდგომარეობასთან, მომჭირნედ ცხოვრობდა და ფულის მუდმივ უკმარისობას განიცდიდა. არ ყოფილა ქალი თაზოს ცხოვრებაში, რომელსაც სხვა რაიმე ინტერესი ჰქონოდა, გარდა დანებების გულწრფელი სურვილისა.

ახლა მოკლედ იმ „რეკორდის“ თაობაზე, რომელიც მან ბიჭვინთაში „დაამყარა.“ მაშინ ბიჭვინთა ნახევრად „ველური“ კურორტი იყო, ერთსართულიანი სახლებით და ბრეზენტის კარვებით მოფენილი. კარვებში ორგანიზებული დამსვენებლები ათევდნენ, სახლებში - „ველურები“, რომლებიც საწოლში, დღე-ღამეში, ერთ მანეთს იხდიდნენ. პლაჟზე ბლომად იყვნენ რუსეთის ქალაქებიდან მიგრირებული სტუდენტები, რომლებიც, ხელმოკლეობის მიუხედავად, თვეობით ირუჯებოდნენ ბიჭვინთის არაჩვეულებრივი სლამაზის ყურეში.

ნიკოერთლენინგრადელ სტუდენტ გოგონას გამოელაპარაკა და რთულად დასაჯერებელი რამეები მოისმინა. ჯერ ერთი, შორეულილენინგრადიდანბიჭვინთამდედაუკანდასაბრუნებელი ხარჯი სულ რაღაც ერთ მანეთს შეადგენდა. რუსი სტუდენტები ეგრეთწოდებული „ავტოსტოპით“ მოგზაურობდნენ. „ავტოსტოპი“ კაპიკიანი ტალონების შეკვრას წარმოადგენდა და სახელმწიფო მანქანების მძღოლები ვალდებულნი იყვნენ მისი მფლობელი წაეყვანათ სადამდეც მგზავრს ხელს აძლევდა. შემდეგ სხვა ტრანსპორტს დაემგზავრებოდა და ასე შემდეგ.

ლენინგრადიდან ბიჭვინთამდე მგზავრობას დაახლოებით შვიდ-ათი დღე და ორასორმოცდაათამდე ტალონი ეწირებოდა.

ახლა მეორე სიურპრიზი: გოგონამ უთხრა, რომ ორმოცი დღით ჩამოვიდა და ამ სიამოვნების უზრუნველყოფას ორმოცი მანეთით, დიახ, სულ რაღაც ორმოცი მანეთით, აპირებდა.

— რანაირად?! - გადაირია ნიკო, - ილუზიონისტი ხართ?!

— ერთი შეხედვით, - გაეცინა გოგონას, - მე და ჩემ თანაკურსელ გოგოს ერთ საწოლზე გვძინავს და ნახევარ-ნახევარ მანეთს ვიხდით. მეორე ნახევარი კი სამჯერად კვებას ყოფნის აქაურ სასადილოში: დილით ჩაი, შუადღისას ბორშჩი (ან სუპი) და კატლეტი (ან შნიცელი, დიდი განსხვავება არ არის - ორთავეში ნახევარი პურია), საღამოს ისევ ჩაი.

ნიკომ შეაპარა, აქაოდა, არ ვაწყენინოო, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, თქვენ და თქვენს თანკურსელ გოგონას დღეს აქაურ მწვადზე გეპატიჟებითო. სიამოვნებითო, გაეცინა გოგონას.

ნამწვადევს ნიკომ დელიკატურად მიაცილა გოგონები ღამისთევის ადგილამდე და ღამე მშვიდობისა უსურვა (იმ საღამოს თაზოს მათთვის არ ეცალა).

— სულ ეს იყო?! - გაუკვირდათ გოგონებს. ნიკო მიუხვდა ქვეტექსტს, მაგრამ ვითომ აინუნშიც არ იყო. ასეა საჭიროო, გადაწყვიტა, არ უნდა ეგონოთ, რომ ქართველი ბიჭები მხოლოდ „გამორჩენაზე“ ვართ დამეცადინებულიო.

ახლა კი მართლა დადგა დრო თაზოს მიერ ორგანიზებულ „რეკორდზე“ მოგახსენოთ. აფსუს, სად იყო მაშინ გინესი და მისი წიგნი, თორემ სიტყვა „რეკორდს“ სულაც არ დასჭირდებოდა ბრჭყალები.

ერთი სიტყვით, თაზომ ნიკოს და რამდენიმე თბილისელ ბიჭს სანაძლეო დაუდო მწვადიან და ტაბაკიან პურ-ღვინოზე, რომ დღის განმავლობაში, ასე, თორმეტი საათიდან ღამის თორმეტამდე, ინტიმურ კავშირს დაამყარებდა, არც მეტი, არც ნაკლები, შვიდ მანდილოსანთან, ცხადია, სათანადო დოკუმენტურ-თვალსაჩინო მტკიცებულებების თანხლებით.

ისიც გათვალისწინებული გახლდათ, რომ ამ მტკიცებულებებს არავინ ჩაეყენებინა უხერხულ მდგომარეობაში: არც უშუალო მონაწილენი და არც მეთვალყურენი.

ზედმეტია ლაპარაკი, რომ თაზომ უდიდესი ხელოვნებით, ტაქტით და შემოქმედებითი მიდგომით განახორციელა ჩანაფიქრი. მეშვიდე აქტის აღსრულებამდე სულ რაღაც ხუთიოდე წუთი რჩებოდა, როცა მეთვალყურენი მოწმენი გახდნენ თაზოს მიერ გაკრულ-ანთებული ასანთის ღერით წამიერად განათებული, სიბნელეში მანამდე ჩაძირული, ნაძვის ძირისა, სადაც ბანოვანის პიკანტურმა პოზამ გაიელვა.

ასე და ამრიგად, დამყარდა რეკორდი, რომელიც დღემდე, ვფიქრობ, არავის მოუხსნია და ალბათ, ვერც ვერავინ მოხსნის.

მიუხედავად ამისა, თაზო ივანიშვილის სახელს ვერც ერთ ენციკლოპედიასა და უბრალო ცნობარშიც ვერ შეხვდებით. სამაგიეროდ მე დავაფიქსირე და უკვდავვყავი ეს ფანტასტიკური რეკორდი. დაე, იცოდნენ მომდევნო თაობებმა, როგორი გამოჩენილი წინაპარი ჰყავდათ თაზო ივანიშვილის სახით.

ახლა ისევ აწმყო დროის თხრობას დავუბრუნდეთ..

ისე, ამასწინათ, „ძმათა სექტის“ მუდმივი წევრი, ფილოსოფოსი რაულ კილაძე, გვიმტკიცებდა, რომ აწმყო დრო არ არსებობს, აბსურდიაო. ის კი არა, დროც არ არსებობს, ჩვენი, ადამიანების, მოგონილიაო. დაგვტანჯა, ტვინი გაგვიხვრიტა, მაინც ვერ დაგვაჯერა. კაცმა რომ თქვას, აწმყო დროის თაობაზე თითქმის დავეთანხმეთ. თუ არ მეშლება, ასეთ რამეს ამბობდა: „აწმყო“ პირობითი, სიმბოლური, გამოთქმაა, აბა, მითხარით, დრო საიდან სადამდე მივიჩნიოთ აწმყოდ? დღევანდელი დღე? თუ გუშინ, დღეს, ხვალ? ან იქნებ მიმდინარე კვირა, თვე, წელიწადი? თუ ათი წელი დღევანდლამდე და ათიც მომდევნო? ვაითუ მთელი საუკუნე ან მისი ნახევარი იყოს აწმყო? წარსული საიდანღა დავიწყოთ? განა გუშინდელი და ათასი წლის წინანდელი ერთნაირად არ არის განვლილი, წარსული?

ნახეთ როგორი კითხვებია? სწორს ბრძანებთ, რიტორიკული, პასუხს რომ თავად გულისხმობს. ეგ კიდევ არაფერი, უფრო მაგარი იყო აწმყო დროის ფიზიკური შინაარსის გამაქარწყლებელი მსჯელობა. აბა, ყური დაუგდეთ: მომავალი დრო ჯერ არ არსებობსო, წარსული აღარ არსებობსო, რაც შეეხება აწმყოს, როცა ვამბობთ „ახლა“, ის უკვე წასული და გამქრალია, მისი დაფიქსირება ვერაფრით მოხერხდებაო. დრო, თუკი მაინც გვინდა მის არსებობაზე ლაპარაკი, მომავლის წარსულად ქცევის განუწყვეტელი პროცესია და სხვა არაფერიო!

ა, როგორია?!

თურმე ბევრი რამ, რაშიც ღრმად ვართ დარწმუნებულნი, ბლეფი ყოფილა! ძალიან ხშირად ყოველდღიური სახმარი ღირებულებები ისე შორსაა ჭეშმარიტებისაგან, როგორც, ვთქვათ, დედამიწა მზისაგან.

რაულმა ისიც გვითხრა რომ ძველმა ბერძნებმა ადრევე შენიშნეს დროის პარადოქსი. „ბნელმა“ ჰერაკლიტემ (თურმე ასე ეძახდნენ რთული აზრების გამო) ბრძანა: ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, არც იფიქროო! რატომო და ყოველ შესვლაზე უკვე სხვა წყალი ანუ სხვა მდინარე, მოედინებაო! რომელიღაც მომდევნო ფილოსოფოსს გასცინებია, მთლად ნამუსზე ხელი აუღია და განუცხადებია: რის ორჯერ, ერთხელაც ვერ მოახერხებ, ვინაიდან ნიადაგ სხვადასხვა წყალში გიწევს ყოფნაო!

აი, ასეთი სისულელეებით გვიჭედავს ხოლმე ყურს. ტყუილად კი არ ამბობენ, ფილოსოფოსები ცოტა „გარეკილები“ არიან, მაგათ რომ ყური უგდო, ჭკუიდან გადაგიყვანენო.

სწორედ ამიტომ თავს შევიკავებ ადამიანის მიერ „გამოგონილ“ დროზე საუბრისაგან.

მეორე ვიზიტი

ჯობს ნიკოს დავუბრუნდეთ, ის ახლა სამუშაო ოთაზში ზის და უშველებელ, ათკილოგრამიან, მაგნიტოფონს აწესრიგებს. მინდიას ელოდება და ნერვიულობს. ცდილობს დაწვრილებით გაიაზროს აღმასკომის თავმჯდომარესთან აუდიენციის სცენარი. ჯერ კარგად გამოსდის, მერე უწყდება ფიქრის ძაფი და ისევ თავიდან იწყებს.

— გამარჯობა! - ღია კარში ალბინოსი ზენონ გეგიძე დგას და უწამწამო, გაურკვეველი ფერის თვალები უპრიალებს, - მაგარი ანეგდოტი უნდა გითხრა!

— ზენონ, თუ ძმა ხარ, არ გინდა, რა! - შეევედრა ნიკო.

— შენ და ანეგდოტი არ გინდა? - უკვირს ზენონს, - მოხდა რამე?

— მერე მოგიყვები, არ გეწყინოს!

— რა უნდა მეწყინოს, ბავშვი ხომ არა ხარ!

ალბინოსი გაუჩინარდა, სამაგიეროდ, მინდია აისვეტა კარის ჩარჩოში.

— წავედით? მანქანა გველოდება.

მანქანა, რომელიღაც დაწესებულების მიერ „ჩამოწერილი“ ავტობუსი, კვირაში ორ დღეს მუშაობდა, ხუთი დღე რემონტზე იდგა. მძღოლს, ძია სერგოს, ისეთი ღაჟღაჟა წითელი ლოყები და სისხლმოწოლილი თვალები ჰქონდა, თავგადაკლული ლოთი გეგონებოდა. არადა, წვეთს არ სვამდა, ალკოჰოლის მიმართ ალერგიული იყო. რა ვქნა, კაცო, აღარ ვიციო, წუწუნებდა, ყველა ავტოინსპექტორს ნასვამი ვგონივარ და როცა ჩამასუნთქებენ და რეაქცია არ არი, გიჟდებიანო.....

თავმჯდომარის მისაღებში რომ შევიდნენ, ნიკომ მდივან ქალს საბუთი დაანახა და ტელევიზიიდან ვართო, უთხრა. ჯერ ვერ შეხვალთო, მდივანმა, თათბირი აქვსო. მით უკეთესიო, ნიკომ უკუაგდო ჩვეული მოკრძალება და ჯიქურ შეაღო კარი. მინდიასაც რა ექნა - შეჰყვა.

როდონაიას ნიკოს დანახვაზე ფერი ეცვალა და მჭახედ მიახალა:

— რა გნებავს? მე ხომ გუშინ მოვათავე შენთან ლაპარაკი!

— თქვენ მე გუშინ შეურაცხყოფა მომაყენეთ, ცილი დამწამეთ და ახლა მინდა მოწმეების თანდასწრებით გამიმეოროთ ბრალდებები.

— გაგიმეორებ, რატომაც არა!

ნიკო უკვე გრძელი მაგიდის თავში, ნადარაიასთან მიბრჯნით, იჯდა. მაგნიტოფონი მუხლებზე დაიდო, მიკროფონის შტეკერი შეაერთა და თავად მიკროფონი როდონაიას მაგიდაზე უთავბოლოდ მიმოფანტულ ქაღალდებში შეუცურა. მაგნიტოფონიც, ცხადია, ჩართო.

— გამორთე ეგ, ნუ თავხედობ! - ხმა აუკანკალდა ნადარაიას, - გამორთე-მეთქი!

— რატომ უნდა გამოვრთო? გეშინიათ იმის გამეორება, რაც გუშინ მითხარით?

— არაფრისაც არ მეშინია!.. ეგდა მაკლია!.. გამორთე-მეთქი!.. ერთი ამას უყურე!..

— ბიჭო, იცი, შენ ვის ელაპარაკები?! - წამოვიდა ნიკოსკენ ერთი გარშემო მყოფთაგანი და იარაღზე ხელი წაივლო, - ახლავე გამორთე!

— გამორთე, გამორთე! - შეშინდა მინდია.

— აჰა, გამოვრთე! - ნიკომ ჩამრთავი გააჩხაკუნა და ისე შეუმჩნევლად ჩართო ისევ, რომ გვერდით მჯდომი მინდიაც ვერ მიხვდა. თვითონ რომ იცოდა, რა, არ კმაროდა? უკვირდა, ნუთუ ეს მე ვარო?!

ნადარაიამ მიკროფონი რომ გამორთულად დაიგულა, თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა გუშინდელი ნათქვამი. კიდევ ხომ არ გინდა გაგიმეოროო, დააყოლა.

— საკმარისია, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის! - ნიკომ მაგიდიდან მიკროფონი აიღო, ბუდეში ჩადო და მაგნიტოფონი მხარზე გადაიკიდა..

ტელესტუდიაში მობრუნებული შეფმა დაიბარა.

— რა ჰქენი?

— ყველაფერი გამიმეორა: ბრალდებებიც და სისულელეებიც.

— ჩაწერე?

— სიტყვა-სიტყვით.

— თბილისის კომიტეტში ვართ დაბარებულები, ჯანყარაშვილთან, ხვალ, ორ საათზე..

ნიკომ თადარიგი დაიჭირა, ჩანაწერი გაამრავლა და ერთი კასეტა ჯიბეში ჩაიდო..

პარტიული „ბოსი“ ერთი უსიმპათიო, წარბებაწკეპილი კაცი აღმოჩნდა. შემოვიდა თუ არა კაბინეტში, ისედაც დანაოჭებული შუბლი კიდევ უფრო დაჭმუჭნა და უმკაცრესი ინტონაციით აჯახა ნიკოს:

— ვინ მოგცათ უფლება ნომენკლატურის მუშაკთან რომ მაგნიტოფონით შედიხართ?

— თუკი გაზეთის კორესპონდენტს კალმისტრის შეტანის უფლება აქვს, რადიოტელევიზიისას რატომ არ შეუძლია მაგნიტოფონის და კინო-ფოტოკამერის შეტანა? - შემხვედრი კითხვა დაუსვა ნიკომ.

— ნიკო მართალია, - ჩაურთო შეფმა, - ამაში ვერავითარ კრიმინალს ვერ ვხედავ.

— მეორეჯერ რატომ მიხვედით? თან ასე თავხედურად შეიჭერით!

— შეურაცხყოფა მომაყენა, თან ისეთი უმეცრება გამოამჟღავნა, მწვანილის გამყიდველს არ ეპატიება.

— მაგალითად, რა დაგაბრალათ ან რა უმეცრება დაინახეთ?

ნიკომ დაწვრილებით დაუკაკლა ნადარაიას ნათქვამი. „ბოსს“ ნელ-ნელა გაუსწორდა შუბლის რამდენიმე ნაოჭი, მაგრამ მაინც მკაცრი ტონი არ დაკარგა:

— რით შეგიძლია დაამტკიცო?

— აი, ამით, - ნიკომ ჯიბიდან კასეტა ამოიღო, - მობრძანდით სტუდიაში და მოისმინეთ.

— აკი გამოვართვევინეო.. - წამოსცდა ჯანყარაშვილს და საჩქაროდ დაუმატა: - ხვალ, ორ საათზე, მოვალ. კარგად ბრძანდებოდეთ!

„ბოსი“ სტუმრების გასვლასაც არ დაელოდა, ისე შეტრიალდა და გავიდა კაბინეტიდან.

მეორე დღეს, ორ საათზე, „ბოსი“, ტრადიციულად, ორწევრიანი ამალით მობრძანდა და ტელევიზიის მაღალჩინოსნებთან ერთად მაგნიტოფონიან ოთახში ჩაიკეტა. ნიკო და მინდია არ შეუშვეს.

კარგა ხნის მერე გამოლაგდნენ. ნიკო გაკვირვებული უმზერდა ჯანყარაშვილს: სადღა იყო აწკეპილი ჯაგარა წარბები და მრისხანე პარტიული გამოხედვა. ისე გულღიად და მეგობრულად იღიმებოდა, იფიქრებდი, ნიკოზე საყვარელი ადამიანი ჯერ არ ჰყოლიაო.

— ჩემო ნიკო, - მიუალერსა გუშინდელ ზვარაკს, - ახალგაზრდა კაცი ხარ, ცხოვრება წინ გაქვს, გამოიჩინე დიდსულოვნება და მიუტევე ხანდაზმულ კაცს უტაქტობა! თუ გინდა შენ წინაშე ბოდიშს მოვახდევინებ!

„ხანდაზმულ კაცში“, რაღა თქმა უნდა, როდონაია იგულისხმებოდა.

— მეც ასე მგონია, - ჩაილაპარაკა ბატონმა ანდრომ, - არ ღირს ამ ამბის აგორება, მთა და ბარს ჩვენ ვერ გავასწორებთ.

ნიკოს წინადღით შეფისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ როდონაიას მონოლოგის რუსულად თარგმნას და სათანადო კომენტარებით საკავშირო გაზეთ „იზვესტიაში“ გაგზავნას აპირებდა.

— ჰო, დედიკო, ნუნუ შემოგევლოს, - მოეფერა ქალთა პოპულარული ჟურნალის რედაქტორი, - აპატიე, რად გინდა ინტრიგანის სახელი რომ დაგივარდეს!

ისედაც ბუნებით მიმტევებელი, ხათრიანი, ნიკო ამდენმა

თხოვნა-ფერებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, ლამის გული აუჩუყდა. ეს კი მოახერხა:

— როდონაიას ბოდიში არ მჭირდება!.. ამ რუსულ ტექსტსაც თქვენს თვალწინ დავხევ!..

ასეც მოიქცა: დახია და სანაგვე კალათში ჩაუძახა.

პარტიულმა „ნომენკლატურამ“ ხელი გაუწოდა. ნიკოს შეუძლებლად მოეჩვენა საპასუხო არგაწოდება.

ინციდენტი თითქოს ამოიწურა, მაგრამ მისი უსიამო კვალი ნიკოს, ალბათ, მთელი ცხოვრება გაჰყვება.

რაც ყველაზე უფრო დასანანია, ჟურნალისტური საქმიანობა და მით უმეტეს, კარიერის პერსპექტივა, ძველებურად აღარ ხიბლავდა. თუმცა შედეგიანი პრაქტიკის იმედი ჯერ კიდევ უღვიოდა.

ფიქრის ფანჯარა

(მეზობელი)

ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია, რომ თბილისური ეზოს და მრავალსართულიანი კორპუსის მეზობელი პრინციპულად სხვადასხვაა. ეზოს მეზობლის კარი, დღისით მაინც, არასდროს იკეტება. ვიცით, ვინ რითი ცხოვრობს, რას ჭამს, რას სვამს, ვის ესიყვარულება, ვის ეჩხუბისთავება, წნევა და მაჯისცემა როგორი აქვს, რომელ სერიალზე გიჟდება.. კორპუსის მეზობელთან ჩახუტება, ძირითადად, კიბის (ლიფტის) მოედნით ამოიწურება. ასეთ ვითარებას, მოგეხსენებათ, „კარის მეზობლობას“ უწოდებენ. შეიძლება ცხოვრებამ ისე ჩაირბინოს, რომ შენს და მითუმეტეს, გვერდით სადარბაზოში, ვინ ბინადრობს და რით სუნთქავს, ნახევარიც არ იცოდე. „მეზობლობაზე“ ლაპარაკი ხომ არ ღირს.

ნიკოს, ამ მხრივ, გაუმართლა, ვინაიდან კორპუსის მცხოვ-რებნი, თავიდანვე, სამსახურმა დააკავშირა. კოოპერატიული

მშენებლობები რომ გამოცხადდა, დავით ცხაკაიამ, მსახიობმა და რეჟისორმა, დადგენილება მაგიდაზე გაშალა და კოოპერატივის დაკომპლექტებას შეუდგა.

— ნიკო, შენ რამდენოთახიანი გინდა?

— რაც მეტი, უკეთესია! - ნიკო სერიოზულად არ უყურებდა ამ საქმეს. არც კოოპერატივების პერსპექტივისა სჯეროდა და არც ის, რომ ოდესმე მისი ოჯახი მშენებლობისთვის საჭირო თანხას შეაგროვებდა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ მისი ძველი ბინა დასანგრევად იყო გამზადებული და ახალს ელოდნენ არცთუ შორეულ მომავალში.

ერთი სიტყვით, ნიკო სამოთახიანი კოოპერატიული ბინის მეპაიედ იქცა. რაც უნდა საეჭვოდ ჟღერდეს, სწორედ ამ ნახევრადხუმრობამ გამოიღო ნაყოფი. ის ფირმა, რომელიც ძველი სახლის დანგრევას და ახლის აშენებას აპირებდა, გაკოტრდა. აბელმა მოახერხა ძველი ბინის სიმბოლურ ფასად გაყიდვა, ნათესავები ჩამოიარა და შესატანი თანხა შეაკოწიწა. სამ წელიწადში კორპუსი დამთავრდა. ასე დამეზობლდნენ თანმშრომლები. ნიკოს თავზე მინდია თოიძე აღმოჩნდა, მეექვსე-ზე - მორის მირცხულავა, მეშვიდეზე ცხაკაიები ჩასახლდნენ, თუმცა თავად დავითს, ამ კოოპერატივის დამფუძნებელს, ერთი დღეც არ უცხოვრია ახალ ბინაში, მანამდე გადასახლდა „იმ“ ქვეყანაში.

ნიკოს კარის მეზობლად ორი ოჯახი ცხოვრობდა: ჟურნალისტი მიშა ფიჩხაძე და ზაირა ქილიფთარი, რა-დიოტელეპროგრამების საგაზეთო ვარიანტის რედაქციის თანამშრომელი, რომლის სახელთანაც რამდენიმე სკანდალური პუბლიკაცია იყო დაკავშირებული. ერთი მათგანის გამო ცოტა დააკლდა პასუხიგებაში მიცემას. საქმე ის გახლავთ, რომ რედაქტორმა ზაირას დაავალა მორიგი ნომრის საბოლოო გაკონტროლება, რადგან თვითონ აუცილებელ საქმეზე იყო წასასვლელი. ზაირამ გულდასმით გადაიკითხა გაზეთის გვერდები და სტამბაში ჩაუშვა. დილით ატყდა ერთი ამბავი:

მომცრო სარეკლამო ანოტაციაში გაიპარა კორექტურა, რომელიც ბომბივით გასკდა. გადაცემის ტექსტის ფრაზაში, „ლენინი იბრძოდა ხალხოსნების წინააღმდეგ“ შეცვლილი იყო ერთი ასო. იკითხებოდა: „ლენინი იბრძოდა ხალხისნების წინააღმდეგ“. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ქარიშხალი დატრიალდებოდა „ტეკა-ცეკას“ დონეზე!

ზაირა გადარჩა - პასუხისმგებლობა თავისთავზე აიღო რედაქტორმა, რომელსაც „სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით“ აკმარეს.

მეორე კურიოზი ფოტოსურათის პუბლიკაციას უკავშირდება. პოლიკარპე კაკაბაძისადმი მიძღვნილ წერილს, ზაირას რეკომენდაციით, სერგო კლდიაშვილის პორტრეტი დაურთეს.

მეორე დღეს ატეხილ სკანდალს ზაირა ოლიმპიური სიმშვიდით შეხვდა:

— დიდი ამბავი! რა მოხთა ამფერი, რავა, ორვე მწერალი არაა?!

აბა, ამ არგუმენტს ვინ გაუბათილებდა?

მეცხრეზე მარტოხელა ჟურნალისტი, მაია კარანაძე, ცხოვრობდა, ფრიად სექსუალური და ენაწყლიანი ქალბატონი. ხშირად უთქვამს საჯაროდ:

— ზაირა ქილიფთარის დაუნახავად მამალი ბუზი ვერ დაგაჯდება.

ზაირა, თავის მხრივ, დარწმუნებული იყო, რომ კორპუსის სტუმარი, ყოველი მასში არამცხოვრები მამაკაცი, სწორედ მაიასთან მიეშურებოდა. რომ არავინ გამოპარვოდა, გამუდმებით იდგა აივანზე მოწყობილ სადარაჯო პოსტზე. ერთხელ კორპუსისკენ მომავალი ბუბა კიკაბიძე დალანდა. შეშფოთდა, როცა ბუბამ სადარბაზოს ჩაუარა:

— სა მიხვალ, ბუბა, მაიე ამ სადარბაზოშია, მეცხრეზე!

არადა, ბუბა გვერდით სადარბაზოში, ხმის რეჟისორ ნოდარ ასათიანთან, მიდიოდა.

როგორც შეამჩნევდით, ნიკო უაღრესად ღია ხასიათისა იყო

და რამდენიმე არაკარისმეზობლებთანაც ჰქონდა მეტნაკლებად გულთბილი ურთიერთობა. გიგო ხარიტონაშვილი, უცოლ-შვილო, ჩაფსკვნილ-ჩაკურატებული კაცი, მეთერთმეტეზე ბინადრობდა, ერთოთახიანში. რამდენჯერ და დღის რომელ მონაკვეთშიც უნდა შეხვედროდა, ნიკო ერთსა და იმავე შეკითხვას უსვამდა:

— გიგო, გამაგებინე, სად მიგაქვს და რად გინდა ეგ ჯართი?!

საქმე ის იყო, რომ გიგოს უეჭველად რაღაც ეჭირა ხელში, უმთავრესად, სადღაც გადაგდებული ლითონის ნარჩენები: მილი, ქვაბის სახურავი, რადიატორის სექტორი, ძირგახვრეტილი ჩაიდანი, ჟანგისგან შეჭმული უტარო დანა, ალუმინის კბილმოტეხილი ჩანგლები, მაცივრის კარი, ნაირ-ნაირი არმატურა.. როცა სარდაფი და მიმდებარე დერეფანი ჩაიხერგა, გიგომ ბინა გამოიყენა საწყობად. სოფელში უნდა წავიღო ეგენიო, ამბობდა მორცხვად. ნიკო დაახლოებით ხვდებოდა რა მდგომარეობა შეიძლება ყოფილიყო გიგოს საცხოვრებელში, მაგრამ რაც ნახა, ყოვლად წარმოუდგენელი რამ იყო.

გიგოს რადიკულიტის მწვავე შეტევა დაემართა და ნიკოს დაურეკა საშველად. ნიკომ ჯერ სადარბაზოს კარი ვერ შეაღო, თუმცა ჩაკეტილი არ იყო და ოდნავ დაიძრა.

— მააწექ, ნიკო, მააწექ! – ისმოდა გიგოს კვნესაგარეული შეძახილი.

როგორც იქნა, გასაძვრომად შეხსნა კარი და განცვიფ-რებულმა დააფიქსირა ხარა-ხურით ჭერამდე გამოტენილი ჰოლი, ოთახი და ლოჯია. გიგო საშხარეულოში იწვა ტახტის ნახევარზე, ვინაიდან მეორე ნახევარი ქუჩა-ქუჩა მოპოვებულ „სიმდიდრეს“ ეკავა. ალბათ, არ ღირს აღნიშვნა, რომ საშხა-რეულოს იატაკიც გიგოს ნადავლით იყო მოფენილი.

— გიგო, რით აპირებ სოფელში ამის წაღებას ან რა შავ ქვად გინდა?!.. გადაყარე და ადამიანურად იცხოვრე!

— ეეჰ! მა ტყუილად ვაგროვე? წავიღებ, კარგა გავხდები და წავიღებ!

სამწუხაროდ, ვერ წაიღო, ვინაიდან მისი ეს ავადმყოფობა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ტრადიციული რადიკულიტი...

მისი მემკვიდრე ნათესავი მთელი თვე ათავისუფლებდა ბინას ჯართისაგან.

პირველი გრძნობა

ნიკო ერთ დროს სერიოზულად აპირებდა მწერლობას და ჰქონდა კიდეც, მისი აზრით, მოკრძალებული ცდები. ხანდახან, თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიტიკურ კარიერაზეც მისდიოდა გული, მაგრამ გადაიფიქრა, ესაოდა, გარეგნობა, იმიჯი, არ მაქვს პოლიტიკოსისთვის შესაფერისიო.

— ბიჭო, - ეუბნებოდნენ, - რა ისეთი იმიჯი მოგინდა, ხომ გახსოვს ლალ ბაჰადურ შასტრი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი, შენ მხრამდეც ვერ მოგწვდებოდა. თუ გინდა ნაპოლეონი აიღე, ან ერეკლე..

— ლენინი გამოგრჩათ, - იცინოდა ნიკო, - ვიცი, ვიცი.. მაგაზე არ არის.. იცით, რა, ადამიანებით მანიპულირება არ შემიძლია, ლიდერად არ ვარ დაბადებული.

იქნებ ისევ მწერლობას მიუბრუნდეს?

არადა, მოწაფეობისას თითქოს ისახებოდა ამის პერსპექტივა. კარის მეზობელმა, რეზო ლებანიძემ, ორიოდე წლით უფროსმა, თავისი კლასელი, დემურ კილასონია, გააცნო და დაამეგობრა. დემურმა ნიკოს ლიტერატურული ერუდიცია შეუმოწმა და პიონერთა სასახლეში, შემოქმედებით წრეში, ჩააბა. ლიტერატურულ წრეს ცნობილი აღმზრდელ-პედაგოგი, ტასია კუპრაძე, ხელმძღვანელობდა. ტასია ორმოც წელს მიღწეული, თეთრყირმიზი, შავთმიანი და შავთვალა ქალი გახლდათ. დარწმუნებული იყო, რომ მისი ხელიდან გამოსულ-

დაფრთიანებულები მნიშვნელოვანი მწერლები, ჟურნალისტები ან, ბოლოს და ბოლოს, რიგიანი ლიტერატორები იქნებოდნენ. იმ თაობიდან, რომელშიც ნიკოც მიითვლებოდა, ტასიას „ჯილას“ დემურ კილასონია წარმოადგენდა. შედევრებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კილასონია რიგიანი მწერალი და ფილოლოგი დადგა. სხვებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. პეტრე ჩართოლანი პროზიდან კინოსცენარებზე გადაერთო, მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი დაამთავრა და რამდენიმე მშვენიერი ფილმი გადაიღო. ლორეტა კაკილაშვილი დოქტორი და პროფესორი გახდა და რა ვიცი.. ქალბატონი ტასია ამაყობდა თავისი მოწაფეებით. მართლაც, ერთ პატარა ქალბატონს მეტი რა უნდა გაეკეთებინა თავისი ასევე პატარა ერისათვის (ცხადია, რაოდენობით)?

ტასიას წრეში დადიოდა ხათუნა ლოგუა, მერვეკლასელი „ჩასაყლაპი” გოგო, წყნარი, უენო, კდემამოსილი, მაგრამ ლექსები მოჰქონდა - „ცამ ქუხილი დაიწყოს!“ ნიკოს მეხსიერებას მისი ლექსის ერთი სტრიქონი ახლაც შემორჩა: „გიყვარდეს მაისი, სიცოცხლის მაყარი.“ უძახე ბავშვი. სამწუხაროდ, ხათუნამ მერე და მერე, პოეზიას უგანა და საკმაოდ ცნობილი თეატრის რეჟისორი გახდა.

ნიკო მაშინ მეათე კლასში იყო და მერვეკლასელ გოგონასთან ფლირტი ეუხერხულებოდა. არადა, მოსწონდა! მერე, როგორ!.. იქნებ უყვარდა კიდეც, მაგრამ თავს არ უტყდებოდა. ასე, უთქმელად, დატოვა წრე და ხათუნა და უნივერსიტეტში გადაადგილდა. ორი წლის შემდეგ პირველკურსელ ხათუნას პირველი კორპუსის დერეფანში შეეჩეხა და კაიხანს ხმა ვერ ამოიღო. ხათუნამ მისი ხელი დიდხანს არ გაუშვა და ისე თბილად მოიკითხა, რომ ნიკოს სუნთქვა გაუძნელდა. შევხვდებით ხოლმეო, ესღა მოახერხა. ის დღე დაიმახსოვრა, სამშაბათი, ერთ დერეფანში ჰქონდათ ლექციები.

სამშაბათისთვის საგანგებოდ ემზადებოდა: სუფთად გაპარსული, „პარიკ-ვირტუოზთან“ (არტემა-პარიკმახერთან)

გაკრეჭილი, ფიჯაკ-პერანგთან შეხამებული ჰალსტუხით, სარკესავით გაპრიალებული ფეხსაცმელებით, გულისძგერით გაუყვებოდა დერეფანს ლექციებს შორის შესვენებებზე. იცოდა, რომ იქითა ბოლოდან ხათუნა გამოივლიდა თანაკურსელ გოგონებთან მკლავგაყრილი. პირველ შესვენებაზე თავის დაკვრით ესალმებოდა ქალიშვილს, ცდილობდა ღიმილი ბუნებრივი გამოსვლოდა. ისიც ღიმილით ესალმებოდა. ზოგჯერ „როგორ ხარო!“, მიაძახებდა. „კარგად!“- ამოღერღავდა ნიკო და თავს უბრაზდებოდა დაბნეულობისათვის. მომდევნო შესვენებებზე ისე ეჭირა თავი, ვითომ ძალიან იყო ჩაფლული ფიქრებში და ირგვლივ ვერავის ამჩნევდა. ერთი-ორჯერ მოეჩვენა, რომ მის დანახვაზე ხათუნამ რაღაც გადაულაპარაკა მეგობრებს, რომლებმაც ხმამაღლა გადაიკისკისეს. ნიკო დაიბოღმა და გადაწყვიტა სამშაბათობით საერთოდ არ გამოსულიყო დერეფანში. ეს გადაწყვეტილება ორშაბათ საღამომდე მიჰყვებოდა, სამშაბათს კი იგივე მეორდებოდა: პიწკად ჩაცმა, დერეფანი, თავისდაკვრით მისალმება და ღიმილი. მერე ეჭვების ხროვა და ტვინის ჭყლეტა: სხვათა შორის მიესალმა თუ არა ხათუნა, რას გულისხმობდა იმ თავისდაქნევაში, რა ჩაულაპარაკა თანაკურსელს და კიდევ.. და კიდევ.. მომდევნო სამშაბათამდე და მაცდურ გაღიმებამდე.

თუ მარტო იყო სახლში, ნიკო გიტარას აიღებდა და მოდურ სიმღერებს მღეროდა. „ეჰ, ახლა რომ ხათუნა მისმენდესო..“ სამწუხაროდ, ხათუნას წარმოდგენა არა აქვს როგორ უკრავს და მღერის ნიკო, როგორი სპორტულია (სიდაბლის მიუხედავად), როგორი წიგნიერი და განათლებულია, როგორ დაფასებულია მეგობრების წრეში, ეგრეთწოდებულ „ძმათა სექტაში“.. როგორმე უნდა დაიახლოვოს, მიჯნები წაშალოს და თავი ღირსეულად წარუდგინოს.. მერედა, როგორ? ხათუნას დანახვაზე ყოველგვარი წინასწარ დამუშავებული პროექტი იფუშება და სული ქუსლებში ეპარება! არა, უნდა გადალახოს სიმხდალე, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება! დღეს ორშაბთია,

ხვალვე დაუსვამს წერტილს!

სამშაბათს ნიკო დერეფანში მსვლელობებს აერიდა - ასეთი გახლდათ ტაქტიკური ჩანაფიქრი. ლექციების დამთავრებას პირველი კორპუსის წინ, ძელსკამზე ჩამომჯდარი, უცდიდა. ხათუნას გამოსვლას ელოდა და პულსაბობოქრებული სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. როგორც იქნა, გამოჩნდა!.. ნიკო დაელოდა, სანამ ხათუნა თანაკურსელებს დაემშვიდობებოდა და მარტო დარჩებოდა. მისი მარშრუტი სახლამდე კარგად იცოდა, აქვე ცხოვრობდა, ზემო ვერის დასაწყისში..

შეუმჩნევლად წამოეწია და მისალმების ნაცვლად რაღაც გაურკვეველი ბგერები ამოუშვა.

— ოჰ, ნიკო! - გაუცინა ხათუნამ, - სად დამეკარგე?.. დღეს ლექციებზე არ იყავი?

— ვიყავი.. - ძლივს ამოთქვა.

„სად დამეკარგემ“ სულ აუბნია თავგზა. დერეფანში რომ არ გამოჩნდა, ისიც შეუმჩნევია. შეუმჩნევია კი არა, გულიც დასწყვეტია, აბა, დამეკარგეო, რატომ ეტყოდა? ამ გარემოებამ დამატებითი სტიმული მისცა და უკვე მტკიცედ გადაწყვიტა სათქმელი დღესვე ეთქვა, თუმცა დაწყების მომენტი გადაიტანა. აი, იმ ნაცრისფერ სახლთან ვეტყვიო. იქიდანაც გადაიტანა ლურჯ მაღაზიამდე, ლურჯი მაღაზიიდან ბოლო შუქნიშნამდე. რამდენიმე შენობაღა რჩებოდა ხათუნას სახლამდე, როცა მისდაუნებურად შეუდგა ჩანაფიქრის ხორცშესხმას.

— ხათუნა.. - ხმის კანკალით უთხრა და ხელი მაჯაში ჩაავლო, - რაღაცას გეტყვი, თუ ნებას მომცემ.. ოღონდ არ გაგეცინოს.

— ბრძანე, - უბრალოდ თქვა ხათუნამ, ხელიც არ წაურთმევია.

— იცი, რა.. - მთლად აიჭრა ნიკო, - მე შენ.. ერთი სიტყვით, ასეთ დროს იტყვიან მიყვარხარო..

რაკიესსიტყვაამოისროლა,თუნდაცუხერხულკონტექსტში, გულზე მოეშვა და გაკვირვებულმა შენიშნა, რომ მისთვის

უკვე სულერთი იყო, რას უპასუხებდა ხათუნა, თანაგრძნობით შეხვდებოდა თუ შორს დაიჭერდა.. თანაგრძნობის შემთხვევაში ურთიერთობის გაგრძელება ბურუსით იყო მოსილი, უარის შემთხვევაში ყველაფერი ნათელი იქნებოდა.

— ვგრძნობდი, - პაუზის შემდეგ, ხათუნა თითქოს თავისთავს ელაპარაკებოდა, - ჯერ კიდევ სასახლეში..

მერე, კაი გვარიანი პაუზის შემდეგ, ამ „კრავივით გოგომ“, ისეთი რამ უთხრა, რომ ბიჭი ხანგრძლივ საგონებელში ჩააგდო:

— ჩემო ნიკო, შენ ძალიან სუფთა და კარგი ბიჭი ხარ და ჩემნაირი ქალი არ გამოგადგება!

როცა ნიკოს განცვიფრებული მზერა დაიჭირა, ერთი ფრაზაც დაამატა:

— თუ წინააღმდეგი არ იქნები, მეგობრებად ან კარგ ნაცნობებად დავრჩეთ.

— მოვიფიქრებ! - ალალად, ყოველგვარი ბოღმის გარეშე, თქვა ნიკომ და გაიცინა. ხათუნა დააკვირდა, თამაშობს თუ მართლა სიცილის ხასიათზეაო. როცა მიხვდა, რომ ბიჭს ტვირთი მოეხსნა და შვება იგრძნო, თავადაც გაიხარა და ლოყაზე აკოცა.

ნიკომ სადარბაზომდე მიაცილა ხათუნა და ჯენტლმენურად გამოეთხოვა. უხაროდა, რომ სამშაბათების დაძაბულობა წარსულს ჩაბარდა. გოგოების მეტი რააო, ფიქრობდა, თითქოს ფეხბორკილები შეხსნეს.

ფიქრის ფანჯარა

(ჭეშმარიტების შესახებ)

ყველაზე დიდი სატანჯველი გაურკვევლობა, ასე ვთქვათ, ჭეშმარიტების უცოდინარობაა. იმ დღეს ერთი თანაკურსელი, რომელსაც „ბუდისტს“ ეძახდნენ აღმოსავლურ

ფილოსოფიაში ჩაღრმავების გამო, სწორედ ბუდას მოძღვრებაზე ლაპარაკობდა. ადამიანსო, თურმე ასე ამბობდა ის დალოცვილი, უამრავი საზრუნავ-სატანჯველი აქვს, მაგრამ ამათგან ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვანი ჭეშმარიტების მოუძიებლობით გამოწვეული ტანჯვაა. ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, სამყაროს საძირკველი ანუ მიზეზთა მიზეზი ვეძიოთ, ეუბნებოდა მოწაფეებს, არა, მეგობრებო, მთავარია ადამიანს ტანჯვა შევუმსუბუქოთ. ამისათვის კი სწორედ ჭეშმარიტების მოძიებაში უნდა დავეხმაროთო. არ იფიქროთ, რომ მხოლოდ სიტყვით მოუწოდებდაო, საქმითაც დაამტკიცა: მეფის ტახტზე უარი თქვა და მთელი სიცოცხლე სულიერი ინტერესებით იცხოვრაო.

ამის მერე ლევან კილაძე ჩაერთო საუბარში, ორატორს ყველაფერში დაეთანხმა, მსმენელებს „ძველი აღთქმის“ პერსონაჟი, იობი, შეახსენა და მისი ტანჯვა-წამების პერიპეტიები გაუშიფრა. ვინც ბიბლიას იცნობს, კარგად იცის, რომ ეშმაკის მზაკვრული მცდელობით ღმერთმა სასტიკი გამოცდა მოუწყო უაღრესად წესიერ, სათნო და ღვთისმოსავ კაცს, იობს: აუოხრა სახლ-კარი, ნახნავ-ნათესი, დაუხოცა საქონელი და ბოლოს მისი შვიდი ქალ-ვაჟიც მიაყოლა. როცა იობმა ამ გამოცდას გაუძლო და „ღმერთმა მომცა, რაც გამაჩნია და ღმერთმა წამართვაო!“, იძახა, ეშმაკის მცდელობით ახალ განსაცდელში აღმოჩნდა: განუკურნებელი სნეულებები შეეყარა. მატლებდასეული იობი, თქვენ წარმოიდგინეთ, მხოლოდ ერთ რაიმეზე წუხს და გოდებს: იქნებ გამაგებინოთ, რა ცოდვა მიმიძღვის, რისთვის დავისაჯე ასე სასტიკადო. თქვენ მითხარით, რადგან ღმერთი მემალებაო.

ხომ ხედავთო, დაასკვნა კილაძემ, ბუდასი არ იყოს, იობისთვის მთავარი სატანჯველი და ტრაგედია ჭეშმარიტების უცოდინარობაშია. ღმერთის მხრიდან უსამართლოდ დასჯა კი ვერ წარმოუდგენია, ვინაიდან უმაღლესი სამართლიანობისა ღრმად სწამსო.

— თუ უმაღლესი სამართლიანობა არ არსებობს, სიცოცხლეც არ ღირს! - დაასკვნა „ბუდისტმა“.

ნიკოს ერთი სიტყვაც არ გამოპარვია ამ საუბრიდან, სახლში მისულმა ბიბლია გადმოიღო და „წიგნი იობისა“-ზე გადაფურცლა, დიდხანს კითხულობდა.

სანამ იმ დიდი ჭეშმარიტების მოძიებას შეუდგებოდე, გაიფიქრა, როცა კითხვა შეწყვიტა, უნდა გაარკვიო, ვინ ხარ და რა შეგიძლია, რა რესურსების პატრონი ხარ. ალბათ, გამორიცხვის მეთოდიც მოგეხმარება: დაადგენ რა არ შეგიძლია, ესე იგი, გეცოდინება, რაც არ იცი და მისი ცოდნის შანსიც არა გაქვს. ასე მიადგები შენს ღვიძლ საქმეს, ცხადია, თუ „ღმერთმა“ ინება, როგორც ფანასკერტელის რეცეპტებს ერთვის ბოლოში.

კი, ბატონო, ადვილად ითქმის, მაგრამ ამ „შინაური“ ჭეშმარიტების დადგენა ურთულესი საქმე ყოფილა. ვიღაცას უთქვამს: ნიჭი, ძამიკო, არ მოგასვენებს, გაიძულებს ყველაფერი განზე გადადო და სწორედ ის აკეთო, რაც ამ ტალანტის კომპეტენციაში შედისო.

შეიძლება ასეცაა, მაგრამ თუ გულზე ხელდაკრეფილმა ელოდე, როდის ინებებს ქალბატონი მუზა შენს ამოძრავებას, სიცოცხლის წლები ისე გაგეპარება, როგორც წყალი ქვიშაში. იქნებ სულაც აქტიური ძიება-ჩხრეკა-მცდელობაა საჭირო შენივე თავის მისაგნებად, ცხადია, თუ კრედოდ ყბადაღებული „პური და სანახაობა“ არ მიგაჩნია.

პირველი ცდუნება

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მსგავს რეფლექსიებს ერთმანეთისაგან დროის ხანგრძლივი მონაკვეთები აშორებდა. როგორც საზოგადოების ყველა ნორმალური წევრი, ნიკოც მიჰყვებოდა ტრადიციულ წესსა და რიგს, რაიც ყოველი მოქალაქისათვის რეფლექსიებისაგან თავდასაცავ ფარს წარმოადგენს.

ასე იყო თუ ისე, ჯერ-ჯერობით, აღებული ინერციით მიგორავდა და შორეულ პერსპექტივებზე ფიქრით თავს მაინც და მაინც არ იცხელებდა. მით უმეტეს, რომ ახალფეხადგმულ ტელევიზიაში მუშაობა ძალზე საინტერესოდ ეჩვენებოდა და როცა „მახარეს“ მოითავებდა, თავისუფალ დროს სხვა რედაქციებთან თანამშრომლობისთვის იყენებდა.

ერთხელ ბათუმს მიავლინეს, იქაურ ახალგაზრდობაზე გადაცემის მოსამზადებლად, თან „მახარესთვის“ სატირული „გვერდის“ გადაღება ჰქონდა ჩაფიქრებული.

მატარებელი დილის ექვს საათზე შეჯაყჯაყდა შუა ქალაქში. ნიკომ პირდაპირ ზღვას მიაშურა ჩანთიან-კოსტუმიანა, გაიხადა და წყნარად მოლივლივე ტალღებში შესცურა. ზღვასთან შეხვედრა მისთვის ყოველთვის ემოციური იყო. სეზონს ხელიდან არ გაუშვებდა, ზოგჯერ ორ-სამჯერაც ეწვეოდა და მაინც გული მისკენ მიუწევდა.

ამჯერად საკმაოდ შორს შეტოპა. მიმოიხედა და მთებიღა დაინახა. თან ასეთი სიჩუმე!.. არ შეშინდეო, შეუძახა თავს უსიტყვოდ, ცოტა ხანს გულაღმა შეისვენა და მერე დაიძრა ნაპირისაკენ აუჩქარებლად.

სასტუმროში, რკინიგზის სადგურთან, აიღო ნომერი, ისაუზმა აჭარული ხაჭაპურით და ქალაქში გამოვიდა. აქ ერთი გოგოს მონახულება გადაწყვიტა, რომელსაც ხუთიოდე წლის წინ იცნობდა და საკმაოდ საფუძვლიანადაც. მეორე თუ მესამე კურსზე, ზაფხულის არდადეგებზე, ბანაკში პიონერხელმძღვანელად გაამწესეს, სახელმძღვანელოდ პირველი რაზმი ჩააბარეს. აქ კი უფროსი ასაკის გოგო-ბიჭები, მეათე-მეთერთმეტე კლასელები, იყვნენ. „საორგანიზაციო საკითხები“ საათივით ჰქონდა აწყობილი: გადაიკიდებდა გიტარას, მახლობელ ტყეში გაიყოლებდა რაზმს და იყო „სიმღერა და ჩქარი ტაში“. მით უმეტეს, რომ ყველა თუ არა, გოგონების ნახევარი მაინც ხელმძღვანელზე იყო გამიჯნურებული. ნიკოს ერთი მოსწონდა გასაკუთრებით: თეონა, შოლტივით მოქნილი და სიტყვაძვი-

რი ბათუმელი ქალიშვილი. მას შემდეგ უფრო გაუძლიერდა გრძნობა, როცა ექსკურსიიდან ბანაკისკენ დაღამებულში მობრუნებულებმა სატვირთო მანქანის ძარაზე, გვერდიგვერდ, მიხუტებულებმა იმგზავრეს. ნიკოს ხელი გადახვეული ჰქონდა და ორჯერ ყვრიმალზე აკოცა კიდეც. თეონა აცახცახდა და უფრო მჭიდროდ მიეკრო. ეს იყო და ეს, მაგრამ გოგონას სხეულის სითბო და სურნელი აქამდე გამოჰყვა.

სახლს ადვილად მიაგნო, ბინასაც. ერთხანს ყოყმანობდა კარის წინ მდგარი: იქნებ ცუდად ვიქცევი და არ ღირდეს დაკაკუნებაო. ამასობაში კარი დაუკაკუნებლად გაიღო და ზღურბლსე თეონა აისვეტა. ნიკოს დანახვაზე ფერი დაკარგა, ვაიმეო, წამოიკნავლა და კინაღამ ჩაიკეცა. ნიკოც დაიბნა, მაგრამ ხელის შეშველება მაინც მოახერხა, ოთახში შეაბრუნა და სკამზე დაჯდომაში მიეხმარა.

— მარტო ხარ?

თეონამ თავი დაუქნია, ხმისამოუღებლად ადგა და წინ ხილიანი ლანგარი დაუდო.

— თეონა, როგორ ხარ?.. რამდენი ხანია.. სწავლობ?

— ბიოლოგიაზე ვარ, მესამე კურსზე.. მიირთვი!

— მერე? რატომ არ შემეხმიანე?!

— რა ვიცი.. მომერიდა..

თეონამ ფირსაკრავზე ფირფიტა დადო უხერხული პაუზების შესავსებად. შრიალ-ხრიალის ფონზე მშვიდი საცეკვაო მელოდია ახმიანდა. ნიკომ ხაზგასმული რევერანსით გაიწვია ქალიშვილი საცეკვაოდ. თეონამ უყოყმანოდ ჩამოაწყო მხარზე მკლავები. ნიკომ ხელი წელზე მოხვია და თანდათანობით დაამოკლა მანძილი სხეულთა შორის. როცა მკერდის შეხება იგრძნო და თმების სურნელმა გააბრუა, ჯერ ყვრიმალზე აკოცა და უმალ ტუჩებზე გადაინაცვლა. გაოცებულმა შენიშნა, როგორ მოიღვენთა და თითქმის ხელიდან გამოეცალა თეონას სხეული. ცეკვა შეწყვიტა და ფერდაკარგული ქალიშვილი სკამზე დასვა

— ცუდად ხარ?!.. აჰა, წყალი დალიე!..

თეონამ წყალი მოსვა:

— მაპატიე!..

— სულ არ მოგეკარები! - ნიკო სერიოზულად შეფიქრიანდა.

— ნუ გეშინია, პირველია და..

თეონა უცებ მოფერიანდა, წამოდგა, ფირფიტა განაახლა და მკლავები კისერზე შემოხვია:

— ცუდად აღარ გავხდები! - თვითონ მოძებნა ვაჟის ტუჩები..

თითქმის ყოველდღე, საღამოობით, ხვდებოდნენ. ბულვარში სეირნობდნენ ან რომელიმე საყავეში ისხდნენ.

დღისით ინტენსიური გადაღებები იყო, სუფრა ყველგან იშლებოდა. პარალელურად ოპერატორი მიტოვებულ-ჩაოხრებულ მშენებლობებს და ღვთის ანაბარა დაგდებულ ტექნიკას იღებდა, რაც ერთი სამშენებლო ტრესტის სკუთრებას წარმოადგანდა. ტრესტის მმართველი მთელი რეგიონის არაოფიციალური „ბანკირი“ და პოლიტიკური ლიდერი იყო. როგორც ამბობდნენ, ამირან ფეტვიაშვილს თვით პარტიული „ბოსიც“ კაბინეტში ეახლებოდა რეგულარულად „საქმეთა“ მოსაგვარებლად.

აი, ამ მაგნატის კაბინეტს ეწვია ნიკო გამგზავრების წინადღეს, ოპერატორთან ერთად, ფეტვიაშვილის ინტერვიუს ჩასაწერად. ტრესტის მმართველი სიამოვნებით დათანხმდა იტერვიუზე და გარდამავალი წითელი დროშის ფონზე ვრცლად ისაუბრა ტრესტის მიღწევებზე და დასახულ ამოცანებზე.

ჩანაფიქრი მარტივი გახლდათ: ფეტვიაშვილის საუბრის ფონზე ტელეეკრანზე სრულიად საპირისპირო შინაარსის კადრები გამოჩნდებოდა, რითაც მიღწეული იქნებოდა სატირული ეფექტი.

კმაყოფილმა ნიკომ ის საღამო თეონასთან ერთად გაატარა. სანაპიროზე ისხდნენ და იმ სიმშვიდით ტკბებოდნენ, რომელიც შეიძლება მხოლოდ ზღვის წყალობა იყოს. ნიკო მოუყვა

იმდღევანდელი „მზაკვრული“ ინტერვიუს ამბავს.

— ამირანი გადაიღე?

თეონას ხმაში შეშფოთებამ გაიჟღერა.

— ჰო, რა იყო?

— არა.. არაფერი..

— რა არაფერი, შეგატყე, არ გესიამოვნა. რა მოხდა?

— რა და.. ერთი სიტყვით, ამირანი ჩემი ბიძაა.

— თუ ბიძად გეკუთვნის?

— დედაჩემის ძმაა..

— აუჰ!.. დროზე მაინც მცოდნოდა! ოპერატორს რა ვუყო, თორემ.. პირს ხომ ვერ ამოვუკერავ..

— იცი, რა, შენ ხელს ნუ შეიშლი, ჩვენთან ტელევიზორი მაინც არ შემოსულა ჯერ.

— მართლა?! ეს რა კარგი გამახსენე! - დაწყნარდა ნიკო, - შეიძლება მაგ შენმა ამირანმა საერთოდაც ვერაფერი გაიგოს.

მეორე, უკვე წამოსვლის დღეს, ნიკომ ქალაქის კადრები გადააღებინა, პლაჟზე ყოფნით გული იჯერა და სასტუმროში მობრუნებულმა ნივთების ჩალაგება დაიწყო, ამასობაში თეონაც მოვიდა, მხრიდან ჩანთა მოიხსნა და სკამზე ჩამოკიდა.

— მიდიხარ?

— სამსახურია.. სექტემბერში ხომ ჩამოხვალ?.. ეგ რა ჩანთაა? სხვა დროს არ შემიმჩნევია.

— სხვა დროს არც მქონია.. ბიძაჩემმა გამომატანა.

— რას ნიშნავს „გამომატანა“? ჩემთან?!

— ჰო.. - თეონამ გაცინება სცადა, - სახლში მომაკითხა. გაუგია ჩვენ რომ..

— მერე, რაო, რა დაგაბარა ამირან ბიძიამ?

— რაო და.. რამდენიც უნდა იმდენი მაგინოს იმ ტელევიზორში, ოღონდ ჩემი სახე და ლაპარაკი წაშალოსო.

— მერე? რაღა აზრი ექნება გადაცემას? ყველაფერი ხომ ლაპარაკის და გამოსახულების კონტრასტზეა აგებული?

— მეც ასე ვუთხარი, მაგრამ არ მომეშვა, შენი მხრიდანაც

თხოვე, უარს არ გეტყვისო.

— მერე? მთხოვ?

— სხვა რა გზა მაქვს.. იქნებ..

— ჩანთით რა გამოგატანა, თხილი თუ მანდარინი?

— კარგია, ხუმრობის ხასიათზე რომ ხარ.

— კაი, სერიოზულად გეკითხები.

— ნიკო, ვიცი, ეს იოლი ამბავი არ არის, მაგრამ ბიძაა, ხომ გესმის, მაგით გვიდგას სული, დედაჩემი ერთი თვეა კარლოვი-ვარში მკურნალობს. მეც თბილისში ბინა მიყიდა..

— ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მაინც ჩანთის შინაარსი მაინტერესებს!

— ნიკო, ძალიან მიმძიმს.. სულ არ მინდოდა ეს შუამავლობა.. ერთი სიტყვით, აქ დიდი თანხაა.. ახლა ყველას უჭირსო..

— თეონა, მე რომ ეგ თანხა ავიღო, ძველებურად გეყვარები?

— არ ვიცი..

— მე კი მშვენივრად ვიცი: არ გეყვარები და ასეც უნდა იყოს. შენი მდგომარეობაც კარგად მესმის, მაგრამ რა ვქნა, არ მინდა შენს სიყვარულთან ერთად საკუთარი თავის პატივისცემაც დავკარგო.

— სხვა პასუხს არც მოველოდი! – თეონამ კისერზე ხელები შემოაჭდო.

— ბიძაშენთან რაც შეიძლება, მლანძღე, ეს ვინ ყოფილა-თქო, არავისი ხათრი და სიყვარული არ ჰქონია-თქო, უნამუსო და ნაძირალაა-თქო..

— გამარჯობის ღირსიც არაა-თქო!.. – სიცილი აუტყდა თეონას. ნიკოც აჰყვა და კარგა ხანს ფრუტუნებდნენ..

„ბევსტროგონი“

აჭარელ ახალგაზრდობაზე გადაცემამ ქება დაიმსახურა. ნიკოს რეიტინგმა კიდევ უფრო მოიმატა. „მახარეს“ სპეციალური

გამოშვებაც მზად იყო და დღე-დღეზე ელოდებოდა „ეთერს“.

შეფმა „მახარე“ ჩაიბარა და უთხრა:

— ფეტვიაშვილის ინტერვიუ ამოიღე!

— რაღა აზრი აქვს?

— დიქტორისთვის გადააკეთე.

— სატირული ეფექტი იკარგება.

— შენ თუ სატირალი ეფექტი გენატრება, კი, ბატონო.

— თქვენც, ბატონო ანდრო, თქვენც შეგკერეს?!

— „მეც“ რა, ციდან კი არ ჩამოვფრენილვარ, ამ მიწაზე მიდგას ფეხი. უნდა ამოიღო, ასეა საჭირო!

— აი, ბატონო ანდრო, კალმისტარი, აი, სცენარი... თავად...

ანდრომ კალმისტარი გამოართვა და სრულიად მშვიდად და აუღელვებლად გადახაზა ის ადგილი, ურომლისოდაც გადაცემა არაფერს აღარ წარმოადგენდა.

ნიკოს თითქოს თავში წამოარტყეს და კუთხეში დააყენეს.

— არ გეწყინოს, ჩემო ნიკო, - დაუყვავა შეფმა, - ცხოვრებაა, იერარქია.. „ნომენკლატურა“!..

— ფეტვიაშვილი რა ნომენკლატურაა?!

— გეთანხმები, მაგრამ ფულის ტომარაა, ტომარაში ხელის ჩაყოფაზე კი არც ერთი „ნომენკლატურა“ არ იტყვის უარს. მოდი, ასე ვთქვათ: თითქმის არც ერთი. ემანდ ვინმე პატიოსან „ნომენკლატურას“ გული არ ვატკინოთ.

— ვითომ „ნომენკლატურასაც აქვს ეგ ორგანო, ბატონო ანდრო?!

— ასე რომ არ იყოს, „ლეჩკომბინატის“ კარდიოლოგიურში პალატა-ლუქსები არ ექნებოდათ. ისე, ნუ დაგავიწყდება და მეც „ნომენკლატურად“ ვითვლები.

— აუჰ! - შეიცხადა ნიკომ...

ანდრომ გაიცინა და მხარზე ხელი მოუთათუნა..

— რაღაც ხასიათზე ვერა ხარ, მოხდა რამე? - ჰკითხა ოთახში მობრუნებულს გენო ლომჯარიამ, პროპაგანდისტული

გადაცემების რედაქტორმა.

— ისეთი არაფერი, რაც არ მომხდარა.. აქ რა ხდება?

— ლატარიას თამაშობენ. დღეს ხომ დიდი ფეხბურთის დღეა.

კარგა მოზრდილ ოთახში რამდენიმე რედაქცია იყო შეყრილი და ათამდე საწერი მაგიდა იდგა. ერთ მაგიდასთან სპორტული მიმომხილველი გოგა ჯაჭვაძე იჯდა და სავარაუდო ანგარიშებს აფიქსირებდა.

— ბატონო გიორგი, თქვენი პროგნოზი როგორია? - ჰკითხა ჯაჭვაძემ ქაღალდებში ჩაფლულ საგინაშვილს, სასოფლო-სამეურნეო გადაცემათა რედაქტორს, უზარმაზარ, ზოოპარკის სპილოსავით უწყინარ კაცს.

— ფეხბურთისა?

— დიახ.

— ჰოო.. ჩაწერე, სამით ნოლი.

— ვის სასარგებლოდ?

— მოიცა, კაცო, ვინა და ვინა თამაშობს?

ხომ წარმოგიდგენიათ, ამ პასუხის შემდეგ რა სიცილ-ხარხარი ატყდებოდა..

ვახტანგ ქათამაძე, დათვივით ღონიერი, სამფად ნაგები კაცი, თავის მაგიდასთან იჯდა. ნიკო ხელით მოიხმო და ხმადაბლა უთხრა:

— შესვენება მოდის და ბევსტროგონი და თითო ჭიქა კონიაკი არ გვაწყენდა.

— მერე, ფარა?

— ჰოდა, მაგ ამბავზე დაგიძახე. ამ წუწურაქ მინდიას ფული აქვს, დავინახე, რომ მოუტანეს და ფიჯაკის გარეთა ჯიბეში ჩაიდო, სულ თუმნიანები. მიდი, უთხარი, შენი ხათრი აქვს, უარს ვერ გეტყვის. თუ მაინცა და მაინც უარი გტკიცა, სხვა გეგმაც მაქვს.

ნიკოს შეთავაზებაზე მინდიამ მწარე უარი დაარტყა: სა მაქ, ძამა, ფარაო! ვახომ კვლავ მოიხმო ნიკო;

— ასეც ვიცოდი. ახლა სამარქაფო ვარიანტი ავამუშაოთ: მე მინდიას მოვიხმობ, ვითომ რაღაც სერიოზული რამე უნდა ვაჩვენო და როცა გადმოიხრება, ფული ამოაცალე!

— კარგი, რა ვახო, უხერხულია.. თანაც დაგვხოცავს სუყველას!

— კაი, თუ ძმა ხარ, უხერხული კი არა... ერთხელ მაგანაც ხომ უნდა იკისროს, სხვის ბევსტროგონზე და ლობიოზეა დავაჟკაცებული. მიდი, ჩემ თავზე ვიღებ!..

ნიკო, მცირე ყოყმანის შემდეგ, დათანხმდა. სცენარი უმტკივნეულოდ განხორციელდა: ხუთმა ვარდისფერმა ათმანეთიანმა მინდიას ფიჯაკის ჯიბიდან ნიკოს ჯინსების ჯიბეში გადაინაცვლა.

— მინდია, არ გაქვს ხომ, ფარა?

— გახვრეტილი კაპიკიანი!

— აგერ, მე ვიშოვე და დავეშვათ კაფე „თბილისში.“

მეოთხე თანამესუფრედ ბექარ ღვინიანიძე წაიყვანეს. კარგად მოილხინეს, ერთი ბოთლი „ვარციხე“ გამოამშრალეს და ბოლო სადღეგრძელოს უფლება ნიკომ მოითხოვა:

— მეგობრებო! ამ ციცქნა ჭიქით და დიდი გრძნობით მინდა ვადღეგრძელო ამ სუფრის მსპინძელ-დამფინანსებელი ბატონი მინდია!..

— კი, მარა, მე რა შუაში ვარ?! – გაიკვირვა მინდიამ.

— იმ შუაში, ძვირფასო მინდია, რომ საკვების ფული შენი ფიჯაკის გარეთა ჯიბეში მოვიპოვეთ!.. აბა, ჩაიყავი ხელი!..

— სანამ ხელს ჩევიყოფდე, ამ სუფრის ნამდვილი მასპინძელი, ბატონი ნიკო, უნდა ვადღეგრძელო.

— ფარა რომ ვიპოვე, იმიტომ?

— ჯერემ ერთი, მაი პოვნა კი არა, ქურდობაა, მარა მეორე და მთავარი არ იცი შენ..

— რა „მთავარი“?! - ახლა ნიკოს გაკვირვების ჯერი დადგა.

— იგი, ჩემო ნიკოლოზა, რომე მაი ფარა გენრიხამ დაგიტოვა,

კავლელიშვილმა, სამოცი მანათი ქონია შენი ვალი.

— მანდ ორმოცდაათი იყო..

— ათმანათიანი ჩაგრჩენია. – მინდიამ კუპიურა ამოიღო და წინ დაუდო.

იქ სიცილი ატყდა, მთელი კაფე ფეხზე დადგა.

ნიკომ სიცილ-სიცილით გადაიხადა ოფიციანტის ნაანგარიშევი ოცდაათი მანეთი და იკითხა:

— ვინ არის სცენარის ავტორი?

ყველამ დაიმორცხვა.

— ვინ არის-მეთქი! – წარბები შეჰყარა ნიკომ.

მინდიამ და ბექარმა, უსიტყვოდ, თვალდახრილებმა, თითი ვახტანგისკენ გაიშვირეს.

— მე ვფიქრობ, ასეთი ნიჭიერი ნაწარმოებისთვის ოცდაათი მანეთი რაა, ავტორი სახელმწიფო პრემიაზე უნდა იქნეს წარდგენილი!..

მოსკოვი. რევოლუციის მოედანი

— წამიყვანე, რა, ნიკო!.. ნუ ჩაადგამ ფეხს ჩემ ცოდვაში!

— თაზო, რანაირად?! ორი ქალაქი უნდა მოვიარო, მოსკოვი და ლენინგრადი. ჩიგოგიძემ (ნიკო ტელევიზიის მთავარ ბუღალტერს გულისხმობდა) სულ, გზიან-სასტუმროიან-ჭამა-სმიანა, ასორმოცდაათი მანეთი მომცა. ენრიკომ, ოპერატორმა, ხელი გაშალა და ორმოც-ორმოცი ამ „საერთაშორისო“ კუპეში გადაიხადა. რაღა დამრჩა?

— ოცდაათი მანეთი მაქვს. ღამეს ამ სავარძელში გავათევ.

— მერე იქ?

— რომელი საათია?

— ათ წუთში გავალთ. აგე, ენრიკოც გამოჩნდა!

თაზო დაუმშვიდობებლად გავარდა კუპედან. რა ჭია შეუჩნდაო, ფიქრობდა გაკვირვებული ნიკო, როგორი ახირება იცის ხანდისხანო, თუ ეწყინა, რატომო?!

კუპეში ენრიკომ შემოაბიჯა, ჩანთა კუთხეში მიაგდო და საწოლების ამორტიზაცია შეამოწმა.

— ა, როგორია? – იკითხა კმაყოფილმა.

— მგონი, კუპირებულსაც არაუშავდა, თან ამის ნახევარი ფასია.

— სამაგიეროდ, ორი ღამე კაცურად იძინებ. ჭამაში ფული არ დაგვეხარჯება.

— ეგ რატომაო?

— გაიხედე დერეფანში, რესპუბლიკის „ობეხეს“ ნაკრები მოდის, ბესო გახოკიძის სარდლობით.

— აბა, რომელია?

— მაღალი, სქელწარბა.. არ იცნობ?!

— ახლოდან არ მინახავს.

— ჰო, რა უნდა მეკითხა, რისთვის მივდივართ?

— მოსკოველ და ლენინგრადელ მეძავებში საგრიალოდ.

— ეგ ხო თავისთავად. დამატებით?

— რუსეთის ბაზრებში ქართველი „სპეკულანტების“ გამოსაჭერად და გამოსაჭენებლად.

— ზოგი თავის ეზო-გარემოში მოყვანილს ყიდის. როგორ უნდა გავარჩიოთ?

— ეგ ობეხეესნიკებმა იციან.. დავიძარით.

მატარებელმა ნელ-ნელა მოუმატა სვლას. კუპეში აქოშინებული თაზო შემოვიდა, სავარძელში ჩაეხეთქა და მუცლიანი პორთფელი გვერდით მოიდგა.

— ვა, თაზო?! – ერთდროულად აღმოხდათ ნიკოს და ენრიკოს.

— აბა, რა გეგონათ, უჩემოდ აპირებდით დედაქალაქში გრიალს?

— კი, მაგრამ ხომ აგიხსენი..

— შენ ნუ ინერვიულებ. ნიკუნია, თვითონ მივხედავ თავს.. ისე, რომელ სასტუმროში აპირებთ?

— ლუქსები და ნახევრადლუქსებია დაჯავშნული სასტუმრო

„მასკვაში“. — ენრიკომ ჩანთიდან სანოვაგის ამოლაგება დაიწყო და ზედ „ვარციხე“ მოაყოლა, — ჭიქებს გამცილებელს გამოვართმევ.

ამის თქმა იყო და გამცილებელმა, შუახანს გადაცილებულმა ქალმა, შემოაბიჯა.

— ბილეთები!.. ინებეთ.. თქვენი?

— მე მეზობელი ვაგონიდან ვარ, ცოტა ხანს მეგობრებთან ვიქნები.

გამცილებელი გავიდა. ენრიკო გაჰყვა ჭიქებისთვის.

თაზო გვერდით ვაგონში გადავიდა და მალევე დაბრუნდა. გამცილებელს მოველაპარაკე, ვაგონი მაინც ნახევრადცარიელი მირიხინობსო..

მეორე დღეს, ნაშუადღევს, როსტოვში ჩავიდა, კაცი მყავს მანდ სანახავიო, არ ინერვიულოთ, დაგეწევითო..

მერე გაირკვა, რომ თაზოს მარტივი არითმეტიკული გათვლა ჰქონდა: როსტოვიდან მოსკოვამდე ბილეთი მხოლოდ ათი მანეთი ღირდა..

ნიკო და ენრიკო ნახევრადლუქსში მოათავსეს, ორსაწოლიანი საძინებლით და მისაღებით, რომელშიც, მაგიდასთან ერთად, მაცივარი და ვეება რბილი ტახტი იდგა. ამ ტახტზე, თითქმის იმავდროულად აღმოცენებულმა თაზომ ლოგინი გააშლევინა დღე-ღამეში მანეთად..

ნიკო და თაზო რევოლუციის ხალხმრავალ მოედანზე, ერთ-ერთ ღია კაფეში, დასხდნენ. ყავა დაუკვეთეს. მეზობელ მაგიდაზე ორი სიმპათიური გოგონა, უკვე ნაყავევს, სიგარეტს ეწეოდა და მხიარულად მასლაათობდა. თაზომ მათი მზერა დაიჭირა და გაუღიმა. როგორც კი საპასუხო ღიმილი დაინახა, გადავედითო, ნიკოს უთხრა. ყავის ჭიქები აიღეს და გოგონების მაგიდას მიუსხდნენ. თაზო ისე სწრაფად გაუშინაურდა, იფიქრებდი, ეს მოსკოველი გოგონები მთელი ცხოვრება მის მოლოდინში იყვნენო.

— რა აზრის არიან ჩრდილოეთის ასულები სამხრეთელ

ცხელსისხლიანებთან საღამოს გატარებაზე? - იკითხა თაზომ, როცა გოგონები წასასვლელად გაემზადნენ.

— დადებითის, - აკისკისდნენ, - სად და რა დროს?

— შვიდ საათზე, „მასკვას“ წინ.. ერთი წუთით!.. ჩვენთან ერთად არიან დარჩეული ქართველი ვაჟკაცები, იქნებ მათი სიამოვნებისთვისაც გვეზრუნა?

— კი, ბატონო, - თქვა ტომამ, - დაგვსვით ტელეფონის აპარატთან.

სასტუმროში ავიდნენ, ტელეფონს მიუსხდნენ და ატეხეს რეკვა.

— რამდენი დიაცი გვჭირდება? - იკითხა ნადიამ.

— ყველაზე ცოტა, შვიდი, - დაუკვეთა თაზომ, - თქვენ გარდა, ცხადია..

საღამოს, შვიდი საათისათვის, სასტუმროს წინ, იდგნენ ნიკო და თაზო, თავიანთ ბანოვანებთან ერთად. შენობის კედელთან ჩამწკრივებულიყვნენ „ობეხეესნიკები“ ბესო გახოკიძის ლიდერობით. რაღა თქმა უნდა, ამ „გადანახულების“ უპირველეს მიზანს დიაცის სასურველი კადრით ბესოს დაკმაყოფილება წარმოადგენდა. ამიტომ ყოველი ახალი ბანოვანის გამოჩენაზე თაზო და ნიკო მის რეაქციას აკვირდებოდნენ ქალთაგან შეუმჩნევლად. თუ ლიდერი თავს გადააქნევდა, დაწუნების ნიშნად, ან გულგრილად განზე გაიხედავდა, „წუნდებულ“ დიაცს რომელიმე რიგითს დაუწყვილებდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ მეწუნია სარდალი მარტოდმარტო დარჩა კედელთან. ბანოვანების ნაკადიც შეწყდა. ის იყო ბესომ წასვლა დააპირა, რომ მოსახვევიდან მოდელის აღნაგობის ქერათმიანი ბანოვანი გამოპაკუნდა. კაცები უიმედო მოლოდინით მიაჩერდნენ. „აბა, ეს კი არ მოვა ჩვენს მარაქაშიო,“ დანანებით გაიფიქრა ნიკომ. არადა, მოხდა „სასწაული“, მოდელი ტომას და ნადიას მიესალმა, ბიჭებს ხელი ჩამოართვა, თან „სვეტაო“, დააყოლა. თაზომ და ნიკომ აღფრთოვანება ვერ დამალეს და ერთი პირობა დაავიწყდათ კიდეც ბესოსკენ გახედვა, რომელიც გამალებული

აქნევდა თავს მოწონების ნიშნად,

გახარებულმა თაზომ სვეტა განზე გაიხმო, ბესო დაანახა და მასთან დაწყვილება შესთავაზა. თქვენ წარმოიდგინეთ, სვეტამ ტუჩი აიბზუა და არავითარ შემთხვევაშიო, განაცხადა.

— რატომ?! - განცვიფრდა თაზო, - შეხედე, რა ვაჟკაცია, რა ჭირს დასაწუნი?!

— არ მომწონს და მორჩა! - სვეტას გადაწყვეტილება საბოლოო იყო, - თუ ინებებს, ნიკოსთან დავრჩები.

— ეს ციცქნა გირჩევნია იმ დევივით ვაჟკაცს?! - კიდევ ერთხელ სცადა დაყოლიება თაზომ. ამაოდ. - ნიკუშ, შენთან ბოდიში, საქმეს სჭირდება!

ორთავემ ბესოსკენ იბრუნა პირი და მხრები დამნაშავეებივით აიწურეს. ბესო მიხვდა საქმის ვითარებას:

— ერთი მაგის ბოზი დედაც!.. - შეიგინა და სასტუმროში შებრუნდა..

დილიდან მოედვნენ მოსკოვის „საკოლმეურნეო“ ბაზრებს. სამდღიანი რეიდის „ნადავლს“ თხილითა და ხილით მოვაჭრე ქართველი გლეხები წარმოადგენდნენ. ყველას ხელზე ჰქონდა ბეჭდიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებდა, რომ მავანი საკუთარ საკარმიდამოში მოწეული პროდუქტით ვაჭრობდა. აბა, რაღას ვერჩითო, იკითხა ნიკომ.

— ყველა საბუთს არ დაეჯერება, - აუხსნა გამოცდილმა ექსპერტმა, - ბევრია ნაყალბევი.

— მერედა, მაგას რანაირად დაადგენთ?

— ადგილზე შევამოწმებთ, სოფლებში, მართლა საკუთარს ყიდიან თუ სხვათაგან შეძენილს. თუ შეძენილია, სპეკულაციასთან გვაქვს საქმე და სასჯელიც სათანადო შეეფარდებათ.

ღღესდღეობით, იმ „დასჯად სპეკულაციას“ ყოვლად ლეგიტიმური და კანონიერი „ბიზნესი“ ჰქვია.

შეიძლებოდა ამ მიმართულებით თხრობის გაგრძელება, მაგრამ ჯობს უფრო საინტერესო და ჩვენი მაგისტრალური ხაზისთვის საჭირო ამბებს დავუბრუნდეთ.

ერთს კი გეტყვით სქოლიოს სახით: გადამღებმა ჯგუფმა ლენინგრადის ბაზრებიც მოიარა, იქ მოვაჭრე ქართველი „სპეკულანტები“ გამოავლინა, მოსკოვს ჩამობრუნდა და მატარებლით გამოემგზავრა მშობლიურ რესპუბლიკაში. თაზო ივანიშვილი კი, რომელიც ოცდაათი მანეთით ჩაჯდა მოსკოვის მატარებელში, ორი კვირის მერე გამოჩნდა ტელევიზიაში, ახალი კოსტუმით და დასვენებული ფიზიონომიით.

— ალფონსინო? - გაექილიკა გენო ლომჯარია.

— ნოუ! ნოუ ალფონსინო, - არ დაიბნა თაზო, - პრეზენტინო!

იმის გამოჩხრეკას ნუღარ შევუდგებით, მართლა ალფონსობდა თუ მადლიერების გამო მიაგებდნენ პატივს. მთავარი ისაა, რომ უმადური და უკმაყოფილო არავინ ჰყოლია არასოდეს. ცხადია, ქალებს ვგულისხმობ.

დედისგინების შესახებ

ალბათ, შეხსენება არ გჭირდებათ, რომ ნიკო უჯმაჯურიძეს ხათრიან, დამთმობ და მიმტევებელ კაცად იცნობდნენ, მაგრამ საკუთარი ღირსების განცდა და ამ ღირსების დაცვის მოთხოვნილებაც ჰქონდა. ეს ზნეობრივი კოდი ყოველ ჩვენგანში დევს მეტნაკლებად და დაუკითხავად მოქმედებს. ვინმემ რომ მუშტი გამოგიქანოს, დაუფიქრებლად აარიდებ სახეს, თუკი დედას შეგაგინებენ, შენც საპასუხოს მიაგებებ, რა თქმა უნდა, გაუცნობიერებლად.

თუმცა, დედისგინებასთან დაკავშირებით, რუსეთში, მაგალითად, ძირითადად არატიპიური სიტუაციაა. მოსკოვში, სანდუნოვში, რუსულ აბანოში, საორთქლეს კიბეზე დავაპირე ასვლა. ყოველ მომდევნო საფეხურზე სიცხე მატულობდა. ერთ მომენტში სუნთქვა შემეკრა და გავჩერდი. უკნიდან ვიღაც ხელს მკრავს:

— პადნიმაისა. იო.. ტვაიუ მაც!..

გამწარებული მოვუბრუნდი და სამმაგად შევაგინე.

— რა მოგივიდა?! - მკითხა განცვიფრებულმა.

— აბა, რატომ მაგინებ?

— ვინ გაგინებს?! - გადაირია რუსი.

— შენ არ მითხარი „იო.. ტვოიუ მაც..“?

— დავუშვათ. მერე?.. ეგ რა გინებაა?!

— აბა, რაა, ალერსი?

— დიხაც, როგორც თქვენი „გენაცვალე“!..

ეს გარემოება სწორედაც რომ კურიოზულია, ვინაიდან დედისგინება რუსის მოგონილია და ქართულ ანტიზნეობაშიც აქედან ჩაინერგა.

ქართული ცნობიერებისათვის, დღესდღეობით, დედისგინება ყოველთვის დედის გინებაა და საპასუხო რეაქციაც ნიადაგ ადექვატურია. საკუთარი ღირსების დაცვის ინსტინქტი ღრმადაა გამჯდარი ძვალ-რბილში.

ისე, ჩვენში დარჩეს და გინებაში ზოგჯერ არის თავისუფლების ელემენტი. კი, თავისუფლების და კომიზმის - გააჩნია ვინ და სად იგინება, უხდება თუ არა ბილწსიტყვაობა. ერთხელ, სტუდენტობისას, ზამთრის არდადეგებზე, ბაკურიანში შევესწარი მეხუთკურსელი „მედიკების“ უპურ-ღვინო საცეკვაო „მეჯლისს“. მთელი კაიფი გინების განუწყვეტელ პროცესში იყო ჩაქსოვილი. იგინებოდნენ განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა. ფრაზა მით უფრო ფასეული და ლაღი იყო, რაც მეტად მრავალსართულიანსა და ორიგინალურს მოიფიქრებდნენ. ამ პოზიციიდან შეუდარებელი გახლდათ ჯემალ სურგულაძე. ქალებში მაია შანიძე ლიდერობდა. „გველოთი“ იწყებდა და ისეთ შემოქმედებით კორიანტელს დაატრიალებდა, სიცილით ვიხოცებოდით. თავის გამოჩენას ყველა ცდილობდა, თუმცა ზოგს არ გამოსდიოდა. ერთი ვარიანელი თმახუჭუჭა მუტრუკი რომ პირს დააღებდა და ფრაზას წამოისროდა, ყურებში თითები უნდა დაგეცვა. უხერხულ სიჩუმეს ისევ ჯემალის ან მაიას ტალანტი თუ გაფანტავდა. ასეა, უნდა იცოდე, რა გიხდება და

რა - არა!

ეს ყველაფერი, თქვენთვის ისედაც კარგად ცნობილი, იმიტომ მოვყევი, რომ ნიკოსთვის თავსმოხვეული ინციდენტის ავან-ჩავანი თანამშრომელთან ფიზიკური დაპირისპირებისა ანუ ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, მუშტი-კრივისა, თქვენთვის განმემარტა.

აღვწეროთ წინასაკონფლიქტო სიტუაცია: ნიკო ზის სამუშაო ოთახში და ხვალინდელი „მახარეს“ ტექსტებს უკირკიტებს. ხალხი კარგა ხანია გაიკრიფა. ერთი სტუმარი-რესპოდენტი ზის და ინტერვიუს ჩაწერას ელოდება, თან გაზეთს ათვალიერებს. იღება კარი და „მოხეტიალე“ კორესპონდენტი, ბეგლარ ჩუხრუკიძე, შემოყოფს თავს.

— ვა, ბეგლარ, კარგია რომ მოხვედი, შენთან ვაპირებდი დარეკვას.

— ხომ მშვიდობაა?

— შენი სიუჟეტი ამოვიღეთ, ძალიან არაესთეტიკურია, კანალიზაციის მილები და ის მასა.. უხერხულია.. მასალას გადავაგზავნით და მდგომარეობა გამოსწორდება.

— გამოდის, რომ ტყუილად ვიშრომე! რა, მაგაზე უარესი მასალა არ გადაგიცია?

— არა მგონია, ბეგლარ, ძმაო და თუ გადაგვიცია, ძალიანაც მიგვიქარავს.

— მე კი მგონია, რომ ახლა შენ მიჰქარავ!

— რა გჯირს, ბეგლარ, რაღაც თარს ფეხზე ხარ დღეს ამდგარი, - ნიკო თან სტუმარზე ანიშნებს, უცხო კაცთან თავი შეიკავეო.

— თარსად თავად იქცევი, - არ ცხრება ჩუხრუკიძე, რომლის ჟურნალისტურმა რეიტინგმა სწორედ ნიკოს დამსახურებით მიაღწია გარკვეულ დონეს, - ეგ ტელეჟურნალი შენი საკუთრება გგონია!

— ბეგლარ, არა გრცხვენია?!

— მე თუ შენ?

ნიკო მაგიდის მისადგომებს ტოვებს, სტუმრის თანდასწრებით უსიამოვნო დიალოგისთვის თავის არიდებას ცდილობს, ჩუხრუკიძეს მკლავში ხელს ჰკიდებს და დერეფანში გაჰყავს.

— ერთი მიბრძანე, რა პრეტენზიები გაქვს? რა ეშმაკი შეგიჩნდა, ვერ გამიგია!

სწორედ აქ ხდება სრულიად წარმოუდგენელი, განსაცვიფრებელი, დაუჯერებელი რამ: ჩუხრუკიძე, სამი შვილის მამა, ორივე მაჯაში ჩაავლებს ხელებს ნიკოს და არც მეტი, არც ნაკლები, ქუჩურ თაურს გაუქანებს სახეში! ფიზიოლოგიური რეაქცია ნიკოს თავს უკან გააწევინებს, მაგრამ იქ კედელი დახვდება და კარგა მედგრადაც.

სანამ ნიკოს ქვეცნობიერი რეაქციების გაგრძელებას აგიწერდეთ, მცირე ხნით უნდა გადავინაცვლო საკმაოდ ახლო წარსულში. ეს ნიკოს ცხოვრების ის მონაკვეთია, როცა ტელევიზიაში მისი დამკვიდრების პროცესი მიმდინარეობს და მინიტესტებს უტარებენ სხვა და სხვა სფეროში. პირველი გამოცდა „ბაშმაკამ," ყოფილმა კალათბურთელმა, ჩაუტარა ჭადრაკში. ნიკო რიგიანად თამაშობდა ჭადრაკს და თუ დაიჯერებთ, ორი სისტემაც ჰქონდა დამუშავებული: თეთრებით ლაზიერის გამბიტი და შავებით – ფრანგული დაცვა. რაღა გასაკვირია, რომ ბაშმაკამ, ტელევიზიის ყველაზე ძლიერმა მოჭადრაკემ, ყაიმიც კი ვერ გაუკეთა. შემდეგი ტესტი ჯანღონის შემოწმებაზე იყო ორიენტირებული, ვინაიდან რმდენიმე ოთახში შეყუჟულ, ახალფეხადგმულ ტელევიზიას არავითარი დარბაზი და სპორტული ინვენტარი არ გააჩნდა, გადაწყდა „არმრესტლინგში" (ხელის გადაწევაში) ტესტირება. ადრეც გითხარით ნიკოს მოკრძალებული ახოვანების თაობაზე და არცთუ იმდენად გამოკვეთილ მუსკულატურაზე, მაგრამ არ აღმინიშნავს მისი შენიღბული სიჩაუქე და გარეგნობასთან შეუსადაგო ფიზიკური ძალა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ნიკომ ტრიუმფით გადაუარა ტელევიზიის მეტნაკლებად ჩაკუნთულ ვაჟკაცებს და ბოლო შეხვედრა დათვივით ღონიერ

ვახტანგ ქათამაძესთან დაუგეგმეს. შეგიძლია წინასწარ აღიარო დამარცხებაო, უთხრეს. კი, ბატონოო, დაყაბულდა, მეორე ადგილი სრულიად მაკმაყოფილებსო. ეგრე არ გამოვა, ნურას უკაცრავადო და დაგეგმილი „ფინალი“ მაინც შედგა.

უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა, როცა თავიდან ირონიულად მოღიმარი ქათამაძის მაჯა მაგიდას გაეკრა.

— უჯეროა! –გადაირია ქათამაძე, - კიდევ ერთხელ ვცადოთ! ბიჭო, შენ როგორ უნდა დამადებინო ხელი!.. მე მგონი, ჩამეძინა!.. მოდი, ერთხელაც!

— არ შემიძლია, ვახტანგ, მკლავი მეტკინა! ა, ნახე, ძარღვები დასკდომაზეა.

— გარბიხარ?. ერთიც-მეთქი!

— მაშინ მარცხენით.. მხოლოდ ერთი ცდა, ბოლო.

ბოლო ცდა კარგახანს გაგრძელდა, ცვალებადი უპირატესობით, ნიკომ შეატყო, როგორ თანდათან იბოღმებოდა ქათამაძე და პოტენციური მეგობრის მტრად გადაკეთება არ ისურვა, წინააღმდეგობა ნელ-ნელა შეასუსტა და მაჯა მისცა.

ქათამაძის თავმოყვარეობა შეულახავი დარჩა. ის კი არა, ნიკოს აკოცა და ვერ წარმოვიდგენდიო, განაცხადა.

ამ მონათხრობის შემდეგ აღარ უნდა გაგიკვირდეთ ჩემ მიერ უადგილოდ შეწყვეტილი ინციდენტის გაგრძელება.

თაურ დარტყმას მოჰყვა ნიკოს მაჯების გათავიუფლება და ხელის ორჯერ გაქნევა, რის შემდეგაც ჩუხრუკიძე, რატომღაც, იატაკზე გაშხლართული აღმოჩნდა, თან ცხვირიდან წითელი ნაკადი მოწანწკარებდა.

გაკვირვებული ნიკო იდგა და მზად იყო ჩუხრუკიძის მორიგი შეტევის მოსაგერიებლად. ჩუხრუკიძე მართლაც წამოდგა, მაგრამ საპირისპირო მიმართულებით წავიდა, თან გზადაგზა წითელ კვალს ტოვებდა. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ყველაზე „დასახლებულ“ („მოამბის“) ოთახში შესულა და დემონსტრაციულად წაქცეულა.

აბა, სასწრაფოო, კაცი კვდებაო! პირველი დახმარებაო!

გააქანეს საავადმყოფოში.

მოვარდა ზაურ ბარათელი: აუცილებელია კონტრზომები, თორემ დაგიჭერენ, ჩემო ნიკო, სამსახურს ვინდა ჩივისო! ჩაისვეს მანქანაში და კამოს ქუჩაზე, კლინიკაში, მიიყვანეს. დაეხვივნენ ნაცნობ-უცნობი მედიკოსები: კი, ბატონო, დავაწვინოთ, მაგრამ რა ჩავუწეროთო. ტვინის შერყევაო, ოთარ ტრაპაიძემ, პათანატომმა, თავზე ყინული დავადოთო.

გვიან საღამოთი მილიციის ლეიტენანტი გამოჩნდა ჩუხრუკიძის ჩვენების კვალდაკვალ და ნიკოს დაკითხვა მოუწყო. ნიკომ პატიოსნად უამბო ყველაფერი და ოქმზეც მოუწერა ხელი.

დილით გაეწერა. მედპერსონალმა „საზეიმო“ გაცილება მოუწყო. დაარიგეს: აბა, შენ იცი, ქუჩაზე ფრთხილად გადადიო!

ტელევიზიაში ფეხი შედგა თუ არა, მორისი გეძახისო, უთხრეს. მორისი იმჟამად უწყების „პარტკომი“ იყო და ყველაფერი მოეკითხებოდა. თანაც ჩხუბს შესწრებია და ყველაფერი დაუნახავს.

— შენ არ ინერვიულო, - უთხრა ნიკოს, - არაფერში ხარ დამნაშავე, აგერ ვარ ცოცხალი მოწმე და თუ საჭირო გახდა, ყველგან წამოგყვები.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ნიკო პროკურატურაში დაიბარეს. იმ დღეებში საათი არ იყო, ჩხუბი რომ არ გახსენებოდა და ხასიათი არ წახდენოდა. შინაგანად მუდამ ძალადობის და მუშტიკრივის წინააღმდეგი იყო და შეწუხებული ფიქრობდა წვრილშვილიანი ჩუხრუკიძის მდგომარეობაზე. ისიც კარგად უწყოდა, რომ თავად უდანაშაულო იყო. ქვეცნობიერ იმპულსებს, როგორც ჩანს, ყოველთვის ვერ გააკონტროლებ, მუხრუჭის ფუნქცია ითიშება და ცნობიერებას არაფერი ეკითხება.

პროკურორთან მორისი შეჰყვა. ნიკოს წარმოდგენაში პროკურორი მკაცრად წარბშეყრილი, უემოციო ვინმე უნდა

ყოფილიყო, ამიტომ გაუკვირდა, როცა კაბინეტში თეთრთმიანი, მოღიმარი კაცი დახვდათ.

პროკურორმა ყურადღებით მოუსმინა ნიკოს და მორისის მონათხრობს და საქმე ტელევიზიას დაუბრუნა „ამხანაგურ“ სასამართლოზე განსახილველად.

„სასამართლოს“ სხდომას, რომელიც სააქტო დარბაზში გაიმართა, თითქმის მთელი ტელევიზია ესწრებოდა. სცენაზე ისხდნენ „მსაჯულები“: მორისი, „პროფკომი“ ვარლამი - გადამდგარი მაიორი, მთავარი ბუღალტერი შოთა, იურისტკონსულტი ენვერი და სხდომის თავმჯდომარე, ტელეგაზეთის რედაქტორი, ლოყაწითელი ალექსანდრე.

სხდომას და დამსწრე საზოგადოებას საქმის ვითარება გააცნო სამეცნიერო გადაცემათა რედაქტორმა, ცნობილმა მთამსვლელმა, ელგუჯა ხარაიძემ, რომელიც გამოირჩეოდა მწყობრი, ნათელი, მსჯელობით და რაც მთავარია, მიუკერძოებლობით. კიდევ ერთი ახირებით იცნობდნენ ხარაიძეს: ვინმე რომ ხელს ჩამოართმევდა, ვინც გინდა და დღის რა მონაკვეთი ყოფილიყო, ტუალეტში გარბოდა საკუთარი საპნით და პირსახოცით და გულდასმით იბანდა ხელ-პირს. ხელებს – გასაგებია, მაგრამ პირს რატომ, არავინ იცოდა. გუჯას ტუალეტში სირბილი ზოგჯერ ისე ხშირი იყო, რომ თანამშრომლები სიცილით იგუდებოდნენ.

ხარაიძის ინფორმაციიდან ცხადი გახდა, რომ ნიკო კონფლიქტის მიზეზს კი არა, მსხვერპლს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტის შედეგად ფიზიკურად დაზარალებული ჩუხრუკიძე აღმოჩნდა.

— წარმოიდგინეთ, - მიმართა დარბაზს ხარაიძემ, - ჟურნალისტი ზის და ეთერში გასაშვებ მასალაზე მუშაობს. ამ დროს შემოდის კოლეგა და გამომწვევად იქცევა უცხო სტუმრის თანდასწრებით. უჯმაჯურიძეს დერეფანში გაჰყავს ჩუხრუკიძე და ცდილობს დააშოშმინოს. ეს უკანასკნელი კი რას შვრება? ამ ხნის კაცი, ქუჩის ბიჭივით, თაური დარტყმით

პასუხობს. უჯმაჯურიძის რეაქცია, ცხადია, ინსტიქტური და მომენტალური იყო. ჩემი დასკვნა ასეთია: ჩუხრუკიძემ ააგორა ეს კონფლიქტი, პირველმა დაარტყა და საკადრისი პასუხიც მიიღო. ნათელია, რომ დამნაშავე აქ ერთადერთია: ჩუხრუკიძე. ვფიქრობ მისი ადგილი ჩვენს დაწესებულებაში არ უნდა იყოს და საერთოდ, ჟურნალისტურ საქმიანობაშიც საეჭვოდ მიმაჩნია.

— რას იტყვის დაზარალებული მხარე? - იკითხა თავმჯდომარემ - ნიკო უჯმაჯურიძეს მოვუსმინოთ,

— ბატონო თავმჯდომარე, პატივცემულო მსაჯულნო, ბატონებო და ქალბატონებო! - დაიწყო ნიკომ - უნდა მოგახსენოთ, რომ მსგავსი ინციდენტი მეორედ მოხდა ჩემ ცხოვრებაში და მიხარია, რომ არც ერთი არ იყო ჩემი მიზეზით. ამის მიუხედავად, ვწუხდი და ახლაც ვწუხვარ იმის თაობაზე, რაც მოხდა. ჩხუბით და ძალისმიერი მეთოდებით არასოდეს დადგენილა ჭეშმარიტება და არც არასდროს დადგინდება. მჯერა, რომ ჩუხრუკიძეც განიცდის მომხდარს და ალბათ, ნანობს კიდეც.. ჩემი გულწრფელი თხოვნა იქნება სასამართლოს წინაშე: ჩუხრუკიძე სამი შვილის მამაა და რამდენადაც ვიცი, მის მეტი მარჩენალი ოჯახს არ ჰყავს. მოდით, ვაპატიოთ, ნუ გავრიყავთ და ნუ დავტოვებთ უსამსახუროდ!

ნიკოს ბოლო სიტყვები ტაშმა დაფარა. აქა-იქ ქალებმა ცხვირსახოცები დააძრეს და ცრემლები შეიმშრალეს. ადგილისკენ მიმავალ ნიკოს ხელს უწვდიდნენ, მხარზე უთათუნებდნენ.

— ყოჩაღ, ბიჭო, მაგარი სიტყვა იყო! - უთხრა თვით „ბრალმდებელმა“ ელგუჯა ხარაიძემ.

„სასამართლოს“ გადაწყვეტილება ნაწილობრივ კურიოზული გამოდგა: ჩუხრუკიძე დათხოვნილ იქნეს ტელევიზიიდან, ხოლო უჯმაჯურიძეს გამოეცხადოს საყვედური თავშეუკავებლობისთვის.

დარბაზის პროტესტის მოუხედავად, განაჩენი, რომელიც კასაციას არ ექვემდებარებოდა, უცვლელი დარჩა და რაც მთავარია, მეორე დღესვე იქნა აღსრულებული.

ფიქრის ფანჯარა

(ყველის გამყიდველი)

ის იყო, ნიკომ სიგარეტს მოუკიდა და რაფას გადაეყუდა, რომ კარი სალომემ, შვილიშვილმა, შემოუღო:

— ნიკო, რომ დამდგარხარ და აფუილებ, იცი, რომ ყველი აღარ გვაქვს?

— რატომ? - იკითხა ნაძვის ტოტზე შემომჯდარ ყვავზე კონცენტრირებულმა ნიკომ.

— რა „რატომ“, გათავდა!

— ესე იგი, ბევრს ჭამთ! - ყვავმა ფრთები გაისწორა და გასაფრენად მოემზადა.

— მოგვიტანე!

ყვავი გაფრინდა.

— მოწევას მაცლით?

ყველი ყოველდღე იჭმება. ნუთუ ყველის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება? არადა, კაი ყველს ალტერნატივა არა აქვს. იმერული ნასვრეტებიანი, მეგრული სულუგუნი, რძე რომ გასდის, ალვანის გუდის ყველი.. ჰო, ჰო!. ყველი მართლაც შეუცვლელია, მაგრამ მისი გამყიდველი რახანია სახელგატეხილია.

ეს „პროფესია“, ისტორიულად, თვალთმაქცობასა და სიხარბეშია შემჩნეული. მისთვის, როგორც მოვაჭრეთა უმრავლესობისთვის, მიუღებელია ბიბლიური მაქსიმა „არა იცრუო!“ ზნეობის ამ დეფიციტს ისინი ჯიბეში (საფულეში) ჩადებული საძრახისი გზით მოხვეჭილი ხურდით ან ქაღალდის კუპიურებით ავსებენ.

„რავა ყველის ვაჭარივით იკრიჭებიო!“ - იყო ასეთი მოარული ფრაზა, რომელიც ამ პერსონაჟების ფარისევლობაზე და შესაძლოა, ცინიზმზეც, მიანიშნებდა.

ნიკოს, პირდაპირ უნდა ითქვას, თავი ყველის ექსპერტად მიაჩნია. ვინც მის მიერ დაგემოვნებულ და შესაბამისად,

შეძენილ, ყველს გასინჯავს, შინაურიც და გარეულიც, აღფრთოვანებას ვერ მალავს. რანაირად მოგაქვს ყოველთვის გადასარევი ყველიო, ეკითხებიან. ამ შეკითხვაზე სერიოზული პასუხი შეუძლებელია. ყველის არჩევაში შეგრძნების ყველა ორგანო მონაწილეობს, გარდა სმენისა (თუმცა, იქნებ ვცდები, სმენის ორგანო რომ უგულებელვყავი: ხომ მღეროდნენ, „ჭყინტი ყველის ჭამა მიყვარს, კბილის გაკრაჭუნებაო“?.. კრაჭუნის აღქმას უსათუოდ ყური სჭირდება). მათ შორის, თავად მოგეხსენებათ, უმთავრესია ენა და ცხვირი ანუ გემო და სუნი. ისე, თვალის შევლება და ხელით მოსინჯვაც არ აწყენს მაგ პროცედურას.

აქედან გამომდინარე, არ არსებობს ყველის არჩევის „რეცეპტი“. როგორც მიტროფანე ლაღიძე იტყოდა, ენას რეცეპტში ვერ ჩადებ!

აქვე უნდა ითქვას, რომ ნიკო სრული პინგვინი გახლდათ (პინგვინებთან ბოდიში) ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტის დარგში, როგორიცაა ხორცი. ასევე გამოუცნობი იყო მისთვის გოგრა და საზამთრო. ხომ გაიძახიან „გადაფხიკე და მოიგეო!“, ამ შემთხვევაში უნდა მოგიწოდონ „გაჭერი და გაიგეო!“ რატომღაც ყველა კვახი ვანიდანაა და ყველა საზამთრო ვანო პაპას ბაღჩიდან. რამხელა სიხარულია, როცა გოგრა ან საზამთრო თავს არ შეირცხვენს,

ერთი სიტყვით, ყველის არჩევის უბადლო სპეციალისტი ჩამოივლის ამ პროდუქტის რიგს და გულდასმით უტარებს ექსპერტიზას ყველსაც და მის გამყიდველსაც. რომ იცოდეთ, გამყიდველიც მნიშვნელოვანი ფაქტორია. კონკრეტულ ეპიზოდში, რომელიც გამახსენდა, სწორედ ამ ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. სიმპათიურმა ქალბატონმა ნიკო მორიდებულად მიიპატიჟა:

— მობრძანდით, ბატონო, ჩემიც გასინჯეთ, გეტყობათ, ყველის არჩევა იცით!

— სადაურია? - წარმომავლობის დადგენა აუცილებელია,

თუმცა ყველა „საჩხერეს“ გაიძახის. გუდის ყველი, როგორც წესი, ალვანიდანაა.

— თერჯოლის გახლავთ, ბატონო, ჩემი ბიძაშვილის იჯახიდანაა.

თერჯოლა და არა საჩხერის ტრაფარეტი.

— გამასინჯეთ!.. მართლაც კარგია!.. ავწონოთ..

საღამოს, ჩაიზე მისატანებლად ლამაზად დაჭრილმა „თერჯოლის“ ყველმა აშკარად შეირცხვინა თავი - ამ პროდუქტს მხოლოდ „იმიჯით“ ჰგავდა, გემოთი - ჩალას ან გაზეთის ქაღალდს.

— შენ და ყველი შეგეშალა?! – განცვიფრდა მეუღლე.

— გავსინჯე, შენ თავს ვფიცავ!.. უგემრიელესი იყო.. დანით ამოჭრა.

— სხვა ყველის ნაჭერი გაგასინჯა. იმ დღეს ლამარას შეასაღეს, ქვემოთა მეზობელს. ყველის თავს გვერდიდან ამოღრუტნიან და კაი ყველის ნაჭერს დებენ. ლამარამ მიტანისთანავე დაჭრა ყველი სასაუზმოდ. როცა ჩაკბიჩა, გაცოფდა, სასწრაფოდ გადაიცვა და ბაზარში გავარდა. თურმე ძლივს გამოსტაცეს ხელიდან ყველის გამყიდველი.

— ამ შუაღამისას ხომ არ წავალ, გამითენდების, ვანანებ!..

— ო-ჰო-ჰო!..

მეუღლის ეს რეპლიკა მიანიშნებდა: ვიცით, ბატონო, რა ხმის ამომღებიც ხარო!

დილით ბაზარში ზერელედ შეათვალიერა ყველის რიგები, მაგრამ ის თაღლითი ვაჭარი ვერ შეამჩნია. მერე ერთ შავად შემოსილ თმადათოვლილ მანდილოსანს მიადგა, რომელსაც კალათაში კოხტად ამოყვანილი დერგის ყველი ეწყო. გამოელაპარაკა, მოუყვა წინადღის მარცხის, გამყიდველის უნამუსობის, ამბავი. ქალბატონს აღშფოთებისაგან სახეზე წამოაჭარხლა:

— მაგნაირებმა არ გაიხარონ თავიანთ ოჯახებში, რა უნდა

მოიგონ მაგნაირი თაღლითობით, არმად და შხამად!.. ღმერთისა მაინც არ ეშინიათ? აი, გასინჯეთ, ბატონო! როგორია? თუ არ მოგეწონათ, სხვას გაგასინჯებთ.. კლიენტს ვინც ატყუებს, მხოლოდ უსინდისო და ნამუსგარეცხილი კი არ არის, უტვინო და რეგვენიცაა. მოგეწონათ?.. მე ყოველთვის ამ ადგილზე ვარ..

საღამოთი ჩაიზე ლამაზად დაჭრილი ყველი, წინდღით შემოტყუებულისაგან მხოლოდ ტუალეტის ქაღალდის გემოთი განსხვავდებოდა.

კარგახანს, გაოგნებული, ძროხასავით უაზროდ ღეჭავდა ჩალას და ოსტაპ ბენდერისა არ იყოს, კინაღამ კაცობრიობისადმი რწმენა დაკარგა. რა ხდება, ნუთუ კაცი კაცს ვერ უნდა ენდოს?!

კი, მაგრამ ის ხომ ყველის გამყიდველი იყო!

ჭუკჭუკი თბილისურ ეზოში

დიახაც „თბილისურში“!

ვერ გამიგია, რატომ დაანათლეს ტიპურ ძველთბილისურ ეზოს „იტალიური“. ნიკოს „ნათხოვარი“ ნახევრადსარდაფი სწორედ თბილისურ ეზოში ბრძანდებოდა, იქ, სადაც ყველაფერი ყველას თვალწინ და მონაწილეობით ხდებოდა. ლხინიც საერთო იყო და სატკივარიც. თუმცა, ვერ დავმალავ, ხშირად ჰქონდა ადგილი წიოკობას, ჩხუბსა და აყალმაყალს, რასაც საერთო „კონსენსუსი“ და ურთიერთმაამებელი სადღეგრძელოები მოსდევდა.

იმ დღეს ნიკო ახალდაბინდებულზე დაბრუნდა „ბუნაგში“, დაღლილი და გამოფიტული. მივალ, გავიხდი და დავეგდებიო, ფიქრობდა გზაში. ეზოში შესულს „ადესის“ თალარით გადახურულ გრძელ მაგიდაზე გაშლილი პურ-ღვინო და მეზობლების კამპანია დახვდა.

— ვაა, ნიკო, რას მივაწეროთ შენი ასე ადრიანად

მოსვლა?!

— მოდი, თუ გვიკადრებ, ჭიქა დაგვილიე, წაიხემსე!

— ბატონო ნიკო! - ასე კუკური ბაღდავაძე მიმართავდა ყოველთვის, ტანადი, ცისფერთვალება მუსიკოსი, - მართალია, ჩვენი ერუდიცია და ინტელექტი თქვენთან ახლოსაც ვერ მოვა, მაგრამ არც მთლად წყალწაღებულები გახლავართ.

— კუკური, რატომ კადრულობთ, - დაიმორცხვა ნიკომ, - მე მგონი, პირიქითაა, თქვენს ხელოვნებასა და ტალანტთან ჩემი რა სახსენებელია!

— თუკი ასე ფიქრობ, - გაიხარა მუსიკოსმა, - აგერ დამიბრძანდი, ეს სულგუნი და შოთი გასინჯე, ცოცხალი დააგემოვნე და ჭიქაც აგვიწიე. თუ დალევა არ გინდა, სიტყვა მაინც გვითხარი და როგორც ძველი ბერძნები ამბობდნენ, ვალდებული ხარ ტუჩი მაინც გაისველო.

მაგიდის გარშემო ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსები ისხდნენ ძირითადად. ტრომბონისტი მურთაზ ბოკერია, დევივით წარმოსადეგი და მარადიული თამადა, თენგიზ ტეფნაძე, კლარნეტის ვირტუოზი - ოპერაში, მიწვევით, „დაისის“ უვერტურას ეგ იწყებდა, დათო სულიკაშვილი, მესაყვირე, გარნიზონის ორკესტრის სოლისტადაც მუშაობდა და სამხედრო ფორმით იჯდა, ბადრი ხუხუა, „ტუბაზე“ დამკვრელი და „მოკომპოზიტორე“ („მომწერლო-მოპოეტოს“ ანალოგი) პერსონაჟი. სხვათა შორის, ვალენტინა ტერეშკოვას გაფრენას ხუხუამ სიმფონიური პოემა მიუძღვნა და კომპოზიტორთა კავშირში მოსმენა მოაწყო (აჯობებდა გვეთქვა „ჩააწყო“). პოემას „ვალიადა“ დაარქვა. მოსმენის და მეჩხერი წატაშუნების შემდეგ ერთმა ენაკვიმატმა კომპოზიტორმა მეგობრულად იხუმრა: მაგას „ვალიადა“ კი არა, „ხუხუიადა“ უნდა ერქვასო. ხუხუა იმითაც იყო ცნობილი, რომ რაც უნდა ნაჭამ-ნასვამი ყოფილიყო, ტორტის ვეება ნაჭერს (ცხადია, თუკი სუფრაზე ტორტი იყო) ბლომად ტყემლის საწებელს გადაასხამდა, გულდაგულ აზელდა და ისე მიირთმევდა.

ამ კამპანიაში მხოლოდ კუკური ბაღდავაძე იყო შორიდან მოსული, დანარჩენები ამავე ეზოში ან მეზობლად ცხოვრობდნენ. ნიკომ იცოდა. რომ „თათარიახნი“ სუფრები უმეტესწილად სწორედ მისი ორგანიზებული იყო. „ორგანიზება“ კი, ხვდებით ალბათ, სასმელითა და მისაჭმელით უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა. ამ სასიამოვნო პიროვნებაზე მდიდარი ინფორმაცია მიაწოდა ტეფნაძემ. უნიჭიერესი მუსიკოსი და ფრიად ნაკითხ-განათლებული, მაგრამ ნიადაგ „გრადუსში“ მყოფი. ამის მიუხედავად, ერთი ნოტი არ შეშლია ცხოვრებაში. არადა, სად არ უკრავდა: პარიზის, ლონდონის, ლისაბონის, ბერლინის, ამსტერდამის („ამ შტერ დამისო“ – უყვარდა წახუმრება. თურმე მართლა ქალი ყოფილა დირიჟორ-მენეჯერ-სოლისტი) ორკესტრებში. ბოლოს თბილისში „ჩაუშვა ღუზა“.

კინაღამ გამომრჩა, მაგიდასთან კიდევ ორი მუსიკოსი იჯდა: ჭოკივით აწოწილი კონტრაბასისტი ნოე, რომელიც ყველას ყველაფერზე თავს უქნევდა და უღიმოდა და მევიოლინე სტიოპა, თბილისელი სომეხი, ჩია კაცი, პირზე რომ სულ “შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე!“ ეკერა. სტიოპა ყველაზე ხანდაზმული იყო, ოთხმოცს გადაცილებული და თქვენ წარმოიდგინეთ, პირადად იცნობდა ვიქტორ დოლიძეს და ზეპირად შეეძლო ჩაეღიღინებინა მისი თბილისური სიმფონია. თქვენი არ ვიცი და ნიკომ, სიტყვაზე, მისგან შეიტყო ამ სიმფონიის არსებობა და ერთი-ორჯერ წაამღერებინა კიდეც ყველაზე უფრო კოლორიტული ფრაგმენტები.

ნიკო ამ კამპანიაში არაერთხელ მჯდარა და უკვირდა, რომ მუსიკალურ თემებზე არასოდეს საუბრობდნენ. უფრო ყოფით, ყოველდღიურ, პრობლემებზე მასლაათობდნენ და ამ ნიადაგზე მწვავე შელაპარაკებაც მოსვლიათ.

კიდევ უფრო საკვირველი ის იყო, რომ ეს პროფესიონალი მუსიკოსები ერთმანეთს ხმას ვერ უწყობდნენ და სამხმიანს ვინ ჩივის, დუეტიც არ გამოსდიოდათ. ყველა ბანის თქმაზე იქაჩებოდა.

ამათი საცოდაობის შემხედვარე, კუკური ბაღდავაძე, ხითხითებდა და ცდილობდა რამდენადმე განყენებული თემებით დაეინტერესებინა თანამესუფრენი, რომელთა თვალში მაღალი რეიტინგის გამო ეს კიდეც გამოსდიოდა. ზოგჯერ რაღაც ბუნებრივ საბაბზე აშენდებოდა ხოლმე ფილოსოფიურად შეფერილი კამათი...

ერთხელ კუკურიმ პოლიეთილენის პარკიდან, სხვა სანოვაგესთან ერთად, ყუნწმოუცლელი რამდენიმე სურნელოვანი პომიდორი ამოალაგა. ხუხუამ ერთ პომიდორს ყუნწი მოაცალა და ნეტარებით დაყნოსა.

— საიდან ეს ცინცხალი პამიდორი? - იკითხა.

— ეკლესიის ეზოზე გამოვიარე, - კუკური თან ღვინოთი ავსებდა ჭიქებს.

— მანდ მოკრიფე?! - შეშფოთდა სულიკაშვილი, - როგორ შაიძლება!

— ვითომ რათაო?

— ღმერთი დაგსჯის!

— რისთვის, ხალხო?! პამიდვრის ჭამისთვის?! დავიჯერო, იმ ჯინსებიან მღვდელზე ნაკლებად მეკუთვნის პამიდვრის ჭამა? ეგეც რომ არ იყოს, პირჯვარი გადავიწერე და ღმერთს მადლობა შევწირე!

— მაინც დაგსჯის! - უკან არ დაიხია გარნიზონის ორკესტრანტმა.

— მოდით, ერთ რამეზე შევთანხმდეთ, ძვირფასო კოლეგებო, - კუკურიმ სავსე ჭიქა დადგა და ტუჩები შეიმშრალა, - ღმერთი არც პროკურორია, არც მოსამართლე, არც მილიციის უფროსი და არც რაიკომის მდივანი. უფალი ყოვლადსრული, ყველა დადებითი თვისებით შემკული უსასრულო და მარადიული არსებაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დიდსულოვანი და მიმტევებელი, ცოდვათა შემნდობი, პიროვნებაა. სასტიკი ღმერთები ძველ აღთქმაში დარჩნენ. ქრისტე, რაო, დამსჯელია? თუ დასჯილი, ტანჯული და თავმოდრეკილი?

— მართალს ბრძანებთ, - მორიდებით ჩაერია მაშინ ნიკო, - მაგრამ ძველი აღთქმის ანარეკლი ახალშიც შეინიშნება.

— რას გულისხმობთ, ბატონო ნიკო? - კუკური მოსასმენად მოემზადა, რაც იმით გამოიხატა, რომ მარჯვენა ხელის გაშლილი მტევანი ყურს წამოაშველა.

—სამ ეპიზოდს ახალი აღთქმიდან, - ყურზე ხელწამოფარებული კუკურის შემხედვარე ნიკო სიცილს ძლივს იკავებდა, - ლეღვის ხის გახმობის, ღორების კოლტის ჩაძირვის და მწიგნობრების დარბევის ეპიზოდებს.

— გასაგებია, - კუკურიმ ყურიდან ხელი ჩამოიღო, - ეგ ხომ იგავებია, ნიკო-ბატონო, პირდაპირ არ უნდა გავიგოთ. ლეღვის ხის იგავი გვეუბნება, რომ უნაყოფო ხე არსებობის ღირსი არ არის, ღორების კოლტის ტბაში ჩაძირვის იგავი ეშმაკეულის სულიდან განდევნის აუცილებლობაზე მიუთითებს, რაც შეეხება მწიგნობრებს, ისინი ფარისევლებთან იქნენ გაიგივებულნი და ამიტომაც დაისაჯნენ. მეთანხმებით?

— მისაღები ვერსიაა, - ნიკომ კამათის გაგრძელება ზედმეტად ჩათვალა, - ისიც ნათელია, რომ ეგ პამიდორი იმათზე ნაკლებად არ შეგერგებათ, ვისაც მათი ჭამა ჰქონდა ჩაფიქრებული.

— აგაშენა ღმერთმა! - ხმას აუწია კუკურიმ, - რა დიდებულად თქვი, ჩემო ნიკო! განათლებული და ფილოსოფიურად მოაზროვნე კაცი ხარ. აბა, ამ რეგვენებს რაზე უნდა ელაპარაკო?

მოულოდნელად კუკურიმ თითები პირში ჩაიყო და ყურისწამღებად დაუსტვინა იმდენჯერ, რამდენი კაციც იჯდა სუფრასთან. მერე თითები გამოიღო და გრძელი კლასიკური მელოდია სტვენით შეასრულა ვირტუოზულად.

— აიდა! – აღნიშნა ნიკომ.

— ხომ ვამბობდი, - აჭიხვინდა კუკური, - უნიკალური კაცია-თქო ბატონი ნიკო! თუ ნებას მომცემ, ხელზე გეამბორები..

ნიკომ მოასწრო ხელის წართმევა და იძულებული გახდა ლოყა შეეშვირა საკოცნელად.

— კაი ახლა, კუკური, ნუ შეაწუხე კაცი! - უსაყვედურა მურთაზმა.

— ბოდიში, ბატონო, უკიდურესი ბოდიში! - ხელები ასწია ბაღდავაძემ, - უმორჩილესად გთხოვთ პატიებას!

ეს ეპიზოდი აქ დავამთავროთ და მიმდინარე მომენტს დავუბრუნდეთ.

შეჟინჟღილებული კუკური ბაღდავაძე ენის კონტროლს ვეღარ ახერხებდა, მაგრამ ნიკოს დანახვაზე რაიმე განყენებული თემის ამოწევის სურვილი აეკვიატა.

— ნიკო-ბატონო, შენი აზრი მაინტერესებს ერთ საკითხთან დაკავშირებით.. ახლავე, მინდა სათქმელი დავალაგო, არ შევრცხვე.. ჰო!.. ადამიანი რას წარმოადგენს? საცოდავი არსებაა - ზამთარ-ზაფხულ, დღიან-ღამიან, შიშით ცახცახებს.. ზამთარში სიცივით იტანჯება, ზაფხულში - სიცხით. ქუჩაში მანქანებს უფრთხის, ტროტუარზე მაღლა იყურება - ემანდ აგური ან ტელევიზორის ანტენა არ დაეცეს, სახლშიც გული უსკდება - გაზი არ აუფეთქდეს ან მიწისძვრამ არ მოუსწროს.. თუ ტრიბუნაზე წამოიჭიმება და თავისუფალი სიტყვით თავს იწონებს, ცალი თვალი მაინც სპეცნაზისკენ უჭირავს.. - კუკურიმ შეისვენა და მოულოდნელად დასჭექა: „ნუ ელით ჩემგან, სოლიტერებო, თანადგომას და სოლიდარობას!“

ძნელი გასარკვევი იყო, „სოლიტერებში“ ვის გულისხმობდა ავტორი, მომიტინგეებს თუ „ნომენკლატურას“. მცირე პაუზის შემდეგ ბაღდავაძემ ახალი ენერგიით გააგრძელა:

— „შხამის ფიალა როცა ივსება, არ დაივიწყო, ძმაო, ღირსება, ხომ ნათელია მაინც ისედაც - რისი ღირსიც ხარ, ის გეღირსება!“

— საიდანაა ციტატები? - დაინტერესდა ნიკო.

— ჩამითვალე იმპროვიზაციად, ნიკო-ბატონო.. იქნებ ამიხსნათ, რის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს იმ უსუსურ არსებას, ადამიანი რომ ჰქვია.. მიპასუხე, თუ გიყვარდე!

— ბიჭო, რას შეუჩნდი ამ პატიოსან კაცს? - გაუმტყუნა

საქციელი სულიკაშვილმა,

— შენი საქმე არაა ეგ.. შენ შენ ქუდს მიხედე, გენერალო! მე და ბატონმა ნიკომ ვიცით.. ბრძანეთ, ნიკო-ბატონო!..

— მცდით? - ყოველი შემთხვევისთვის ჰკითხა ნიკომ.

— ვაი, მაშინ არ გაუთენდეს დილა კუკური ბაღდავაძეს!..

— მჯერა, მჯერა! - საჩქაროდ გააწყვეტინა ნიკომ, - თქვენც კარგად იცით, რა ურთულესი საკითხია.. იგივე ყოფნა-არყოფნის პრობლემაა.. ვითომ ღირს ახლა ამის გარჩევა?

— სარწმუნოება ვერ აგვიხსნის ვითომ? - ნიკოს შეკითხვას წაუყრუა ბაღდავაძემ.

— იცი, რა არის? სარწმუნოება კი არ პასუხობს, თავად კითხვას აუქმებს. რწმენის დოგმა გვკარნახობს: „ყოფნა!“ ან „არყოფნა!“ დასაბუთებაზე ბოდიში!

— თუ ნებას მომცემთ, ზეპირად მოგახსენებთ ჰამლეტის მონოლოგიდან: „არავინ უწყის „იქ“ რა დაგვხვდება, რა სიზმრები მოგვევლინება.. ვინ მოითმენდა უამისოდ ჟამთა სიმწარეს, მტარვალის ჩაგვრას, სიამაყის თავგასულობას, ტანჯვასა მწვავსა უარყოფილ სიყვარულისას, მართლმსაჯულების გვიანობას, მძლავრთ უკმეხობას, შეურაცხყოფას ღირსეულის უღირსისაგან..“

— სადღეგრძელოს მათქმევინებთ? - მოთმინების ძაფი გაუწყდა თამადას.

— გაშრა ყელი, კაცო! - სულიკაშვილმა „გენერლის“ ქუდი მოიხადა.

— რა შორსა ხართ სიბრძნისაგან, თქვე ვირისთავებო! - ამოიკვნესა ბაღდავაძემ.

— ფილოსოფოსი არ იყო, ბოჩკაში რომ ცხოვრობდა? - რიტორიკული კითხვა დასვა ვეება ლუკმით პირგამოტენილმა ხუხუამ, - მაგი იყო ბრძენი?!

— ჯერ-ერთი, ბოჩკაში კი არა, კასრში და მეორე: იცი, რატომ? არ იცი და ვერც გაიგებ!

— იცი, რას გეტყვი, კუკურია ბაღდავაძე, - ლუკმა

გადაყლაპა ხუხუამ და მზერა ავად, რაპირასავით, მოუღერა, - ზომას გადადიხარ.. ცოტა დაუკვირდი, რას ლაპარაკობ და ვის ელაპარაკები!..

— ო-ჰო-ჰო-ჰო! - წაიფხუკუნა ბაღდავაძემ, - დიდად გამოუცნობი მყევხარ, ხო იცი!.. ამება!

— ამოდენა ამება? – გაეცინა ტეფნაძეს.

— გაგაამებებ, თუ ვყოფილვარ ბადრი ხუხუა!

ნოემ იმარჯვა და ბოთლმომარჯვებული ხელი გაუკავა ხუხუას. იქით სულიკაშვილი ეცა ბაღდავაძეს.

— გეყოფათ! - იყვირა მურთაზმა, - მერე მიხვდა, რომ მხოლოდ ყვირილით ვერას გააწყობდა და წამოდგა.

რაკი ნიკოსთვის ამ აყალმაყალის მშვიდობიანი ფინალი წინასწარ იყო ცნობილი, არეულობით ისარგებლა და შეუმჩნევლად შეიპარა კუთვნილ ნახევარსარდაფში. კარი მიიხურა თუ არა, მოსკოველი დისიდენტი, საშა გლეზერი, გაახსენდა, რომლის დღეობაზე თამადა იყო რამდენიმე თვის წინათ.

რუსული ნადიმი

გლეზერი ყელში ჰყავდა გაჩხერილი „კაგებეს“ და საერთოდ, ხელისუფლებას. ვერ იჭერდნენ საერთაშორისო დისიდენტური რეიტინგის გამო. ერთმა უცხოურმა გაზეთმა დასტამბა ფოტო წარწერით: „სამი ალექსანდრე“ (სოლჟენიცინი, ტვარდოვსკი, გლეზერი). საშა გლეზერს ეს პუბლიკაცია, ჩარჩოში ჩასმული, გამოსაჩენ ადგილას ეკიდა. სამი ოთახის კედლები „ანტისაბჭოთა“ მხატვრების ტილოებს ეკავა - უმრავლესობა ნაჩუქარი, დანარჩენი სიმბოლურ ფასად შეძენილი.

როცა თბილისში საშა ნიკოს გააცნეს და მისი მდგომარეობა აუწერეს („კაგებემ“ ეკონომიური ბლოკადა მოუწყო: არც ერთი რუსული გამოცემა არ თანამშრომლობდა ამ რიგიან მთარგმნელთან და ლიტერატორთან), ნიკომ სატელევიზიო

ინტერვიუ მოუხერხა, ჰონორარი ააღებინა. სხვა მხრივაც არ შეურცხვენია თავი: ქართული მასპინძლობის მთელი „თაიგული“ მიართვა

საშამ ავთო ვარაზთან წაყვანა სთხოვა. ნაცნობის ნაცნობის მეშვეობით მხატვრის სახელოსნოში აღმოჩნდნენ. საშამ თვალი დაადგა ჩინური ხაკისფერი შარვლისაგან „გამოძერწილ“ ხარის თავს. ამ პოპარტის პირველი ვარიანტი თურმე ვაშინგტონის „მეტროპოლიტენ მუზეუმის“ კატალოგში უნახავს.

— არ გაყიდით? - შეეკითხა.

— უნდა ვკითხოთ, - სერიოზულად თქვა საკმაო „გრადუსში“ მყოფმა მხატვარმა და ყური ხარის პირთან მიიტანა, - რას იტყვი, ძმაკაც, გინდა, რომ გაიყიდო?.. უნდა! - განაცხადა პაუზის შემდეგ.

გლეზერმა სიმბოლურ ფასად შეიძინა „ხარის თავი“

მორიგი ვიზიტი თემო ჯაფარიძესთან ჰქონდათ, ამჯერად, ბინაში. თემოს მეუღლემ ნაირ-ნაირი ხილით სავსე ლანგარი შემოდგა მაგიდაზე და სტუმრები მიიპატიჟა.

— ამ ნატურმორტის გაფუჭება როგორ შეიძლება! - თავი გამოიდო მაიამ, საშას მეუღლემ, ვითომდა, ნახეთ, როგორი ესთეტი ვარო!

ძნელია თქმა, ეს გახდა თუ არა მიზეზი, ჯაფარიძისგან გლეზერი ხელცარიელი რომ წამოვიდა.

ასე იყო თუ ისე, საშა ფრიად კმაყოფილი გაემგზავრა მოსკოვს და ნიკოს დაუბარა, როცა ჩამოხვალ, სასტუმროზე არც იფიქრო, ჩემთან იცხოვრე, რამდენ ხანსაც გენებოსო.

ასე აღმოჩნდა მოსკოვს მივლინებული ნიკო გლეზერის აპარტამენტებში, სადაც, ფაქტობრივად, მხოლოდ ღამეს ათევდა - დილით გარბოდა და გვიან საღამოს ბრუნდებოდა.

ერთხელ, წასასვლელად გამზადებული ნიკო საშამ სამზარეულოში შეიხმო და სთხოვა, ერთი წუთით შეყოვნდი, ლექსი უნდა წაგიკითხოო. ნიკო ჩამოჯდა. ლექსის იდეა ასეთი იყო: მე, ებრაელმა, საკუთარი ენა არ ვიცი, იძულებული

ვარ სხვის ენაზე ვილაპარაკო და რაც უფრო ტრაგიკულია, ვიფიქროო. იმას აღარ ვამბობო, „პროზა“ დააყოლა, რომ ამ დამპალ ქვეყანაში ვცხოვრობო.

ამის თქმა იყო და ფანჯარაში ისეთ რაღაცას მოკრა თვალი, რომ ფეთიანივით წამოვარდა, ფანჯარა გამოაღო და გზაზე მიმავალ მილიციელს უყვირა:

— ეი, მილიცია! - მილიციელი გაჩერდა და მოხედა, - ბრეჟნევ დურაკ!

მილიციელმა ცოტა ხანს უყურა, მერე საფეთქელთან საჩვენებელი თითი აათამაშა, შებრუნდა და გზა გააგრძელა.

— დაინახე? ხმა ვერ ამოიღო, ან იცის, რომ სულელი გენსეკი ჰყავს, ან ჩემი ეშინია.

— შენი რატომ უნდა ეშინოდეს?!

— მეც ეგ გამკვირვებია. ამათსას გაიგებ რამეს? დამიბარებენ ლუბიანკაზე და დელიკატურად მთხოვენ სოციალისტური სამშობლოს დატოვებას. რომელ ქვეყანასაც დაადებ თითს მსოფლიოს რუკაზე, იქ ჩაგასახლებთო.

— მერე?! - გაუკვირდა ნიკოს, - უარს ეუბნები?!

— ვეუბნები. იცი, რატომ? ჩემ კოლექციას არ მატანენ, ნახატები ნაციონალური სიმდიდრეა და სამუდამოდ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ გატანა დაუშვებელიაო. ამ დროს ეს „სიმდიდრე“ სულაც ფეხებზე ჰკიდიათ და მაგ ნახატების ავტორებს სიამოვნებით დახვრეტენ ან ციმბირში დაალპობენ.

— ამ ხელისუფლებისგან ეგ გიკვირს? უარესს გეტყვი..

— ნურაფერს მეტყვი! - საჩქაროდ გააწყვეტინა საშამ, - შენ ჩუმად იყავი, თორემ „კაგებეს“ დააინტერესებ, შეიძლება დაგაკავონ კიდეც.

— კი, მაგრამ როგორ გაიგებენ რას გელაპარაკები? შენ ჩამიშვებ?

— აიხედე ზევით! - საშამ საჰაერო ხვრელზე მიათითა, - აი, მანდ მაგათი მიკროფონი დგას, პატარა, კოხტა და

მგრძნობიარე.

— მერე?! - გადაირია ნიკო, - ვერ მოაძრობ?!

— ჰე-ჰე! მოვაძრე, როგორ არა!

— მერე?

— რა მერე, მოვიდნენ და თითი დამიქნიეს, ციც, ხელი არ ახლოო!.. ეგდოს, ბატონო, მით უარესი მაგათთვის! ცოტა ხანს ყურებში თითები გაიკეთე.. კაგაბეშნიკებო, თქვე ნაძირალებო! თქვე უტვინოებო! თქვენი დედა!..

ნიკოს სიცილი აუტყდა და მასპინძლისთვის რომ არ ეწყენინებინა, შურდულივით გავარდა ქუჩაში.

ახლა იმ მთავარ მოსკოვურ ეპიზოდს უნდა მივადგეთ, რომელიც თბილისურმა „ბოჰემურმა“ სუფრამ მოაგონა ნიკოს.

ზემოაღწერილი სცენიდან ორიოდე დღის შემდეგ, ნიკო ცოლ-ქმრის დილაადრიან წამოწყებულმა მძაფრმა კამათმა შეაყოვნა და ჩარევა გადაწყვიტა.

— მისმინე, ნიკო, ამ ვაჟბატონს ხვალ დაბადების დღე აქვს, ორმოცი კაცი ჰყავს დაპატიჟებული და სანოვაგისთვის საკმარის თანხას არ იძლევა. ორი დღეა ვუმტკიცებ, რომ მაგ ფულით ორმოც სტუმარს ვერ დავაპურებ.

— რამდენს აძლევ?

— ოც მანეთს! მეტი რა უნდა?!

— ორმოცკაციანი სუფრისთვის?! საშა!.. მაია, შენ რამდენს თხოულობ?

— ოცდახუთს.

— მამასხარავებთ?.. - შეეჭვდა ნიკო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ სახუმროდ არ იყო საქმე, - მაია, მე დაგიმატებ!

— კარგი, ჰო!.. - ხელი დაუჭირა საშამ, - მივცემ მაგ ხუთ მანეთს, მაგრამ ეგ სუფთა ყაჩაღობად მიმაჩნია.

— რადაც გინდა, მიგაჩნდეს! - მაიამ ფული წაგლიჯა და ნიკოს მოუბრუნდა, - ხვალ, ოთხ საათზე, დაუგვიანებლად მოხვალ, უნდა ითამადო!

მეორე დღეს ნიკომ საქმე მიატოვა და ოთხ საათზე ადგილზე

გამოცხადდა. გზაში ერთთავად იმაზე ფიქრიბდა, ოცდახუთი მანეთით რა სუფრა უნდა გაეწყო მაიას ორმოცი კაცისთვის. საშამ წინადღით განაცხადა, ორმოცი ლიტრი არაყი მაქვს წამოღებული ვანელი მეგობრის ოჯახიდანო.

გრძელ, ფიცრებისგან შეკრულ, მაგიდაზე სამი მოზრდილი ალუმინის ქვაბი იდგა. ერთში ორთქლი ასდიოდა მუნდირში მოხარშულ კართოფილს, მეორეში ცხელ-ცხელი სოსისი დახეთქვაზე იყო, მესამეში – ხახვში ჩაძირული „სელიოდკა“, პირთამდე სავსე. გარდა ამისა, ბლომად „ორლოვსკი“ შავი პური და შებოლილი ძეხვი. არაყს ხომ ნუღა იტყვით: ჯერ-ჯერობით, ორმოცი ნახევარლიტრიანი იყო ჩამწკრივებული.

ნელ-ნელა მოგროვდნენ სტუმრები, ელიტარული ინტელიგენციის (ინტელექტის კუთხით) წარმომადგენლები: მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები, ფილოსოფოსები, კომპოზიტორები. ნიკომ იმდენი სკანდალურად პოპულარული სახე შენიშნა, რომ ერთი პირობა დაფრთხა კიდეც, ამათთან თამადობა როგორი საქმეაო, მაგრამ ნაციონალურმა თავმოყვარეობამ გადასძალა.

სტუმრებმა ყურადღებით მოისმინეს პირველი სადღეგრძელო, უსიტყვოდ (თუკი „ბუძ ზდაროვ!“ სიტყვად არ ჩაითვლება) გამოსცალეს სირჩები და უმალვე, პაუზის გარეშე, შეავსეს.

მეორე სადღეგრძელოზე მათი ცნობისმოყვარეობა უკვე დაკმაყოფილებული გახლდათ და აღარ აინტერესებდათ რას იტყოდა თამადა, რომლის სიტყვის დამთავრებამდე დაცალეს სირჩები და იქვე შეივსეს.

მესამე სადღეგრძელო აღარ ყოფილა. ნიკო მიხვდა მისი მცდელობის უაზრობას, ვინაიდან დაინახა, რომ ლიდერი აღარავის სჭირდებოდა და სუფრაზე ანარქიამ დაიბანაკა.

ექსთამადამ სუფრის თავი მიატოვა და შუაში მოძებნა ადგილი. აქედან უფრო ადვილი იყო მოვლენათა განვითარებისთვის თვალის მიდევნება. ნადიმის პერსონაჟებს

შორის შეიმჩნეოდა არატოლერანტული დამოკიდებულება, რაიც საამო პერსპექტივის საფუძველი არ შეიძლებოდა გამომდგარიყო. განსაკუთრებით დამაინტრიგებელი ეჩვენებოდა ცნობილი „ანტისაბჭთა“ მხატვრის, ოსკარ რაბინის და რუსული ფილოსოფიის ჰორიზონტზე ამომავალი ვარსკვლავის, დიმა ბოკოვის, მწვავე რეპლიკებით ფარიკაობა. ნიკომ საშასეული ინფორმაციით იცოდა, რომ რაბინს ცოლად ბოკოვის ცოლყოფილი ჰყავდა, რაიც მათ შორის დაძაბულობის მიზეზად იქცა. ოსკარი საშამ ადრევე გააცნო, მის სახელოსნოშიც ჰყავდა. რაბინის ნახატების სიუჟეტები პოლიტიზებული, მაგრამ ისე ეშმაკურად შენიღბული იყო, რომ „კაგებეს“ კლანჭებისაგან თავი დაღწევას ყოველთვის ახერხებდა. სამაგიეროდ, სახელოსნოში არალეგალურად მოსული დიპლომატები ნახატს ნახატზე ყიდულობდნენ. ოსკარმა განსაკუთრებით გაიწაფა ხელი ორი ჟანრის სფეროში, რომლებიც სერიალად აქცია. ერთი მათგანი წარმოადგენდა ტალახიან გზას რუსული პეიზაჟის ფონზე. წინა პლანზე, მუქრუხ გზაზე, ეგდო შუაგახეული ვარდისფერი საბჭოთა ათმანეთიანი. ამ „უწყინარი“ პეიზაჟის ქვეტექსტი არ იყო ძნელი გამოსაცნობი: კუპიურის ნახევი ზედ ლენინის თავს უწევდა. ნახევრადპოპარტის ტიპის მეორე სიუჟეტი ნაღდი გაზეთის პირველ გვერდზე დაგდებულ, გაყვლეფილ „ტარანას“, შავი პურის ქერქს და რუსული არყის ცარიელ ბოთლს ასახავდა. ფორმალურად აქ კრიმინალი არ არსებობდა. პოლიტიკური „მომენტი“ კი საკმაოდ იოლი გასაშიფრავი გახლდათ: გაზეთის ლოგო („პრავდა“) და მეწინავე სტატიის ანშლაგი: „წინ, კომუნიზმის მწვერვალებისაკენ!“

როცა მორიგი ორმოცი ნახევარლიტრიანი დაიცალა, დაიწყეს მეძებარი ძაღლებივით სუნსული და ბოთლების სინჯვა. ერთ შუახნის კომპოზიტორს სკამქვეშ გადამალული, ოდნავ ნაკლული ბოთლი უპოვეს. მაგარი სკანდალი ატყდა. ბოთლი ხომ წაართვეს და ზედაც მრავალსაფეხურიანი დედისგინება მიაყოლეს. დაზარალებულიც გაიქაჩა, მაგრამ ნიკოს და საშას

ოპერატიული ჩარევის წყალობით ინციდენტი მუშტი-კრივამდე არ მისულა. ამ კონფლიქტის განმუხტვა იყო და სამზარეულოდან ჭურჭლის ლაწალუწის ხმა გამოვიდა. გავარდნენ და რას ხედავენ: ბოკოვს დუელში გაუწვევია რაბინი (ცოლი რატომ წამართვიო!) და ცარიელი ბოთლებით ფარიკაობენ. უკვე ბოთლების მხოლოდ თავებიღა უჭირავთ და ხელები სისხლში აქვთ მოსვრილი.

ძლივს გააშველეს, მობანეს, იოდით დაუმუშავეს, შეუხვიეს, ქურთუკები ჩააცვეს, ქუდები დაახურეს და ათი წუთის ინტერვალით მიაბრძანეს კუჩაში.

ასე, სათითაოდ და წყვილ-წყვილად, იძულებითი წესით, ისტუმრებდნენ ჭკუიდან გადასულ ინტელექტუალებს.

— ეე! - აღმოხდა ნიკოს, როცა მარტონი დარჩნენ, - ეს არის?! ინტელიგენცია!

— კარგი, თუ ძმა ხარ! - ხელი ჩაიქნია გლეზერმა, - არყის ბოთლის წინაშე ყველა ერთია. რუსულ გერბზე ორთავიანი არწივის ნაცვლად არყის ორი ბოთლი უნდა იყოს!

ამ საღამოს ნიკოს მორიგი სიურპრიზი ელოდა: მისთვის გამოყოფილ ოთახში დასაძინებლად შესულს „ლეჟანკის“ ქვეშ მოთავსებული ჩემოდანი გამოღებული და თავახდილი დახვდა. რომელიღაც სტუმარს „შავი დღისთვის“ გადანახული ორი ბოთლი „ვარციხე“ აეწაპნა.

ნიკომ ჯერ გემრიელად შეუკურთხა და მერე ასევე გემრიელად გადაიხარხარა.

გალაკტიონის ნიღაბი

დილაადრიან მახლობელ პარკში ჟანგბადის მარაგის შესავსებად გასულ ნიკოს თამაზ ჩხენკელი შეხვდა.

— ვაა, თამაზ?! აკი ქობულეთში მივდივარო? წასული მეგონე!

— მეც მეგონა, რომ ახლა იქ ვიქნებოდი, ჩემო ნიკო.. კაცი

ბჭობდაო..

— მერე? ვინ იცინოდაო? მე მგონი, ეშმაკი და არა ღმერთი.

— ორივე ვერსია მისაღებია.

— ალბათ, „ბჭობის“ შინაარსს გააჩნია.

თამაზთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა. ზერელე თემასაც კი ღირებული ასოციაციები მოსდევს. აი, ახლაც, გალაკტიონზე ჩამოვარდა სიტყვა. ნიკო ვერ იხსენებს, ასოციაციური ჯაჭვის ამ რგოლს როგორ მიადგნენ.

— გალაკტიონი რომ გარდაიცვალა, მე, რეზი თვარაძემ და სარგის ცაიშვილმა თაბაშირის ნიღაბის ოსტატის ძებნა დავიწყეთ. რომ იცოდე, ყველა მოქანდაკეს არ შეუძლია ნაღდი ნიღაბის გაკეთება, მაგასაც თავის ტექნოლოგია და მუღამი აქვს. მიგვასწავლეს შაქრო გორგოძე, მაგნაირად ნიღაბს ვერავინ აკეთებსო. ადრე იაკობი აკეთებდა, ნიკოლაძე. ეს შაქრო სამხატვრო აკადემიის სარდაფში ცხოვრობდა, სახელოსნოში. მივაკითხეთ. შორს დაიჭირა, რაღაც ულოგიკო მიზეზები ჩამოთვალა: ესაო, ისაო, მეო გალაკტიონს ვაღმერთებო და იმის სახეზე მანიპულაციებს ვერ დავიწყებო.. ერთი სიტყვით, უარით გამოგვისტუმრა. თანაცო, გვითხრა, ეგ ამბავი ისე ძვირი ჯდება, მაინც ვერ გადაიხდითო. მაინც რამდენი-თქო და ოცდახუთი ათასიო, დაგვიბრახუნა.

რა ვქნათ? არადა, ამ ერთადერთი, უნიკალური, შანსის დაკარგვა არ გვინდა, შთამომავლობა არ გვაპატიებს.

ვიღაცამ ჩაგვაწვეთა, ეგ შაქრო გოგლა ლეონიძის მოთაყვანეა და გამორიცხულია უარი უთხრასო.

მივადექით გოგლას. სიტყვაც არ დაგვამთავრებინა, ამწუთასო და ბარათი მისწერა: ჩემო შაქროო, თუ პოეზიას პატივსა სცემო და გალაკტიონს მით უმეტესო.. აბა, შენ იციო!..

შაქროზე გოგლას ბარათმა მაგიურად იმოქმედა: დაკრძალ-ვის დღეს, დილით, მოვიდა. დიდებული ნიღაბი დაამზადა. მერე

რად გინდა – დაიდო სახელოსნოში და ფასს შაური არ დააკ-ლო. სხვათა შორის, ჯუმბერი დარბოდა, თითმერია, მწერლებს შორის ფულის შესაგროვებლად, მაგრამ საჭირო თანხას თავი ვერ მოუყარა. როცა შაქრო გარდაიცვალა, მისმა მემკვიდრე-ებმა უსასყიდლოდ გადმოგვცეს გალაკტიონის ნიღაბი, რომ-ლის ასლებიც კარგა ბლომად დამზადდა.

ჰო, ნიღაბთან დაკავშირებით, ერთი საინტერესო ამბავი გამახსენდა. ლიტერატურის მუზეუმში ერთი დალუქული ყუთი ინახებოდა წარწერით „ვაჟა-ფშაველას ნიღაბი.“ მე სულ ეჭვი მქონდა, ვინაიდან ვიცოდი, რომ ვაჟას ნიღაბი იაკობ ნიკოლაძემ გააკეთა და გოგლას მიართვა. რამდენადაც ვიცი, ასლიც არ გაკეთებულა. როცა ჩემი ეჭვი გავახმოვანე, მუზეუმში მხრები აიჩეჩეს. გავხსნათ ყუთი-თქო, დავიჟინე. როცა ყუთი გავხსენით და შიგ ჩავიხედეთ, შეკამათების სურვილიც არავის გასჩენია: ეს არ იყო ვაჟას ნიღაბი! ეგნატე ნინოშვილისააო, ვიღაცამ თქვა, მაგრამ ჩემი აზრით, არც მისი იყო. ეგ გოგლას ხუმრობა იყო და სხვა არაფერი. მერე მოიძიეს ნაღდი ვაჟა და ასლებიც გაკეთდა.

— შთამომავლობა მაგას არ დაგივიწყებს. - სიცილით უთხრა ნიკომ, - ისე, ცნობილია, რომ გალაკტიონი სიცოცხლეშიც „ნიღბით“ დადიოდა, რაღაცნაირი ცინიკურ-სახუმაროთი.

— კი, იყო ასე. ყველას ძამიკოს ეძახდა, ეს სიტყვა ფარივით ჰქონდა მომარჯვებული. მწერალთა კავშირზე თქვა, რად უნდათ, ძამიკო, „კავშირი“ ერთი კაცისთვისო. „ერთში“ ხომ თავისთავს გულისხმობდა.

— იცოდა, რამხელაც იყო.. ერთხელ თურმე, მოხდა საოცრება და გალაკტიონმა „ნიღაბი“ ჩამოიხსნა, ირაკლი აბაშიძის კაბინეტში. გეცოდინება ეგ ეპიზოდი.

— აბა, რომელი? მოყევი.

— გალაკტიონი სამოცდახუთის ხდებოდა და დაჟინებით მოითხოვდა საიუბილეო ცერემონიალს. თითქმის ყოველდღე აკითხავდა ირაკლის, რომელიც იმჟამად სხვა საქმეებით

იყო დაკავებული. ცოტაც მოითმინე ბატონო გალაკტიონ და ისეთ იუბილეს გადაგიხდით სამოცდაათი წლისთავზე, მთელ მსოფლიოს ავალაპარაკებთო. არ მინდა სამოცდაათი, ახლა მინდაო! ცოტაც გვაცალე, ბატონოო!.. არა, ახლა მინდა სწორედ, ირაკლი ძამიკოო!.. მოეშალა თურმე ნერვები ირაკლის და სტაცა ხელი მარმარილოს საფერფლეს: ამას ხომ ხედავ, გალაკტიონ („ბატონოზე“ ბოდიში!), თუ არ მომეშვები, წამოვა პირდაპირ თავშიო!.. თურმე ისე შეეცვალა სახე გალაკტიონს და ნორმალური, „ადამიანური,“ ინტონაციით უთხრა თითქმის ხმაწასულმა „გაგიჟდი, ირაკლიო!“, რომ ამ უკანასკნელს გაოცებისგან საფერფლე დაუვარდა.

— კი, მეც მომისმენია ეგ. გალამ მაინც მიაღწია თავისას - სწორედ სამოცდახუთი წლისთავი აღნიშნეს ოპერის თეატრში.

— რას წარმოიდგენდა ირაკლი აბაშიძე, თავის მოკვლა რომ ჰქონდა გადაწყვეტილი გალაკტიონს... სხვათა შორის, ვიყავი მაგ იუბილეზე. მართლაც მხოლოდ თარიღის აღნიშვნა იყო. დარბაზი ნახევრად ცარიელი, მხოლოდ ერთი უცხოელი სტუმარი, ჰუგო ჰუპერტი, რომელიც იმ დროს თბილისში სულ სხვა მიზნით იმყოფებოდა. საერთოდ ტაშის და ხოტბის მოყვარულ გენიოს პოეტს იმ საღამოს იმდენი ოვაცია არ რგებია, რამდენიც საკონცერტო განყოფილების მონაწილე ქართლოს კასრაძეს.

— გეთანხმები. მეც ვიყავი მაგ დროს ოპერის თეატრში. - თამაზმა სევდიანი მზერა მოატარა ჰორიზონტზე.

ფიქრის ფანჯარა

(ვიზიტი ვანგასთან)

დაბინდებულზე ნიკომ ფანჯარას მიაკითხა, გამოაღო და სიგარეტს მოუკიდა. ჯერ არც ერთ კორპუსში არ კიაფობდა ნათურები. სანამ ამ თემაზე დაფიქრდებოდა, ნანამ შემოუღო კარი:

— სანთლები სადა გაქვს?

— ბუასილის?

— ნეტა რა გეხუმრება.. დენი გათიშეს!

— აუჰ! ტრაგედია!.. ადრე დენის მოსვლა იყო მოვლენა, ახლა წასვლაზეა ერთი ამბავი. რა მოხდა, შე კაი ადამიანო, გეგმიური ავარიაა... ჰო, კარგი, არ შემჭამო, მოგიძებნი...

ნიკომ რამდენიმე სანთელი გვარიანად ნაღვენთ შანდლებში ჩაამაგრა და ოთახებში გაანაწილა. თავად ისევ ფანჯარას მიადგა და რაფას გადაეყუდა...

კაცის ბუნება, როგორც დღესდღეობით უყვართ თქმა, საკმაოდ არაადექვატურია. წარსულ სიდუხჭირესა და დალხინებას იოლად ივიწყებს. ოთხმოცდაათიანი წლების უგაზობა და უშუქობა თითქოს არც ყოფილა. უდენობა ჩვეულებრივი სიტუაცია იყო, მისი მოსვლა – საყოველთაო ზეიმი. ახლა ერთი საათით რომ გამოირთვება, იწყება აჟიოტაჟი: ესაო, ისაო, ოცდამეერთე საუკუნეაო, დენის პრობლემა რას მიქვიაო!.. კი, მაგრამ მეოცეში რატომ უნდა ყოფილიყო, სულ რაღაც ათიოდე წლის წინ?

განსაკუთრებული, სავალალო, პოპულარობა მოიხვეჭა მეცხრე ენერგეტიკულმა ბლოკმა და ბოლოს და ბოლოს, ლეგენდად იქცა. ზოგს არც კი სჯეროდა მისი არსებობა. „გვაბალვანებენო“, იტყოდა, მთავრობა თავს იზღვევსო, ყოველ უშუქო დღე-ღამეს მეცხრე ბლოკის დაზიანებას აბრალებსო. მოარულ გამოთქმებად იქცა: „მეცხრე ბლოკის ამუშავებამდე არაფერი გეტკინოს“, „ცხრაბლოკა მზე“, „გამეცხრებლოკებული საქმე“ და სხვა ამგვარი...

ნიკომ გადაწყვიტა სინათლე მოეფინა მეცხრე ბლოკის დეტექტური ისტორიისათვის და იმ ეპოქის განთქმულ ნათელმხილველ ბულგარელ ვანგასთან აუდიენცია მოეხერხებინა.

თქვენ წარმოიდგინეთ, მოახერხა კიდეც!

საგანგებო რეისის თვითმფრინავი სოფიის აეროპორტში

დაეშვა. სულ მალე ნიკო ავტობუსში იჯდა და პატარა ქალაქ პეტრიჩისაკენ მიეშურებოდა, ვანგას სამყოფელისკენ.

„ვაი თუ არ მიმიღოს?“- ღრღნიდა უსიამო ეჭვი.

როგორც იქნა, ვანგას აპარტამენტებიც გამოჩნდა. ნიკოს ელდა ეცა: ამდენი პრესტიჟული ავტობუსი და ლიმუზინი გაეროს შენობასთანაც კი არ იქნებოდა. ახლა ცოცხალი რიგი? ამხელა ერმიტაჟთანაც არ უნახავს კვირა დღეს!

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ გამოვიდა ვანგას უფროსი თანშემწე და გამოაცხადა, რომ ნათელმხილველს მხოლოდ ერთი მთხოვნელის მიღება შეუძლია და თანაც ისეთ საქმეზე, რომელიც არამც და არამც არ ითმენს ხვალამდე გადადებას. მერე სათითაოდ ჩამოუარა რიგში მდგომთ და გამოჰკითხა, ვინ რა საქმეზე იყო ჩამოსული, ნიკომ ისეთი რამეები მოისმინა, იფიქრა, ჩემთვის ვინ მოიცლისო და წასვლა დააპირა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ შეაჩერა.

ამერიკელ კონგრესმენს აინტერესებდა ვანგას ხილვები ამერიკის პოლიტიკასთან დაკავშირებით სპარსეთის ყურეში და ევროპის რეგიონში.

— ეგ საკითხი მოითმენს. - იყო ლაკონური პასუხი.

კამბოჯელ დალაი-ლამას დედამიწისა და კუდიანი ვარსკვლავის შესაძლო შეჯახების პრობლემა აღელვებდა.

— არ არის საჩქარო. - აუღელვებლად უთხრა თანაშემწემ.

ნელსონ მანდელას აფრიკელი დამშეული აბორიგენების ბედი აწუხებდა.

— ხვალ მობრძანდით! - ცივი თავაზიანობით უთხრა თანაშემწემ.

ინდოელი მშვენიერი ქალბატონისთვის სამი შვილი მოეტაცნათ სინგხელ ტერორისტებს და მათი ადგილ-სამყოფელი აინტერესებდა, თან ცხარე ცრემლებს ღვრიდა.

— ვანგას ცრემლებისა არ სჯერა! - იყო მშვიდი პასუხი.

რუსეთის პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელს

სურდა შეეტყო, აღადგენდნენ თუ არა კომუნისტები საბჭოთა კავშირს და ისევ დაიწყებოდა თუ არა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა.

თანაშემწემ ისიც ხვალისთვის დაიბარა.

როცა ნიკოს რიგი მოვიდა, ეუხერხულა მის პრობლემაზე ლაპარაკი, იმდენად უმნიშვნელო ეჩვენა მოსმენილის შემდეგ, მაგრამ თანაშემწის გამჭოლ მზერას ვერ გაუძლო და ამოილუღლუღა:

— მე... ჩვენ... მეცხრე ბლოკის საკითხზე...

თანაშემწეს თვალები გაუფართოვდა და აღელვებულმა შესძახა:

— მეცხრე ბლოკი! საქართველო!.. დაუყოვნებლივ მიგიღებთ ვანგა. ორი თვეა პირზე სულ მეცხრე ბლოკი აკერია!

აწითლებული და დარცხვენილი ნიკო თავჩაღუნული გაჰყვა თანაშემწეს, ხალხისთვის თვალებში შეხედვისა ერიდებოდა, მაგრამ რაც მოხდა, ძნელი იყო დაჯერება: ყველა თანაგრძნობით და გულთბილად უმზერდა, ბეჭზე ხელებს უთათუნებდა და ღიმილით მიაცილებდა. პლანეტის ნებისმიერ ენაზე ისმოდა:

— მეცხრე ბლოკი! საქართველო!.. ოო!..

ნიკო წელში ამაყად გაიმართა და თამამად შეაბიჯა განთქმული უსინათლო ნათელმხილველის მისაღებში. ვანგა სავარძელში თვლემდა, მაგრამ უეცრად თვალი გაახილა, ხელები მაღლა აღაპყრო და შესძახა:

— მეცხრე ბლოკი!.. საქართველო!.. ოო!

სულ ერთი ფრაზა ამოთქვა ნათელმხილველმა, საქართველოს ხსნის გზა აჩვენა, მარამ სიხარული შხამიანი ნაღველით შეაზავა. ძნელი სათქმელია, მაგრამ რას გააწყობ!

— სანამ მეცხრე ბლოკის კედელში ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარეს და რომელიმე მინისტრს არ ჩაატანთ, თქვენი საშველი არ იქნება! – ამოიგმინა ვანგამ.

ნიკო ტვინს იჭყლეტდა, ღამეებს თეთრად ათენებდა, მაგრამ ვერაფრით დაადგინა, რომელ დეპარტამენტს და მინისტრს

გულისხმობდა ბულგარელი ნათელმხილველი.

ასეა, ყოველთვის ძნელია სიზმრიდან დალაგებული აზრის გამოტანა.

„კუკლა“

„ძმათა სექტაში“ ერთი თავქარიანი ძმაკაცი ჰყავდა ნიკოს, პასპორტით - ბარნაბა, საყველპუროდ და სამეგობროდ - ბობიკა. სათეატრო ინსტიტუტი დაამთავრა და მუსკომედიებში ეპიზოდურ როლებს ასრულებდა. შიგადაშიგ ამღერებდნენ კიდეც. ერთ სპექტკლში, პაემანზე მდგარი, საათის ისარს საყვედურით უმღეროდა: „ეჰ, საათის ისარო, გიყვარს კაცის წამება - ასე ნელა რომ მოძრაობ, ბობი არ გებრალება?“

ბობიკა მაინც კმაყოფილი იყო. ხშირად უთქვამს: „არ არსებობს დიდი და მცირე როლი, არსებობენ დიდი და პატარა მსახიობები“. ძნელი სათქმელია, თვითონ მსახიობთა რომელ ნაწილს მიაკუთვნებდა თავს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დაუსწრებელ იურიდიულზე სწავლობდა პარალელურად, როგორც ჩანს, სცენური კარიერა მაინც და მაინც ნათელ ფერებში არ ესახებოდა. მომდინარე, აწმყოურ, მომენტში კი ერთი რამ ჩრდილავდა მის ბედნიერებას: დაეწყო თმების ინტენსიური ცვენა. ყოველი დაბანისას წყალს ბღუჯა-ბღუჯა მიჰყვებოდა თმის ძვირფასი საფარველი. ვის არ მიადგა გამწარებული ბობიკა, რა არ სცადა - ამაოდ. ბოლოს სოლოლაკელი მაყვალას „რეცეპტზე“ შეჩერდა: ძილის წინ თმის ძირებში იზელდა ქათმის სკინტლისა და ნივრის ნაზავს, თითქმის ჰერმეტულად იხვევდა თავს ცელოფანითა და პირსახოცით და დილამდე აჩერებდა. ამ მძაფრი ნაზავის „სურნელს“ ცელოფანიც ვერ აკავებდა და ბობიკას საძინებლიდან ისეთი სიმყრალე გამოდიოდა, რომ ეზოში და მეზობელ სახლებში ფანჯრებს ხურავდნენ.

კვირაობით „ძმათა სექტა“ ბობიკასთან ჯოკერის სათამაშოდ იკრიბებოდა. ცხადია მას მერე, რაც ბობიკა დილის ტუალეტს

მოითავებდა, თავს დაიბანდა და ოთახს საფუძვლიანად გაანიავებდა. აბა, მანამდე ვინ იყო ფეხის მიმდგმელი!

— რას შვრება, ამოდის? - ამ შეკითხვით იწყებოდა „ძმათა“ ვიზიტი.

— აი, ნახეთ, ბუსუსები ამოიწვერა! - ბობიკა ისედაც მეჩხერ თმებს მიწევ-მოწევდა და თავის კანს გამოაჩენდა.

— ბუსუსებისა რა გითხრა და ქათმის სკინტლი კი გვარიანად შეგრჩენია! - ცხვირს საგანგებო ხაზგასმით მოარიდებდა რომელიმე „სექტანტი“, - ფუჰ!..

— იღადავეთ, იღადავეთ, თქვე ხისთავებო! აგერ ნახავთ, ყველანი გამელოტდებით, მე კი ბიბინა ქოჩრით ვივლი!

— ისე იარა ვლადიმირ ილიჩმა! – ეს ფრაზა ხონელ ხიტუნიას ეკუთვნის, გრძელცხვირა ენაკვიმატს.

სხვათა შორის, ბობიკას და მის თანკლასელ ნიკოს მოწაფეობისას ისეთი გაუვალი ქოჩრები ჰქონდათ, რომ სავარცხელი კვირაზე მეტს ვერ უძლებდათ.

ახლა იმასაც მოგახსენებთ, ბობიკა რატომ გამახსენდა. ერთ შაბათ საღამოს ბობიკამ ნიკოს დაურეკა, ხვალ, თორმეტის მერე, მოდი, ერთ საინტერესო ვინმეს გაგაცნობ, შეიძლება შენი ხელის წაკვრა დაგვჭირდესო.

— რა ჰქვია იმ შენს „საინტერესოს“?

— მოხვალ და ნახავ, რა!

— მაინც რა ჰქვია, მითხარი, გული მეუბნება, რომ ვიცნობ.

— საიდან? გოგა ჰქვია. ჰა, იცნობ?

— ქოჩორა, გამხდარი, წინა კბილები ჩამტვრეული... „პრიმას“ ეწევა... ეგ არი? ხო გითხარი ვიცნობ-მეთქი... სპირტის ამბავზე რომ ჩალიჩობდა?

— მოარტყი! ვაა, რა მეხსიერება გაქვს, სიმონ!

— ჟურნალისტთან გაქვს საქმე, ჩემო ბობიკ!

— მოდიხარ თუ არა?

— რა ვიცი, ვნახოთ.

— ვნახოთ კი არა, პირველის ორ, ჰა, სამ წუთზე, აქ გაიჩითე! – ბობიკამ ხაზი გათიშა.

ნიკოს გაეცინა. იმ ნაძირალასთან შეხვედრა ნაღდად არ უნდოდა, მაგრამ რაღაც, ცნობისწადილის მინაგვარი, შეხვედრისკენ ეწეოდა.

მეორე დღეს, პირველის წუთებზე, მართლაც „გაიჩითა" ბობიკასთან.

— რა ზუსტად მოხვედი, ნიკო-ბატონო! – წამოხტა ზეზე სავარძელში მოკალათებული გოგა, - ტოჩნოსტ ვეჟლივოსტ კარალეი!

— როგორ გიკითხო? – ეტიკეტს ხარკი გადაუხადა ნიკომ.

— შენი და ჩემი მტერი ეგრე... სპირტში რო გადამაგდეს, გეცოდინება, ბობიკა გეტყოდა. ორი ათასი ბაქსი მტკვარში გადავყარე!

— დაკარგე თუ მოგპარეს?

— ისეც, ასეც! რა სისულელე მომივიდა. ეხლა ათასი რომ მქონდეს, დიდ მაყუთს გავჭრიდი!

— ორი გქონდა.

— მაზოლზე ფეხს მაჭერ? - გოგამ სიგარეტი ჩააქრო და მეორეს მოუკიდა, - თხუთმეტი წლის წინ ვინ გამიბედავდა, მოსკოვში, ცენტრში, პირველი კაცი ვიყავი. ბარიგები ჩემ დანახვაზე ურნებში იმალებოდნენ.

— მილიციაში მუშაობდი?

— რა მილიციაში.. საქმეზე ვიდექი, გადაგდებაზე...

— აა! – ნიკო ვითომ მიხვდა.

— ამაგდე, არა?

ნიკომ გაიცინა, ვითომ მართლა „ააგდო", არ უნდოდა ფრაერად მოჩვენებოდა. რატომ, თავადაც არ უწყოდა.

— შენთან ფრთხილად უნდა იყოს კაცი, როდის ღადაობ და როდის არა, ვერ გაიგებ. ხო ეგრეა, ალექსანდროვიჩ? – მოუბრუნდა სარკის წინ გაშეშებულ ბობიკას, მაგრამ პასუხს

აღარ დალოდებია.

— მერე? – ჰკითხა ნიკომ.

— მაგარ რამეებს ვაჩალიჩებდი. ძირითადად კუკლაზე ვმუშაობდი. კუკლა ხო იცი?

— როგორ არა!

— შენ ძმობას გეფიცები, დღე არ იყო, რა, ხუთი ათასი რო არ გამეჭრა!

— რანაირად?! – მართლა დაინტერესდა ნიკო.

— გეტყვი. მე ხო ჩემი ამფსონები მყვანდა, ორიც კიდე პადელნიკი. თანამონაწილეები, რა. საქმის ხალხი ყველა მიცნობდა: ნოქრები, იუველირები, უბრალო ხელოსნები, ბაყლები... ერთხელ, ნაცნობ იუველირთან დამაქალი შემოვიდა, გალსტუკის სამაგრი შემოიტანა, ოქროსი, შუაში სამკარატიანი ბრილიანტით. კინაღამ თვალთ დამიბნელდა, ისე ანათებდა. ქალი ტიპიჩნი არისტოკრატკაა, ეტყობოდა თავის დროზე მაგარი მასტი იქნებოდა. მაგათი მუღამი ხუთიანზე ვიცოდი. ვეუბნები: „პარდონ, მადამ, ასეთ ლამაზ ნივთსა ჰყიდით? რას აფასებთ?“ „დიახ, ვყიდი, - მპასუხობს, - ათი ათასი ღირს, მაგრამ ოთხზეც თანახმა ვარ, შვილიშვილისთვის მჭირდება, სასწრაფოდ!“ „იუველირს შევაფასებინოთ.“ არადა, იუველირი ჩემი კაცია. კაი ხანს ატრიალებს, აქედან-იქედან, ზემოდან, ქვემოდან... ოთხი მიიცემა, მეტი ნაღდად არ ღირსო, თან თვალს მიპაჭუნებს. ქალმა ამოიოხრა და კიდევ ერთხელ თქვა, თანახმა ვარო. ვიყიდი, მადამ-მეთქი, ოღონდ ახლა ფული ჯიბეზე არა მაქვს და რანდევუ ხვალისთვის დავთქვათ-თქო. კი, ბატონოო, ჩემთან მობრძანდით ბინაზეო და მისამართი მომცა.

— ეჭვი არაფერში შეეპარა?

— იცი, როგორ ვიყავი ჩაზმანული? ნაღდი დენდი, ინგლისის პერი. საყელოში ბრილიანტი, ცხადია, სიაფანდი, თითზე მოშჩნი ოქროს ბეჭედი, ფაიზაღი, მაჯაზე შვეიცარიული ოქროს საათი, ჯიბეში კამეებიანი საფულე-ლაპატნიკი, რომელსაც პინგვინს უეჭველად დავანახებდი. ყველაფერ ამას პლუს ოცდაშვიდი

წლის კრასავჩიკი. ასეთი კი არ ვიყავი, კბილებჩალეწილი და თმაგათეთრებული... რა ეჭვი, რის ეჭვი! მეჟდუ პროჩემ, ჩემ დანახვაზე მოსკოველი გოგოები ტაშს უკრავდნენ.

— ფიქსი გქონდა?

— რაზე ამბობ? ა, ოქროს კბილი? ეგეც იცი? - ახითხითდა გოგა, - არა, უკვე მოდაში აღარ იყო, ქაჯობად ითვლებოდა.

— მიხვედი?

— მაშ, კაცო! ათიათასიანი ბრილიანტი ორმოცდაათ მანეთად დავიბრახუნე!

— რანაირად?

— კუკლა გავუკეთე, რა!

— ერთი ამიხსენი მაგის ტექნოლოგია.

— მარტივი რამეა... მართლა არ იცი? ხო არ მაღადავებ?... კეთდება ორი შეკვრა, პაჩკა, რა, ზუსტად ერთნაირი. ერთში ფულია, მეორეში - ზომაზე დაჭრილი, გვერდებზე სათანადოდ შეფერილი ქაღალდი, ზემოდან ერთი ნაღდი კუპიურა ადევს, ორმოცდაათმანეთიანი, ქვემოდანაც - ერთი. სწორედ ეგ არი კუკლა. ნაღდი შეკვრა, ხო ხვდები, სუ ორმოცდაათმანეთიანებია. ეგ არი, რა!

— ეგ კი გასაგებია, მაგრამ იმ კუკლას არ გახსნის და არ დათვლის?

— ვაა, კუკლას ვინ დაათვლევინებს, ნიკოჯან, დებილები ხო არა ვართ?!

— აბა?

— ეგ ხო ელემენტარული რამეა: ჯიბეში ორი, ზუსტად ერთნაირი, შეკვრა მიდევს, ცელოფანშემოკრული, რეზინშემოჭერილი. თავიდან ვიღებ ნაღდს, ფული ხო უნდა მივუთვალო. ვხსნი: ვაცილებ რეზინას, ცელოფანს და სათი-თაოდ ვუთვლი კუპიურებს. მერე იმასაც ვათვლევინებ. ამის შემდეგ ისევ მწყობრად ვალაგებ, ცელოფანში ვახვევ და რეზინას შემოვუჭერ. იქვე დევს ბრილიანტი.

— მერე? კუკლას როგორღა შეაპარებ, კიო ხარ?

— მართლა მეკითხები?! ეგ ხო უმარტივესი რამეა. ვეუბნები: „მადამ, დარწმუნებული ხართ, რომ შუშას ხინჯი არა აქვს? ის იუველირი, მგონი, თქვენი ახლობელია. იცით, რა ვქნათ, ვინმე უცნობ სპეციალისტს შევამოწმებინოთ“. ამ სიტყვების მერე შეკვრას ვიღებ და ჯიბეში ვიდებ. წამოვდგები - ვითომ წასვლას ვაპირებ, რა! ქალი, რა თქმა უნდა, წუხს და იფიცება, რომ ის იუველირი ადრე თვალითაც არ უნახავს, რომ ეს საგვარეულო რელიქვიაა. ცოტათი წაყოყმანების შემდეგ: „რა გაეწყობა, გიჯერებთ, მადამ, ჩვენ საქმეში რისკის გარეშე არაფერი გამოდის.“ „რას ბრძანებთ, მანდ არავითარი რისკი არ გახლავთ!“ „დამარწმუნეთ, მადამ, დამარწმუნეთ!“ - შევძახებ, ჯიბეში ხელს ჩავიყოფ, ყოვნას ვაკეთებ, მითომ კიდევ მეეჭვება, მერე ჯიბიდან ვიღებ კუკლას, ვდებ მაგიდაზე და ვიღებ რელიქვიას. გახარებული ქალბატონი კიბისთავამდე მაცილებს.

— მერე რომ მოგძებნოს, ან სადმე გადაგეყაროს?

— ამოდენა მოსკოვში?! კაი, რა! რო შემხვდეს კიდეც, რას გაიტანს? ეხლა ეგ ამბავი კიდე იცი, რითაა საინტერესო, ქართველების გაუტანლობით და ღორული გაუმაძღრობით.

— ეგ რა შუაშია?

— ეხლა გაიგებ. როგორც გითხარი, ორი პადელნიკი მყავდა, სახელები რად გინდა, იქნებ იცნობ კიდეც... თუ გინდა, სიაფანდზე დავარქვათ დათო და კოტე. დათო კაცურად გვერდზე მედგა ხოლმე, კოტე ცოლ-შვილის პატრონი იყო და სახლიდან გამოუსვლელად მყავდა წილში, მთლიანში, რა, ერთიცა და მეორეც. მაგ ბრილიანტის საქმის მომენტში დასათვლელი ფული არა მქონდა.

— დასათვლელი ფული რაღაა?

— ვაა, როგორ მაკვირვებ ხანდახან!.. მინამ კუკლას შაუგდებ, ნაღდი ფული ხო უნდა ჩაუთვალო და იმასაც დაათვლევინო... ხოდა, იმ ჩემს მოწილეებს ვეუბნები, ეგებას დასათვლელი ფული გაახერხოთ ერთი დღითა-თქო. დათოს ფული ჰქონია და კოტეს

ეუბნება, მოდი, გოგას ვუთხრათ, მითომ ეგ თანხა პროცენტით ვისესხეთ და მაყუთი ავაჭრათო. ეს ბალვანი დასთანხმებია. საღამოს კოტესთან დავსხედით, ფული შევკარით, კუკლა გავამზადეთ და ხვალინდელი ოპერაცია ვაკურთხეთ. კარგა რო შევჭიკჭიკდით, ვხედავ, კოტე ცრემლებს იწმენდს სალფეთკით და ფლიკვინებს. რა მოგივიდა-თქო, ვეკითხები, რა გატირებს-თქო? პადლეცი ვარ და ის მატირებსო, ამოისლუკუნა. რათა-თქო და ესაო, ისაო, ამ დამპალმა ამიყოლიაო! მართლა-თქო, დათოს ვეკითხები. გათეთრდა, გამწვანდა, ხმას ვერ იღებს. მერე: მაპატიე, გოგაჯან, ეშმაკი შემიჩნდაო, შენი კაცობა ვერ დავაფასეო...

— აპატიე?

— ორთავემ მიიღო, რაც ეკადრებოდა... მერე რა, მე ხო გული გამიტყდა, კაცს რო კაცურად ექცევი და ეგეთს გაგიკეთებს...

— ის ქალი არ შეგეცოდა?

— ვინ ქალი?

— აი, ბრილიანტში კუკლა რომ შეუგდე!

— რატო უნდა შემცოდებოდა?!

— ფულის ნაცვლად ქაღალდებს რომ ნახავდა, რა დღეში ჩავარდებოდა!

— მერე რა? აი, დარდი!.. მოიცა, კიდე ამაგდე? - გოგას სიცილი აუტყდა, - ვაა, კაცი ვერ გაიგებს, როდის ღადაობ.

ნიკოს მისდაუნებურად გაეღიმა და გადაწყვიტა ბოლომდე მოესმინა ამ „კაცური კაცის“ მოთხრობა.

— ყველაზე იოლი და ურისკო მაინც მანქანის კუკლა იყო.

— მანქანის?!

— კაროჩე, მანქანას ვყიდულობ საკომისიოში. მაშინ „ვოლგა“ იყო ხოდში. თუ ღირდა, სიტყვაზე, ოცდახუთი, ათი ათასად ფორმდებოდა, დანარჩენ თხუთმეტს ხელზე ვაძლევდი. ხო ხვდები, ნიკო-ბატონო, იმ თხუთმეტისას კუკლას ვამზადებდი. შევუცურებდი ტეხნიკურად და ჰაიდა!.. სდიე ქარებს!.. მერე ვინმე შუააზიელ ბარანს მივასაღებდი ოცად.

— კი, მაგრამ შენ მოძებნას რაღა უნდოდა? მანქანა, თავის რეკვიზიტებით...

— მოვეძებნე. მიჩივლებდა? რას იტყოდა, შავად გავურიგდი და სახელმწიფო მოვატყუეო? ქურდებში საქმეს ვერ გამირჩევდა, მჭამელმა ჭამოსო, მიიღებდა. ა, რას იტყვი?

— ეგრე გამოდის.

— ეხლა ბარემ საქონლის კუკლაზე მოგიყვები, საკაიფო რამეა.

— საქონლის როგორ?!

— ძროხაზე კი არა, ნიკოს შემოვევლე, სამრეწველოზე გეუბნები, ტავარზე, რა. მაშინ ძაან მოდაში იყო რუსული ჭრელი თავსაფრები. შუა აზიიდან სპეციალნად ჩამოდიოდნენ მაგისთვინ. რო იცოდე, ყველგან არც იყო, ტოჩკები უნდა გცოდნოდა. დავიჭერდი ტიუბეტეიკიან პინგვინს და ორას-სამას თავსაფარს ვთავაზობდი ოცდახუთპროცენტიანი ფასდაკლებით. საქონლის წასაღებად სასტუმროში ვიბარებდი. ხო ხვდები, წინასწარ მქონდა გამზადებული ორი ტომარა. ერთი - კუკლა, სანახევროდ ამოკერილი პირით, მეორე – ჯერ-ჯერობით, ცარიელი. საქონელი საწოლზე აწყვია, კუკლა საწოლქვეშაა, ჩემ ფეხებთან. „ჩაი ბუდემ პიც!“ - ვეუბნები პინგვინს და შემოსასვლელში, პლიტაზე, ჩაინიკს ვდგამ. ეგ მომენტი აუცილებელია.

— ჩაის გარეშე არ გამოვა?! – უკვირს ნიკოს.

— ეე, შე ფრაერო, ნახე რა მოხდება! – ბობიკა გამოდის სააბაზანოდან, - გენიალური რამეა!

— სტანდარტული პროცედურა მიდის, - აგრძელებს გოგა, - სათითაოდ ვკეცავთ თავსაფრებს და თვლით ვალაგებთ ტომარაში. როცა შეპირებული რაოდენობა შესრულდება, ფულის თვლაზე გადავდივართ. საქონელი ტომარაშია, ფული - გოგას ჯიბეში. დარჩა ტექნიკური მანიპულაცია: ვიღებ მახათს და ვიწყებ ტომრის პირის ამოკერვას. პინგვინი კმაყოფილი მიმზერს, იღიმება. შუაზე რო მივადგები ტომრის პირს, ვეუბნები:

„ერთი ნახე, ძმაკაც, წყალი ადუღდა?“ გოიმი შემოსასვლელისკენ მიტასაობს, მე ამ დროს თავსაფრებიან ტომარას საწოლქვეშ ვტენი და იქიდან ასევე სანხევროდ პირამოკერილი ტყუპისცალი გამომაქვს. პინგვინი ბრუნდება, ჯერ არ დუღსო, მეუბნება. მე მის თვალწინ ვამთავრებ ტომრის ამოკერვას, ვეხმარები ზედ მისამართის დაწერაში და მივყვები ფოსტაში, დროულად რო გავაგზავნოთ ამანათი მზიურ რესპუბლიკაში.

— ჩაი? - ყასიდად შეეკიხა ნიკო.

— რა ჩაი?! აა, მერამდენედ უნდა ამაგდო?.. ხო აზრზე ხარ, რა დღეში ჩავარდებოდა, პასილკას რო გაჩითავდა!

— რა ეწყო კუკლა-ტომარაში?

— ცხადია, ქვები არა. ძველ ჭინჭებში გახვეული გაზეთები. - ახითხითდა კაცის თარგზე მოჭრილი „კუკლა“, - ეხლა ეგეები იქით იყოს, ნიკო-ჯან, შენთან სერიოზული საქმე მაქვს.

— პადელნიკი გჭირდება?

— ვაა, რა კაცი ხარ!.. ძმურად მომისმინე! შენც არ წააგებ. ჩემთვის ძნელი საქმეა, შენთვის რაზ პლიუნუც! ქვეყანას იცნობ!.. რასა შვრები, ნიკო-ბატონო, მიდიხარ?!

ნიკო მართლაც წამოდგა, საათზე დაიხედა|

— ორზე სტუდიაში უნდა ვიყო, სტუმრებს ველოდები. იცი, რა, ბობიკას მოუყევი და მეტყვის. ბოდიშს გიხდი, ძმურად!

გოგა გაშტერდა, კარგა ხანს აზრი ვერ მოიკრიბა, მერე თვალი ბობიკას მიაპყრო. იმასაც რა ექნა, მხრებს იჩეჩდა და ტუჩებს პრუწავდა.

ნიკომ კი, როგორც იქნა, გადააბიჯა ხათრიანობის მიჯნას...

— მოიცა, სიმონ, სად გარბიხარ, საცაა ბიჭები მოვლენ საჯოკეროდ... ე?!

— არ შემიძლია, ბობიკ, ხალხს უნდა შევხვდე!

გაქცევა ბორბალოდან

ალბათ, უკვე დარწმუნდით, რომ ნიკო უჯმაჯურიძეს უყვარდა საკუთარ წარსულში გასეირნება. კაცმა რომ თქვას, ასეთი მოგზაურობა არცთუ ისე უდანაკარგოა. ფიქრი ისეთი რამეა, ერთ წერტილზე დიდხანს ვერ ჩერდება, მოგონებათა ძაფს წყვეტს შიგადაშიგ, სადღაც გადახტება სრულიად ზედაპირული ასოციაციებით და იძულებული ხდები „არიადნეს ძაფი“ ეძებო უკან დასაბრუნებლად. მით უმეტეს, თუ წარსულის ეპიზოდები საამოდ მოსაგონარია, ან რაღაცით მაინც საინტერესო და ჭკუის სასწავლია. თუმცა, რაო, ერთი და იგივე შეცდომა არ მოგსვლიათ? რამდენიც გინდა! მერე? სადაა დაგროვილი გამოცდილება და სიბრძნე? ვის არ მოუსმენია ხანდაზმულების ნატვრა: ეჰ, ის ახალგაზრდობა მომცა და ეს გამოცდილებაო!

ათადან-ბაბადან ასეა: ეს ორი რამ ერთად ვერასდროს ვერ იქნება. ისე, საკამათოც არ არის, რომ ახალგაზრდობაში ყველას ვერ ექნება ერთნაირი რესურსები. ზოგი გაფუფუნებულ ოჯახში იბადება და რა გინდა სულო და გულო - გამზადებული მიერთმევა. ზოგი კიდევ, ნიკოსი არ იყოს, საკუთარი ძალებით უნდა იკვლევდეს გზას. კაცმა არ იცის, რომელი ვარიანტი ჯობს. ჯერ რა გზა გაუვლია ნიკოს, მაგრამ მაინც ცდილობს გაიაზროს წარსულის პლუს-მინუსები, რომელთა დაცალკევება ხშირად არც ისე იოლია.

აი, ახლაც, შესვენებაზე, ოთახი დაცარიელდა, გარეთ ჟინჟღლავს, მოქუფრული დღე ქუჩაში გასვლის სურვილს კლავს. ნისლმა შთანთქა ქედი ტელეანძითურთ, თითქოს არც არსებულა. გაურკვევლობის ბურუსი იდუმალების სასიამოვნო ილუზიას ქმნის და გარდასულ დროებაში სამოგზაუროდ გეპატიჟება.

დაახლოებით ორი წლის იყო, მამა რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. რამდენიმე თვეში მსოფლიო ომი დაიწყო და ექვს წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. აბელი

ბერლინამდე მივიდა, ეგ არის რაიხსტაგზე დროშა არ აუფრიალებია. კინაღამ იაპონიასთანაც მოუწია შეჯახება. კაპიტულაციამ უშველა. ორმოცდახუთის აგვისტოს ბოლოს ჩამოვიდა, გერმანული აკორდეონი და ერთი მომცრო ჩემოდანი, ნაძარცვი (თუ ნადავლი) ოქროულობით გაძეძგილი, ჩამოიტანა. ვიღაც მაიორმა გამოატანა რომელიღაც მისამართზე ჩასაბარებლად. რამდენი ვემუდარეო, უყვებოდა ნიკოს დედამისი, ერთი-ორი სამკაული დავიტოვოთ, რა მოხდება-თქო. აბა, რას ამბობო, ფეხები გააფიჩინა, მენდო კაციო. ეგ ხომ ნაძარცვია-თქო და მით უმეტესო... ერთი სიტყვით, ოქროულობაც და აკორდეონიც მიუცუხცუხა იმ მაიორის ოჯახს თუ ნაცნობებს, აღარ მახსოვსო.

აბელ უჯმაჯურიძე ფილოლოგი გახლდათ, ომამდე მასწავლებლობდა სოფლის სკოლაში. ნაომარმა განათლების განყოფილებას მიაკითხა, სადაც ცივი უარი სტკიცეს: რეპრესირებულის შვილს მომავალი თაობის აღზრდის საქმეს ვერ მივანდობთო.

ერასტო უჯმაჯურიძე ორმოცდაორში გაქაჩა შინსახკომმა ანტისაბჭოთა პროპაგანდისთვის. სამოცდაათს გადაცილებული იყო. რა დასამალავია და ვერ იტანდა ბოლშევიკებს. არა, მსუბუქადაა ნათქვამი, ვარ იტანდა კი არა, სძულდა, მთელი არსებით ეზიზღებოდა ბოლშევიკები და მათი ხელისუფლება. კომკავშირელი რძალი, ნიკოს დედა, ლამის შოკში ვარდებოდა, როცა მამამთილი სტალინზე, „მსოფლიოს მშრომელთა ბელადზე და პედაგოგზე“, ამბობდა, ხულიგანი და ჯიბგირიაო! სიძულვილი ვის რა სიკეთეს მოუტანს და ერასტო უჯმაჯურიძისთვისაც საბედისწერო გამოდგა. ნუ გეშინიათ მეზობლებოო, აწყნარებდა მასთან ინფორმაციისთვის შეკრებილ თანასოფლელებს, მალე გავთავისუფლდებით, მე მინისტრი ვიქნები და აგაყვავებთ, თქვე საწყლებოო!

ერთ-ერთმა „საწყალმა“ რაიონის შინსახკომში ამბავი ჩაიტანა, ერასტო ჩოხატაურში დაიბარეს და საპნის ბუშტივით

გააქრეს.

აბელმა წელიწადზე მეტი თუჯის ნაკეთობათა საამქროში იმუშავა, ტაფებისა და ქვაბების ჩამოსხმა-რანდვაზე. ამასობაში განათლების უწყებაში ერთი ახლობელი დანიშნეს კაი თანამდებობაზე. აბელი სკოლას დაუბრუნეს, ოღონდ ქალაქიდან მოშორებით, სოფელ ბორბალოს რვაწლიანი სკოლის დირექტორად გაამწესეს.

მომცრო მთაზე შეფენილ პატარა სოფელ ბორბალოზე თითქმის მიბმული იყო სოფელი ღოუბანი. რვაწლიანი სკოლა ორთავე სოფელს ჰყოფნიდა. მოშორებით სოფლებს გადმოჰყურებდა ბორბალოს მთა და ქოროღლის ციხე. ბუნება საკმაოდ მწირი იყო. სოფელს გარშემო კუნელ-ასკილიანი ოღრო-ჩოღრო საძოვრები და სახნავ-სათესი ერტყა. სამი წელი იცხოვრეს ბორბალოში. რა დაავიწყებს როგორი სიდუხჭირე და შიმშილი სუფევდა, არც საჭმელი იყო სამყოფად და არც წიგნი იშოვებოდა. თბილისში „საიდუმლო კუნძული“ ათხოვეს. როგორი ნეტარებით წაიკითხა. ბოლო გვერდი რომ ჩაათავა, კინაღამ იტირა. წიგნი გადმოაბრუნა და თავიდან დაიწყო

სკოლაში ფავორში იყო. მხოლოდ დირექტორის შვილობის გამო კი არა, პირველ მოსწავლედ იდგა კვარცხლბეკზე. ფიზკულტურის მასწავლებელს, გრძელხელება, მხარგაშლილ, გოგია ასლანიშვილს უყვარდა განსაკუთრებით. ერთხელ ქორწილში წაიყვანა. როცა გრძელ, ფიცრულ, მაგიდებთან ჩამოსხდნენ, გოგიამ უჩურჩულა: ხო ხედავ, სუფრაზე პურის მეტი არაფერია, ეხლა მოხარშულ დედლებს ჩამაატარებენ ლანგრითა და უნდა ვიმარჯვოთ, როგორმე ერთი დავითრიოთ საკუთრადა, თორე შიმშილით სული გაგვძვრებაო.

გოგიამ მართლაც გასაკვირი სიმარჯვე გამოიჩინა და ბევრი გამოცდილი კონკურენტი ხახამშრალი დატოვა. იმ ნადავლი დედლის გემო მარად დაუვიწყარია.

ერთხელ საქმიანი ვიზიტით ჩამოსულ განათლების რაიონული განყოფილების გამგეს ვახშამი გაუმართეს

სოფლსაბჭოს თავმჯდომარის, მიხაკა საღათელოვის, ბინაში. ყველა იგუდებოდა სიცილით, როცა სტუმარი მიხაკას ცოლისდას, ეშხიან ასტღიკას, „ქალბატონო ასკილათი“ მიმართავდა. არადა, შესწორებას ვერ უბედავდნენ. ბოლოს და ბოლოს, ასტღიკამ შეიფერა „ასკილობა“. კიდევ ერთი კადრი აღიბეჭდა სამუდამოდ ბავშვის ცნობიერებაში: სკამები არ ეყოთ და ერთი ბეჩავი მასწავლებელი მთელი საღამო, მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, უსკამოდ „იჯდა“.

მეექვსე კლასში იყო, ალექსანდრე ჭეიშვილის „ლელო“ რომ იშოვა და ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა. რომელიღაც მთავარი პერსონაჟი რომელიღაც მეჩაიე ქალიშვილს თავს აწონებდა და ამ მიზნით წელის დარდიმანდული რხევით დადიოდა. თორმეტი წლის ნიკო ცდილობდა სიარულში მიებაძა რომანის გმირისათვის, მით უმეტეს, რომ გიჟდებოდა მიხაკასთან ხანგრძლივად სტუმრად ჩამოსულ, თექვსმეტი წლის დიდმკერდიან ნუნუზე. ძნელი სათქმელია, გამოსდიოდა თუ არა დარდიმანდული სიარული ტანმოკლე ნიკოს, მაგრამ ნუნუ რომ ემეგობრებოდა და ეფერებოდა, უტყუარი ფაქტი გახლდათ. ეჰ, რამდენი უძილო საათი ბორგვით გაუტარებია ნუნუზე ფიქრში.

ხანდისხან აიღებდა სქელ, ეგრეთწოდებულ, „საერთო“ რვეულს (რატომ „საერთო“?! რუსული „ობშჩაიადან“ მექანიკურად გადმოღებული), წვერწათლილ ფანქრებს, მოყუჩდებოდა ბორბალოს შემოგარენში რომელიმე ბუჩქის ძირას და წერდა. რას წერდა? მისი ჭკუით, ნოველებს, მოთხრობებს, ლექსებს.

კიდევ ერთი ფრაგმენტის გახსენება ღირს, ალბათ, სოფლის „ეპოპეიდან“. ერთ საღამოს ჭინკა ჩაუსახლდა ნიკოს და საკმაოდ დაღლილი და უგუნებო აბელი არ მოასვენა: ამდენი წელი ომში იყავი და სერჟანტი ჩამოხვედი, გენერლობას ვინ ჩივის, კაპიტნობამდე როგორ ვერ მიაღწიეო.

— გაჩერდი, თორემ გაილახები! - არ მიიღო იუმორი

აბელმა.

— მაგას თავი დავანებოთო, - არ მოეშვა, - ფაშისტების ერთ ტანკს როგორ ვერ მიაგენი, გამცემლიძესავით რომ შევარდნოდი და გმირობა მიგელო?

— გაჩუმდი, გეყოფა!

— კარგი, ამეებს თავი დავანებოთ, ის აკარდიონი რომ ჩამოიტანე ამხელა გზაზე, მე არ მიმაკარე, შენ მაინც დაგეკრა ქორწილებში ან სულაც რესტორნებში!

აქ კი გაუწყდა მოთმინების ძაფი აბელს, გაიძრო ქამარი და ზურგზე გადაუშხუილა ერთადერთ ვაჟს. შეიძლება არც მოხვედრია, ან მოხვდა და მაინც და მაინც არ ტკენია, მაგრამ თავად ფაქტი როგორია? ქამარს უშხუილებ ერთადერთ ვაჟს! თანაც რისთვის? ორიოდე უწყინარი ხუმრობისთვის. არა, ამის მოთმენა და ამ უჟმურ კაცთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება შეუძლებელია! ხვალვე, ხვალვე მოხდეს მოსახდენი!

დილით ნიკომ აბგა გატენა წიგნებით, რვეულებით, ფანქრებით და მშობლებზე ადრე გავიდა სახლიდან. დაღმართზე დაეშვა და ცოტა ხანში სამანქანო ტრასაზე გავიდა. თბილისამდე რა მანძილია? ჰა და ჰა – ორმოციოდე კილომეტრი. დღის ბოლომდე ჩააღწევს, აბა, რა იქნება, იქ კი დეიდასთან იცხოვრებს და სკოლაშიც მასთან ივლის, ისიც ხომ მასწავლებელია!

თავიდან ყოჩაღად მიაბიჯებდა ტრასაზე, მაგრამ ერთი საათის შემდეგ მუხლებმა კვნესა დაიწყეს. სოფელ მუხათთან, კოდაზე როა მიბმული, ვირზე ამხედრებული მეშვიდეკლასელი მეზობელი შემოხვდა.

— ვა, ილო, საით?

— მე კი სახლში მივდივარ, მაგრამა შენ საითღა მილასლასებ? აქეთ რა გინდა, სახლიდან გამაგაგდეს?

— გამომაგდეს კი არა!.. მეც წამოვალ.

— აქეთ ვისთან მიდიოდი?

— არც არავისთან, ისე გამოვისეირნე... დამსვი, რა, ვირზე!

— დაგსვი, რა, ეგრე კი არ არი... ვირი ცოდოა.

— აი, რვეულებს და ფანქრებს მოგცემ!

— მანახე!.. მოდი, შამამიჯექ!..

ფერდობს რომ შეუდგნენ, დაინახეს ტრასისკენ გადმომდგარი სოფლის მოსახლეობა. ნიკომ დედ-მამის ფიგურები გამოარჩია, დაღმართზე რომ ფაცხაფუცხით დაეშვნენ...

ის დღე იყო და მას მერე აბელს ქამარი და ჯოხი კი არა, ერთი ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს შვილისთვის. ისე, ჩვენში დარჩეს და არც ხმადაბალი საუბრით იწუხებდა თავს...

როგორც იქნა, „გადასახლების“ ვადა ამოიწურა და ქალაქში გამოიძებნა სამუშაო ადგილები. ნიკო ძველ სკოლაში აღარ დააბრუნეს და პრესტიჟულში, რომელშიც „კაი ოჯახისშვილები“ დადიან, გაამწესეს. ქართულის მასწავლებელმა გაკვირვებულმა მოუსმინა „სოფლიდან ჩამოსულ“ ბიჭს, რომელმაც უშეცდომოდ ჩაარაკრაკა გაკვეთილი, მაგრამ არ გაგათამამებო და სამიანი ჩაუწერა ჯერ ჟურნალში, მერე - დღიურში. ეს იმ ქამრის გადმოშხუილებაზე უფრო მწარე და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. ჩემი ფეხი აღარ იქნება მაგ სკოლაშიო, მტკიცედ განუცხადა მშობლებს...

ასე მოხდა მისი დაბრუნება „მშობლიურ“ სკოლასა და კლასში, სადაც კინაღამ ალერსით გაგუდეს ბიჭებმა, რომლებთანაც პირველი სამი წელი იჯდა.

ვაჟთა სკოლა – წარსულის გადმონაშთი!

როცა ქალთა სკოლიდან გოგოები ამოივლიდნენ, ბიჭები ისე მიაშტერდებოდნენ, როგორც ამერიკელი ინდიელები ევროპელ კონკისტადორებს. არადა, გოგოები დანაწილებული ჰყავდათ და სხვა ჰაიჰარად ვერ „შეეხებოდა“. სკოლის პირდაპირ დალი პარკაძე ცხოვრობდა, ულამაზესი გოგო. ერთმა ახლადგადმოსულმა მეათეკლასელმა მის დანახვაზე ჩაილაპარაკა, უნდა დავენაშოო.

— ე, ბიჭო, არაფერი მიჰქარო, დათოს ნაშაა, გორდელაძის! – მკაცრად გააფრთხილეს.

ალბათ, ხვდებით, რომ დალი პარკაძეს შორეული წარმოდგენაც არ ჰქონდა მისი მოთაყვანეების არსებობაზე.

„ხალხის მტერი“

შიდა ტელეფონმა დაიწკრიალა.

— ნიკო, შემოდი! - შეფის ხმაა.

— შეიძლება?

— მოდი, მოდი!.. მალე საიუბილეო დღეები იწყება, გასაბჭოების. ძველ ბოლშევიკებს უნდა მივხედოთ.

— დარჩა ვინმე?

— მგონი, ერთიღა დაგვრჩა, სერგო ქავთარაძე, სტალინთან ერთად ებრძოდა მეფეს, ჯერ სტალინი რომ კობა იყო.

— ბატონო ანდრო, რაღა მე მერგო ეგ ძველი ბოლშევიკი. იცით, ალბათ, ბაბუაჩემი რომ სადღაც ჩაალპეს, მამაჩემი რომ გააწამეს.

— ვიცი, როგორ არა, მაგრამ აქ ცოტა სხვანაირადაა საქმე, თვითონ დარწმუნდები. თუ არა და ინტერვიუს შემდეგ მივიღებ შენ უარს...

ტექსტი, რომელიც დღეს ყველას შეუძლია წაიკითხოს ქართულ ენციკლოპედიაში: „სერგო ქავთარაძე, დაიბადა 1885 წელს. დაამთავრა სანკტპეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ბოლშევიკი 1903 წლიდან. 1906 წელში ხელი ჩამოართვა ლენინმა. რევოლუციამდე მრავალგზის დააპატიმრეს. 1921 წელს იყო საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილე, იუსტიციის მინისტრი, ხოლო 1922 წელს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. 1924-27 წლებში სსრკ უზენაესი სასამართლოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე. 1927 წლის დეკემბერში საკკპ(ბ) XV ყრილობაზე პარტიიდან გარიცხეს როგორც ტროცკისტული ოპოზიციის აქტიური მონაწილე.“

საენციკლოპედიო სტატიის წაკითხვის შემდეგ ნიკო სერგო

ქავთარაძეს ეწვია, ვერის ბაღთან, პრესტიჟულ ბინაში. ძველი ბოლშევიკის ტიპი სხვაგვარად ჰყავდა წარმოდგენილი და არ მოელოდა თუ მასპინძელი ზედმიწევნით ანტელიგენტური გარეგნობის, უაღრესად სიმპათიური, სქელშუშებიანი სათვალიდან მშვიდად და კეთილმოსურნედ გამომზირალი, სუფთად მოქართულე კაცი იქნებოდა.

— მეთხუთმეტე ყრილობიდან რამდენიმე დღეში „ამიყვანეს“ და გამაციმბირეს, - თითქოს ეციკლოპედიის ტექსტი გააგრძელა ბატონმა სერგომ, - ცხადია, როგორც „ხალხის მტერს“, მიმოწერის უფლება ჩამორთმეული მქონდა. მიუხედავად ამისა, მაინც პრივილეგირებულ პატიმრად ვითვლებოდი და ცალკე საკანში ვიჯექი. ცენტრალურ პრესას მაწვდიდნენ, ლიტერატურას - შერჩევით. წერის საშუალება მქონდა. ყველაფერს უძლებს კაცი და მეც ვუძლებდი. რა მექნა? მტანჯავდა ოჯახის ამბის უცოდინარობა: მეუღლე და სამი შვილი უპატრონოდ, რა დღეში იქნებიან? ასე გავიდა ცამეტი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დავკარგე მოთმინება და ავყვირდი, როცა მოსწავლეები მოიყვანეს საკნის სარკმლიდან ცოცხალი „ხალხის მტრის“ სანახავად, თითქოსდა, გალიაში ჩამწყვდეული იშვიათი ჯიშის ნადირი ვიყავი.

როცა ცამეტი წელი გავასრულე, ერთ მშვენიერ დღეს საკნის კარი გაიღო და დიდი ხნის ნანატრი „კავტარაძე, ს ვეშჩამი!“ გავიგონე. თუნდაც დასახვრეტად გამიყვანონ, ოღონდ ამ ერთფეროვან საშინელებას ბოლო მოეღოს.

კარგა ხანს მათრიეს აღმა-დაღმა, ნაირ-ნაირი ტრანსპორტით და ბოლოს და ბოლოს, მოსკოვის ერთ-ერთ ციხეში აღმოვჩნდი. გადის დრო, არც კარგს და არც ავს არ მეუბნებიან. თუ ჩემი დახვრეტა უნდათ, ვფიქრობ, რაღა აქ ჩამომიყვანდნენ. ერთი სიტყვით, დადგა ის დღეც, როცა კვლავ გაიღო საკნის კარი მჯახე „ს ვეშჩამის!“ თანხლებით. ჩამსვეს დახურულ ლიმუზინში და ლუბიანკაზე ამომაყოფინეს თავი. ამას მაშინ მივხვდი, როცა ერთ უზარმაზარ კაბინეტში

შემიყვანეს და ვეება მაგიდასთან სავარძელში მოკალათებულ მელოტ, პენსნეიან, კაცთან წარმადგინეს. ამ კაცს პირველად ვხედავდი, მაგრამ გაზეთებში ნანახი პორტრეტებით დავადგინე, რომ ქვეყნის პირველ ჩეკისტთან, ბერიასთან, მქონდა საქმე. უკან აჩრდილივით ედგა ფორმიანი თანამშრომელი (როგორც შემდგომ გაირკვა, მისი „მარჯვენა ხელი“, ქობულოვი). ჩემმა მიმყვანმა კაბინეტი დატოვა. მე ვიდექი, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი.

— დაბრძანდით, ამხანაგო ქავთარაძე! - რუსულად შემომთავაზა ბერიამ და სკამზე მიმითითა.

ჩამოვჯექი.

— ნუ კაკ? კაკ კარმილი?

— გმადლობთ! - ვუპასუხე ამ მოულოდნელი შეკითხვით დაბნეულმა.

— თქვენზე მსმენია, რომ განათლებული ინტელიგენტი ხართ. აბა, რას ჰგავს თქვენი ჩაცმულობა?

ამ რიტორიკულმა შეკითხვამ ხომ სულ თავგზა ამირია. დამცინის? ჩემ თავს ვეკითხები, კი, მაგრამ „ამხანაგო“ და არა „მოქალაქე“ რომ მითხრა? ამიტომ თავი უნდა მოვთოკო, ემოცია დავიოკო.

— თქვენ შესახებ, - ამოღერღა ბერიამ და სავარძელზე ნებივრად გადაწვა, - არის პარტიის ცეკას გადაწყვეტილება...

ბერია გასწორდა, პენსნე მოიხსნა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამიღო, ჯერ ერთ მინას დააორთქლა და გააშრალა, მერე მეორეს მიხედა. პენსნე გაიკეთა, საზურგეს მიაწვა და გაიმეორა:

— არის პარტიის ცეკას გადაწყვეტილება...

ისევ პაუზა. გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა.

— თქვენი გათავისუფლების შესახებ.

როგორც იქნა!

თვალმოუცილებლად მომჩერებია გველური მზერით, ალბათ, ჩემი რეაქცია აინტერესებს. ჯერ სიხარული ყელში ბურთივით გამეჩხირა, მერე ეჭვმა გამკრა: პატიმრობასთან

რა კავშირშია ცეკას გადაწყვეტილება, ეს ხომ იურიდიული კაზუსია? ისევ ხომ არ მამასხარავებს?

— არ მჯერა! - აღმომხდა უნებურად.

— რაო?! - იღრიალა ქვეყნის პირველმა ჩეკისტმა, - ვის უბედავ! იცი, შენ წინაშე ვინ ზის? ლავრენტი ბერია! იქნებ გინდა უკან დაგაბრუნო!

— მჯერა! მჯერა! - ხმა ჩამიწყდა.

— ჩაცვით! - გასცა განკარგულება და როცა კარში გავდიოდით, ქობულოვს მიაძახა: - მაგის ცოლსაც!

ახლა კი დამკრა თავში: გამოდის, რომ ცოლიც დაჭერილი ჰყავდათ. ღმერთო, დიდებულო, შვილები? შვილებს რა სჭირთ?

ერთ მოზრდილ ოთახში შემიყვანეს, უშველებელ ზანდუკს თავი ახადეს და ამოირჩიეო, მითხრეს. ზანდუკში ნაირ-ნაირი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი ეყარა. მივხვდი, დახვრეტილი ხალხის სამოსელი რომ იყო, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა? ტან-ფეხზე მორგებაში ჩემი მეუღლეც შემოიყვანეს. ერთდროულად ვკითხეთ ერთმანეთს:

— ბავშვების რა იცი?

რისი ხვევნა, რის კოცნა, გათავისუფლების სიხარული ტრაგედიად გვექცა.

როგორც იქნა, ტანსაცმელი ჩამოვიცვით. ერთი სული გვაქვს, როდის დავრჩებით პირისპირ სალაპარაკოდ და სულის მოსაოხებლად.

იმ ღამეს სასტუმრო „მასკვას“ კომფორტულ ნომერში მოგვათავსეს და გვითხრეს:

— დაელოდეთ შემდგომ დანკარგულებას!

გახვრეტილი შაურიც არ დაგვიტოვეს. საჭმელი შემოჰქონდათ.

მარტონი კი დავრჩით, მაგრამ ლაპარაკი ვერ გავრისკეთ მიკროფონების შიშით. ქაღალდი და ფანქარიც არსად იყო, რომ სათქმელი დაგვეწერა. ისევ თვალებით, მიმიკით და

ჟესტიკულაციით „ვსაუბრობდით“.

დაადგა საშველი და გათენდა.

როგორმე იქნებ ბავშვების კვალს მივაგნოთ. ცეკაში მივალ და ვიკითხავ, მაგრამ ამ ნასხვისარი, მოურგებელი ტანსაცმლით სად წავიდე? გამოვედი დერეფანში და სრულიად უიმედოდ დავიწყე წინ და უკან სიარული. სართულის მორიგემ, თმაჭაღარა ქალმა, დიდხანს მიყურა და მერე ხმადაბლა მითხრა:

— მეცხრე სართულზე ებრაელი მკერავი ზის, პატარა სახელოსნო აქვს.

ავედი. პატარა ტანის, ჩამრგვალებულმა, კაცმა სათვალის ზემოდან ამომხედა, ხელსაქმე გადადო და მკითხა:

— იქიდან, ხომ?

მე თავი დავუქნიე და ისიც მივანიშნე, რომ კაპიკის პატრონი არ ვიყავი. არაფერია საჭიროო, რიგ-რიგობით გაიხადე, მაგ ტაბურეტზე იჯექი და მელოდეო.

იმ ღვთისნიერმა კაცმა ორიოდე საათში გამომაწყო და გზას გამიყენა. „შემდგომ განკარგულებას“ აღარ დაველოდე.

რაღა ბევრი გავაგრძელო, რაც ცოლ-ქმარმა იმ დღეებში განვიცადეთ, მტერს არ ვუსურვებ. ორი ბიჭის ასავალ-დასავალი სამუდამოდ დავკარგეთ, ქალიშვილს კი ერთ მიყრუებულ ადგილას, „ბავშვთა სახლში“, მივაგენით...

დამნიშნეს მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის დასავლეთის ლიტერატურის განყოფილების გამგედ. მოსკოვის ცენტრში, გორკის ქუჩაზე, მოგვცეს ოროთახიანი ბინა. პარტიაში აღმადგინეს... ბიჭები აღარ მყავს...

ცხოვრება ნელ-ნელა დგება ჩვეულ მდორე კალაპოტში. ყოველდღიური საზრუნავი შეუმჩნევლად „ჭამს“ დარდსა და ნაღველს. კაცი ხომ ყველაფერს ეგუება. თან ქალიშვილს შევცქერით, რომელსაც არავის წინაშე არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

რამდენიმე თვემ მშვიდობიანად ჩაიარა. ერთ წვიმიან დღეს

დამირეკეს და გამაფრთხილეს, რომ ამა და ამ საათზე კრემლში უნდა გამოვცხადებულიყავი თვითონ „იმასთან“, რომელიც აქამდე არც გამომხმაურებია და ცხადია, არც მინახავს.

დანიშნულ დროზე შევედი კრემლში. მიმაცილეს „იმის“ მისაღებში. როგორც ყოველთვის, ღამღამობით, ახლაც პოსკრებიშევი მორიგეობს კაბინეტის კართან.

— ახლავე მოვახსენებ! - დაფაცურდა და კარს მიღმა გაუჩინარდა. ცოტა ხანში ისევ აღმოცენდა და შედიო, მითხრა.

შევედი და გავჩერდი. ჩემ უკან კარი დაიხურა. გრძელი კაბინეტის სიღრმეში „ის“ იჯდა და წიგნს კითხულობდა. ჩემ დანახვაზე წიგნი გადადო და ნელი ნაბიჯით წამოვიდა, თან გზადაგზა ჩამქრალ ჩიბუხს აპლაკუნებდა.

— ზდრავსტვუი, სერიოჟა! - ხელი გამომიწოდა.

საჩქაროდ ჩამოვართვი. ცოტა ხანს ეჭირა ჩემი ხელი, მერე გამიშვა, ჩიბუხი ააპლაკუნა, კარგად შემათვალიერა და ის უცნაური კითხვა დამისვა, რომელიც უკვე მოსმენილი მქონდა პირველი ჩეკისტის კაბინეტში:

— ნუ კაკ? კაკ კარმილი?

ამჯერად აღარ დავბნეულვარ:

— გმადლობთ, იოსიფ ვისარიონოვიჩ, თავად როგორ გიკითხოთ?

გაჩუმდა, ისევ ააპლაკუნა ჩიბუხი, ღიმილით ამხედ-დამხედა და მითხრა:

— სხვათა შორის, შეგიძლია შენობით მელაპარაკო!

მიტრიალდა და მაგიდისკენ გაემართა. ეს აუდიენციის დამთავრებას მოასწავებდა...

გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა. მძიმედ, მაგრამ მაინც შუშდებოდა ჭრილობები. ყოველთვის არსებობს უარესის საფრთხე. ორი ვაჟი კი აღარ გვყავს, მაგრამ მადლობა ღმერთს, ქალიშვილი შეგვრჩა.

ერთ ღამეს, დაახლოებით სამ საათზე, გაბმულმა ზარმა დაგვიფრთხო ძილი. კარი გავაღე და ელდა მეცა: ზღურბლზე

ტყავის ქურთუკიანი შინსახკომელის ნაცნობი სილუეტი ასვეტილიყო.

— გამოძახებული ხართ! - მოკლედ მოჭრა, - მანქანა დაბლა გველოდება!

— რა ხდება?

ტყავის ქურთუკიანმა მხრები აიჩეჩა. მივხვდი, რომ შეკითხვებს აზრი არ ჰქონდა, ჩავიცვი, ცოლ-შვილი დავაწყნარე, აქ რაღაც გაუგებრობაა-თქო და კიბეზე ჩავირბინე. მანქანაში წინ დამსვეს უაღრესი თავაზიანობით, მსგრამ ამან ოდნავაც ვერ დამამშვიდა. ტვინი გამალებული მუშაობდა და სანამ ბერიას კაბინეტში შემიყვანდნენ, უკვე გადაწყვეტილი მქონდა: ხელმეორედ ციხეში უსიკვდილოდ არ ჩავჯდები. თუკი ეს ნაძირალა დაჭერას მიპირებს, მის მაგიდაზე რომ მარმარილოს საფერფლე დევს, ჩავუშვებ იმ მელოტ თავში და ამ კეთილ საქმეს მაინც მოვასწრებ სიკვდილის წინ. ამ გადაწყვეტილებით დამუხტულმა, როგორც კი შევდგი ფეხი კაბინეტში, მთელი ხმით ვიღრიალე:

— რა გინდათ ჩემგან? ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ, რა გინდათ!

შევამჩნიე, როგორ დაფრთხა ბერია. საჩქაროდ წამოიწია, პენსნე უადგილოდ მოიხსნა და ქართულად მითხრა:

— დაწყნარდით, ამხანაგო სერგო, დაწყნარდით! თქვენ ამხანაგმა სტალინმა გამოგიძახათ!

უცებ მოვეშვი და სკამზე დავეგდე. მგონი მაშინ პირველად დამეუფლა პროტესტისა და აღშფოთების განცდა სტალინის მიმართ: თუ ჩემი ნახვა უნდოდა, რაღა ბერიას გავლით?!

კრემლში ბერიასთან ერთად მივედი.

პირველმა ჩეკისტმა პირდაპირ გააღო ბელადის კაბინეტის კარი და შეაბიჯა.

— ივანიჩ, შენ რაღაზე მოსულხარ?! - შემეკითხა გაკვირვებული პოსკრებიშევი.

— რა ვიცი, დაძახებული ვარ.

— კი, მაგრამ მანდ ხომ პოლიტბიუროს სხდომაა!

— მაშინ წავედი!

— ე! ე! მოიცა! - ხელი მტაცა პოსკრებიშევმა, - გინდა თავი მომკვეთოს? აქ დამელოდე!

პოსკრებიშევი კარის ღრიჭოში შესრიალდა, უმალვე გამოსრიალდა და მხრებაწურულმა წამჩურჩულა:

— შედი!

რა ჩარა იყო, შევედი. კართანვე გავშეშდი: ნაღდად პოლიტბიუროს სხდომაა! გრძელ მაგიდასთან საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები, თითქმის ნახევრადღმერთები, სხედან და გასუსულნი მიჩერებიან სტალინს, რომელიც ბოლთას სცემს და რაღაც მნიშვნელოვან დირექტივებს კარნახობს, თან დრო და დრო ჩამქრალ ჩიბუხს აპლაკუნებს. პაუზებში, სანამ ჩიბუხს აჩაღებდა, პოლიტბიუროს წევრები საჩქაროდ ჩანაწერებს აკეთებდნენ.

რომელიღაც პაუზის დროს სტალინმა, ჩიბუხიანი ხელით, კედელთან ჩამწკრივებულ ცარიელი სკამებისკენ მიმითითა. ჩამოვჯექი და სულგანაბული ვაკვირდებოდი იმას, რაც აქ ხდებოდა: ერთი რეპლიკა რაა, რაიმე მოსაზრებას რომ თავი დავანებოთ, არავის დასცდენია. ისხდნენ და მოწონების ნიშნად თავს მარიონეტებივით აკანტურებდნენ.

როცა ბელადმა ლაპარაკი მოათავა, შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

პოლიტბიუროს სხდომა დამთავრდა.

ცხადია, ჩემი იქ მისვლა და ყოფნა შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

— რაზე გამოგიძახა? - მკითხა ვოროშილოვმა.

— ვიცი? - კითხვითვე ვუპასუხე...

მეორე დღეს „პრავდამ“ პოლიტბიუროს მორიგი „ისტორიული“ დადგენილება დაბეჭდა.

— რატომ გამოგიძახათ? - გაუმეორა ნიკომ ვოროშილოვის შეკითხვა.

— ვიცი? - იმავე შეკითხვით უპასუხა ძველმა ბოლშევიკმა, - ერთადერთი ახსნა, თუ გამოდგება, ასეთი უნდა იყოს: მაჩვენა, რა ძალაუფლებას ფლობდა, როგორ თოჯინებად ჰყავდა ქცეული მთელი პოლიტიკური ელიტა. ვითომდა, გულში არ ჩაიდო ჩემზე ბოღმაო. აბა, სხვა რა უნდა ვიფიქრო?

— დიქტატორად რომ იჯდა, განა თქვენთვის ახალი ამბავი იყო?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ... მანდ არის ფსიქოლოგიური მომენტი: „სავარძელთან და კვერთხთან“ უშუალო კონტაქტის მაგია... შეიძლება ვცდები...

ჰო, აგარაკზე, კუნცევოში, ხშირად მეძახდა. ძირითადად პოლიტბიუროს წევრები იკრიბებოდნენ. სუფრა ყოველთვის გაშლილი გვხვდებოდა, არავინ გვემსახურებოდა. სასმელი ნაირ-ნაირი იყო, მაგრამ თვითონ, როგორც წესი, რამდენიმე ჭიქა ხვანჭკარას ან ქინძმარაულს წრუპავდა. სხვათა შორის, სუფრა დიდხანს არ გრძელდებოდა.

მახსოვს, ერთხელ, როცა სერობას მოვრჩით და ავიშალეთ, კუთხეში, პატეფონთან, მივიდა და ფირფიტების მოსმენა დაიწყო. ცოტა ხანში მიმიხმო. მივედი. ქართულ ხალხურ სიმღერებს უსმენდა.

— შენ როგორ ფიქრობ? - მკითხა, - ჩვენებური სიმღერები აღმოსავლეთისა ჯობს თუ დასავლეთის?

— როგორც სპეციალისტები ამბობენ და მეც ასე მგონია, ქართლ-კახური უფრო აკადემიურია. მაგალითად, „მრავალჟამიერი“, „ჩაკრულო“, „წინწყარო“...

— ადრე მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ამ ბოლო დროს დასავლური უფრო მსიამოვნებს, განსაკუთრებით, მეგრული და გურული. „ჩელა“, „ხასანბეგურა“...

სტალინმა უცებ შეწყვიტა ლაპარაკი და გვერდზე მიიხედა. ჩვენი საუბრით დაინტერესებული ლავრენტი ნელ-ნელა მოჩოჩებულა სასმენ მანძილზე. როცა საუბარი შეწყდა და სტალინი მოუტრიალდა, ბერია ადგილზე გაშეშდა. მერე

იხტიბარი აღარ გაიტეხა, პენსნე გაისწორა, ჩაახველა და სულ ახლოს მოვიდა.

— სიმღერებს უსმენთ? - იკითხა ნაძალადევი ღიმილით.

სტალინმა არ უპასუხა, მერე ჩიბუხის ტარი მიუშვირა და სრულიად მოულოდნელად, მკვეთრი მეგრული აქცენტით, ქართულად წაუმღერა:

— მოღალატე ხარ შენ, ლავრენტი ბერია!

უცებვე შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა. ბერია გათეთრდა, მე გავმწვანდი.

ეს რა გააკეთა?!

რას იფიქრებს ბერია? მასზე ვლაპარაკობდით? რა თქმა უნდა! კაცმა რომ თქვას, არ მქონდა სალაპარაკო თუ რა? კი, მაგრამ ღმერთი, რჯული, კრინტი არ დამიძრავს.

თავი ვიმართლო, უარესია, ვინ დაგიჯერებს? არადა, რა წყალში ჩავვარდე, როგორ შემატოვა ამ აფთარს!

კიდევ კარგი, ვოროშილოვი მოვიდა და პაპიროსი მთხოვა...

მას მერე ყოველღამე დაჭერას ველოდი, მაგრამ ვერ გაბედა, სტალინს ფავორში ვყავდი.

სულ მალე კი უცნაური და მოულოდნელი რამ მოხდა ჩემ ცხოვრებაში. თუმცა სტალინის ეპოქის მოღვაწეებისათვის მოულოდნელობა და უცნაურობა ცხოვრების წესს წარმოადგენდა.

დიდ თეატრში რაღაც თარიღისადმი მიძღვნილი კონცერტი ტარდებოდა. პარტერში ვიჯექი. ანტრაქტში კაცმა მომაკითხა, მთავრობის ლოჟაში გთხოვენო.

შევედი. ვხედავ სტალინს და ვიღაც უცნობ პიროვნებას, სხედან და გულთბილად საუბრობენ.

— მოდი, სერიოჟა! - სტალინმა მათ შორის მდებარე თავისუფალ სკამზე მიმითითა. ჩამოვჯექი.

— იცნობდე, ამხანაგი პეტრუ გროზა, რუმინეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი, ეს კი სერგო ქავთარაძე,

ჩვენი მომავალი ელჩი რუმინეთში...

ასე დავინიშნე ელჩად კონცერტის ანტრაქტში...

მანამდე იყო კიდევ ერთი მოულოდნელი ეპიზოდი.

დაახლოებით ღამის სამ საათთზე გაბმული ზარია. წამოვხტი, ვეცი კარს. ვაღებ და თვალებს არ ვუჯერებ: ზღურბლზე დგას მოღიმარი, შექეიფიანებული, არც მეტი, არც ნაკლები, იოსიფ ვისარიონოვიჩი.

— შეიძლება თქვენთან?

ხომ წარმოგიდგენია, რომ მეთქვა, არ შეიძლება-თქო!

— წესით და კანონით, ზნეობრივი კოდექსის თანახმად, შეიძლებოდა არშეშვება! - ნახევრადხუმრობით ჩაურთო ნიკომ.

— ასე, გარედან და შორიდან თქმა ადვილია. არ შემეშვა კი არა, ლამის გული ამომვარდა ბუდიდან. ცოლიც გამოვარდა საძინებლიდან.

— მობრძანდით, იოსიფ ვისარიონოვიჩ, ახლავე სუფრას გავშლი!

— ჯერ აქ მო! - მოუხმო და დივანზე ჩამოჯდა.

მეუღლე მორჩილად მიუჯდა.

— სერიოჟა, აქედან მომიჯექ!

ორთავეს გადაგვხვია ხელები და ერთბაშად დასერიოზულდა:

— მე დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე, გგონიათ, არ ვიცი? უნდა მაპატიოთ!

— რას ბრძანებთ, იოსიფ ვასარიონოვიჩ, რას ბრძანებთ! – გადაირია ჩემი ცოლი.

— უნდა მაპატიოთ!

წამოდგა, კართან მივიდა, გამოაღო და იქვე ატუზულ ბერიას უთხრა:

— ლავრენტი, შემოდი!

მეუღლე საშხარეულოში გავარდა...

უკვე თენდებოდა, როცა წასასვლელად წამოიშალნენ.

სტალინი ზღურბლზე შეჩერდა და შემოტრიალდა:

— უნდა მაპატიოთ!..

— აპატიეთ? - ჰკითხა ნიკომ.

ბატონი სერგო ხანგრძლივად დააკვირდა ლინზების სიღრმიდან და არაფერი უპასუხა.

— ბატონო სერგო, - არ მოეშვა ნიკო, - ასეთი ახლობლები იყავით, ერთ ლოგინზე გაგითევიათ, ერთხელ მაინც როგორ არ ჰკითხეთ, რას გერჩოდა? ფაქტობრივად ხომ თქვენი ორი ვაჟის მკვლელი იყო! ერთხელ მაინც დაგესვათ მთავარი კითხვა!

ბატონმა სერგომ სათვალე მოიხსნა, თვალთა უპეები მოისრისა, ლინზები გაწმინდა, სათვალე ისევ გაიკეთა და წყნარად, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, ჩაილაპარაკა:

— ვერ ჰკითხავდი! ასეა...

ნიკო აღარ ჩასძიებია, ისედაც ნათელი იყო, რატომ ვერ ჰკითხავდა და საერთოდ, განა ყველაზე მთავარი კითხვა ყოველთვის უპასუხოდ არ რჩება?

გამომშვიდობებისას ბატონმა სერგომ მაგრად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

— ათასგვერდიანი მემუარები ჩავაბარე მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს. გამოქვეყნებას არ ვდარდობ, სხვა რამე არ დაემართოს!

მას მერე კაი ხანი გაივლის, ბოლშევიკების ხელისუფლება და მის მიერ შეკოწიწებული „ბოროტების იმპერია“ ისტორიის საკუთრებად და მძიმე მოგონებად იქცევა, ძველი ბოლშევიკის მემუარების ბედი კი ისევ გაურკვეველია, მართლა ხომ არ დაემართა „სხვა რამე“?

მიაბიჯებდა ნიკო და ეჭვები არ ასვენებდა. კი, ბატონო, სიმპათიური ინტელიგენტია, თავის დროზე რეპრესირებული, ცამეტი წელი ახეხინეს ციხის იატაკი, მაგრამ და მით უმეტეს, ძნელია უყოყმანოდ შერაცხო დადებით პიროვნებად. შეკითხვას რომ თავი დავანებოთ, ორი შვილის მკვლელს შემდგომში

ერთგულად ემსახურა, მასაც და საშინელ რეჟიმსაც.

ცოტა „ეშმაკისკენაც“: არ მოემსახურებოდა და კაი ჩიტსაც დაიჭერდა! რა უნდა ექნა ამდენ სიმწარენახულს?

კი, ის მემუარები მოსაძიებელია, ალბათ, ბევრი რამ, ჩაბურუსებული, განათდება!

გურული ქორწილი

მეთერთმეტე კლასში, გამარტებაზე, ნიკოს ორბორტიანი კოსტუმი შეუკერეს და იმ ეპოქაში „მოდნი“ ხინკალა ქუდი უყიდეს. ასეთ ქუდს „სტადიონას“ ან „აეროდრომსაც“ ეძახდნენ. ასე გამოპრანჭული გაემგზავრა მარტის არდადეგებზე დედულეთში, სოფელ მამათში. ჩასვლიდან მეორე თუ მესამე დღეს ქორწილში დაპატიჟეს.

ბრეზენტით შემოფარგლულ ოდისქვეშა სივრცეში სუფრა სამას კაცზე იყო გაშლილი. ნიკო, როგორც ქალაქელი სტუმარი, იმ მაგიდასთან დასვეს, რომლის თავშიც თამადა იჯდა. თამადის უკან, ამაღლებულზე, ნეფე-დედოფალი და ხელისმომკიდეები ისხდნენ.

ნიკოს მოპირდაპირე ძგიდეზე ბათუმელი გოგო-ბიჭები ჩალაგდნენ. თამადად ამბროსი ხელაძე, გორილასავით ჩასკვნილი, მწარეხაპისცხვირიანი კაცი, დანიშნა მასპინძელმა. მოადგილეების დანიშვნა რომ მოათავა, თამადამ თლილი ჭიქა აიღო, რომელიც მისი ხელის მტევანში გაუჩინარდა. პირველი სადღეგრძელო მშვიდობის შესვა:

— შვიდობა რომ არ იყოს დუნიაზე, ქორწილის კარა, აფერის თავი არ გვექნებოდენ, შვიდობიზა იყო, მილიონობით ხალხი რომ გეიჟლიტა ომში. ერი სიტყვით, გუუმარჯოს შვიდობას თელ ქვეყანაზე და ძირს ომის გამჩაღებლები!

თამადის ბოლო ფრაზა მქუხარე ტაშმა დაფარა. ყველამ დალია და ნიკომაც გამოსცალა თლილი ჭიქა. ვერასდროს წარმოიდგენდა, ასეთ საზიზღარ სითხეს ღვინოდ თუ მიიჩნევდნენ

სადმე. ხანდაზმული მერიქიფეები მკვირცხლად ავსებდნენ სასმისებს ამ მღვრიე ნაზავით.

ნიკოს ისიც გაუკვირდა, რომ სიმღერებით განთქმული გურულების ქორწილში დაქირავებული ტრიო უკრავდა და მღეროდა ქალაქურ ბაიათებს და მდარე ესტრადას. თამადის ყოველი სადღეგრძელო აკორდეონის და დოლის ყურისგამხვრეტი „ტუშით“ გვირგვინდებოდა.

მეორე სადღეგრძელო პარტიის და მთავრობის შეისვა, თლილი ჭიქითვე. ნიკომაც დაცალა, აბა, თავს ხომ არ შეირცხვენდა მოთვალთვალე ბათუმელების წინაშე!

მჟავეს და ხაჭაპურს მიეძალა.

ამაოდ ფიქრობდა ნიკო, რომ მესამე სადღეგრძელო ნეფე-დედოფლისა იქნებოდა. მორიგი ჭიქა სახელოვანმა წითელმა ჯარმა, მომდევნო კი ჩვენი მზიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიისაკუთრა.

მეხუთეზე, როგორც იქნა, თამადას ნეფე-დედოფალი გაახსენდა და ლუდის კათხების ჩამორიგება ბრძანა...

ნიკოსთან ერთი ბათუმელი ბიჭი გადმოვიდა ალავერდს. ნიკომ ცარიელი კათხა მერიქიფეს გაუშვირა.

— ეგება არ ღირს, ბიძიკო! - მერიქიფემ შეატყო, ნიკო რომ უკვე „კარგად“ იყო ოთხი ჭიქის შემდეგ.

— დაასხი! - ნიკო ხედავდა, რომ ბათუმელები აკონტროლებდნენ.

მერიქიფემ დაასხა, მაგრამ ბლომად დააკლო.

— ნუ მარცხვენ, ბიძია, შეავსე!

ის კათხა კი დაცალა, მაგრამ ჯველის კუჭმა არ მიიღო და ბოლო ყლუპი ყანყრატოსთან გაჩერდა. ცოტა შეიცადა და როცა მისმა დაცლილმა კათხამ მოგზაურობა დაიწყო, წამოდგა, გასასვლელამდე კაი ძალი გზა გაიარა, მახლობელ ხემდე მიაღწია, გათავისუფლდა და შვებით ამოისუნთქა. როცა ადგილზე დაბრუნდა, მიმოიხედა და გაუხარდა, რომ მისი სამარცხვინო ვოიაჟი არავის შეუმჩნავია.

ამასობაში მორიგი ცარიელი კათხა მოართვეს, მეჯვარეების „სადღინძელოაო“. ალავერდი ისევ ბათუმელებიდან მოდიოდა.

— დამიჯერე, ბიძიკო! – მერიქიფემ კათხის გამორთმევა სცადა, - იქით გადავცემ მაგ ბაკალს.

— არ გამოვა მაგი ამბავი! - სლოკინით გააპროტესტა თბილისელმა სტუმარმა, - დაასხი, ბიძია... აბსოლუტურად ფხიზელი ვარ, შემომხედე!

— ხოდა, რომ გიყურებ, მაი მკლავს, ჩემო ბიძია!

სხვა გზა არ იყო, შეუვსო. თქვენ წარმოიდგინეთ, დაცალა, მაგრამ ბოლო ყლუპები ყანყრატომაც არ მიიღო და პირის ღრუში გაჩერდა. მოცდა აღარ შეიძლებოდა და წინა ვოიაჟი დაჩქარებულად გაიმეორა. ადგილზე მობრუნებული ისევ დარწმუნდა, რომ მისი იძულებითი მოგზაურობა კვლავ შეუმჩნეველი დარჩა.

მესამე კათხაზე მერიქიფეს ვაჭრობა აღარ დაუწყია, უსიტყვოდ შეუვსო, მაგრამ პირი ყურთან მიუტანა და წაუჩურჩულა:

— ბიძიკო, არ გინდა დალევა, მაი ბაკალი გეიტანე გარეთ და მიასხი იმ დასაწვავ ხეს!

მთავარი კი ის გახლდათ, რომ ქალაქელ ჭაბუკს არც დალევის თავი ჰქონდა და ვეღარც იმ მხსნელ ხეს მიაგნებდა. არც ის იცოდა, რომ მის ახალთახალ კოსტუმზე საქორწილო სუფრის მენიუ დაწვრილებით იკითხებოდა.

მწერლები გიჟები არიან?

„მოამბეს“ სათავეში ჩაუყენეს ახალგაზრდა მწერალი ზურაბ პაპასკირი, უკვე ორი გახმაურებული წიგნის ავტორი.

დიდხანს ყოყმანობდა ნიკო, სანამ მოთხრობებს წააკითხებდა პაპასკირს. უარყოფითი „განაჩენის“ შემთხვევაში გადაწყვეტილი ჰქონდა კალმისთვის ხელი აღარასოდეს მოეკიდა. ნერვიულობდა და მერე როგორ! მაინც მიაკითხა. პაპასკირმა

ხელნაწერი უბის ჯიბეში ჩაიდო. ამაღამვე წავიკითხავ და ხვალ შესვენებაზე შემოდიო.

როგორც იქნა, გათენდა, ცხრა გახდა. ნიკო ადრიანად მივიდა სტუდიაში და ქაღალდების ქექვას შეუდგა უგულოდ. შესვენებამდე მთელი ოთხი საათი იყო. ათის ნახევარზე ღია კარში პაპასკირის თხელი ფიგურა აღიმართა, ხელში ნიკოს ხელნაწერით.

— შენი დაწერილია?.. გეხუმრები... პირდაპირ გეტყვი: არ მოველოდი! ასეთი ოსტატობა, ასეთი სიღრმე!

ნიკომ სცადა სიცილით შეენიღბა სიხარულის ნაკადი.

— უნდა დაბეჭდო. ისე, მაგნაირი სატირული ხედვით წერა და ისიც ამ ქვეყანაში, გაგიჭირდება. თუმცა, მით უფრო საინტერესო მწერალი იქნები... თუ არ შეგაწყვეტინეს... შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ! ძალიან გამახარე!

ახლა ნიკოს სიხარული ნახეთ! ამ ოთახში და სტუდიაში ყოფნა უცებ ტვირთივით დააწვა. მოუნდა სუფთა ფურცლებთან მარტო დარჩენა ჩაკეტილ სივრცეში, თუნდაც საკუთარ ნახევრადსარდაფში.

ამჯერად კი რომელ ჟურნალში მიეტანა მოთხრობები, ამაზე ფიქრობდა, თუმცა დიდი საფიქრალი რა იყო: სულ ორი ლიტერატურული ჟურნალი ისტამბებოდა, „მნათობი“ და „ცისკარი“. ამ უკანასკნელში გადაწყვიტა მიტანა, დამწყები ავტორები, უმთავრესად, მანდ იბეჭდებოდნენ. თანაც ლიტმუშაკ ავთანდილ დარჩიასთან კაიხნის ნაცნობობა აკავშირებდა...

დაახლოებით ერთი თვის თავზე დარჩიამ დაურეკა, რედაქციაში შემოიარეო...

— ამ ფრაზამ გადარია რედაქტორი: „ყარამანს ნერწყვის ყლაპვისას აუდ-ჩაუდიოდა საკუთარი მუშტისხელა ადამის ვაშლი“

დარჩიამ წინ დაუდო ხელნაწერი, რომელშიც წითლად იყო გახაზული ეს ფრაზა და წითლადვე ეწერა: „რაო?! ავთანდილ, რა არის „ადამის ვაშლი“?!“

— არ აუხსენი? იქნებ მითოლოგიისთვის გადაეხედა? მე მგონი, ცნობილი პროზაიკოსისთვის უხერხული უნდა იყოს ასეთი ელემენტარული რამის არცოდნა.

— მაგას რაღა გადააკეთებს, გვიანაა! - ხელი ჩაიქნია დარჩიამ, „მნათობში“ მიიტანე, მანდ შედარებით ნორმალური ხალხია და რაც მთავარია, მითები წაკითხული ექნებათ.

— ხელნაწერზე მითოლოგიური ლექსიკონიც ხომ არ დამედო? — გაიცინა ნიკომ, მაგრამ ეტყობოდა, გუნებაზე ვერ იყო.

„მნათობში“ მაინც მიიტანა ხელნაწერი წითელი კომენტარითურთ. აქ და ახლა უნდა გარკვეულიყო, გააგრძელებდა გზას მწერლობაში თუ არა. ინფორმაციას რედაქციის თანამშრომელი, გერმანისტი ნოდარ რუხაძე, აწვდიდა.

— თუ გინდა დაგიბეჭდონ, დილიდან საღამომდე ბოინის ძაღლივით უნდა ეგდო აქ. იმას ხომ ხედავ, დამწყებია ეგეც, ყოველდღე აქაა შტატიანი თანამშრომელივით. ისე, შენ არჩილი და ედიშერი გიჭერენ მხარს. მაინც უნდა იარო რეგულარულად.

მართლა „ბოინის ძაღლად“ ხომ არ გადავიქცევიო, გაიფიქრა ნიკომ და ბედს მიენდო. გაუმართლა: აგვისტოს ნიმერში ორივე მოთხრობა დაიბეჭდა. ეს კი მწერლობაში მწვანე გზას მოასწავებდა. ნიკოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჟურნალის რამდენიმე ათეული ეგზემპლარი შეიძინა და ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს ჩამოურიგა.

სწორედ იმ დღეებში ერთ ახალგაცნობილ გოგონასთან ჰქონდა პაემანი. თეთრყირმიზი, ლაჟვარდთვალება, გიული მეთერთმეტე კლასში სწავლობდა. იმდენად გაუკვირდა ნიკოსგან პაემანის შეთავაზება, რომ დაუფიქრებლად დათანხმდა. რუსთაველზე შეხვდნენ, ალექსანდრეს ბაღის შესასვლელთან. როგორც კი ძელსკამზე ჩამოსხდნენ, ნიკომ „მნათობის“ წინასწარ გამზადებული ნომერი მიართვა.

— ეს რა არის?

— არაფერი. ლიტერატურული ჟურნალია.

— უნდა წავიკითხო?

— მთლიანად არა. ჩემი მოთხრობებია დაბეჭდილი. მათხოვე!.. აი, აქედან აქამდე.

გიულიმ უსიტყვოდ წაიკითხა რამდენიმე ფრაზა, ჟურნალი დაკეცა და მცირე პაუზის შემდეგ იკითხა:

— მართალია, რომ მწერლები და პოეტები გიჟები არიან?

როცა ნიკო დარწმუნდა, რომ ანგელოზი არ ხუმრობდა, სრულიად სერიოზულად უპასუხა:

— პოეტებზე ვერაფერს გეტყვი, მაგრამ მწერლები რომ არიან, წყალი არ გაუვა!

გიჟი ვარ, აბა, რა ვარო, გაიფიქრა, ასეთ ერთუჯრედიანს რომ პაემანს ვუნიშნავო...

ასე და ამრიგად, პოტენციურ საცოლეთა სიიდან ცისფერთვალება გიული საბოლოოდ ამოირიცხა.

სხვა ვარიანტის გახსენებაც შეიძლება.

ჟურნალისტიკაზე ულამაზესი გოგო სწავლობდა, ეკა გვეტაძე. ნიკო მის თანაკურსელ რამდენიმე გოგონას იცნობდა, რომლებიც ეკას გვერდით უმოწყალოდ იჩრდილებოდნენ. ეკასთან ნიკოს არავითარი შანსი არ ჰქონდა და ერთი ეშმაკური ფანდი ჩაიფიქრა: ეკას თანაკურსელებთან, ვითომ სხვათა შორის, ასეთი რამ განაცხადა: ეგ თქვენი ეკა ხომ ყველა ბიჭს თავგზას უბნევს, მე, პირადად, დასანახავად ვერ ვიტანო! გოგოებს გაუკვირდათ, ბოლომდე, ალბათ, არც დაუჯერეს, მაგრამ ამბავი ეკას მაინც მიუცუნცულეს...

ნიკო სტუდენტთა ბიბლიოთეკაში იჯდა, ეგ ამბავი სულაც დავიწყებული ჰქონდა. უცებ გადაშლილ წიგნს ჩრდილი დაეცა. ნიკომ თავი ასწია და თვალებს არ დაუჯერა: მის წინ ეკა გვეტაძე იდგა, ზეციურ-მიწიერი სრულყოფილება! ნიკომ ნებისყოფის არაადამიანური დაძაბვით თავი აიძულა არ წამომდგარიყო.

— რამე დამიშავებია თქვენთვის? - ქვედა ტუჩზე ბროლის

კბილები დაუჭერია, ლამის მარგალიტის ცრემლები დაყაროს.

— რა უნდა დაგეშავებინათ, - ნიკო ცდილობს გულგრილი ინტონაცია არ დაკარგოს, - რა სისულელეა!

— ძალიან გეჯავრებით?

— მეე?! თქვენ?! აბა, რას ბრძანებთ, რატომ უნდა მეჯავრებოდეთ?!... აა!.. იცით, რა, უბრალოდ, თქვენი ტიპის გოგონები არ მომწონს... მე უფრო... უფრო...

ნიკოს ენა დაება. ვერაფრით მოიფიქრა, ეკაზე უფრო როგორი ქალი შეიძლებოდა მოწონებოდა. კიდევ კარგი, ეკამ აღარ მოუსმინა, „გრცხვენოდეთო!“ წაიჩურჩულა და დარბაზიდან საჩქაროდ გავიდა. მანამდე ერთი ცხელი კურცხალი დაუვარდა წიგნის ფურცელზე. ნიკომ ცხვირსახოცით აამშრალა და ტუჩებთან მიიდო.

არ მოელოდა, თუ მისი პრიმიტიული ხრიკი ასე გაჭრიდა. პირველი რაუნდი მოგებულია, ახლა საჭიროა მეორე რაუნდის მოგება, საჩქაროდ. დაყოვნება პირველი რაუნდის შედეგსაც წყალს გაატანს. ნალექციებს უნდა ჩაუსაფრდეს, ვითომ სრულიად შემთხვევით შეეფეთოს და დაემგზავროს. დანარჩენს სიტუაცია უკარნახებს.

მეორე დღესვე დაუდარაჯდა. ნელ-ნელა მისდია კორპუსიდან გამოსულს და ავტობუსის გაჩერებაზე „შეეფეთა“.

— ოჰ, ეკა, გამარჯობა!

— გამარჯობა! – გაუღიმა ეკამ.

ღიმილს ნაღდად არ მოელოდა ნიკო და სითამამე მოემატა.

— სახლისკენ? ფეხით ხომ არ ჩაგვევლო ცოტა... ასე, ვარაზისხევით, სალაპარაკო მაქვს.

— აღარ გეჯავრები? – გაიცინა ეკამ.

— არც არასდროს მეჯავრებოდი... დავიძრათ?

ვარაზისხევს ჩაუყვნენ. საუბრის თემა წამისწამ იცვლებოდა. ჯერ ლიტერატურული სიახლეები მოითავეს, რემარკის და ჰემინგუეის რომანები ჩამოთვალეს. ნიკოს გაუკვირდა,

რომ ეკას დიკენსი და ფლობერი წაკითხული არ ჰქონდა. სამაგიეროდ, სტენდალი სიგიჟემდე მოსწონდა, „პარმის სავანე“, „წითელი და შავი“ ხომ ნუღა იტყვით! ლიტერატურიდან კინემატოგრაფში გადახტდნენ, კინოდან - მუსიკაში... მერე ლექტორებს მიაკითხეს. ბევრი იცინეს და იხითხითეს.

— სულ სხვანაირი მეგონე. - უთხრა ბოლოს ეკამ.

— უკეთესი თუ უარესი?

— რა თქმა უნდა, უარესი. კარგი ბიჭი ყოფილხარ!

ახლა კი დროა მესამე, გადამწყვეტი, რაუნდისო, გადაწყვიტა ნიკომ. მით უმეტეს, რომ „კარგ ბიჭად“ აღიარეს. როგორც მალე დარწმუნდა, ერჩივნა ცუდ ბიჭად მიეჩნიათ. ქალთა უმეტესობას ხომ „ცუდებისკენ“ აქვთ ლტოლვა და გაუცნობიერებელი ინტერესი. გაგახსენებთ ნატაშა როსტოვასა და ნაძირალა კურაგინის ურთიერთობას ან ოსტროვსკისეულ უმზითვოს, იმ უნამუსო პარატოვს რომ გაეკიდა...

— ეკა, რას იტყვი, უფრო ახლოს ხომ არ გაგვეცნო ერთმანეთი?

— რას ნიშნავს „უფრო ახლოს“?

ეკას ხმაში ირონია გაჟღერდა, რაიც ნიკოს ფრიად გაუკვირდა. ეკა არაფრით ჰგავდა იმ გოგონას, რომელსაც სტუდენტთა ბიბლიოთეკაში ცრემლი დაუვარდა. მაინც არ დაიხია უკან:

— აი, ვთქვათ, კინოში რომ წავიდეთ ან კაფეში... ან...

— ვერ შევძლებ.

— ვითომ რატომ?! რა შეგიშლის ხელს? - ნიკო შეკითხვის დამთავრებამდე მიხვდა მის უაზრობას. პასუხიც ისეთი გამოდგა, როგორიც ეკადრებოდა:

— ბევრი რამ. ჩამოგითვალო?

— მე მგონი, არ არის საჭირო.

ნიკო მიხვდა, რომ მესამე რაუნდი დიდი უპირატესობით წააგო, ასე ვთქვათ, ტექნიკური ნოკაუტით.

ერთი სიტყვით, ეკაც ამოიშალა ჩვენთვის ნაცნობი

„სიიდან“.

კიდევ ერთის გახსენება შეიძლებოდა, შავტუხასი, შავთმიანისა და შავთვალასი. ეშხიანი გოგო იყო სოფო და რაც მთავარია, არც ნიღბავდა გრძნობებს ნიკოს მიმართ. პირველი პაემანი გმირთა მოედანზე ჰქონდათ, ვარაზისხევის დასაწყისში, დღის თორმეტ საათზე. საოცნებო კვირადღე გამოდგა: ცაზე ღრუბლის ჭაჭანება, კაშკაშა მზე, არ ცივა, არ ცხელა. სიყვარულის ამინდია!

— სად ვაპირებთ? - იკითხა სოფომ

— სად? მოდი, ზოოპარკში შევიდეთ, მხეცებს მივესიყვარულოთ.

— ხუმრობ?

— სულაც არა. მოიცა, არ გიყვარს ცხოველები?! წარმოიდგინე: ბაჯბაჯა ღორმუცელა დათვი, ბრძენი სპილო, სულელი სირაქლემა, ენაგატლეკილი ჟაკო, ეშმაკი მელია-კუდიგრძელია... გავაგრძელო?.. შევიდეთ? ბილეთებს და შაქრის ბურბუშელას მე ვკისრულობ!

— კარგი, რა, ნიკო, ბავშვები ხომ არა ვართ, რამე სერიოზული მოიფიქრე!

— მოვიფიქრე!

— ჰო, აბა?

— საჯარო ბიბლიოთეკაში წავიდეთ და ენგელსის „ანტიდიურინგი“ დავამუშაოთ!

სოფო გაწიწმატდა:

— სულ ხუმრობა? როდის უნდა დასერიოზულდე?

— მაპატიე, სოფიკოჯან, მეტს აღარ ვიხუმრებ, ეს ბოლო იყო!

აქვე უნდა ითქვას, რომ რანდევუც ბოლო გამოდგა. ქალს რომ ცხოველები არ უყვარს და აქედან გამომდინარე, არც იუმორის გრძნობა აწუხებს, ვერ დავუკავშირებ ჩემი ცხოვრების გზასო, გადაწყვიტა ნიკომ. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ პოტენციურ საცოლეთა „სიიდან“ ეშხიანი სოფიკოც

ამოიშალა.

ორიოდე მცდელობის შემდეგ ნიკომ ხელი ჩაიქნია და საცოლის ძებნას თავი მიანება. მსუბუქ ფლირტებზე გადაეწყო და შვებით ამოისუნთქა.

„01“

ვფიქრობ, კარგა ხნით ადრე შეამჩნევდით, რომ ჩემი თხრობა მწყობრ ქრონოლოგიას და საერთოდ, დალაგებულ აზროვნებას, არ მისდევს. ამჯერადაც წინ (თუ უკან?) ვაპირებ გადახტომას და ნიკოს ყოფისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან ფრაგმენტებს გავიხსენებ.

ჯერ-ერთი, სამსახურში დააწინაურეს: სპორტულ გადაცემათა უფროს რედაქტორად გადაიყვანეს.

— სპორტი გიყვარს? - ჰკითხა თავმჯდომარემ თათბირზე.

— დიახ. ჭადრაკში და ტანვარჯიშში პირველი თანრიგი მაქვს, მაგიდის ჩოგბურთში - მეორე. ყურება ყველანაირი ასპარეზობისა მიყვარს...

ორიოდე დღის შემდეგ „პროფკომმა“ დაიბარა:

— ბედი გქონია, ჩემო ნიკო, - ახალთახალი, წიკწიკა, „ჟიგული-01“ გამოგეყო კომიტეტის ფონდიდან. მომილოცავს!

— უფასოდ, ხომ, ბატონო ვარლამ?

— რას ქვია, უფასოდ?!.. ა, ხუმრობ? გავარდი ახლა, ფული იშოვე, ხომ ხედავ, ტუზი დაგეცა!

— სად ვიშოვო, ვის ვეცე?

მაინც მოიფიქრა, ვის სცემოდა. მარტოხელა ბიძას, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ ახალთახალი „01“ გაყიდა - თბილისში ქუჩა ვერ ვნახე, შემხვედრი მანქანები რომ არ მოძრაობდნენო, თანაც ღამე ისეთი პროჟექტორები უნთიათ, კაცი თვალებს ვერ გაახელსო. რა შავ ქვად გინდა მაი ეშმაკის მოგონილი მაშინაო!

ბოლოს მაინც დაიყაბულა: შენთვისაც კაია, როცა მეტყვი,

მაშინ აგიყვან სოფელშიო. ამ არგუმენტმა იმუშავა, საჭირო თანხა ასესხა, ცოტაც ხიტუნიამ, „ძმათა სექტის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, დაუმატა და კრემისფერი „ჟიგულით“ ეზოში შესრიალდა. იმ დღეს იქ ამბავი დატრიალდა! სუფრა - სუფრად, მაგრამ ვიღაცას გემის წყალში ჩაშვების რიტუალი გაახსენდა და მანქანას შამპანურის სავსე ბოთლი მიაფშვნა! ცხადია, ბორბალზე.

ეიფორია ცოტათი რომ ჩაცხრა, სულიკაშვილმა ჰკითხა:

— ერთი ეს გვითხარ, „ზაპოს“ რას უპირებ?

— გაყიდის, შე კაცო, - ნიკოს ნაცვლად ტეფნაძემ უპასუხა, - ორი „ჟიგულის“ ფასს აიღებს.

— ეგ ტაშტი ბიძაჩემმა მაჩუქა, როცა ახალი მანქანა გამოიყვანა. რა ნამუსით უნდა გავყიდო, ან ვინ იყიდის... მოდი, იცით, რას ვიზამ, მეც გავაჩუქებ!

— ვის უპირებ ჩუქებას? – ფრთხილად იკითხა ნოემ.

— ჯერ არ ვიცი... დიდებული იდეა მომივიდა: ლატარია გავათამაშოთ!.. თენგიზ, ჩამოწერე მსურველები და დანომრე. ნომრები აგერ, გენერლის ქუდში ჩავყაროთ.

მსურველი თითქმის მთელი ეზო, ქალიან-ბავშვიანა, აღმოჩნდა.

ნომერი სამი წლის თინკას ამოაღებინეს.

„ზაპო“ ნოეს ერგო, ყველაზე უხუცესს. გულიანად გაიცინა და ასეთი რამ განაცხადა: მეო, ჩემო ძვირფასებოო, ეზოდან არ გავდივარ ფაქტობრივადო და მანქანას რა თავში ვიხლიო. აგერ, თენგიზს გაუჭირდა და მანქანა გაყიდა. ამას მიხედავს და ღმერთმა მოახმაროსო.

ტაშმა იგრიალა და რა ტაშმა! ასეთი მხოლოდ პავაროტის კონცერტზე მახსოვს. ტეფნაძემ ნოეს აკოცა და ცრემლი შეიმშრალა. მით უფრო განსაცვიფრებელი იყო მისი სიტყვები:

— მადლობის მეტი რა მეთქმის, ჩემო ნიკო და ჩემო ნოე, მაგრამ მეც უარი უნდა ვთქვა. არ გეწყინოთ, მაგრამ ვერ ავიღებ. იმ ძველმა „მასკვიჩმა“ ხომ სისხლი გამიშრო და ეს

კიდევ უფრო ძნელი მოსავლელი იქნება. „გენერალმა“ მიხედოს, სასიარულოც ბევრი აქვს.

არა, ძმაო, სულიკაშვილმა, მანქანისა არაფერი გამეგებაო, აგე, ჯელი ბიჭია გიგიშასი, მაგან მოჰკიდოს ხელიო... სადღა იყო გიგიშას ბიჭი, ამდგარიყო და ჩუმად გაპარულიყო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, „ზაპოზე“ დაჯდომა არავინ მოისურვა. ზოგმა გადაკვრით და ბოდიშით, ზოგმა სიცილით და გახუმრებით, ზოგმაც პირდაპირ და მიუკიბავად.

— მაკვირვებთ, ხალხო! – ამბობდა გაოცებული ნიკო, - გასაგებია, რომ ეს ჩემი ჯართი არავის ხიბლავს, მგრამ ლატარიაში სუყველა რატომ ჩაებით?! კაი, ბატონო, რაც არის, არის. ახლა მომეხმარეთ და ქუჩაში გამაგორებინეთ.

ხალისით მიესივნენ და ორ წამში „ზაპო“ ქუჩაში, ბორდიურთან, მიაგორეს. ნიკომ გასაღები ბუდეში ჩატოვა და კარიც არ დაკეტა.

— ვინც გარისკავს, წაიყვანოს. ხვალ პარპრეზზე ბარათს დავტოვებ, რომ არ მოერიდოთ...

კიდევ ერთი „ტუზი დაეცა“ ნიკოს იმ დღეებში: შეფმა დაიბარა, გადაკოცნა და ახალი ბინა, ოროთახიანი, ახალთახალ კორპუსში, ქალაქის ცენტრალურ უბანში, მიულოცა. დიდხანს ვიბრძოდი და არ გეუბნებოდი, არ ვიყავი დარწმუნებული, თუ გამოვიდოდაო.

ნიკომ გაოცებისა და სიხარულისაგან ენა ვეღარ დაძრა, რაღაც გაუგებრად წაიბლუკუნა, წესიერად მადლობის თქმაც ვერ მოახერხა. ბატონ ანდროს გაეცინა და კისერზე რბილად წაუთაქა...

ამ „გამახარე“ ამბების შემდეგ უსიამოვნო ეპიზოდების რიგიც დადგა. ჩვენი ყოფა ხომ ასეა აწყობილი: სინათლეს ჩრდილიც უნდა ახლდეს. მხოლოდ სინათლე მტრისას! რა დიდებულად ამბობს გალაკტიონი: „წმინდა ნათელში, ამბობს გეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში, ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში“. ასეა! თუმცა,

შოთას უბრძანებია: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“. ეს ფრაზა ასე მინდა გავამართლო: იმ კონკრეტულ ეპიზოდს ესადაგება, რომელშიც პოემის გმირი აღმოჩნდა. იმ მომენტში ეს პოზიცია სრულიად მართებულია. საერთოდ კი, განზოგადებულად, შოთამაც კარგად უწყოდა, რომ სიყვარულს სიძულვილის გარეშე, სილამაზეს სიმახინჯის გარეშე, სიკეთეს ბოროტების გარეშე და ასე შემდეგ, არავითარი აზრი არა აქვს. ერთსაც დავამატებ თქვენი ნებართვით: ყველა რომ ლამაზი იყოს, ყველა რომ კეთილი იყოს და ასე შემდეგ – თვით სილამაზე, სიკეთე და ასე შემდეგ, არ იარსებებდა.

ამ, ვითომ ფილოსოფიური, გადახვევის შემდეგ ვუბრუნდები იმ ნეგატიურ მოვლენებს, რმლებსაც ნიკო ცხოვრების გზაზე გადაეყარა. კაცმა რომ თქვას, რაღაც უსაშველოდ ტრაგიკულ სიტუაციებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ რაც მოხდა, ძირფესვიანად შეცვალა მისი ცხოვრების სტრატეგია.

„მახარეს“ რედაქტორობისას წახალისება-მადლობებით განებივრებული ნიკო ახალ თანამდებობაზე საყვედურებით აავსეს, ექვს თვეში ხუთი „სასტიკი“ მიიღო. ყველაფრის თავი და თავი კი მისი ხათრიანობა გახლდათ. რედაქციის თანამშრომლები ნიკოს რბილი ხასიათით სარგებლობდნენ და საქმეს უგულოდ ეკიდებოდნენ. ნიკო იძულებული გახდა სხვისი საკეთებელიც თვითონ ეკეთებინა, რაიც პრაქტიკულად მის ძალებს აღემატებოდა.

მეექვსე საყვედური საკმაოდ კურიოზული აღმოჩნდა. რკინიგზელთა სახლიდან თავისუფალი ჭიდაობის პრობ-ლემებზე ხალხმრავალი რეპორტაჟი მიდიოდა. შუა რეპორ-ტაჟისას დარბაზში პლეხანოველი ბიჭები შემოვარდნენ და კეტებით დაერივნენ ტელევიზიის თანამშრომლებს. როგორ მოულოდნელადაც შემოიჭრნენ, ასევე უეცრად გაუჩინარდნენ. ბევრი დაზარალდა, ზოგს სისხლის ნაკადიც წამოუვიდა. ერთი ლაზათიანი დარტყმა ნიკომაც იგემა და მცირე ხნით გაითიშა. ასე, რომ ვერც ის შეიტყო, ვინ ან რა დაარტყა. მთელი ორი

კვირა ჩალურჯებულ თვალზე შავი სათვალე ეკეთა.

საქმეში ჩაერია მილიცია. ყველა დაკითხეს და ცხადია, ვერც ვერაფერი დაადგინეს. როცა ნიკო მესამედ დაიბარა გამომძიებელმა და პირველ ჩვენებებში რაღაც წვრილმანი უზუსტობები დაუდგინა, იქით მიაწვა: ალბათ, რაღაც ანგარიშები გქონდა იმ ბიჭებთან, აბა, რას გერჩოდნენო. გამოდის, რომ მაგათ იცნობ და ხელს აფარებო.

ამის თქმა იყო და ნიკო, ეს ხათრიანი, ბამბის ქულასავით ბუნჩულა კაცი, ისე მჭახედ აყვირდა, რომ გამომძიებელი წამოხტა, სკამი გადაუბრუნდა და დაწყნარდი, მეგობარო, ამას მხოლოდ ვერსიის სახით ვამბობო, დაუყვავა.

ეგ ვერსიები თქვენთვის შეინახეთო, მიაძახა ნიკომ, ოთახიდან გავარდა და სარჩელზე, მეორე დღესვე, ოფიციალური უარი გაუგზავნა პროკურატურას, რომელიც, ბუნებრივია, ფრიად კმაყოფილი დარჩა.

სამაგიეროდ, ამ უარს უფრო თვალსაჩინო აბსურდი მოჰყვა: გამოძიებასთან თანამშრომლობაზე თავის არიდებისთვის თავმჯდომარემ სასტიკი საყვედურის გაფორმება ბრძანა და თათბირზე სიტყვიერადაც „გააშავა“ ნიკო. ეს კი მეტისმეტი აღმოჩნდა. ნიკომ განზე გადადო ყოველგვარი ხათრი და მოკრძალება და თათბირს უამბო, რა მოხდა სინამდვილეში.

— სარჩელზე უარი მაინც არ უნდა გეთქვა, - მოლბა თავმჯდომარე.

— თქვენთან მუშაობას აზრი არა აქვს! - უკან არ დაიხია ნიკომ.

— ჰოდა, გაგათავისუფლებთ! მოამზადეთ ბრძანების პროექტი!

ბოლო ფრაზა „პროფკომის“, ვარლამის, მისამართით იყო ნათქვამი.

თანამშრომლის გათავისუფლებისათვის აუცილებელი იყო პრფკავშირის საუწყებო კომიტეტის თანხმობა. თქვენ წარმოიდგინეთ, კომიტეტის წევრთა უმეტესობა არ დაეთანხმა

ნიკოს გათავისუფლების მოთხოვნას და წინდადება მისცა თავმჯდომარეს რაიმე სხვა სასჯელით დაკმაყოფილებულიყო. თავმჯდომარეს ისედაც გადავლილი ჰქონდა სიბრაზე, ნიკო დაიბარა და შეუთანხმდა, რომ ძველ ადგილზე, „მახარეს“ რედაქტორად, დააბრუნებდა.

ამჯერად ნიკო კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ტელევიზიაზე საბოლოოდ აუცრუვდა გული. სწორედ ამ დროს უნივერსიტეტმა ასპირანტურაში მიღება გამოაცხადა. ნიკომ მიიკითხ-მოიკითხა და გაარკვია, რომ კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ასპირანტობის მსურველი, ამჯერად, არავინ იყო. საჩქაროდ გადახედა ჩასაბარებელ საგნებს, თითქმის ერთი თვე ინგლისურის პედაგოგთან იარა, სამიანები მოახლაფორთა და ასპირანტურაში ჩაირიცხა.

დისერტაცია ასპირანტურის დამთავრებითანავე დაიცვა და დოცენტის წოდებაც მალე მიანიჭეს. ამ ამბით ბიძამისმა ვენიკომ, პოლიტეკონომიის პროფესორმა, გაიხარა: სწორად მოიქეცი, ნიკო-ბიძიკო, რა ჯანაბა გინდოდა ტელევიზიაში, იმ ციგნებთან, როგორც იქნა, საქმეს მოკიდე ხელიო. მანქანაზე და ბინაზე რას იტყვიო, ნიკომ. ჰო, მაგი კაი საქმე გაგიკეთეს, მაგრამ არც შენ დაგიკლია ხელიო. ეჰ, შენი დედ-მამა მოსწრებოდა შენ გადოცენტებას, მადლი იქნებოდაო. ხომ ვაფრთხილებდი, არ ჩაჯდეთ თვითმფრინავში, მაგი აპარატი ეშმაკის მოგონილია-თქვა! ეეჰ!

— ახლა, ჩემო ნიკო, მოდი, ერთი კაი საქმე გავაკეთოთ: დავაჯდეთ მაგ შენ წიკწიკა „ჟიგულს“ და ავშლიგინდეთ შუბანში. ყანასაც გავათოხნიებ და შენც შეხედავ მამისოულს. რამდენი წელია არ ყოფილხარ?

— აუჰ! - შეიცხადა ნიკომ...

ერკეთის „თემის“ შემდეგ სამი კილომეტრია აღმართ-აღმართ, მაგრამ გზა რასაც ჰქვია, სამანქანო, ნამდვილად არ ჩანს.

— კიდე კაი, ნაწვიმარი არაა, თვარა კოხიდან მოგვიწევდა

მოვლა, - უთხრა ვენიკომ.

ორიოდე წლის მერე იმ „კოხის კაი გზამაც“ თავბედი აწყევლინა ნიკოს. ამჯერად მშვიდობიანად შეაღწიეს შუბანში, მთის პატარა სოფელში, სადაც, გაღმა-გამოღმა სულ თხუთმეტიოდე კომლი ცხოვრობდა. რევოლუციამდე მოქმედი ეკლესია ჰქონდათ. ნარევოლუციებს კომსომოლებმა ჯვარი მოამტვრიეს და საწყობად გადააკეთეს. ომის დროს საწყობში შესანახავი, ალბათ, აღარაფერი გააჩნდათ და შიგ დაწყებითი, ოთხკლასიანი, სკოლა გახსნეს. გამგედ ნიკოს მამიდა, ზინაიდა, დანიშნეს. მამიდამ ხუთი წლის ნიკო პირველ კლასში დასვა.

ეკლესიაში სულ ორი ოთახი მოთავსდა. მასწავლებლები შესვენებაზე ეზოში იცდიდნენ. ოთხი კლასი ორ-ორად იყო გაყოფილი. ერთ ოთახში პირველი და მესამე კლასი იჯდა: ერთ რიგში - პირველი, მეორეში - მესამე. მეორე ოთახში, შესაბამისად, მეორე და მეოთხე კლასი მეცადინეობდა.

ეკლესიას რომ ჩაუარეს, ნიკოს გულიანად გაეცინა.

— რა გაცინებს?! - გაუკვირდა ვენიკოს.

— მანდ, პირველ კლასში, სამიჯნურო თავგადასავალი მქონდა, არ გახსოვს?

— არა.

— პირველ მერხზე ბოლქვაძის გოგო იჯდა, ეტყობა, მაგრად მომწონდა. ერთ გაკვეთილზე ლექსი დავწერე და ხელიდან ხელში გადავაწოდე.

— ლექსი?! ექვსი წლისამ?!

— ჯერ-ერთი, ხუთისამ და მეორე, ექვსი წლის მოცარტმა სიმფონია დაწერა.

— მოცარტმა კი, ბატონო.

— გინდა ის ლექსი წაგიკითხო?

— მიდი!

— „ეს ჩვენი ლონდა იჯდა ვირზე, შეხვდა ნიკო, აკოცა ცხვირზე.“

— მაგარი ლექსია!

— მაგარია თუ რბილი, მაგან მე შავ დღეში ჩამაგდო, ნუღა იტყვი!

— რა ეწყინა, ვირზე რომ შესვი?

— ეგ არაფერი, ცხვირზე კოცნამ გადარია. ატეხა ტირილი, ღრიალი. ბარათი მამიდაჩემის ხელში მოხვდა. წაიკითხა, დაანაკუწა და მე გარეთ გამაგდო.

— უყურე შენ?! - ვენიკოს გულიანად გაეცინა.

— შენ იცინი და მე სახლში დაბრუნებას აღარ ვაპირებდი. მით უმეტეს, რომ შესვენებაზე გამოსულმა მესამეკლასელმა, ვალიკო მეფარიშვილმა, განზე გამიყვანა და ტრაგიკული ინტონაციით მკითხა:

— მართლა მიწერე, ლონდაია, შენ დაგასკდი გულზეო?!

ესღა მაკლდა. ეკლესიის გადაღმა ფერდობზე დავეშვი და ბუჩქნარ-ბარდნალში აღმოვჩნდი. ჩემი ჭკუით, ჩოხატაურში და იქიდან თბილისში ვაპირებდი. ატყდა წიოკობა, „ნიკოს“ ძახილი. მამიდაჩემი ცხარე ცრემლებს ღვრიდა, ეს რა მომივიდა, თითისიგრძე ბაღანა გარეთ რაფრა გავაგდეო. მე გზა ვერ ვიპოვე და ბუჩქებში ვიჯექი. ბოლოს, როცა ბინდმა მოაწია, შევშინდი და ბუჩქებიდან გამოვედი. მამიდამ დამინახა და სიხარულით კინაღამ ფერდობზე დაგორდა.

— ყოჩაღ შენ, რავა დაწვრილებით გხსომებია ყველაფერი... მოვედით, რავარც იქნა!... ნახე, რამხელაზე ოუყრია ტანი სიმინდს. ამეღამ კარგად მევისვენოთ და ხვალე ნადი იმუშავებს. საღამომდე ქე გამარგლავენ.

დაახლოებით ნახევარი ჰექტარი ეზო ტრიფოლიატის მაღალი, ეკლიანი ბუჩქებითაა შემოკავებული. შეფერდებაზე ხეჭეჭურის ორი უზარმაზარი ხე დგას. ეს ის ხე არ გეგონოთ, ქართლში რომ თხელკანა, „ერთჯერად“, მსხალს ეძახიან. ნაღდი ხეჭეჭური სქელკანაა, მუქი ყავისფერი, თითქმის მკვახე იკრიფება დეკემბერში და იანვრის მეორე ნახევრისთვის „მკუჭდება“, ესე იგი, მწიფდება. ერთი სიტყვით, მეფის სუფრაზე მისატანი დელიკატესია!

ოდასახლის წინ ორმოსავალა ლეღვის ხე იდგა, მსხლისხელა, უგემრიელეს ნაყოფს იბამდა. აღარც ოდაა და აღარც ლეღვი. სახლი დიდი ხნის წინათ გაიყიდა და „ქუხნა“ გადაკეთდა საცხოვრებლად. ლეღვის ხე გახმა, სიბერით, ალბათ.

დილაადრიანად გაიოზი გადმოვიდა მეფარიშვილების უბნიდან და ნიკოს სთხოვა, გადმომყევი, მეც „ნოლადინი“ მყავს და ვერაფრით დავქოქეო. ნიკო წაყვა, მანქანა გასინჯა და ივარაუდა, რომ სველი სანთლები იყო დამნაშავე. მოახსნევინა, ბენზინით გააწმენდინა, გაამშრალებინა და ძრავა დაიქოქა.

— გაგახარა ღმერთმა, ახლა ჩოხატოურში ჩავრიხინდები და ელანძე ამუალო, - გაიოზმა.

ვენიკოს ნადმა მთელი დღე იმუშავა ნამუსიანად და ერთი ძირი სიმინდიც არ დატოვა გაუმარგლავი.

საღამოს სუფრა გაიშალა. ღვინოზე გაგზავნილი, დაუზარელი ვახტანგიე მდივანი, მეტსახელად ჭუჭუიე, მიბმული სოფლიდან, ბჟოლიეთიდან, მოქოშინდა, მხარზე შემოდგმული, ნახევრადაძმარებული (როგორც მალე გაირკვა), ადესით სავსე ბოცით. სუფრის გარშემო ეგრეთწოდებული გურული „კოლორიტები“ ჩამოსხდნენ: კაკისო მეფარიშვილი, ნაჯახივით წალესილი ვიწრო სახით და მოცვივით წვრილი, შავ-შავი თვალებით, იგივე ვახტანგიე, სიმსუქნისაგან რომ ძლივს სუნთქავდა, ცალხელა მევარკაცი პაიჭაძე. ალბათ, გაგეგონებათ სიმღერა „მევარკაცი პაიჭაძე, გლახა ქალს ვცვლი კაი ქალზე“. მოვიდა გაიოზიც, ნიკომ რომ მანქანა აუმუშავა.

თამადად, მისთვის სრულიად მოულოდნელად (ალბათ, სალაღობოდო, დაასკვნა ნიკომ), ვახტანგიე აირჩიეს. უფრო სწორად, კაკისომ დანიშნა:

— დაგვალევიე ორი სტაქანი!

ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. გახარებულმა ვახტანგიამ მაგრად მოინდომა.

კაკისოს სადღეგრძელოში ასეთი ფრაზა გამოურია

გულაჩუყებულმა:

— კაკისო, ყველამ იცის, რაფერი ძმობა გვაქვენ: რაც გინდა მითხარი - არ გავკუჭდები, რაც გინდა გითხრა – არ გაკუჭდები!

— აბა, აბდლები ვყოფილვართ ორვე!

კაკისოს კომენტარმა სუფრა გვარიანად გაამხიარულა.

— გაგიქვავდეს მაი ენა, - სიცილით უსურვა თამადამ, - კი გაქ მწარე და მომსპარი, მარა გული გაქ კეთილი, იმიზა, რომე ფუტკარივით მუშა და მუუღალავი კაცი ხარ. მე თუ მკითხავ...

— მეიცა, მეიცა!.. სწორეთაც რომ გკითხავ ახლა. მუუყევი ამ პატიოსან ხალხს, მე რომ სიკტილს გადაგარჩინე.

— დედა! როის იყო მაი?!

— ბიჯო, ჭუჭუია, გაანძრიე მაი კარდალასავით გასიებული თავი და გაგახსენდება... კაი, რაღაი ვერ იხსენებ, მე მოვყობი. გახურებული ომია. ბათუმის კომისარიატიდან კაცი ამევიდა და კვირიზა დაგვიბარა. თელ სოფელში მე და აგი დავრჩით ომიზა გამოსადექი კაცებიდან. მაშვინ შეგვისრულდა თვრამეტი წელი. ევიკიდეთ ზურგჩანთები და ჩევედით ბათუმს. კომისარიატის ეზოში ასე, ხუთასამდე ახალწვეული იყო შეგროვებული. გამევიდა რუსი კომისარი და დეიყვირა:

— კტო უმეეტ პისატ ი გავარიტ პარუსკი, პადნიმიტე რუკი!

ბევრმა აწია ხელი. გევიხედე, აი თავგასიებული არ აპირობს ხელის აწევას?! ვებდღვენი მაჯაში:

— ბიჯო, რა იცი შენ რუსული წერა-კითხვა!

რავა არ ვიციო, გეიჯგიმა. დეეტიე შენს ადგილზე-თქვა, წოვუსისინე. კომისარმა გადახედა ახალწვეულებს, აწეულ ხელებს დააკვირდა და დეიყეფა:

— ასტალნიე პა დამამ!

იმ ხელაწეულებიდან არც ერთი არ დაბრუნებულა! არ იყო მასე?

— კი, იყო. გამახსენდა!

— არ გადამირჩენიხარ სიკტილს?

— ძმა ხარ ჩემი, გადამარჩინე.

— მერე, რაში გამომადექი?..

როცა თამადამ ამ სოფლის გამოჩენილი შვილის, პროფესორის და დოქტორის, ვენიკოს, სადღეგრძელო მოათავა, ნიკოს მიადგა: ერასტოს შვილიშვილი და აბელის შვილი უსიკვტილოთ ღირსეული კაცი იქნებიო და აბა, შენ იციო, ერთადერთ ბიძიას მხარში დუუდექიო. დევინახე, მანქანით რომ ამეიყვანე და ასთე გააგრძელეო!

გაიოზმა, ვისაც დილით მანქანა აუმუშავა, საქებარი სიტყვების მერე ჰკითხა:

— სა მუშაობ, ძამა, შენ?

— უნივერსიტეტში.

— ხაზეინი დაგყავს, ხომ?

— კი, - იმედი არ გაუცრუა ნიკომ.

— რეის ხაზეინი! - აფეთქდა ვენიკო, - აი კაცი უნივერსიტეტის დოცენტია!

— ჩემო ვენიკო, - ჩაიცინა გაიოზმა, - მაი კაცი თავის საქმეში დოცენტიცაა და პროფესორიც...

როცა სტუმრები სიმღერ-სიმღერით გაუდგნენ გზას და მასპინძლები მარტო დარჩნენ, ვენიკო ნიკოს მოუბრუნდა:

— ბიჯო, რა ხაზეინის ტარება აგიტყდა, აწი მაგენს თოფით ვერ გადაათქმევიებ შენ შოფრობას.

— შენგან არ მიკვირს, ვენიკო, ამ სოფელში რადიო არ მუშაობს, ტელევიზორი არ აჩვენებს, ტელეფონი არ არის, გაზეთი ბაბუაჩემ ერასტოს მერე არავის მიუღია და მაინტერესებს, რა გზით გაავრცელებენ რესპუბლიკაში ჩემი შოფრობის ამბავს?!

— შენც მართალი ხარ! – ხელი ჩაიქნია ვენიკომ და სუფრის ალაგებას შეუდგა.

— ვენიკო, ერთი ამბავი გამახსენდა, ომის დროინდელი. სწორედ ამ სამზადში ვიჯექით სადილად.

— მერე?

— ანეტა ბებიამ ჭადი გამოაცხო, გატეხა და ჩამოგვირიგა. მერე ყველი გაანაწილა. მე პატარა ნაჭერი დამიდო და მითხრა: ჭადს მოკბიჩე და ყველს უსუნე, ბებია!

— გემასხრა, ალბათ.

— რა ემასხრებოდა, ან საერთოდ და მით უმეტეს, გახურებულ ომსა და შიმშილობაში.

— აბა, რაიო, მარტო უსუნე და მოკბიჩეო?!

— კი, ასეა.

— მერე? მართლა სუნავდი?

— კიდეც ვსუნავდი და ვციცქნიდი ცოტ-ცოტას...

— უყურე ერთი, რაები დაგიმახსოვრებია!

— მაგას რა დამავიწყებს! ისიც კარგად მახსოვს, თქვენ რომ მოზრდილი ნაჭრები გეწყოთ.

— მერე რა, მაგი გასაკვირია?

— ალბათ, არა, მგრამ... მე კი მახსოვს და...

— კიდევ რა გახსოვს? მოყევი ბარემ.

— კიდევ?.. ბებია რომ ცარიელ კვერცხებს ნახავდა ქათმის ბუდეში და ცივი ხმით შეიცხადებდა.

— ცარიელ კვერცხებს?! რანაირად?!

— აქეთ-იქიდან ვხვრეტდი სადგისით და ბოლომდე ვწუწნიდი.

— უყურე შენ! კიდევ რას იტყვი?

— ერასტო ბაბუას, თუ გახსოვს, ზალაში ჭერამდე ეწყო წლობით დაგროვილი გაზეთები.

— კი, მერე?

— ერთ ძველ გაზეთს, უნებურად, ყური მოვახიე და ისე გამწარდა, წკეპლით გამომეკიდა.

— კაი, კაცო!

— ვითომ არ გახსოვს!.. მერე მაგრად დამამუშავეს და როცა მეზობლებიც კი მეკითხებოდნენ, რატომ გაგწკეპლა ერასტო ბაბუამო, ვპასუხობდი: დანაშაული ჩავიდინე და იმიტომო.

— შენ რავა ბოღმიანი კაცი ყოფილხარ! არადა, ყველას

ხათრიანი და ბუჩუნა გონიხარ.

— რახან ბოღმიანი დამიძახე, ერთ ამბავს კიდევ მოვყვები. მაგაზე ვეღარ იტყვი, არ მახსოვსო.

— აბა, ჰე! – ვენიკომ დალაგება შეწყვიტა და ჩამოჯდა.

— ხომ გახსოვს, მალარია რომ დამემართა ხუთი წლისას?

— შენ წარმოიდგინე, მახსოვს.

— ისიც გეხსომება ქინაქინის უმწარეს ნემსებს რომ მიკეთებდნენ.

— მერე?

— შპრიცის დანახვაზე გავრბოდი, ლამის აივნიდან გადავმხტარიყავი. დასაჭერად დამდევდანენ დედა, ბაბუა, ბებია, მამიდა. შენ განზე იდექი და სეირს უყურებდი. გულგახეთქილი შენკენ გამოვქანდი: ვენიკო ბიძია, მიშველე-მეთქი!

— მერე, ხომ გიშველე?

— როგორ არა! გულზე მიმიხუტე, გამკოჭე, თავად გულაღმა დაწექი და ნემსი გააკეთებინე. არ მითხრა, არ მახსოვსო.

— კი, მახსოვს. რა, ცუდად მოვიქეცი? კაი საქმე გამიკეთებია. შენ თუ სხვანაირად მიგაჩნია, ახლა კაი ამბებიც გაიხსენე, არაფერი გიჭირს. - ვენიკომ ნავთის ლამპარი სულის შებერვით ჩააქრო.

— კაი ამბები სხვა დროს, - ნიკო კედლისკენ გადაბრუნდა და თვალები დახუჭა.

შეყვარებული ნიკო

მერი გორგაძის, ტელევიზიის ახალი თანამშრომლის, დაბადების დღეზე ნიკომ ცოტა დალია, ბევრი იმღერა და თითქმის ყველა ქალიშვილს ეცეკვა, მასზე მაღალსაც და დაბალსაც. სიმაღლეს იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ ძალიან ხშირად ეს ფაქტორი ნიკოს პრობლემებს უქმნიდა. სადმე, ვთქვათ, ზღვისპირას, დასასვენებლად ჩასული, საცეკვაო მოედანზე, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ პარტნიორი მასზე

მაღალი არ იყო, საცეკვაოდ არ გაიწვევდა. ეს მას შემდეგ, რაც ერთხელ მჯდომარე ლამაზმანს მიაკითხა. ქალმა გაუღიმა და ჩასჩურჩულა: მე თქვენზე მთელი თავით მაღალი ვარ. ნირწამხდარმა ნიკომ გაცინება სცადა და ისღა მოახერხა, რომ ბანოვანს გვერდით მიუჯდა.

ნიადაგ ახსოვდა „ძმები ლაუტენზაკებიდან“ უფროსი ძმის, ჰენრიხის, შინაგანი მონოლოგი: ოსკარმა, ჩემმა ძმამ, ბევრად გადამისწრო, თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა. ამ დროს, არც ნიჭით მჯობს და არც ვაჟკაცობით. მთელი საიდუმლოება იმაშია, რომ ჩემზე თხუთმეტი სანტიმეტრით მაღალია.

რაა თხუთმეტი სანტიმეტრი? გლობალური მასშტაბით, რა თქმა უნდა, არაფერი, მაგრამ შეუძლია რადიკალურად შეცვალოს ინდივიდის ცხოვრების გზა.

ეს ისე, სხვათა შორის, მოგახსენეთ. სიდაბლის კომპლექსი თითქმის მოხსნილი ჰქონდა ნიკოს. მსახიობი დენი დე ვიტო ჰყავდა მხსნელად: ჩემზე ნახევარი თავით დაბალია და ჰოლივუდში ქალი არ გაუშვაო, ხშირად ამბობდა ვითომ ხუმრობით.

— ხომ არ შევხვდეთ? - ცეკვის დროს შესთავაზა ქალიშვილს, რომლის წელის მოქნილობამ ღრმა შთაბეჭდილება დატოვა.

— რატომ? - დაინტერესდა პარტნიორი.

— შემდგომი დაახლოებისთვის, - არ დაიბნა ნიკო.

— არ არის გამორიცხული, - ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უპასუხა ქალიშვილმა.

— რა არ არის?! - უცებ ვერ მიუხვდა ნიკო.

— არაფერი.

— აა!.. თუ არ გადაიფიქრებთ, ხვალ, საღამოს შვიდ საათზე, ალექსანდრეს ბაღის შესასვლელთან დაგელოდებით, რუსთაველზე...

მეორე დღეს სტუდიაში მოსულმა მერიმ პიდაპირ მიაკითხა:

— დალიმ შემოგითვალა, მოვალ, მაგრამ ამხანაგებთან

ერთადოო.

— ეგრე გადაეცი იმ შენს დალის, დაგხვდები, ოღონდ ძმაკაცებთან ერთად-თქოო...

— მართლა ამბობ?

— ვხუმრობ. ასე უთხარ, კაი ქაჯუნია ყოფილხარ-თქოო! საბვშვო ბაღი დიდი ხანია მოვითავე-თქოო!

ამ ინციდენტის გაგრძელება მაინც საინტერესო გამოდგა. მერიმ სიტყვა-სიტყვით გადასცა დაქალს ნიკოს დანაბარები. დალი არც კი დაფიქრებულა, ისე უთქვამს, ერთი მაგასაც გავკარი, თავი რა დიდი ვინმე ჰგონიაო.

ორიოდე დღის შემდეგ მერიმ ისევ მიაკითხა ნიკოს:

— დალი და მისი დაქალია მისაღებში და ამოსვლა უნდათ.

— მოხდა რამე?

— არაფერი. საქმის გასარჩევად მოვიდნენ.

— რა საქმის?!

— აი, „ქაჯუნია-გავკარის“ თაობაზე.

— აა, კი, ბატონო, - გაეცინა ნიკოს, - ახლავე ჩავუშვებ საშვს.

ამოვიდნენ. ნიკო დერეფანში გამოეგება.

— ოთახში მობრძანდით!

— არა, აქ გვირჩევნია, - დალი პირდაპირ „საქმეზე“ გადავიდა,- მართლა თქვით „ქაჯუნია და ბოლოქანქალააო“?

— თქვენ მართლა თქვით „ერთი მაგასაც გავკარიო“? - ისეთი ინტონაციით შეუბრუნა კითხვა ნიკომ, რომ სიცილი ვერავინ შეიკავა. სიტუაციით განსაკუთრებით ერთობოდა დალის დაქალი, რომლის ყურყუმელა შავი თმების ფონზე მოკიაფე ხასხასა მწვანე თვალებში ჭინკები ცეკვავდნენ.

აუდიენცია შერიგებით და ნახვის ნატვრით დამთავრდა.

— რას იტყვი, ნიკო, არ შეხვდები დალის? – ჰკითხა მერიმ, როცა სტუმრები წავიდნენ.

— იცი, რა, მერიკო, დალიზე რა გითხრა, მაგრამ აი, იმას,

რომ ახლდა, დიდი სიამოვნებით.

— იცოდე, მარტო არც ის შეგხვდება.

— ბიჭოს! რომელი ქალიჭამია მნახეს?!

— ასეა და!..

— ჯანდაბას, იყოს კოლექტიური მსვლელობები.

„კოლექტიურ“ ღონისძიებებს ბოლო არ უჩანდა. ნიკო უკვე ღრმად იყო ჩაძირული მწვანე თვალების უფსკრულში. ყოველ შესვენებაზე ლაღიძის წყლებთან „მორიგეობდა“: კონსერვატორიიდან უსათუოდ ჩამოივლიდნენ გოგოები და ნიკოს აჭარულ ხაჭაპურზე დაეპატიჟებოდნენ.

სექტემბრის ბოლოს რეჟისორ რომან აბულაძესთან და ოპერატორ რაჩიკა გრიგორიანთან ერთად მთათუშეთში, ალვანში, მიავლინეს. თელავში დილით ჩავიდნენ, მაგრამ უამინდობის გამო ვერტმფრენის რეისი მეორე დღემდე ნაკლებ სავარაუდო იყო. იძულებულნი გახდნენ ის დღე და ღამე სასტუმროში გაეტარებინათ. გარეთ გულის გამაწვრილებლად ცრის, შიგნით სიცივეში გარდამავალი სიგრილეა. არც ტელევიზორი, არც წიგნი. რომ იყოს კიდეც, ვინაა გულის დამდები. რატომღაც საუბარიც არ ეწყობა... რატომღაც?!

— რომან, - ეუბნება საწოლზე თავქვეშ ხელებამოდებული ნიკო, - გყვარებია?

— ერთხელ თუ ორჯერ?..

— კარგია თუ ცუდი?

— როგორ გითხრა... წამალივითაა, დოზას გააჩნია, გამოზომილი სამკურნალოა, ზედმეტი დამღუპველია.

— მე ნაღდ სიყვარულზე გეკითხები, მანდ ნორმა როგორ უნდა დაიცვა? შენზე ხომ არაფერია დამოკიდებული.

— მაგრად გიყვარს?

— რომან, ძმურად, მე რომ ახლა თბილისში არ დავბრუნდე შეიძლება ჩემი წასვენება მოგიწიოს. უჩემოდ ვერ მიხედავთ მაგ საქმეს შენ და რაჩიკა?

— როგორმე, - გაიცინა რომანმა, - გიშვებ, ცოდო ხარ!..

საღამოს, ასე, ექვსი საათისათვის, ნიკო, დავარცხნილ-გაპარსულ-დასუფთავებული, ლაღიძის წყლებთან იდგა და ელოდებოდა. არ შეთანხმებია, არც დაურეკავს. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან გამოივლიდა. არც გაკვირვებია, როცა ჩქარი ნაბიჯით მომავალი ნანა დალანდა. შესახვედრად დაიძრა.

— ოჰ, ნიკო, - აქ რას აკეთებ?

— შენ გელოდები!

— მე?! სრულიად შემთხვევით გამოვედი სახლიდან, კაკო ანდრიაშვილმა დამირეკა, კომპოზიტორმა, ჩემი პედაგოგია.

— ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს!

— მალე გამოვალ, დამელოდები?

— რომ იცოდე საიდან მოვქანდი... აი, ამ ურნასთან გავქვავდები!

მართლაც მალე მობრუნდა. ეს მათი პირველი „არაკოლექ-ტიური“ შეხვედრა იყო. კინოში შევიდნენ. მერე ვერაფრით გაიხსენა, რა ფილმი ნახეს.

კოლექტივისგან გარიყვამ სერიოზული სახე მიიღო. ერთ მშვენიერ დღეს ნიკომ, როგორც იქნა, დაიყოლია შეყვარებული და მშობლებს საცოლედ წარუდგინა. დედას აშკარად დაეტყო უკმაყოფილება. აბელი ჯერ ნეიტრალური იყო, მერე თანდათან ცოლის გავლენა განიცადა.

საცოლის გაცილების შემდეგ მობრუნებულ ნიკოს სახლში პანაშვიდი დახვდა: აბელი და ქეთევანი ისხდნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

— რა გჭირთ, ხალხო, იქნებ გამაგებინოთ!

— ნიკო, შვილო, - როგორც იქნა, ხმა ამოიღო ქეთევანმა, - მაგ გოგოს შემოიყვან ამ ოჯახში და ჩემ კუბოს გაიტან!

— ვითომ რატომ?! - ნიკოს გული ამოვარდნაზე ჰქონდა, - რა ჭირს თქვენი დასაწუნი?!.. რა თვალით შეხედეთ?!

არგუმენტებს აღარ მოუცადა და ცრემლმორეული გარეთ გავარდა.

ზემელზე ვალიკოს გადაეყარა, სულაკაურს.

— რა მოგივიდა, რა სახე ჩამოგტირის?! - გაოცდა ვალიკო.

— ვალიკო, წამო, დავლიოთ!

იქვე, „გემოში“, ჩავიდნენ. საჭმელი დაუკვეთეს.

— რას დალევ? - ჰკითხა ვალიკომ.

— კონიაკს, ახლა ღვინო არ დამათრობს.

— დათრობა გინდა?

— კი. ვარციხე დავლიოთ...

— ბიჭო, სულ ეგ არის?! - გაუქარწყლა დრამა ვალიკომ, როცა ნიკოს მოუსმინა, - მეც არა ვთქვი, რაღაც ტრაგედია დატრიალდა-თქო. არ უნდათ რო სახლში მიიყვანო? ადექ და ბინა იქირავე... მაიცა შენა, ჯემალამ რო დაგიტოვა... ხო არ ჩამოსულა?

— აბა, იქ ცხოვრება შეიძლება?...

— ჰოდა, იქირავე. ხელფასი გაქ, ჰონორარიც კარგად... რა, სწორს არ გეუბნები? ერთი ეს მითხარ, ხო მართლა გიყვარს?

— არ მეტყობა? - ნიკომ თვალები შეიმშრალა.

— აგაშენოს! რაც გითხარ, ის მოიმოქმედე!

კარგა შებუჟბუჟებულმა ნიკომ, სახლში მივიდა თუ არა, ორიოდე ჭიქა და თეფში კედელს მიამსხვრია და მშობლებს განუცხადა:

— ხვალიდან სახლს ვტოვებ, სამუდამოდ!.. ახლა ხმა არ გამცეთ, ეს ამბავი გადაწყვეტილია!

მთელი ღამე ბორგავდა. დილისკენ ჩაეძინა. როცა თვალი გაახილა, დაინახა, რომ აბელი და ქეთევანი საწოლთან ჩამომსხდარიყვნენ და მის გაღვიძებას ელოდებოდნენ.

— შვილო, ეგ როგორ იფიქრე, - ხმა აუკანკალდა ქეთევანს, - შენს მეტი ვინ გვყავს? სად უნდა წახვიდე, რატომ უნდა წახვიდე? მოიყვანე ვინც გინდა, რა სისულელეა! თუ გინდა, ღღესვე!

აბელი უსიტყვოდ გამოხატავდა თანხმობას.

— მაცალეთ, მოვიფიქრებ! - ნიკო კედლისკენ გადაბრუნდა..

მერე ყველაფერი დაწესებული რიტუალებით გაგრძელდა: მშობლების ურთიერთგაცნობა, ნიშნობა, ხელისმოწერა, ქორწილი კამერული შემადგენლობით და საქორწინო მოგზაურობა ზღვისპირეთში.

წლისთავზე ბიჭი დაიბადა. სამი წლის მერე - მეორე ბიჭი.

ნიკო და პოლ ბრეგი

ლენინგრადში ოცდათერთმეტ აგვისტოს ჩაფრინდა. ოცდაათგრადუსიანი სიცხიდან წამოსულს შვიდგრადუსიანი შეეგება ტრაპზევე. სამაგიეროდ, სექტემბრის ბოლოდან რუსული „ბაბიე ლეტო“ დაიწყო და თითქმის მთელი თვე გაგრძელდა. კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ხუთ თვეს გასტანდა და ნიკომ ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის ორადგილიან ოთახში მეწყვილედ თბილისელი დოცენტი, ანზორ ქემაშვილი, მიიწვია. ანზორი სიამოვნებით დათანხმდა, თანაც პირდაპირ განუცხადა:

— აქა რაღაც-რაღაცები მააქ საშოვნელი და გვერდში უნა ამამიდგე, ცოტა რუსულში მეჭედება და უნა შამეშველო, გაიგე?

— მაინც რაები გაქვს საშოვნელი?

— სახლში რემონტი მააქ და კაი შპარელი უნდა მაშოვნინო.

— შპარელი კი არა, შპალერი.

— როგორც არი, რა... ხო გაიგე?

— მე კი, მაგრამ...

პირველივე თავისუფალ დღეს გავიდნენ ქალაქში. მოძებნეს მაღაზია.

— შპარელ ნადა! - არ აცალა ნიკოს ანზორმა და გამყიდველ გოგონას ჯიქურ მიაჩერდა.

— ჩტო ტაკოე?! - შეჩქვიფდა გოგონა, მაგრამ მალე „მიუხვდა“, - შპალეროვ ნეტ, ვ დრუგომ მაგაზინე.

— კაკ ნეტ, ა ეტო შტო?! - მიუთითა რულონებზე.

— ეტი ჟე აბოი!

— ბიჭო, ანზორ, ხომ გითხარი, რასაც ჩვენ შპალერს ვეძახით, ესენი აბოის ეძახიან. შპალერი ამათთვის კედელზე ასაჭიმი აბრეშუმის ქსოვილია. გაიგე? აბოი უნდა იკითხო, ისე ვერ გააგებინებ!

— ერთი მაგათი დედაცა! ამათი გულისთვინ აბოი რად უნდა ვიძახო.

— ამათი კი არა, შენი გულისთვის.

— ჰოდა, მე სწორედაც შპარელი მჭირდება, გაიგე?..

ნიკიტამ, ციმბირელმა ფილოლოგმა, საიდანღაც ინგლისელი ნატუროპათის, ჰარი ბენჯამინის, წიგნის მანქანაზე ამობეჭდილი თარგმანი მოიტანა. წაიკითხეს და რა წაიკითხეს! ორთავე ღრმად დაიმუხტა ბენჯამინის იდეებით. ყველაფრის თავი და თავი შიმშილობის დაწყება იყო, რასაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეუდგნენ. ეს დალოცვილი ბენჯამინი ისე დამარწმუნებლად ასაბუთებდა ცხოვრების ბუნებრივი წესის სიკეთეს და აუცილებლობას, რომ შეუძლებელი იყო პრაქტიკულად არ აყოლოდი მის რეკომენდაციებს. მათ შორის, ყველაზე სარწმუნო და იოლად ხელმისაწვდომი ბოსტნეულისა და ხილის დიეტა ჩანდა.

ნიკოსა და ნიკიტას დუეტმა დილიდანვე დაიჭირა თადარიგი: შეიძინეს ბლომად კუბური გრეიპფრუტი, თითო ბავშვის თავისხელა, რომლითაც სავსე იყო ქალაქის დახლები. თითო ნაყოფიდან თლილი ჭიქა ივსებოდა უვიტამინესი და უგემრიელესი წვენით. სამ დღეს მხოლოდ ეს ნატურალური ნექტარი სვეს, რუსული ორთქლის აბანოთიც ისიამოვნეს და სამი დღის ნაშიმშილები პარტნიორები საერთო საცხოვრებლის დერეფანს შეუყვნენ. შაბათი იყო და შუააზიელ კოლეგებს ფლავის დღე ჰქონდათ.

ვინც შუააზიური ფლავის კეთებას არ შესწრებია, ვერ წარმოიდგენს ეს როგორი სერიოზული კოლექტიური რიტუალი და სადღესასწაულო პროცესია. ჯერ ის რად ღირს, ამსიშორეზე თავიანთი უზარმაზარი თუჯის ქვაბით („კაზანით“) რომ ჩამოვიდნენ. ფლავი, ცხადია, ახალი ცხვრის ხორცით კეთდება, რომელსაც გულდაგულ წვავენ და მოხარშულ ბრინჯში აურევენ წვრილად დაკეპილს. მთელი ამ პროცედურის განმავლობაში მისეულნი არიან მაგიდას, რომელზეც ფლავი მზადდება. ხვდებით, ალბათ, რომ მაყურებელი გაცილებით მეტია, ვიდრე მზარეული.

ჩვენი ორი მოშიმშილე სწორედ მაშინ გაუყვა დერეფანს, როცა მთელ შენობაში აშიშხინებული ცხვრის ხორცის გულისწამღები სურნელი მეფობდა.

— რას იტყვი? - ახედა ნიკომ ციმბირელს.

— პრატივნო! საზიზღრობაა!

ორთავემ ბლომად ნერწყვი ჩაყლაპა და საჩქაროდ შეიმალნენ თავიანთ ოთახებში.

ბენჯამინს პოლ ბრეგის „შიმშილობის სასწაული“ მოჰყვა. ამან ხომ საერთოდ ააღებინა ხელი ნიკოს ტრადიციულ ჭამასმაზე. დააკვირდითო, წერს ბრეგი, ცხოველის ცხოვრების წესს და დარწმუნდებით, რომ მის კვალზე უნდა იაროთო. ცხოველი იმდენს ცოცხლობს, რამდენიც ბუნებამ თუ ღმერთმა დაუწესა, არც მეტს, არც ნაკლებს. ადამიანი კი ყოველნაირად ცდილობს მისთვის გამოყოფილი ვადა, უკეთეს შემთხვევაში, გაინახევროს. რით? ცხოვრების არასწორი წესით: შემწვარ-მოხრაკულით, ხორცეული ბულიონებით, ალკოჰოლით, ნიკოტინით, ნარკოტიკებით, ქიმიური მედიკამენტებით. ყველაფერი ეს ხომ ცხოველისთვის უცხოა! ნუთუ არ შეიძლება ზემოჩამოთვლილზე ნაწილობრივ მაინც უარი ვთქვათ, რათა არა მარტო დიდხანს, არამედ ჯანმრთელად ვიცხოვროთ, ახალგაზრდობა გავიხანგრძლიოთ?

— რა ვქნათ, არ გავიხანგრძლიოთ? - დაუსვა რიტორიკული

შეკითხვა ნიკომ ნიკიტას.

— უსათუოდ!..

თვენახევარში ნიკომ ათი კილო დაიკლო და იმ წონას დაუბრუნდა, როცა აქტიური ტანმოვარჯიშე იყო.

ნოემბერში ებრალიძეები ჩამოვიდნენ, თვრამეტი წლის გიორგი კინემატოგრაფიის ინსტიტუტში აპირებდა მისაღები გამოცდების ჩაბარებას. ჯუმბერი და ჯილდა, გიორგის მშობლები, გაოცდნენ ნიკოს დანახვაზე. ზედმეტი მოგსვლიაო, ჯუმბერმა. ბიძაშენს შენ დანახვაზე შეიძლება ინფარქტი დაემართოსო, ჯილდამ.

ნიკო სერიოზულად შეფიქრიანდა და როცა გიორგი ინსტიტუტში ჩაირიცხა, კურსებიდან ათდღიანი შვებულება გამოითხოვა, ებრალიძეებს დაემგზავრა მატარებლით და გზაში გასუქება გადაწყვიტა.

მატარებელი თითქმის სამ დღეს უნდებოდა თბილისამდე. ნიკო გაძლიერებულ კვებაზე გადაერთო. მოხდა გაუთვალისწინებელი: ხანგრძლივი დიეტით გფაქიზებულმა კუჭმა ვერ გაუძლო გადატვირთვას და საცოდავმა ნიკომ მთელი დღე უნიტაზზე თავწახრილმა გაატარა. თბილისამდე ლიმნიანი ჩაის მეტი არავითარი საკვები არ მიუღია.

ტელესტუდიასთან ტორტითა და ნამცხვრებით გაფიჟვინებული კოხტა პატარაია შეხვდა და განცვიფრებულმა ჰკითხა:

— ნიკო, რა გჭირს?!

— ბრეგი, ჩემო კოხტა!

— ეგ რა ავადმყოფობაა?!

ნიკომ სიცილი ვერ შეიკავა. მერე ყველაფერი აუხსნა და წიგნსაც წაგაკითხებო, შეპირდა.

— იცი, რა, ჩემო ნიკო, თუ მხოლოდ წაკითხვით გავხდები, მომიტანე. შიმშილობა ნაღდად არ შემიძლია. შიმშილისგან გამისკდება გული თუ ტორტის ჭამით დავიბრიდები, რა განსხვავებაა?

მასობრივი ნიჰილიზმის მიუხედავად, ნიკოს ბრეგის იდეების პროპაგანდა არ შეუწყვეტია და რამდენიმე პიროვნება აიყოლია კიდეც, თუმცა ვერაფერი გააწყო კაკოსთან, დედის ძმასთან.

— შენ ამბობ, რომ ჩაი, კაკაო და ყავა მავნებელიაო, ხომ?

— მე კი არა, ბრეგი მბობს.

— კი, ბატონო, მასე იყოს. ახლა კარგად დამიგდე ყური: ბაბუაშენი მელიტონი, ანუ მამაჩემი, ხომ გახსოვს? კი, ხომ? იცი, რამდენი წლის გარდაიცვალა? ოთხმოცდაცამეტის!

— მერე?

— რა, მერე? დღეში, სულ ცოტა, სამ ჭიქა ჩაის სვამდა, შაქრით ბარაქიანად დატკბილულს, ღვინოსაც კარგად მიირთმევდა და შემწვარ-მოხრაკულსაც.

— რომ არ ესვა და ეჭამა, მეტს იცოცხლებდა.

— კაი, თუ კაცი ხარ, რამდენით მეტს, სამი-ოთხი წლით. მაგისთვის ღირს სანერვიულო შეზღუდვებით ცხოვრება?

— სამოცი წლის ასაკში რომ უკვე ჰიპერტონიკები და ინვალიდები არიან, მოგწონს? მამაშენი გამორჩეული ეგზემპლარი იყო, თან, არ დაგავიწყდეს, სოფელში ცხოვრობდა, სუფთა ჰაერს სუნთქავდა!

„ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება“

როგორც კი თავისუფალ დროს იშოვიდა, ნიკო ფილოლოგიურ-ფილოსოფიურ პრობლემებს ჩაუჯდებოდა საფუძვლიანად. ერთხანობას დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობამ დააინტერესა, „დავითიანთან“ ერთად ინტერპრეტატორებიც დაამუშავა და ისეთ ავტორებს მიადგა, მანამდე რომ ვერაფრით იფიქრებდა. ერთი მათგანი, იტალიელი, წმინდანად შერაცხილი და მეორე ქრისტედ მიჩნეული, ფრანჩესკო ასიზელი, აღმოჩნდა. მისი „ჰიმნი ძმა მზეს“ შიგადაშიგ ჟღერდა „დავითიანში“. სანამ ლათინურის რომელიმე მცოდნესთან კონსულტაციას გაივლიდა, თამაზ ჩხენკელმა ვიკტორ ნოზაძის „ვეფხიტყაოსნის“

მზისმეტყველება“ დაუსახელა, რომელშიც დიდებულადაა ნათარგმნი ფრანჩესკოს „ჰიმნი“.

მერედა, სად მოიძევ მაგ წიგნს?

საქმე ისაა, რომ ნოზაძე არგენტინაში, ბუენოს-აირეს-ში, ცხოვრობდა და ქართულ წიგნებსაც იქ ბეჭდავდა. საქართველოში მისი წიგნები არალეგალურად, ასე ვთქვათ, „კონტრაბანდად“, შემოდიოდა.

— სადმე, ოჯახებში, თუ მოიძევ. სამწუხაროდ, არ მახსოვს, ვის ოჯახში ვნახე. თუ გამახსენდა, გეტყვი. სხვათა შორის, კიდევ ექვსი წიგნი აქვს „ვეფხისტყაოსანზე“: „სიბრძნისმეტყველება“, „ვარსკვლავთმეტყველება“... ყველას სათაური არ მახსოვს. ვიცი, რომ უღრმესი გამოკვლევებია, მსოფლიო ლიტერატურისა და ფილოსოფიის გათვალისწინებით. იფიქრე, ვის თაროზე შეიძლება იყოს შემოდებული.

ნიკომ თანდათანობით ჩამოუარა ნაცნობ ლიტერატორებსა და ბიბლიოფილებს, მაგრამ უშედეგოდ. ერთ მშვენიერ დღეს იქ მიაგნო, სადაც ვერასდროს იფიქრებდა: თაზო ივანიშვილთან! კი, ბატონო, თაზო წიგნიერი კაცი იყო, მაგრამ მისი ინტერესების არეალში ვერაფრით მოიაზრებდი ამ ტიპის ლიტერატურას. ზოგიერთი გამოცემით, უბრალოდ, თავს იწონებდა. აბა, ვთქვათ, რასელის „ფილოსოფიის ისტორიის“ გადამფურცვლელი იყო?

— თაზო, თვალი ხომ არ მატყუებს, ეგ ნაღდად ვიკტორ ნოზაძეა?!

— გახლავს, - კმაყოფილებით ჩაიცინა თაზომ, - ბუენოს-აირეს!

— საიდან?!

— ტუმბოჩკიდან... რა იყო?

— აბა, ერთი სათაური ვნახო!

— ხელი ფრთხილად მოკიდე. ხო დაბანილი გაქვს?

— „მზისმეტყველება“. ბიჭო, ამ წიგნს სანთლით ვეძებ... ვაა, რას წარმოვიდგენდი!

— ესე იგი, ცუდად ვიცნობთ ახლობლებს.

— ორ დღეში მოგიტან.

— რას მომიტან?

— ამ წიგნს. სხვა რა უნდა მოგიტანო?

— რომ მომიტანო, ხომ უნდა გაგატანო?

— ცხადია, - გაეცინა ნიკოს.

— მერე? ვინ გატანს?

— რა, თხოვებაზე უარს მეუბნები?!

— ასე გამოდის.

— ხუმრობ, ალბათ.

— სულაც არა. შენთვის ახალი ამბავია, რომ ამ ბიბლიოთეკიდან წიგნი არ გასულა და არც გავა? აგე, სავარძელზე დაბრძანდი და რამდენ ხანსაც გინდა, იკითხე!

— მაგიჟებ?!

— თაზო, მეტისმეტი მოგდის, - უსაყვედურა ნატომ, თაზოს მეუღლემ, - ნიკოს მაგაზე უარს როგორ ეუბნები?!

— ეგ წიგნი აქედან არ გავა და მორჩა!

— თაზო, იცოდე, დიდი ხნის მეგობარს კარგავ! - ნიკო წასასვლელად მოემზადა.

— თუ ჩვენი ძმობა მაგ წიგნის თხოვება-ართხოვებით იზომება...

— აბა, ერთი მაჩვენე ეგ წიგნი! - ჩაერია უსიამოვნო საუბარში თაზოს დეიდაშვილის ქმარი, - ამაზეა კამათი? სახლში სამი ცალი მიდევს ამნაირი, თუ წამომყვები, სამთავეს მოგართმევ საჩუქრად.

— არ მეხუმრები?

— გეკადრება?! ახლავე წავიდეთ!

გაოცებულმა და გახარებულმა ნიკომ მართლა ნახა თაზოს სიძის თაროზე ვიკტორ ნოზაძის სამი წიგნი, მათ შორის, „მზისმეტყველებაც“.

— საიდან?!

— არ დაიჯერებ, აგე, ერეკლეს მოედანზე, პატარა ბიბლიოთეკაა. ერთ შაბათ დღეს დავინახე, ბიბლიოთეკის გამგე,

ახალგაზრდა ქალი, როგორ ყრიდა თავლია სარდაფში ნაირ-ნაირ გამოცემებს. ჩავედი და ეგ წიგნებიც მანდ აღმოვაჩინე. ცხადია, მე მაგათი წამკითხველი ვერ ვიქნები, ინჟინერი კაცი ვარ, ნაგრამ ვიკტორ ნოზაძე და ბუენოს-აირესი რომ წავიკითხე, თანაც „ვეფხისტყაოსანი“...

— კი, მაგრამ ბიბლიოთეკის გამგემ კითხვა არ იცოდა?! წამყევი ერთი, სარდაფი მოვჩხრიკოთ, იქნებ კიდევ დარჩა რაიმე ღირებული...

არაფერი აღმოჩნდა საინტერესო.

— სამთავე ჩემია? - ნიკო ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული.

— შენია, წყალი არ გაუვა! - გაეცინა თაზოს სიძეს.

ვითომ წვრილმანია, მაგრამ თაზოსთან ნიკოს ძმაკაცობას პირველი ბზარი სწორედ იმ საღამოს გაუჩნდა.

მოულოდნელი ძღვენით გახარებული ნიკო მაინც ნაღვლიანად ფიქრობდა ქვეყანაზე, სადაც ბიბლიოთეკარს შეეძლო სარდაფში ჩაეყარა ვიკტორ ნოზაძე, შოთა რუსთაველი და მიეფურთხებინა ბუენოს-აირესისთვის.

სამაგიეროდ, სადღეისო „ყვითელ“ პრესას, უფრო მაგარი გამოთქმა რომ არ ვიხმაროთ, ბინძური ჭორებით გაძეძგილს, თვალისჩინივით მოუვლის. თუ კი ბიბლიოთეკარი ასეთია, ვიღასთვის უნდა წერო? ვინ იქნება სერიოზული ლიტერატურის მკითხველი?

არა, ისე როგორ წახდება ერი, რომ ღირებულ სიტყვას ორი ათეული დამფასებელი მაინც არ აღმოუჩნდეს, თუნდაც ერთი ათეული. ის კი არა, თუ წახდა საქმე, ერთი მკითხველისთვის შეიძლება წერო და ის პიროვნება სულ თვალწინ გედგას ქმნადობისას, წარმოსახვით, რა თქმა უნდა.

არა და არა, ნიჰილიზმი არ ეგების, რადგანაც „კაცნი გვქვიან“!..

მოსკოვი. „კრასნაია პრესნია“

სანამ „პრესნიაზე“ გავალთ, ცოტა შორიდან მოგვიწევს დაწყება. ნიკოს უფროსმა ვაჟმა, ზაზამ, მუსიკალური გიმნაზია ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ნიჭიერთა ათწლედი“ დაამთავრა და კონსერვატორიაში პიანისტების მისაღებ გამოცდებზე გავიდა. ბოლო გამოცდის წინ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, გაირკვა, რომ ჩასარიცხად ზაზას ოთხიანიც ყოფნიდა. კომისიის თავმჯდომარემ, ნიკოს ჯგუფელმა, საგამოცდო თემა გაუმხილა. ნიკო დაჯდა, თხზულება დაწერა და ზაზას ჯიბეში ჩაუდო:

— მშვიდად გადაწერე და ზეგიდან სტუდენტი იქნები!

გამოცდიდან ზაზა კაი გუნებაზე გამოვიდა.

— რა ქენი, გადაწერე?

— კი არ გადავწერე, დავწერე!

— რა დაწერე?

ზაზამ სულ სხვა თემა დაასახელა.

— რატომ, ის არ მოვიდა?

— კი.

— მერე?!

— მერე ის, ნიკუშ, რომ შენი ნაწერი გიგის მივეცი, კილაძეს, ობოლი ბიჭია, უმამო, მე კიდე მამაც მყავს და დედაც. თანაც, ხომ იცი, როგორი სუსტი ჯანი აქვს. მე კიდე ნახე, რა კუნთა ვარ! გინდა აქვე ყირა გავჭიმო?

ზაზა ცდილობდა ხუმრობით ჩაეფარცხა ის დრამატული რეაქცია, რომელიც მის ინფორმაციას მოჰყვა. ამაოდ. გამწარებული ნიკო მოტრიალდა და ისე დაიბნა, რომ ტაქსი გააჩერა, კარი გამოუღო და ნანას მოუხმო.

— ნიკო, რას აკეთებ?! ეს მანქანა ვისია?!

ნიკომ ტაქსისტს ბოდიში მოუხადა და საკუთარ „ჟიგულს“ მიადგა. რაღა ამ ხათრიანობასა და დამთმობ ხასიათში დამემგვანაო, გულს ასკდებოდა. კი, ბატონო, გეთანხმები,

გიგი ცოდოა, მაგრამ განა მე კი არა ვარ შესაბრალისი? არ გინდა სტუდენტობა? კაი, ჩემო კარგო, გაგიშვებ რუსის ჯარში, აბრახუნე კერზის ჩექმები ორი წელიწადი, ჭკუაზე მოხვალ!

სახლში მობრუნებულ ზაზასაც ასე დაემუქრა. თან გული ეკუმშებოდა: ნეტა მაცოდინა, კარგს ვაპირებ თუ ცუდსო.

ყველაფერი წვრილშვილიანი ძმაკაცის რჩევამ გადაწყვიტა:

— გაუშვი ჯარში, რეჟიმში ჩაჯდება, გაირჯება და რომ ჩამოვა, საქმეს მოკიდებს ხელს!..

ასე აღმოჩნდა ზაზა რუსის ჯარში, მოსკოვის მახლობლად. ორი კვირა გაუძლო, მეთხუთმეტე დღეს ლოთ ლეიტენანტს გაუქანა ყბაში და ჩააყუდეს ჯერ ჰაუპტვახტში, შემდეგ - „ბუტირკაში“.

სამხედრო სასამართლომ მუხლის მაქსიმუმი, ოთხი წელი, მიუსაჯა „შრომა-გამოსწორების“ კოლონიაში ვადის მოხდით. მსგავსი, სხვადასხვა სიმკაცრის რეჟიმებიანი, საპატიმროები მთელ საბჭოთა კავშირში იყო მოფენილი.

სასამართლოს ერთ-ერთ სხდომაზე ზაზამ ნიკოს მიაძახა:

— რუსთავი გამიკეთე, ამათ ჯარს კოლონია ასჯერ მირჩევნია!

ნანა და ნიკო ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდნენ მოსკოვის ცენტრში, მკვიდრად ნაგებ, უსახურ, კორპუსში. ბინის პატრონი, ომგადახდილი, ხეიბარი ოფიცერი, სტალინის მოთაყვანე და ქართველებისაგმი თბილად განწყობილი კაცი გამოდგა. საწერ მაგიდაზე გენერალისიმუსის ლამაზჩარჩოიანი ფერადი პორტრეტი ედო.

ნიკოს გასაჭირის კურსში იყო და დიდად თანაუგრძნობდა. როცა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა, ნიკო ზაზას საქართველოში ეტაპირებისთვის ზრუნვას შეუდგა. მიდგა-მოდგა, ვინღა არ შეაწუხა, ჯიბეში რამდენიმე ათასი მანეთით დარბოდა. ყველა ხელებს ასავსავებდა, რაც არ შეგვიძლია, არ შეგვიძლიაო! თუ გინდა, აქვე, ახლო-მახლო, მოგიხერხებთ

მაგარ კოლონიასო.

ამ გაწამაწიაში უკვე იმედი გადაწურული ჰქონდა, როცა სტალინისტმა მასპინძელმა ერთ საღამოს დაუძახა და მაგიდასთან დაისვა:

— ერთი ვინმე გამახსენდა, რომელსაც შეუძლია ეგ ამბავი მოგიგვაროს.

— არიქა, მეშველოს იქნებ!

— ახლა მაგ სისტემაში აღარ მუშაობს, მაგრამ საქმის გამკეთებელია.

— მთხოვოს რაც უნდა!

— ფულს ეგ არ გამოგართმევს, მაგრამ ეს ამბავი უყვარს, - მასპინძელმა ყანყრატოზე თითები ააწკაპუნა, - ხვალისთვის დავიბარე, სამი საათისთვის, დაელაპარაკე.

დაიმედებულმა ნიკომ გასტრონომში არყის და კონიაკის კოლექცია შეაგროვა და მაცივრის კარის „ჯიბეში“ ჩაამწკრივა.

მეორე დღის სამ საათზე შეპირებული კაცი მოვიდა და ნიკოს გაეცნო როგორც ივან ისიდორიჩი. ნიკომ ოთახში შეიყვანა. სუფრაზე ეწყო ძეხვი, ბუჟენინა, ყველი, პური და საარყე ჭიქები. ნიკომ მაცივრის კარი გამოაღო:

— რას დალევ?

ივან ისიდორიჩს თვალი გაუშტერდა და კაი ხნის პაუზის შემდეგ ჩურჩულით იკითხა:

— ყველა სავსეა?!

— კი, სავსეა, - გაეცინა ნიკოს.

— მერე?! ღამე როგორ გძინავს?!

— კარგად, მე ხომ არ ვსვამ!

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ! „პასოლსკი“ გამოიღე.

სავსე ბოთლში წვეთი არ დაუტოვებია ივან ისიდორიჩს. საქმეს გაეცნო და ზეგ ამ დროს მოვალ, მზად იყავიო. ნიკომ შესთავაზა, რომელიმე ბოთლი გაიყოლიეო.

— ცოლი მომკლავს! - განაცხადა სტუმარმა და ისე წავიდა,

ნაბიჯი არ შეშლია.

დათქმულ დროზე მოვიდა და მივდივართო, თან ერთი ბოთლი კონიაკი უნდა გამატანოო. ორი იყოსო, ნიკომ. არა, მხოლოდ ერთიო.

ივან ისიდორიჩი, უბის ჯიბეში მოყუჩებული კონიაკის ბოთლით, პატიმრების გამანაწილებელში, „პერესილკად“ წოდებულში, შევიდა. ნიკო ტაქსში ელოდებოდა და ნერვიულობდა, მაინც არ სჯეროდა, რომ საქმე კონიაკის ერთი ბოთლით მოგვარდებოდა.

როგორც იქნა, გამოვიდა შეჟინჟღილებული ივან ისიდორიჩი და მაღლა აწეული ცერათითი აჩვენა. ნიკომ მადლობის თქმაც კი ვერ მოახერხა, ბურთი ყელში ებრჯინებოდა. ის კი შეძლო, რომ გადაეხვია და გემოზე გადაკოცნა.

— ივან ისიდორიჩ, ძვირფასო, - უთხრა, როცა ცოტათი სული მოითქვა, - უარი არ მითხრა, აქ მცირეოდენი თანხაა, თუ გამომართმევ, ძალიან გამახარებ.

— არავითარ შემთხვევაში, - ცივად იუარა რუსმა, - იცი, რას გეტყვი, ნიკალაი აბელოვიჩ, ყველაფერი ფულით არ იზომება. მე შენ ძალიან მომეწონე, თან გრიგორი ილიჩმა, ამ წმინდა კაცმა, დაგახასიათა. ისე, თუ გუნებაზე იქნები, საახალწლოდ გამომიგზავნე თქვენებური, ქართული ნობათი: გოზინაყი, გოჭი, ღვინო... თუ ვერ მოახერხებ, არც ეგ მეწყინება.

— ჩემზე იყოს! - ლამის ცრემლები წამოსცვივდა ნიკოს, - ეგ თავისთავად, მაგრამ თუ რამე პრობლემა გაგიჩნდეს, არ მოგერიდოს. აი, ჩემი კოორდინატები, შენი მაქვს...

ალბათ, გახსოვთ, როგორი გულგატეხილი იყო ნიკო რუსებზე სიჭაბუკეში. ივან ისიდორიჩმა ასოთხმოცი გრადუსით შემოაბრუნა. ცხადია, ადამიანი, ძირითადად, ყველგან ერთნაირია, ასე ვთქვათ, ჭრელია. ნაძირალა, ისევე, როგორც უანგაროდ გვერდში დამდგომი, ნებისმიერ ქვეყანაშია.

ისე, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ არსებობს ნაციონალური და რეგიონული თავისებურებები. „რეგიონულში“

რაც იგულისხმება, იოლი გასაშიფრავია: ევროპული, აზიური, აფრიკული და ასე შემდეგ... უფრო ფართეა დასავლური და აღმოსავლური. უფრო ვიწრო კავკასიური, სკანდინავიური, ციმბირული, ბალკანური. ასეთმა ვიწრო პირობითმა გაგებამ წარმოშვა აბსურდული „კავკასიური ეროვნების ინდივიდი“. როგორც ცნობილია, ასეთი ეროვნება და მით უმეტეს, ერი, ბუნებაში არ არსებობს.

ახლა რაც შეეხება ნაციონალურ თუ რეგიონულ თავისებურებებს. ერთ ეპიზოდს მოგიყვებით და თავად განსაჯეთ, ნაციონალურს მიაკუთვნებთ თუ რეგიონულს.

ნიკო და ნანა თვეობით იმყოფებოდნენ მოსკოვში, სანამ გამოძიება და პროცესი დამთავრდებოდა. უმთავრესად ლოდინის პერიოდი იყო და დრო თავზესაყრელად ჰქონდათ. მოიარეს მუზეუმები, ქალაქის შემოგარენი, თუკი უცნობ ფილმს მიაგნებდნენ, კინოთეატრშიც მოიკალათებდნენ.

ჰოდა, ერთხელ, დღის სეანსზე შესულებმა, დაინახეს, რომ სეანსის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე ამოდენა, რვაასკაციან, კინოდარბაზში სულ ორიოდე მაყურებელი იჯდა წინა რიგებში. ნიკო და ნანა ბოლოში დასხდნენ.

— მგონი ტყუილად შემოვედით, - დაეჭვდა ნიკო. - არა მგონია ოთხი მაყურებლისთვის შედგეს სეანსი.

ამ დროს კიდევ ორი მაყურებელი შემოემატათ: სტუდენტური ასაკის ორი ყმაწვილი შემოვიდა ბილეთებით ხელში და კუთვნილი ადგილების ძებნა დაიწყეს.

— მგონი ჩვენკენ მოდიან.

— კაი რა, - გაეცინა ნიკოს, - ამ ცარიელ დარბაზში?!

— შენ იცინე და აგერ მოგვადგნენ.

— რა მოხდა, ბიჭებო?! - ჰკითხა ნიკომ.

— არაფერი, ბიძია, ჩვენს ადგილებზე ზიხართ.

— სხვა ადგილები დანაღმულია?

— ჩვენ ჩვენი ადგილები გვინდა დავიკავოთ.

ერთი სიტყვით, ორი რუსი ახალგაზრდა მტკიცედ იცავდა

საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებულ, საათნახევრიანი საკუთრების უფლებას. სხვა რა გზა იყო, ადგნენ და რამდენიმე რიგით წინ გადასხდნენ, ამ ტვინგაქონილებისთვის რომ არ ეყურებინათ.

ახლა, მაინც და მაინც რუსულ მენტალიტეტს ვერ დავაბრალებ ამ, უკაცრავად პასუხია, ინციდენტს.

ერთხელ, ვარშავაში, ღამის სამ საათზე, სასტუმროში ვბრუნდებოდი. ქალაქს სძინავს, ქუჩაში არც მანქანების და არც ადამიანების ჭაჭანება არ არის. გუნებაში ვღიღინებ და პროსპექტზე გადასვლას ვაპირებ. ის იყო ბორდიურიდან ფეხი გადავდგი, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი მტაცა! ვიფიქრე ნაცნობი ქართველი ტურისტი წამომეწია-თქო! მოვიხედე – აშკარად უცნობია, ნაღდად ვარშაველი მოქალაქეა. გაკვირვება რომ შემამჩნია, თითი ზემოთ აიშვირა. თითს თვალი გავაყოლე და დავინახე შუქნიშანი, რომელზეც წითელი ფერი ენთო. სანამ მწვანით არ შეიცვალა, ხელი არ გამიშვა. მინდოდა მეკითხა, მაჯვნივ მოხვევა თუ შეიძლება-თქო, მაგრამ პოლონურის მარაგი არ მეყო.

ეს ორი ეპიზოდი რომ საქართველოში ან საერთოდ, კავკასიაში გადმოვიტანოთ, უაზრობაა, ვინაიდან აქ მსგავსი არაფერი მოხდებოდა. კანონმორჩილებასაც თავისი დოზა უნდა ჰქონდეს. თუკი რაღაც შემზღუდველ, სიტუაციურ, ნორმას უმტკივნეულოდ და ვინმესთვის ზიანმიუყენებლად დაარღვევ, საგანგაშო არ უნდა გახდეს.

დოზა ტყუილად არ მიხსენებია. აბა, რა მოსაწონია, როცა თბილისის ისედაც ვიწრო ქუჩებში ამგვარ კადრს ნახავ: ორი ჯიპი გვერდიგვერდ გაჩერებულა და საჭესთან მჯდარი ჭაბუკები არხეინად მასლაათობენ. წინ და უკან მომდგარი მანქანების სიგნალები დედის ნანასავით ჩაესმით.

ნობელიანტი მწერალი, ივან ბუნინი, „ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში“ იგონებს „ნაროდნიკ“ მწერლებს, როგორც თავად ამბობს, უნიჭოებს, გარდა ლევიტოვისა და უსპენსკისა.

ამ უკანასკნელთა ხასიათი და ცხოვრებისეული ფინალი ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. ერთიც და მეორეც გამორჩეული ბელეტრისტები იყვნენ, ორთავენი ნაადრევად გალოთდნენ და ორთავემ ქუჩაში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე (ყელი სამართებლით გამოიჭრეს).

მანამდე აღმოჩნდნენ კეთილი ადამიანები, რომლებმაც მათი გადარჩენა და მწერლობაში დაბრუნება სცადეს. ერთი მათგანი ივან ბუნინს უყვება უცნაურ ამბავს:

„ერთხელ ლევიტოვი დავიხსენი ისეთი სიბინძურის, ისეთი სიღატაკისაგან, რომელსაც ვერც კი წარმოიდგენთ. წავიყვანე, დავაპურე, მშვენიერი ოთახი დავუთმე, ჯიბის ფული მივეც – აჰა-მეთქი, იცხოვრე რამდენ ხანსაც გინდა, გამომჯობინდი, წერე. მერედა, რით გადამიხადა? გამოვდივარ ერთ მშვენიერ დილით და რას ვხედავ – დადის მისაღებში და ახალთახალ, აბრეშუმის ქსოვილგადაკრულ სავარძლებსა და დივანს არ აშარდავს?!

— ესეც თქვენ, დატკბით, კეთილისმყოფელო, თქვენი მეშჩანური ფუფუნებით!

ამის მერე შემოსასვლელში კეპი და ჯოხი აიღო და გაქრა...

ნაღდი რუსი კაცი გახლდათ!“

ახლა ნიკალაი უსპენსკის ამბავი მოისმინეთ, რომელსაც მისი „მეცენატი“, მემამულე ქალბატონი, ყვება:

„რამდენიმე წლის წინ მოვიდა ჩვენთან, ჩაგვისახლდა, ოჯახის წევრად მივიღეთ. მერე? ადგა და ჩემ ქალიშვილს ნამუსი ახადა, „ჩემ ჯინაზე!“ - თავად ასე ბრძანა. ნეტა რა ჯინი უნდა ჰქონოდა? ცოლად შეირთო, მაგრამ მალე მიასიკვდილა. პატარა გოგო თან გაიყოლა და ვაჭრების, მეშჩანების და გლეხების შესაქცევად იყენებდა. თვითონ ჯამბაზობდა, გარმონიკაზე უკრავდა, იმ უბედურ გოგოს კი აიძულებდა ეცეკვა და უწმაწური რაღაცები ელაპარაკა. ზოგჯერ კისერში წაავლებდა ხელს ლეკვივით და მაყურებელთა გასახალისებლად მდინარეში ან

გუბეში მოისვრიდა... ღმერთმა განსაჯოს, **შესანიშნავი, მაგრამ საშინელი ადამიანი იყო**! ტურგენევმა მისი შველა მოინდომა და მოზრდილი მამული აჩუქა. რად გინდა მერე? ეგ მიწაც მიატოვა. არაფრის გულისათვის შეურაცხყო ტურგენევი, „უკანასკნელი სიტყვებით გალანძღა და წახეტიალდა“.

ყოველივე ამას ივან ბუნინი „**რუსული სულის საშინელ გამოცანას**“ უწოდებს.

ფიქრის ფანჯარა

(ბაკურის უტოპია)

არიან ადამიანები, რომლებიც პირადი ცხოვრებისეული კომფორტის მიუხედავად, თავს იწუხებენ საკაცობრიო, დისკომფორტული, პრობლემებით. ზოგ მათგანს უტოპისტს უწოდებენ. კლასიკური უტოპისტები ანუ იდეალური, ყოველმხრივ მოწესრიგებული, ქვეყნის მაძიებელნი, თეორიას არ სცილდებოდნენ და კეთილშობილ მეოცნებეებს წარმოადგენდნენ. ისინი შეუძლებელს ისე უყურებდნენ როგორც შესაძლებელს. ისიც უნდა ითქვას, რომ უტოპიური თეორიები ან იდეები ლოგიკას არ ეწინააღმდეგება. ეს კი გარკვეული საფრთხის შემცველია. საფრთხე თეორიის პრაქტიკულად განხორციელების მცდელობაშია ჩასაფრებული. ამის სამწუხარო მაგალითია მარქსისტული უტოპიის რეალობაში დანერგვის სისხლიანი ექსპერიმენტი.

პირდაპირ უნდა ითქვას, ნიკო არ მოელოდა თუ ოცდამეერთე საუკუნეში გადაეყრებოდა მეოცნებე უტოპისტს, რომელიც ამავე დროს წარმატებული პრაქტიკოსი და ნიჭიერი ბიზნესმენი იქნებოდა.

ბაკურის (ასე ჰქვია ბიზნესმენს) შეტევის მთავარი ობიექტი, რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, გახლავთ ფული, რომელიც აღებ-მიცემობის შეუცვლელი შუამავალია, მაგრამ ამავე დროს უზნეო მოხვეჭისა და სისხლიანი ტრაგედიების

უპირველესი მიზეზიცაა.

ბაკურს მიაჩნია, რომ მოგებისაკენ ლტოლვაზე აგებულ ფულად ურთიერთობას სიყვარული უნდა ჩაენაცვლოს. მცირეოდენი პერიფრაზით: „სჯობს სიყვარულის მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. ფულმა, სიკეთესთან ერთად, უამრავი უბედურება მოუტანა ადამიანს. გაჩდნენ ფულის უაზრო დამგროვებლები: სოლომონ ისაკიჩები, გობსეკები, პლიუშკინები, კარაპეტები... წარმოიშვნენ ოლიგარქები, უზომო რაოდენობის ფულადი რესურსების პოლიტიკაში დამბანდებლები, ქილერები, ხორცითა და სულით მოვაჭრენი. ყველაფერ ამას საფუძვლად სიძულვილი ან უკეთეს შემთხვევაში, გულგრილობა, უდევს.

თუ ბიზნესში სიყვარული არ ჩაიდო, კაცობრიობის საშველი არა და არ იქნება!

ჭეშმარიტებაა, მაგრამ „ჩადების“ რეალური გზები არ ჩანს.

ტყუპების პარადოქსი

სამყარო სავსეა პარადოქსებით. ეს კოსმოლოგიური ვარო, იქ დროისა და სივრცისაო, ფოტომეტრიულიო, ჰიდროსტატიკურიო... პარადოქსი, სიტყვა-სიტყვით, მოულოდნელს, უცნაურს, ნიშნავს, იმას, რაც ყოველდღიური, საღი აზრისთვის, აუხსნელია. თუმცა ეს სიტყვა თანდათანობით არაერთი ნიუანსით დაიტვირთა, რის გამოც მრავალი მნიშვნელობით ხმარობენ. ანტიკური, ლოგიკური პარადოქსები, პირდაპირ მიუთითებენ ისეთ გადაუჭრელ ვითარებაზე, როცა მკაცრი ლოგიკა ერთს ამტკიცებს ურყევად, რეალობა კი სრულიად საპირისპიროს გვეუბნება. აბა, როგორი დასაჯერებელია, რომ ყველაზე ფეხმარდი მითოლოგიური არსება, აქილევსი, ვერასოდეს დაეწევა ყველაზე ნელიად მოსიარულე არსებას, კუს! არადა, ისე მწყობრად ასაბუთებს ამ გაუგებრობას ძენონი,

რომ შეიძლება ნერვები ვერ მოთოკო.

როცა ფრანგმა დენი დიდრომ ინგლისელი ფილოსოფოსის, ბერკლის, წიგნი წაიკითხა, აღშფოთებულმა შესძახა: გონების სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ამ აბსურდული (იგულისხმება „პარადოქსული“) ფილოსოფიის უარყოფა შეუძლებელიაო.

ალბათ, ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ დანიელმა მოაზროვნემ, გვარად კირკეგორმა, თავის მოძღვრებას პირდაპირ „აბსურდის ფილოსოფია“ უწოდა. საერთოდაც, ადამიანის არსებობას აბსურდში ყოფნა დაარქვა. სხვათა შორის, ეს თვალსაზრისი ზედმიწევნით მართებული აღმოჩნდა: დედამიწაზე უკვე დაწყებული ეკოლოგიური კატასტროფა სწორედ ადამიანის პარადოქსულმა საქმიანობამ გამოიწვია. ადამიანი იმ ტოტს ხერხავს გულდასმით, რომელზეც ჩამომჯდარა.

ნიკო, მართალია, ფილოლოგი და მწერალი გახლდათ, მაგრამ ბუნების კანონებზე (თუ უკანონობაზე) და ფილოსოფიურ პრობლემებზე არსებულ ლიტერატურას და მათზე ფიქრს საკმაო დროს ახარჯავდა.

ეს შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ ის ეპიზოდი გამემართლებინა, რომელსაც ნიკო პარადოქსულს უწოდებდა.

მიტო ასათიანი, ქირურგი, იმ იშვიათ პიროვნებას წარმოადგენდა, რომელსაც არც სამედიცინო სფეროში და არც ყოფით გარემოში მომდურავი არასოდეს ჰყოლია. ბუნებამ ნაირფერი ნიჭი მიამადლა: მსახიობის, იუმორისტის, დასტაქრის და რაც მთავარია, უანგარო სიყვარულის გაცემისა და მოხვეჭის ნიჭი.

მიტო ასათიანის კომიკურ საესტრადო პანტომიმებზე, მაყურებლით სავსე დარბაზში, ჰომერული ხარხარი ჭაღებს აზანზარებდა. სცენიდან არ უშვებდნენ. მაშინ მიტო სამედიცინოს სტუდენტი იყო და არტისტობით ლუკმაპურის ფულს შოულობდა. რეპრიზებს თავად იგონებდა. მიტოსთან ეპიზოდური შეხვედრების მერე ნიკოს შესამჩნევად უძლიერდებოდა სალაღობო მუხტი.

მორიგი შემთხვევითი შეხვედრის და პირზე კოცნის შემდეგ მიტომ უთხრა, რაღაც უნდა გთხოვო და უარი არ გამაგონოო.

— ბრძანე!

— არტისტი რომ ვიყავი და აღარ ვარ, გეცოდინება.

— კი, ბატონო. რაღაც შორიდან მივლი.

— მაცალე! ქირურგი რომ ვარ და ოპერაციებს ვაკეთებ, ეგეც გეცოდინება.

— შენ წარმოიდგინე, ვიცი!

— მაგრამ შენ არ იცი, რომ პარალელურად აგიტაცია-პროპაგანდის სექტორი მაბარია.

— ეგ მართლა არ ვიცოდი.

— როგორ მიხარია, ახლა რომ ეგეც იცი. რახან უკვე იცი, ალბათ, ხვდები, რომ პირადად მევალება საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება სამედიცინო პერსონალს შორის.

— იმასაც ვხვდები, რაც უნდა დამავალო და წინასწარ გიცხადებ თანხმობას.

— კი არ გავალებ, გთხოვ. როდისთვის მოვილაპარაკოთ? ბევრი არ მინდა, ოცწუთიანი საუბარი, ჰა-ჰა, ნახევარსაათიანი. ქირურგებს და მედდებს შეგიკრიბავ, ხომ იცი, როგორ გიჟდებიან ლიტერატურულ თემებზე!.. მერე რა, რომ წიგნს არ კითხულობენ... შაბათს, სამ საათზე, ხომ გცალია? დაარტყი ხელი!

ნიკო დათქმულ დროზე მივიდა კლინიკაში. მიტოს საოცრად გაუხარდა, შენი სიკეთეები კი ვიცოდი და სიტყვის კაციც ყოფილხარო.

— რა დაგიმალო, ჩემო ნიკო და არ ვიყავი დარწმუნებული, თუ მოხვიდოდი. შენს კოლეგებს, როგორც წესი, არ უყვართ ეგ ამბავი... ცოტა ხანს აქ დამიბრძანდი, ათ წუთში შევკრებ ხალხს კონფერენცდარბაზში.

მიტომ ხუთ თუ ექვს „თეთრჩეფჩიკიან“ ქირურგს მოუყარა თავი, ნიკო დარბაზში ჩაიყვანა, სცენაზე მიიპატიჟა და აუდიტორიას მიმართა:

— დღეს ჩვენი სტუმარია სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ბატონი ნიკო უჯმაჯურიძე, რომელიც ჩვენი თხოვნით საინტერესო თემებზე ისაუბრებს.

ნიკომ ის იყო პირი გააღო სალაპარაკოდ, რომ დარბაზის კარი გაიღო და შუბლდაკოხილმა ჭარმაგმა ქალბატონმა შემოაბიჯა, თან ათიოდე წლის ბიჭუნა მოჰყავდა ხელჩავლებული.

— პარტიის კრებაა? - იკითხა უხალისოდ.

— მობრძანდით, ქალბატონო ლეილა, დაბრძანდით! - მიიპატიჟა მიტომ.

— კრებაა-თქვა, გეკითხები!

— სტუმარი გვეწვია უნივერსიტეტიდან, საუბარს ჩაგვიტარებს.

— მაგისთვის გამომიყვანეთ სახლიდან?! ტელეფონში ვერ მითხარი?! ლექციების მეტი რა ვისმინე შვიდ წელიწადს!

— კაი, ახლა, რა მოხდა, შე ქალო! - დაუყვავა მიტომ, - ჯერ-ერთი, ორ ნაბიჯზე ცხოვრობ, მერე კიდევ ბატონი ნიკო ცნობილი მეცნიერი და უნივერსიტეტის დოცენტია.

— დოცენტია?! - აღფრთოვანდა ბიჭუნა და ბოლომდე თვალი არ მოუცილებია ნიკოსთვის. ეტყობა, ფილმ „იღბლიანი ჯენტლმენების“ შთაბეჭდილება ჯერ არ განელებოდა, მანდ ხომ პირწავარდნილ რეციდივისტს „დოცენტს“ ეძახიან!

როგორც იქნა, აუდიტორია დაწყნარდა, უკმაყოფილო ქალბატონიც დაბრძანდა და წარბშეკრული მოემზადა მოსასმენად.

ნიკომ ადრე ჩაფიქრებული ლიტერატურული თემის შეცვლა გადაწყვიტა ისეთი დამაინტრიგებელი და „სკანდალური“ საკითხით, როგორიცაა პარადოქსების პრობლემა. გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ ამით მრიხანე ქალბატონის გულს მოინადირებდა და საუბრით დააინტერესებდა.

— ბატონებო და ქალბატონებო! ვფიქრობ, თქვენნაირი, ინტელექტით და ერუდიციით გამორჩეული პროფესიონალებისთვის კარგად არის ნაცნობი ჩვენი კლასიკური

ლიტერატურა. ამიტომ ამ თემაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. მე მგონი, ჩვენი ყოფის აბსურდულობა და საერთოდ, პარადოქსების ისტორია და თანამედროვე ვითარება უფრო საინტერესო იქნება.

ნიკომ პარადოქსზე ზოგადი მსჯელობით დაიწყო, მერე აქილევსის და კუს პარადოქსი გაარჩია და მიადგა ლექციის „ჯილას“ - აინშტაინისეულ „ტყუპების პარადოქსს“.

აქვე უნდა ითქვას, რომ საუბრის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ყველა „ჩეფჩიკიანს“ ეძინა. ფხიზლობდნენ მხოლოდ დაბოდმილი ქალბატონი და მხიარული ბიჭუნა.

როცა ნიკომ სალაპარაკო მოკლედ მოჭრა და გაჩუმდა, მძინარეებმა გაიღვიძეს და ტაში დაუკრეს:

— შენ იცოცხლე, ბიძიკო, ეს რა საინტერესო რამეები მოგვიყევი!

— კიდევ როდის მოიწვევ ამ კაცს? - ჰკითხა მიტოს მეორემ.

— შეკითხვები ხომ არ გაქვთ? - ყოველი შემთხვევისთვის იკითხა მიტომ.

— მე მაქვს, - წამოიფოფრა ქალბატონი ლეილა, - ამ ზღაპრების მოსასმენად გამომიძახეთ?! რაო, რაო?! ტყუპი ძმებიდან ერთს ერთი წელი მოემატა და მეორეს სამოციო?! ეს მეცნიერებაა თუ ქოსატყუილას არაკი?!

— ქალბატონო, - სცადა თავისმართლება ნიკომ, - ეგ ამბავი მე კი არ მომიგონია, ალბერტ აინშტაინმა ბრძანა!

— ისიც კაი სულელი ყოფილა! - დაიყეფა ქალბატონმა ლეილამ, ბიჭს ხელი დაავლო და კარი გაიჯახუნა.

სამი ძლიავი და ამირანი

ქვიშხეთის მწერალთა სახლის ეზოში, ასწლოვანი ცაცხვების ჩრდილში, გრძელი, საღებავგაცლილი ფიცრებისგან შეკოწიწებულ, მოქანავე მაგიდას სამნი უსხედან და ხვატისგან

მოთენთილები დუნედ საუბრობენ შემთხვევით თემებზე.

ნახევრად ფანჯრებჩალეწილი კოტეჯიდან ნიკო უჯმაჯურიძე გამოიზლაზნა, უგემურად დაამთქნარა, მიიხედ-მოიხედა და ცაცხვებისკენ წამოვიდა. მზის გულზე მელოტი თავი ქვაბის სახურავივით უპრიალებდა. როცა ჩრდილში შემოაბიჯა, „გუტენ მორგენო!“, შორტების ჯიბიდან რაღაც ამოიღო და მაგიდაზე დაალაგა.

— მიირთვით! - თან სიცილისმაგვარი დააყოლა.

სამი ცალი ქლიავი იყო, ახალშემოსული.

— ბიჭო, რა ცალობით დაგაქვს მაგი ქლიავი, - ჩაიფხუკუნა რეზო ჭეიშვილმა.

— აბა, პარკით ხომ არ ვატარებ.

— სხვათა შორის, - გამოცოცხლდა შახნაზარი, - ქლიავს არაყი უხდება.

— კაი, თუ ძმა ხარ, - რეზომ, - რა დროის არაყია.

ამირანი, შარლოტას მეუღლე, უცებ გაუჩინარდა და სამწუთნახევრის შემდეგ აღმოცენდა ხელდამშვენებული: არყიან ბოთლს იმერული ყველი, პურის „ბუხანკა“ და სასალათე კიტრი-პომიდორი მოაყოლა. ჯიბეებიდან ოთხი ჭიქაც დააძრო.

ნიკომ ბოთლი ცხვირთან მიიტანა:

— ჩა-ჩა! - ბოთლი შახნაზარს გაუწოდა.

— მაგი სპეციალისტია, - ჩაიცინა რეზომ.

— კაი, კაცო! - ახვიხვინდა გიგიშა, - კი, ნაღდი ჭაჭაა, დაგვალევიე ოც-ოცი გრამი.

— აპა, - ცივად იუარა რეზომ, - საღამოს ქუთეისს მივდი-ვარ, მანქანით.

რაკი სხვა კანდიდატურა არ ჩანდა, შახნაზარმა პაუზის გარეშე დაისაკუთრა თამადის პოსტი.

— იფ, მაგარი ჭაჭაა, ორნახადი, იქნება ასე, ორმოცი-ორმოცდაორი გრადუსი.

— რეის ორმოცი, ორმოცდარვა თავისუფლად იქნება!

— რაცაა, მშვენიერი სასმელია! - ნიკომ.

— თუ მშვენიერია, რატო არ სვამ? - ჭეიშვილმა, - წნევა შენ არ გაწუხებს და გული.

— იმიტომაც არ მაწუხებს.

— რას ერჩი, - აჭახჭახდა გივი, - უვლის თავს!

— იმიტომ კი არა, ორგანიზმი არ ღებულობს!

— რა ორგანიზმი გაქ ამისთანა! - ჩაიცინა რეზომ.

— თავად რატომ ერიდები? - მოუბრუნდა ნიკო შახნაზარს.

— ჩემთვის არ შეიძლება. ე, რეზოს კითხე.

— აბა, არაყი რატო მოითხოვე?

— მოვითხოვე?! მე ვთქვი, ქლიავს არაყი უხდება-თქო.

— მერე? ეგ რას ნიშნავს?

— რას უნდა ნიშნავდეს, - დაამთქნარა რეზომ, - უხდება და მორჩა!

— კაი-და, შენ რატო იკავებ თავს?

— არ შეიძლება, ხომ გითხარი, ქუთეისს მივდივარ-თქვა, მანქანით.

— შენც სტრასბურგში მიდიხარ, ხო იცი, ევროსაბჭოს სესიაზე, - დასჭექა გივიმ, - ხვალ წადი, შე კაცო!

— ხვალ არ გამოვა, გასვენებაში მივდივარ.

— ეგ სხვა საქმეა, - გივიმ უცებ მოიწყინა, - აბა, ეს ძვირფასი სითხე უკან გავატანოთ?

— მე დავლევ, - განაცხადა ამირანმა, - ძალიან გთხოვ, არ ინერვიულო!

— სადღეგრძელო ვთქვათ და ტუჩზე მივიდოთ სიმბოლურად, როგორც სოკრატე გვირჩევს, - გივიმ ჭახუნით ჩამოუარა სანხევროდ შევსებულ ჭიქებს, - იცით რა არის, ბიჭებო? სადაც ახლა ჩვენ ვზივართ, ისეთ გიგანტებს უვლიათ... მარტო კონსტანტინე და დემნა კმარა!..

„ზაპოს“ ჩრდილში შეყუჟულმა როკიმ წამით შეაჩერა სუნთქვა და აბეზარ ბუზს ეცა კბილებით...

— ამ სადღეგრძელოს დოულევლობა არ იქნება! - რეზომ

ჭიქა დაცალა.

ყველამ დალია. სხვანაირად არ გამოდიოდა...

— შეხედეთ ამ ანგელოზებს, - გივიმ ჭიქა ასწია, - თქვენი არ ვიცი და მე ჭკუას ვკარგავ ბავშვებისთვის...

— ამ ჭიქის შოუსმელობა არ ივარგებს! - შეწუხდა რეზო.

ყველა დაეთანხმა და ეს ჭიქაც, რაღა თქმა უნდა, დაილია.

— კმაყოფილი ხარ „ზაპოროჟეცის“? - უადგილო კითხვა დაუსვა ნიკომ ამირანს, ალბათ, თავისი „ზაპო“ გაახსენდა.

— აღმართებში კი, - არ დაიბნა ამირანი, - მაგრამ ტრასაზე ჯიუტობს. გამაწამა, ას კილომეტრს რვა საათი მოვუნდი.

— საათში თორმეტნახევარი კილომეტრი, - დაიანგარიშა რეზომ, - მაინც კარქათ გივლია. ისე, ყაზბეგში და ბახმაროში უნდა იმოძრაო ძირითადად.

— ბაკურიანი გამოგრჩა! - შეეშველა ნიკო..

დაცლილი არყის ბოთლის გვერდით ქარვისფერი სითხით სავსე „კოკას“ ორი ბოთლი გაჩნდა.

— ზესტაფონის ცოლიკაურია, - მოიბოდიშა ამირანმა.

— რითაა ვითომ წინანდალზე ნაკლები?! - იყვირა გივიმ, - შენ მაგაზე არ იდარდო!

როკიმ ამოიკვნესა და გვერდი შეიცვალა.

— „ ნამორდნიკი“ მაინც შეხსენი, - შეეცოდა ნიკოს.

— აიტანს, - მშვიდად განუმარტა ამირანმა, - დასჯილია.

— ამირანის რომ არ ითქვას, შეუძლებელია, - გივიმ შევსებულ ჭიქებს სათითაოდ მიუჭახუნა, - ხომ ნახეთ, რა მშვენიერი ნატურმორტი შექმნა!

— ნუ დაგავიწყდება, - ჩაურთო ნიკომ, - ყველაფერი ქლიავით დაიწყო.

— ო-ჰო-ჰო-ჰო! როგორ უნდა ავტორობის მითვისება!.. მე არავის ვაძალებ, ვისაც არ გინდათ, ნუ დალევთ, ბატონო!

— დოულევლობა არ ივარგებს, - რეზომ ვითომ უხალისოდ დაცალა ჭიქა.

— ნამუსზე მაგდებენ, - გაიჯღანა ნიკო და ზესტაფონის

ცოლიკაური, რომელიც ვერავითარ მეტოქეობას ვერ გაუწევდა წინანდალს, ჩაისავით დალია.

— აუჰ, მარინა მოდის, - ჩაილაპარაკა გივიმ და ხმამაღლა დასჭექა, - აბა, შემოსწრებულის!

— რას შობი, რეზო?! - მშვიდად იკითხა მარინამ, რეზოს მეუღლემ, თუმცა გაკვირვება და უკმაყოფილება ბოლომდე ვერ შენიღბა.

— დავრეკოთ და გადავადებიოთ გასვენება, ახლა მაინც მოდაშია, - სიცილი აუტყდა რეზოს, - ქუთეისიდან თორმეტლიტრიანს ჩამევიტან, მაგარ ღვინოს.

— თუ წახვედი, კი...

მაგიდის ერთი კუთხე „კოკას“ ცარიელმა ბოთლებმა დაიკავა. თეფშები მოსუფთავდა. სამი კოტეჯი ფშვინვა-ხვრინვამ გამოაცოცხლა. მთვარე ორმოცვატიან ნათურასავით მორიდებულად ანათებდა.

ცაცხვების ჩრდილში ამირანი ივჯდა გარინდებული. როკისთვის „ნამორდნიკი“ შეეხსნათ და უადგილო სილაღით ქოშინებდა ენაგადმოგდებული.

გრძელ, ფიცრებით შეკოწიწებულ, მაგიდაზე სამი უმწიფარი ქლიავი იდო, რითაც ყველაფერი დაიწყო და დამთავრდა კიდეც.

ღუტიას სიკვდილი

ქვეცნობიერმა, რომელიც არ დაგიდევს დილაა, საღამო, შუადღე თუ ნაშუადღევი, ბავშვობაში „გადასახლება“ მოინება.

აგე, ნიკო ერთი ბეწოა, თითის სიგრძე, იმდენად მოცუცქნული, რომ საღორის კარში წელგამართული შედის. საღორეში თითქმის ბნელა, დგას მძაფრი სუნი. ნიკოს, რატომღაც, ეს სუნი და ნებივრად გაშხლართული, ყელში ქონმოწოლილი ვეება ტახის ცქერა სიამოვნებს.

ფიცრებს შორის ღრიჭოებიდან სინათლის ზოლები შემოდის. ერთი მათგანი ღორის დინგს სერავს. ნიკო აკვირდება როგორ მძიმედ სუნთქავს ღორი და დინგის მრგვალი ნახვრეტებიდან ქშუილით უშვებს ორთქლს.

ბიჭი ჩაცუცქდება და სიცივისგან გალურჯებულ ხელებს უშვერს ცხელ ამონასუნთქს, რომელიც საამოდ ელამუნება შეციებულ კიდურებს.

ნიკოს ზოგჯერ საჭმელიც მოჰქონდა, დინგთან დაუდებდა:

— ჭამე, ღუტია, ჭამე, რა, შენ გენაცვალე! -ეხვეწებოდა.

ხო ღორი იყო, მაგრამ ისე იყო გადასუქებული, რომ ხანდახან ჭამის თავიც არ ჰქონდა. მაინც ვერ ითმენდა, თავაუწევლად, მწოლიარე, ჩაყოფდა ჯამში ჩაპუტკუნებულ დინგს და თქვლეფდა. დიდებული კადრი იყო! ნიკო გარინდებული უმზერდა საქმით გართულ ღუტიას, რომელიც კანში ვეღარ ეტეოდა და მაინც კიდევ უფრო სუქდებოდა.

— კაი ღორი გვყავს საკალანდოთ, - კმაყოფილი იყო მელიტონი, პატარა ტანის, ულვაშაწკვერტილი კაცი, რომელმაც ისეთი ჩახვეული კრიმანჭული იცოდა, ჭერის გახვრეტას აღარაფერი უკლდა.

მელიტონი ღუტიას ღაბაბზე და მუცელზე უთათუნებდა ხელს:

— ასოც კილოს აფერი აღარ დააკლტება!

ნიკოს უხაროდა, ღუტია საყოველთაო სიყვარულით და ყურადღებით რომ სარგებლობდა ოჯახში. ერთი ამბით დასდევდა უკან, როცა საღორის მობინადრე გარეთ ინებებდა გამობრძანებას და ეზოში დარბაისლურად დასეირნობდა.

მართლაც კარგი საყურებელი იყო. ბომბორა ნაგაზიც კი მოწიწებით მიჰყვებოდა შორიახლოს, ღრენასაც ვერ უბედავდა. ღუტია ერთი-ორჯერ შემოივლიდა ეზოს, ყოველ კუთხე-კუნჭულს დახედავდა, ვალის მოსახდელად მცირეოდენს დინგით წაჩიჩქნიდა და ტაატით მიაკითხავდა თავის საბრძანებელს...

დეკემბრის ბოლოს სუსხიანი ამინდები დაიჭირა.

იმ დღესაც გვარიანად ყინავდა. ფანჯარა სიზმრად ნანახი ჩუქურთმებით მოიჭირხლა. ნიკო იწვა თბილ ლოგინში და ფიქრობდა ღუტიაზე, რომელსაც არ ჰქონდა საბანი და ცივ საღორეში ეძინა.

კედლის მიღმა საწოლი აჭრიალდა. როგორც ჩანს, ბაბუა ადგა.

— კალანდამდე ორი დღეი დარჩა, - გაიგონა ნიკომ, - ღორს უნდა მიხედვა.

ნიკოს გაუხარდა, რომ ბაბუაც ფიქრობდა ღუტიაზე. საწოლზე წამოჯდა და ჩაცმას შეუდგა...

საღორესთან სამნი მივიდნენ: მელიტონი, მისი ბიძაშვილი, ენაკვიმატი სინო და მამათში ღორის ვირტუოზული დაკვლით სახელდებული ხარიტონა, რომელსაც უზარმაზარი, ბანჯგვლიანი ტორები და გაუვალი ულვაში ჰქონდა, ზედა ტუჩს რომ უფარავდა და ლაპარაკის დროს კბილებზე ეხახუნებოდა. ნეტა როგორ ჭამს მაგ ულვაშის პატრონიო, გუნებაში ეცინებოდა ნიკოს, თან გაფაციცებით უთვალთვალებდა უფროსებს.

ნიკო ულვაშას სულ მეორედ ხედავდა, სამაგიეროდ, სინოს, ნათესავს და კარის მეზობელს, კარგად იცნობდა. ბევრ თავშესაქცევ ამბავს ყვებოდნენ სოფელში სინოს „მომსპარი“ ენის თაობაზე. ერთხელ, თურმე, კოლმეურნეობის ნათესებში სასუქი შეიტანეს. აზოტის ცარიელი თეთრი ტომრები გზა-გზა იყო მოფენილი. სასუქი მკაცრად იყო ლიმიტირებული. ჩამოიარა ახალგაზრდა ცხენოსანმა თავმჯდომარემ და სინოს უსაყვედურა:

— სინო ბიძია, აგი ტომრები რომ ვინმემ ნახოს „ზეიდან“, მორე დღეს მომხსნიან!

ეტყობა, სინოს მაინც და მაინც გულზე არ ეხატებოდა თავმჯდომარე და ხუმრობაში წიწაკა გაურია:

— შენ მოგხსნიდენ თვარა, ამ ტომრებს ნალიებზე გავაკრავ!..

ულვაშა დაიხარა, საღორეში შეიხედა. ნიკო ფეხებს შორის

გაუძვრა და შიგნით შევიდა.

ღუტია მშვიდად იწვა და ქშინავდა, ქსუტუნებდა, ზოგჯერ წაიხროტინებდა. არაფრის თავი არ ჰქონდა, თავიც რომ მოგეჭრა, ალბათ, არ გაინძრეოდა და ხმასაც არ გაიღებდა. ყოველ შემთხვევაში, ნიკო ასე ვარაუდობდა. მით უმეტეს, რომ წუხელ მიტანილი საჭმელი ხელუხლებლად იდო ჯამში. ნიკო ჩაცუცქდა და ღუტიას ლაჯებს შორის შეუსვა ხელი. მუცელი რბილი იყო და თბილი. არ სცივაო, გაუხარდა ბიჭს.

— გამოდენე გარეთ! - უთხრა ბაბუამ.

ნიკო ყურებში მოეჭიდა:

— ადექი, ღუტია, ნწ... ნწ!..

ღუტიამ ზანტად გააღო ერთი ბეწო ქუთუთოები და შავი, წვრილი ღილებივით თვალებით შეეხვეწა, თავი დამანებეო.

— არ დგება! - შეწუხდა ბიჭი. არც მან და ცხადია, არც ღუტიამ არ იცოდა რას უპირებდნენ კაცები, როგორ ახლო იყო მისი მიწიერი არსებობის ფინიში.

ულვაშამ ფეხი შეყო და ლაზათიანი წიხლი უთავაზა ღუტიას, მერე მეორეც მიაყოლა:

— ამდენი კარ მცალია მე, დღეს და ხვალე თორმეტი ღორი მყავს დასაკლავი. გამეეთრიე გარეთ, შე სამგლე!

ღუტია უკმაყოფილოდ აღრუტუნდა, მაგრამ იკადრა რის ვაივაგლახით წამოდგომა და გარეთ გამობრძანება.

ეზოში, ნაძვის ქვეშ, იდო ვარცლი და ცეცხლზე, სპილენძის გიგანტურ „კარდალაში“, თუხთუხებდა წყალი. ულვაშამ მკლავები დაიკაპიწა, ვარცლიდან სატევარი აიღო და ფხა გაუსინჯა.

მელიტონმა წინა ფეხებში წაავლო ხელები ღუტიას, ბიძაშვილმა - უკანაში და უცებ წამოაქციეს.

ნიკო ცეცხლს ეფიცხებოდა. საქმეში გართულ უფროსებს დაავიწყდათ ბავშვი, შეშინებული რომ ადევნებდა თვალს სატევარმოღერებულ ულვაშას და წამოგორებულ ღუტიას, რომელსაც ჭყვიტინის ენერგიაც კი აღარ ჰქონდა.

ხარიტონამ ცალ ფეხზე მუხლი დააბჯინა ღორს და ნახევარმეტრიანი სატევარი, ფეხიდან ერთი ხელისდადებაზე, თითქმის ბოლომდე ჩაუშვა.

ღუტიამ და ნიკომ ერთად იყვირეს. ბავშვმა თვალები დახუჭა და როცა ფრთხილად გაახილა, საკვირველი კადრი დაინახა: სამივე ჯალათი მიწაზე გორაობდა და ღუტია, მკერდში გარჭობილი სატევარით, მარნისკენ გარბოდა. გზადაგზა რჩებოდა წითელი ზოლი.

ასე მოგიხდებათო, გაუხარდა ნიკოს, როცა მიწაზე გაგორებული მკვლელები დაინახა.

მარანთან წამოეწივნენ დასუსტებულ ღორს და ისევ წამოაქციეს წყევლა-კრულვით. ვერ დაამაგრეს. ღუტია კვლავ გაუსხლტათ და ახლა ნაძვისკენ გაქანდა.

— რამ გაადელა აი მგლის არჩივი?! – აყვირდა მელიტონი.

— გულში მოვარტყი, მაი არ მეშლება მე! – თავს იმართლებდა გაოცებული ულვაშა, - ჯერემ არ მახსოვს ორჯერ მომექნიოს ხანჯალი. ეგება მარცხნით არ აქ გული მაგ უპატრონოს!

— დარტყი მორე მხარესაც! – მისძახოდა მელიტონი სირბილ-სირბილ.

აზარტით, მხიარული გაავებით, დასდევდნენ მსხვერპლს „ჰომო საპიენსები“.

სიკვდილმისჯილი, ამჯერად, წყავის ხესთან იდგა და ძლივსღა სუნთქავდა, დაბინდული თვალებით უმზერდა მდევრებს.

ღუტიას არ უნდოდა სიკვდილი.

რა იყო მისი ცხოვრება: საღორე, სამი ჯამი საჭმელი დღეში, ეზოში ერთი გასეირნება და ოცი საათი ძილი. სულ ეს იყო და ღუტიას მაინც ეძნელებოდა სიცოცხლესთან განშორება.

ყველამ იცოდა, რომ განაჩენის აღსრულებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, რადგან ღუტია კერძო საკუთრება იყო და ორ

დღეში საკალანდო სუფრა უნდა დაემშვენებინა.

ღუტიამ მარანთან განუტევა სული, თვითონ მოკვდა, მეორე დარტყმა აღარ დასჭირდა. როგორც ჩანს, მასაც, ყველა ღორივით, გული მარცხენა მხარეს ჰქონდა.

მკვდარი ღორი ძლივს მიათრიეს ვარცლთან. ნიკო მიუახლოვდა. ღორს ძველებურად ასდიოდა ოხშივარი, ოღონდ დინგიდან კი არა, გაფატრული მკერდიდან.

„ხვალ ბებია კუპატებს გააკეთებს“, გაიფიქრა პატარა ნიკომ.

„მართლა ასე გავიფიქრე?!“, გაუკვირდა დიდ ნიკოს. რანაირად?! ხომ ვმეგობრობდი, მასზე ვზრუნავდი. როგორ მოხდა ასეთი მეტამორფოზა?! მხოლოდ ერთი ახსნა არსებობს: ცოცხალი ღუტია მკვდარ ღორად გადაიქცა, რაიც სამწვადე, საკუპატე და სალორე მასას წარმოადგენს.

საერთოდაც, განა ადამიანთა უმეტესობა არ უყურებს ქათამს როგორც პოტენციურ ჩახოხბილს, „ტაბაკას“ და „ჩქმერულს“, ძროხას როგორც რძის ნაწარმის ქარხანას, თევზს როგორც დელიკატესს და ასე შემდეგ...

დიდი კონსტანტინე და კონიაკის სირჩა

ხშირად დაფიქრებულა მერვე ათეულში გადამდგარი ნიკო: რომელი ათეული იყო გამორჩეული განვლილი შვიდიდან. ხანგრძლივი ჭოჭმანის შემდეგ მაინც სამოციან წლებს მიადგებოდა სხვა და სხვა მოსაზრებით. რამდენიმეზე, ძირითადზე, მოგახსენებთ.

ჯერ-ერთი, ის ათეული ახალგაზრდობის, აქტიურობის და გონებრივი მომწიფების პერიოდი იყო. მეორე ის, რომ თავისუფლების სუსტმა, მაგრამ მაინც ნიავმა დაუბერა მრავალწლიანი სულიერი წნეხის შემდეგ. მესამე: ჯერ კიდევ დააბიჯებდნენ ქალაქის ქუჩებში რეპრესიაგამოვლილი და მსოფლიო ომგადახდილი ადამიანები.

მეოთხე და ალბათ, ყველაზე საამოდ მოსაგონარი: რუსთაველზე ხშირად შეხვდებოდი ცოცხალ კლასიკოსებს: ჩოხოსან კონსტანტინე გამსახურდიას, ზურგზე ხელებდაწყობილ დემნა შენგელაიას, ზონზრონა გოგლა ლეონიძეს, კაფანდარა დიმიტრი არაყიშვილს. პროსპექტს ჯერ კიდევ ეტყობოდა „აგერ ახლა“ ჩავლილი გალაკტიონის, შალვა დადიანისა და გერონტი ქიქოძის ნაკვალევი. შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში იყვნენ სესილია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, სანდრო ჟორჟოლიანი...

ყოველ შესვენებაზე ნიკო რუსთაველზე ჩადიოდა და სადმე, მახლობელ კაფეში, წაიხემსებდა, უმეტესად, კოლეგებთან ერთად.

იმ დღესაც კაფე „თბილისში“ გადავიდნენ „ბეფ-სტროგანოვის“ და თითო სირჩა „ვარციხის“ დასაგემოვნებლად ჟურნალისტები: ნიკო, რეზო გამცემლიძე, გოდერძი უშვერიძე და შალვა ადომლიშვილი.

ის-ის იყო კონიაკის ბოთლი გახსნეს და სირჩები შეავსეს, რომ სადღეგრძელოს სათქმელად გამზადებულებს ყბა გაუ-შეშდათ და თვალები გაუშტერდათ: კაფეს კარის ზღურბლზე ჩოხოსანი კონსტანტინე გამსახურდია დალანდეს მეუღლესთან ხელკავგამოდებული.

წამოიშალნენ. წყვილი დინჯად მიუახლოვდა ჟურნა-ლისტების მაგიდას.

— გამარჯობათ, ახალგაზრდებო! - გაიღიმა ამგვარი რეაქციით აშკარად ნასიამოვნებმა მწერალმა, - დაბრძანდით!

— თქვენც ხომ არ... - ამოილუღლუღა რეზომ.

— დიდად გმადლობთ! იქით გველოდებიან, - თან მეუღლეს შეხედა.

ქალბატონმა მირანდამ ღიმილით დაუდასტურა.

— მაშინ იქნებ...- გაუთამამდა შალვა და სავსე სირჩა გაუწოდა.

ბატონმა კონსტანტინემ სირჩა გამოართვა და ვიდრე რამეს

იტყოდა, ნიკომ დრო იხელთა და ენა ამოიდგა:

— ბატონო კონსტანტინე, წავიკითხეთ თქვენი წერილი „ლიტერატურულში“, - გულისხმობდა იმ დილის პუბლიკაციას, გერმანისტ ოთარ ჯინორიას საპასუხოს.

— ხომ მოვსცხე მაგრად! - გულიანად გაიცინა ბატონმა კონსტანტინემ, თითქოს ცელქობისათვის ბავშვის დასჯაზე იყო საუბარი. მერე რამდენიმე ვალის მოსახდელი ფრაზა წარმოსთქვა, სირჩა ოდნავ მოსვა, მაგიდაზე დადგა და ახალგაზრდებს დაემშვიდობა.

ოთხივენი ისევ ფეხზე იდგნენ და მონუსხულებივით მისჩერებოდნენ სირჩას, რომლიდანაც ცოცხალმა კლასიკოსმა მოსვა. ყოველ მათგანს ხომ მწერლური ჭია ულიტინებდა გულში და რაღა თქმა უნდა, თავშიც ერთი და იგივე აზრი უტრიალებდა: გამოეცალა დიდი მწერლის მიერ დაწყებული სასმისი.

პირველმა რეზომ წაიღო ხელი სირჩისკენ, მაგრამ გზაშივე გაუშეშდა, ისეთი მძაფრი „ჰაა!“ აღმოხდა სამთავეს.

კაიხნის სიცილ-ხითხითის შემდეგ შალვამ კომპრომისული ვარიანტი მოიფიქრა:

— იცით რა, ბიჭებო, გულდაწყვეტილი რომ არავინ დარჩეს, ცოტ-ცოტა ყველამ მოვსვათ.

ის ციცქნა სირჩა ოთხივემ გამოიზოგა.

ნიკოს ხშირად ახსენდება ეს ეპიზოდი და ფიქრი აედევნება: არა მგონია, დღესო, ოცდამეერთეშიო, ახალგაზრდებმა რომელიმე გამოჩენილი მწერლის, ლიტერატორის ან მეცნიერის მიმართ მსგავსი მოწიწება გამოამჟღავნონო. კინოს, ესტრადის და სპორტის ვარსკვლავების მიმართ - კი, ბატონო!

სხვათა შორის, მოწიწებას ვინ ჩივის, მე უფრო დასაფიქრებელი რამ შევამჩნიე ახლგაზრდა ჟურნალისტებს - ნიჰილიზმი! რაც უფრო დასაფიქრებელია, ეს ნიჰილიზმი არა ყოვლისმცოდნეობით, არამედ უცოდინარობით და ობსკურანტიზმითაა საფუძველდებული. ცხადია ეს ბრალდება ყოველ მათგანს არ ეხება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე არ იყოს!

„ვიდაიუშჩიისა“

ახლა მცირე ხნით ნიკოს ცხოვრების ქრონიკას მოვეშვები და საკუთარი პრაქტიკიდან მოგიყვებით ერთ, ჩემი აზრით, საინტერესო ეპიზოდს. მეც, ერთხანობა, ნიკოსთან ერთად ვმსახურობდი ტელევიზიაში, დამეგობრებამდე აღარაფერი გვიკლდა და მისი ხათრიანობის ამბავი რომ ვიცი, ამგვარ გადახვევას გვაპატიებს. სხვათა შორის, ტელევიზიას არც ერთი არ შევრჩით დიდხანს, ორთავენი მეცნიერების გზას დავადექით, ნიკო - ფილოლოგიის, მე - ფილოსოფიის.

ერთი სიტყვით, დადგა ათასცხრაასსამოცდაათი, საბჭოთა იდეოლოგიის ფუძემდებლის, მსოფლიო პროლეტარიატის მამისა და მასწავლებლის, ლენინის, დაბადების ასი წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის წელიწადი. კარზე იყო მომდგარი საქართველოს გასაბჭოების ნახევარსაუკუნოვანი იუბილეც.

ტელევიზიაში, სხვა ღონისძიებების პარალელურად, გადაწყდა დოკუმენტური ფილმის გადაღება სათაურით: „ზურაბაშვილების ოჯახი“. სცენარის დაწერა მე დამევალა.

უპირველესად, რა თქმა უნდა, საჭირო იყო საუბარი ქართული ფსიქიატრიის პატრიარქთან, აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილთან.

ჰოდა, მივადექი კიდეც ცნობილ კლინიკას ასათიანის ქუჩაზე. რა დაგიმალოთ და მოუთმენლად ველოდი ამ სკანდალურად პოპულარულ პიროვნებასთან შეხვედრას. რამდენი მსმენია მისი, რბილად რომ ვთქვათ, „უცნაურობების“ თაობაზე.

არ გაგიკვირდეთ და ეს ჩემი პირველი ვიზიტი გახლდათ ამ სახელგანთქმულ დაწესებულებაში. შენობაში ფეხი შევდგი და პირველივე შემხვედრი თეთრხალათიანი გავაჩერე.

— რა გნებავთ? - გულღიად გამიღიმა შავთმიანმა ახალგაზრდამ.

— აკადემიკოს ზურაბაშვილთან შეხვედრა მინდა! - მეც ტკბილად გავუღიმე.

— ალბათ, პირად საქმეზე, არა?

— დიახ. სხვათა შორის გაფრთხილებულია და მელოდება.

— რა თქმა უნდა! თქვენი მობრძანების თაობაზე ყველანი გაფრთხილებულები ვართ, ჩემო კარგო!

— მართლა?! რას მეუბნებით!

— აბა, როგორ... ასეთი სტუმარი გვეწვია!.. მეორე სართულზე აბრძანდებით, დერეფანს გაუყვებით და მარცხნივ, მეოთხე კარში, იკითხავთ.

— დიდად გმადლობთ! - გავუცინე და მეორე სართულზე ამავალი კიბისკენ გავეშურე. მანამ ავათავებდი, მოვიხედე. თეთრხალათიანი ღიმილით მიმზერდა. მე ხელი დავუქნიე, თვითონაც ხალისით დამიქნია.

აკადემიკოსის ციცქნა მისაღებში სიმპათიური გოგონა საბეჭდ მანქანაზე აკაკუნებდა. მივესალმე.

— რა გნებავთ? - მეგობრული ინტონაციით მკითხა და კაკუნი შეწყვიტა.

— ტელევიზიიდან გახლავართ. ბატონი ავლიპი გაფრთხილებულია და მელოდება.

გოგონა წამოდგა და შავი დერმატინით შესუდრულ კარს მიღმა გაუჩინარდა. მალევე გამოვიდა და კარი ღია დატოვა.

— ამას ვისა ვხედამ?! ლერი, არა? ჩანტლაძე! - იყვირა კარის ზღურბლზე აღმოცენებულმა აკადემიკოსმა, - ტელევიზიიდან!

— გახლავართ, ბატონო ავლიპ, - დავიმორცხვე.

— გელოდები!.. მოდი, შვილო, მანდ დაბრძანდი!

აკადემიკოსის კაბინეტი მისაღებზე ოდნავ დიდი იყო. მე ბატონი ავლიპის სამუშაო მაგიდის ძგიდესთან მოვკალათდი, ბლოკნოტი და „პასტა“ გავამზადე.

— მაშ ფილმი უნდა გადაიღოთ? „ზურაბაშვილების ოჯახი“! როგორი სათაურია? სანაქებო ამბავია! მართლაც-და, სადა ჰნახამთ ეგეთ რამესა: სამი პროფესორი ერთ ოჯახში. ზურაბი – პროფესორი, ზიგურდი – პროფესორი, მე ხო ვარ და

ვარ! სპეციალობაც ერთნაირი! ვინ მოიფიქრა? ლია მატარაძემ? აფერუმ, ქალო, აფერუმ! დიაღაც უნიკალური ამბავია, არა? ჩემო ლერი, ჩემო ჩანტლაძე! ჰო, მართლა, რამდენი წლისა ხარ?

— ოცდაცამეტის.

— ყოჩაღ! – გაუხარდა, ალბათ, ქრისტეს ასაკთან დამაკავშირა, ან მაკედონელთან, - თენგიზი რა არის შენი?

— ნათაძე? – გავიხუმრე.

— ნათაძე რათა, კაცო, ჩანტლაძეზე გეკითხები.

— არაფერი.

— არც მოგვარე არ არი? – ისეთი ინტონაციით მკითხა აკადემიკოსმა, რომ სიცილი ვერ შევიმაგრე. მანაც გულიანად გაიცინა.

— გეგონა იუმორში ჩამჭრიდი? ვერ მოგართვეს!.. ერთი ეს მიბრძანე, რასა ჰსაქმიანობ?

როგორც მივხვდი, ბატონ ავლიპს ჟურნალისტიკა არ მიაჩნდა მაინც და მაინც სერიოზულ საქმიანობად.

— ასპირანტურა დავამთავრე, ბატონო ავლიპ, ახლა დისერტაციაზე ვმუშაობ.

— ყოჩაღ, ბიჭო! – აღფრთოვანდა ჩემი მასპინძელი, - რა თემაზედა წერ?

— ფილოსოფიაში.

— რა თემაზედა-მეთქი?

— ეგზისტენციალიზმში.

— ოჰო, გამაკვირვე! მაინც, ვისზედა: ჰაიდეგერზე, სარტრზე, კამიუზე, იასპერსზე...

— ბერდიაევზე.

— ვაი ჩემს თავსა! – შეშფოთდა ბატონი ავლიპი, - არ გეშინია?! ეგ ხო რუსი ემიგრანტია, ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტი, ანტიბოლშევიკი... რა ვიცი, ყველა ანტი ეგ არი!

— უნდა გავაკრიტიკო!

— აფერუმ შენს ვაჟკაცობასა! – ბატონი ავლიპი წამოდგა, მაგიდას შემოუარა და მხურვალედ ჩამომართვა ხელი. მერე თავის ადგილას დაბრუნდა და მკითხა:

— იცი, შენა, რო მაგასა, ლაპარაკის დროსა, ენა უვარდებოდა გარეთა? – აკადემიკოსმა გულიანად გადიხარხარა და უცებ დასერიოზულდა, - დიდია, დიდი! მე ეგზისტენციალიზმი ძალიან მიყვარს, როდისმე დავსხდეთ და ვიკამათოთ... ერთი ეს მითხარ, ჩემი წიგნები წაკითხული გაქვს? ნაწილობრივ? რათა ნაწილობრივ? ყველა არა გაქვს? მერე?! მე აქ არა ვარ?! გეთქვა და მოგცემდი, შე კაი კაცო! ეჰჰ! კარგი, რაც არი, არი!.. ეხლა ეს მითხარ, „ლიტგაზეთი“ წაიკითხე?

— დღევანდელი, ბატონო ავლიპ, აბა, რანაირად, ჯერ თერთმეტი საათია.

— ეჰჰ!.. მანანა! – იყვირა აკადემიკოსმა, - მანანა!

ასჯერაც რომ ეყვირა, ვერ გააგონებდა: დერმატინი საიმედოდ აკავებდა ხმას. ბატონმა ავლიპმა ხელი ჩაიქნია, წამოდგა, კართან მივიდა და გამოაღო:

— მანანა, არ გესმის, კაცო, რო გეძახი?

— არა, ბატონო ავლიპ. – გოგონა ფეხზე წამოდგა.

— დღევანდელი „ლიტგაზეთი“ მაიტა!..

ზურაბაშვილმა კარი მიხურა, სავარძელში მოიკალათა და გაზეთი გაშალა. მე მორიდებით შევახსენე, რომ არებობს ტექნიკის ისეთი მიღწევა, როგორიცაა მისაღებში გაყვანილი ელექტროზარი.

— ეე, ეგ რა ახალი ამბავი მითხარ!.. ხანდახან ხო უნდა ავდგე, ჩემო ლერი, ჩემო ჩანტლაძე, მუხლები ხო უნდა გავმართო, - გაიცინა აკადემიკოსმა, - შენ იცი, რო დღე-ღამეშია ჩვიდმეტ საათსა ვმუშაობ? ჩემი მუშაობა კი რა არი? ჯდომა! მააშ!.. იმ დარჩენილი შვიდი საათიდანა კიდე ხუთი-ექვსი საათი ვწერავ!

— ძილს გადაეჩვიეთ, ბატონო ავლიპ?!

— ძაან გავუტიე, არა? კვირაობითა მძინავ. ისე, კაცმა რო

თქვას, გადავჩვეულვარ და ეგ არი... ჰო, აი, ეს წაიკითხე!

გაზეთი გამოვართვი და მითითებული სტატიის კითხვას შევუდექი.

— ხმამაღლა წაიკითხე! – შემომიტია ბატონმა ავლიპმა.

დავიწყე ხმამაღლა კითხვა. გაზეთი იუწყებოდა, რომ იტალიაში გამოვიდა ახალი სამეცნიერო ჟურნალი „ტოტუს ჰომო“, რომლის რედკოლეგიაში, მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებთან ერთად, ავლიპ ზურაბაშვილიც გახლდათ. ჟურნალის მორიგ ნომერში დასტამბულია მისი ვრცელი გამოკვლევა ფსიქოსინთეზის სფეროში. აქ ბატონი ავლიპი ჩამერთო:

— შენა ფსიქოანალიზი გაგიგონია?

— ბატონო ავლიპ!

— აა! ბოდიშს მოგიხდი, შე ხო ეგზისტენციალისტი ხარ, ფილოსოფოსი... ხო არ გეწყინა? მაშ, გეცოდინება, რო ფსიქოანალიზის კერძო თეორია ზიგმუნდ ფროიდს ეკუთვნის. რასაც მე ფსიქოსინთეზს ვეძახი, იგივე ფსიქოანალიზია, მაგრამა ეგ ტერმინი რო მეხმარა, ფროიდისტობას დამაბრალებდნენ და დამიჭერდნენ. ხო გაიგე? ეხლა გააგრძელე!

განვაგრძე. ჩემ მიერ წაკითხულ ყოველ ფრაზას თან ახლდა აკადემიკოსის აქტიური კომენტარი:

— სწორეა!... ეგრეა!.. მართალია!... ჭეშმარიტებაა!.. აი, ეგ კი ტყუილია!... სიტყვა-სიტყვით ვუკარნახე მაგ დალოცვილ კორესპონდენტსა და მაინც მიუქარამს! ეჰჰ! რაც არი, არი! არა, ხო მაგარია? გეცოდინება, “ტოტუს ჰომო“ რასა ნიშნამს, მთლიანი ადამიანი, სინთეზური, რა!.. როგორია? შენ ჯერ კიდევ არ მიცნობ, ჩემო ლერი, ჩემო ჩანტლაძე!.. ერთი ეს მითხარ, მუსხელიშვილი დიდია? ნუ მიპასუხებ, მე გეტყვი: დიდია, დიდი! მაგრამა რა იცის? მხოლოდ მათემატიკა! ბერიტაშვილი დიდია? არ მიპასუხო, თავად მოგახსენებ: დიახაც დიდია! მაგრამა მარტო ფიზიოლოგია აინტერესებს. ამ ჩემს ოხერ თავშია კი ყველაფერია: ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, ლიტერატურა,

ფილოსოფია... ეგრეა და!.. არა, ეგრე არ არი?

ამ დროს კარი გაიღო და კაბინეტში სერგი წულაძე, „ვეფხიტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელი, ცნობილი ფსიქიატრი და ქუჯი ძიძიშვილი, ავლიპის მოადგილე და პოეტი, შემოვიდნენ წუთიერ საქმეზე.

— გაიცანით, - წარმადგინა ბატონმა ავლიპმა, - პირველი ქართველი ეგზისტენციალისტი...

ფსიქიატრებმა შემომხედეს და ფრთხილად გაიცინეს...

— იმ ჩვენს ფილმსა ხო ტექსტი უნდა გაუკეთო, თანაც რუსულადა? – მკითხა ზურაბაშვილმა, როცა კვლავ მარტონი დავრჩით, - მე შინაარსს გიკარნახებ, რაც დიქტორმა უნდა თქვას, გაფორმებითა კი როგორაც გინდა, ეგრე გააფორმე. აი, ქაღალდი, ესეც კალმიტარი! ვიცი, რო გაქვს, მაგრამა ამითი და ამაზედა წერე! მზადა ხარ?

ბატონი ავლიპი სავარძელში გადაწვა, ხელი კეფაზე შემოიდო და დაიწყო:

— ვიდაუშჩიისა უჩიონი, აკადემიკ ავლიპიი ზურაბაშვილი...

მოულოდნელობისაგან კალმიანი ხელი გამიშეშდა და ჩემდაუნებურად მოკარნახეს შევაშტერდი.

— გაგიკვირდა, შეგატყე, საკუთარ თავზე რო მაგას ვამბობ, მაგრამა ეგრეა და! როგორა ჰფიქრობ, არა ვარ „ვიდაიუშჩიისა“, ესე იგი, გამოჩენილი?

— უსათუოდ. – საჩქაროდ დავყაბულდი.

— ჰოდა, ვაგრძელებ: იავლიაეტსა უჩენიკომ ი პრადალჟატელემ დელა ველიკოგო რუსკოგო მისლიტელია, აკადემიკა ბეხტერევა..... დაწერე?

— ეგ კი დავწერე, მაგრამ რა აუცილებელია ბეხტერევის მოწაფედ თავის გამოცხადება, თქვენ ხომ თქვენი სკოლა, თქვენი კონცეფცია გაქვთ...

— ჰა?.. – შეფიქრიანდა ბატონი ავლიპი და უცებ მოჭრა:

— ამაიღე!..

კარგა ხანს მკარნახობდა. არ დამავიწყდება მისი დამაგვირგვინებელი „აფორიზმი“: ნადო ბიც, პრეჟდე ვსეგო, ჩელოვეკომ, ა პოტომ უჩიონიმ სპეციალისტომ! ჩემია!..

სცენარი დაიწერა, მაგრამ მოსკოვმა უარი შემოთვალა: მანდაურები (ქართველები და საერთოდ, კავკასიელები) ისედაც შერეკილებად მიაჩნიხართ (ვის?!) და გიჟების სამი პროფესორი ერთ ოჯახში ნამეტანიაო!

„სანდუნოვი“

ახლა ისევ ნიკოს ცხოვრების ქრონიკას მოვუბრუნდეთ და მისი ცნობიერების ფარულ იმპულსებს მივადევნოთ თვალი. თუ ასე მოვიქცევით, აღმოვჩნდებით, გარკვეული ნახევრადკრიმინალური ინციდენტის შემდეგ, მოსკოვში, „სანდუნოვის“ განთქმულ აბანოში. ნიკო კვირა დილისთვის მოელაპარაკა სერგო კუპრეიშვილს, აგრეთვე ასპირანტს, რომელიც ადრე მივიდოდა, ბილეთებს აიღებდა და შიგნით დაელოდებოდა.

ნიკო ჯერ არ იყო ნამყოფი “სანდუნოვში“ და ერთბაშად ვერ მიაგნო. კაი ხანს იბოდიალა და ბოლოს ცნობათა ბიუროს ჯიხურს მიადგა. გამვლელების გამოკითხვას მოერიდა, ისედაც ველურებად მივაჩნივართო.

ჯიხურის ბინადარმა ქალბატონმა წინ ქვითარი დაუდო:

— შეავსეთ, ჩაწერეთ, რას ეძებთ... ახლა ორი კაპიკი გადამიხადეთ... ახლა უკან მიიხედეთ!

ნიკომ მიიხედა და სიცილი აუტყდა ორი მიზეზის გამო: ერთი, რომ მიზანთან მისული ყოფილა - უბრალოდ, აბრა ვერ შეამჩნია და მეორე - სანამ ორი კაპიკი არ გამოსტყუეს, აბრაზე არ მიუთითეს.

ასე, რომ გვარიანად შეაგვიანდა და ძმაკაცი, პირობისამებრ, შიგნით იქნებოდა. როცა ვესტიბიულში შეაბიჯა, დაინახა კარგა მოზრდილი რიგი აბანოს მიხურულ კართან. ნიკო მიუახლოვდა

უშუალოდ კართან ატუზულ მომლოდინეებს და სიტუაცია აუხსნა: ისაო, მეგობრებოო, ამხანაგი შესულიაო და ბილეთით ხელში მელოდებაო. თუ არ გჯერათო, კარი გამოაღეთ და შევძახებო. ნახეთ, თუ არ გამომეპასუხებაო. ერთმა ატუზულმა მუტრუკმა ზურგი შეაქცია და ისე ამოშაქრა:

— აქ შენი ამხანაგი არავინაა, შეგიძლია ქალაქგარეთ ეძებო!

— კართან მიმიშვით, უნდა შევძახო!

— კურსკის ვაგზალში მიბრძანდი და ტიფლისამდე აიღე ბილეთი. ჩახვალ და მტკვარში იბანავებ! - ისევ ზურგშექცეულმა დაარიგა.

— მიმიშვით-მეთქი! - ნიკომ კარის სახელურს წაავლო ხელი.

მუტრუკმა ხელი გააშვებინა და ტლანქად მიაწვა გულისფიცარზე. აქ კი თანშობილმა რეფლექსმა გონების დაუკითხავად იმუშავა და მუტრუკმა ყბა-სახის არეში ლაზათიანი დარტყმა იგემა. სანამ დაზარალებული სიტუაციაში გაერკვეოდა, რამდენიმე შეგნებული მოქალაქე შუაში ჩადგა, სადალაქოდან ქალები გამოცვივდნენ და ნიკო ციმციმ შეაპარეს სალონში, სკამზე დასვეს და გააფრთხილეს:

— იჯექი გაუნძრევლად, სანამ სიტუაცია ჩაწყნარდება, ძალიან საშიში ხალხია. აქ ვერ შემოვლენ.

რა გზა იყო, იჯდა ნიკო და თავისთვის ვერ ეპატიებინა ეს უაზრო აყალ-მაყალი, თანაც სად, უცხო ქალაქში. ისე, მსგავსი შემთხვევებისთვის ერთი, მისი აზრით, მოქნილი და სამართლიანი ფრაზა ჰქონდა მომარჯვებული:

— მოსკოვი საბჭოთა კავშირის დედაქალაქია, ვისაც ჩვენი აქ ყოფნა არ მოსწონს, შეუძლია მიბრძანდეს სვერდლოვსკში, ყოფილ ეკატერინბურგში.

თუ ვინმე დაინტერესდებოდა, რატომ მაინც და მაინც სვერდლოვსკში, პასუხი მზად იყო:

— სვერდლოვსკი რუსეთის ფედერაციის დედაქალაქია!..

ცოტა ხანში აბანოს ვესტიბიულში სიმშვიდემ დაისადგურა. მუტრუკი და მისი მიმყოლები საბანაოდ შევიდნენ. ეტყობა, იქ მყოფებს ინფორმაცია მიაწოდეს, ვინაიდან მალე ზეწარში გახვეული სერგო გამოვიდა და ნიკო შეიყვანა.

ვესტიბიულის ინციდენტს შიგნით არალოგიკური შედეგი მოჰყვა: ჩხუბისთავი კუპეში მოიწვიეს ცივ-ციველა ლუდის და დოზირებული არაყის თანხლებით საქმის გასარჩევად. აღმოჩნდა, რომ მუტრუკი არც ისეთი მუტრუკი ყოფილა. წინადღით ვიღაც შავტუხას (კავკასიელს ან შეიძლება სულაც არაბს ან მულატს) მისი ბანოვანი გადაუბირებია და სამტროდ იყო მომართული.

ერთი სიტყვით, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ორთავე ტყეუოდა ან ორთავე მართალი იყო. ნიკოს, ამ ტრადიციულად ხათრიან კაცს, გული აუჩუყდა და ვოვას (ასე ერქვა მუტრუკს) შეევედრა:

— ვოვაჩკა, ხომ ხვდები, რომ ხელი მაშინალურად, იმპულსურად, გავიქნიე. ორი წამი პაუზა რომ შემდგარიყო, მაგას როგორ ვიზამდი!

— მესმის, ნიკალაი, ნუ განიცდი, გევედრები, ღირსიც ვიყავი!

— არავითარ შემთხვევაში, - გამწარდა ნიკო, მით უმეტეს, რომ უკვე გადახუხული ჰქონდა მესამე სირჩა არაყი, - არავითარ შემთხვევაში! შენ, ვოვაჩკა, იცი, ახლა რას მოიმოქმედებ?

— რას, ნიკალაი? – დაინტერესდა ვოვაჩკა.

— ჯერ ეს მითხარი, ცაცია ხომ არა ხარ?

— ცაცია?! სულაც არა. მოიცა, ეგ რა შუაშია?!

— რაკი ცაცია არა ხარ, მარჯვენა გამოაქანე და აგერ, მარცხენა ყბაში მლეწე! შენც მოისვენებ და მეც.

— მაშ გლეწო?

— აუცილებლად, გევედრები!

— მარცხენა ყბაში?

— სწორედაც მარცხენაში.

— მაშინ თვალები დახუჭე!

— აჰა!

ვოვაჩკამ სირჩა დაცალა, დადგა და უმძაფრესი, ხმაურიანი კოცნა დააწეპა მარცხენა ლოყაზე:

— ესეც შენ! ხო გლეწე! ბარიბარში ვართ!.. ახლა წავედი, ბიჭები საორთქლეში მელოდებიან... ჩემ ვიზიტკას მოგართმევ...

ნიკო და სერგო ერთხანს ადამიანის გამოცნობის სირთულეზე და საერთოდ, გაუცხოების ვითარებაზე საუბრობდნენ. რეფლექსები რომ შეაკავო და გონება ნიადაგ ჩართული გქონდეს, ალბათ, აღარ იქნება ჩხუბი და აყალ-მაყალი, ლოკალური, სამოქალაქო და მსოფლიო ომები, არ იგიზგიზებდა ინკვიზიციის კოცონები, არ იქნებოდა ბართლომეს ღამე, მოიხსნებოდა სიკვდილით დასჯის საჭიროება და ასე შემდეგ, რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს...

— გალაკტიონი ამბობს ერთ ლექსში, სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, მაგრამ აზრი ასეთია: ყოველ ადამიანში არის რაღაც ძვირფასი და ღირებული, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება...

ნიკო კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა. კუპეში შემოაბიჯა გაცოცხლებულმა ანტიკურმა ქანდაკებამ, ღია წაბლისფერთმიანმა, ცისფერთვალებამ. მის ჩამოქნილ სხეულზე ყოველი კუნთის დათვლა შეიძლებოდა. შემოვიდა და ტახტზე მიესვენა.

— ეტყობა, წონას იკლებს. ნახე, ძლივს სუნთქავს.

— რა სახეობაში იქნება? ნიჩბოსანსა ჰგავს.

— იცი რა, სერგო, შეიძლება სულაც არმრესტლინგში ასპარეზობს, მკლავჭიდში, რა. მთავარი ის არის, რომ ბოლო-ბოლო, როცა სპორტს თავს დაანებებს, არაყს და „ბელამორს“ მიეძალება, დაიჭმუჭნება, დახეიბრდება და სამოცამდეც ვერ მიაღწევს. არ იცი რუსების ამბავი!

— ერთი ვკითხოთ, რა სახეობაშია. სლუში, კაკიმ ვიდომ

ზანიმაეშსა?

„ქანდაკებამ“ ზანტად შემოხედა მოსაუბრეებს და ძლივს ამოღერღა:

— ქართულათა მკითხეთ რა, თქვე კაი ხალხო!

რაო?! ქართულათა მკითხეთოო?! ნიკომ და სერგომ ისეთი ჟივილ-ხივილი ატეხეს, მობანავეები საორთქლედან გამოცვივდნენ.

— ბიჭო, მაგას გვიმალავდი?

— მკითხეთ რო? მე კიდე რო გისმენდით, სუ ვნერვიულობდი, ნიჩბოსანიაო, მკლავჭიდელიაო...

— აბა?

— ძიუდოისტი ვაარ.

— საიდანა ხარ?

— გორის რაიონიდანა. სოფელი ლო გაგიგონიათ?

— ნაღდად არა. შენნაირები კიდევ არიან?

— აბა, მა რა! უფრო მაგრებიცა!

— ახლა გვარ-სახელიც გვაჩუქე.

— შოთა მქვიან, გვარად ჩოჩიშვილი ვაარ.

— წონას იკლებ?

— მაშ, კაცო. ხუთი კილოღა დამრჩა, ოთხმოცდათხუთმეტში ვჭიდაობ.

— სად აპირებ?

— ევროპაზე მივდივარ.

— რა შანსები გაქვს?

— უნდა მოვიგო, რა. მა ტყუილა ხო არ წავალ?

— რაო, ვითომ ვერცხლი და ბრინჯაო გაწყენს?

— ჰო, ეგაც ურიგო არ არი, მაგრამ ოქრო სჯობიან.

— ცხადია! - გაიცინეს ნიკომ და სერგომ, - მაშ, თქვენკენ ბლომად არიან მაგრები?

— ჩვენთან, გორში, ხო ცნობილი სკოლაა ძიუდოსი. ევროპის და მსოფლიო ჩემპიონებიცა გვყავს. ეგ არი ჯერ ოლიმპიური ვერ გავხდით...

იმ წელიწადს შოთა ჩოჩიშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა, მომდევნოს - ოლიმპიური, პირველად მთელ საბჭოთა კავშირში. რა თქმა უნდა, ძიუდოს ვგულისხმობ.

„რაისთვინ“ ვცოცხლობთ?

თუ ძილი, ასე თუ ისე, სამყოფი ჰქონდა, ნიკო კორპუსთან მიმდებარე მდინარე ვერეს ხეობაში ჩადიოდა, რამდენიმე სავალდებულო, ნახევარკილომეტრიან, წრეს დაარტყამდა ადრევე მონიშნული მარშრუტით, ცოტას წაივარჯიშებდა ნამუსის მოსაწმენდად და აშკარად მომრავლებული პენსიონერების მასლაათში ჩაებმებოდა, თუკი თემა პოლიტიკური არ იყო. პოლიტიკური შეფერილობის სჯა-ბაასისთვის თავის არიდებას, ცხადია, საფუძველი ჰქონდა. საქმე ის გახლავთ, რომ ერთი-ორი ხანდაზმულის გარდა, ყველანი შეურიგებელი ოპოზიციონერები იყვნენ, იმდენად გამწარებულნი, რომ თეთრიც შავად ეჩვენებოდათ. ზოგს ვითომ „ნეიტრალური“ ეჭირა, მაგრამ ინტონაციაზე ეტყობოდა, რომ გულის სიღრმეში ოპოზიციას ეთანხმებოდა. ისეთებიც იყვნენ, თუმცა ძლიერ მცირენი, რომლებიც იმის შიშით, უზნეობა და სირეგვნე არ დამბრალდესო, ყველაფერზე თავს უქნევდნენ ხელისუფლების „მიწაში ჩამდებთ“.

ბოღმა ისეთი რამეაო, დარწმუნდა ნიკო, უცნაურ რამეებს გათქმევინებს და გაგაკეთებინებს კიდეცო. როცა ხევში სარბენად ჩამოსული ცნობილი ოპოზიციონერი, გიგა ბელთაძე, დაინახა, გაუხარდა, გადაკოცნა და მოიკითხა. ამ სცენას რომ თვალი მოჰკრა, აგრეთვე უცნობილესი, ხელისუფლებასთან გააფთრებული მებრძოლის ძმამ (გვარს არ დავასახელებ) ნიკოს გაუმტყუნა:

— რამდენადაც ვიცი, მთავრობის მომხრე ხარ და რა უფლებით გადაკოცნე გიგა ბელთაძე!

— იცით რა, ბატონო ჩემო, ეგ ყმაწვილი ჩემი სტუდენტი

იყო და სხვათა შორის, მამამისიც უსაყვარლესი მეგობარია. კიდევ ის, რომ პატიმრობიდან ამ დღეებში გაათავისუფლეს და ორი წლის უნახავი მყავდა. ამ შემთხვევაში მისი პოლიტიკური მრწამსი სულაც არ მაინტერესებს.

— ეგ მაინც არ გათავისუფლებს ზნეობრივი პასუხიმგებ-ლობისაგან! - გააფრთხილა ხელისუფლებასთან გააფთრებული მებრძოლის ძმამ.

— ხუმრობთ, ალბათ! - გაიცინა ნიკომ, თუმცა კარგად ატყობდა, რომ მავანს სულაც არ ეხუმრებოდა, ვინაიდან არაფერი უპასუხა, ძაღლს მოუხმო და ზურგი შეაქცია, ოღონდ ძაღლს კი არა, ნიკოს.

— რაზე ლაპარაკობდით? - იკითხა მოახლოებულმა ტარას ჟღენტმა, საკმაოდ ცნობილმა რეჟისორმა და მსახიობმა, რომელსაც ყველაფერი აინტერესებდა, ამქვეყნიურიც და იმქვეყნიურიც. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ნიკომ მოკლედ აუწყა საუბრის შინაარსი. ტარასმა გაიცინა და ეგეთები ხდებაო, რა გასაკვირიაო, ქვეყანა აირიაო... შენ ეს მითხარი, ჩემი ფილმი თუ ნახე ტელევიზორში, წუხელ აჩვენესო.

— არ მინახავს. რატომ არ გამაფრთხილე?

ნიკო რატომღაც ხუმრობის ხასიათზე დადგა და გადაწყვიტა ტარასისთვის ტესტი ჩაეტარებინა:

— ტარას, როგორ ფიქრობ, კიდევ რამდენ წელიწადს აპირებ სიცოცხლეს?

— რაო?! ეგ ხომ ჩემ სურვილზე არ არის?!

— გასაგებია, მაგრამ რაღაც ვარაუდი ხომ არსებობს?

— ვარაუდით... ახლა სამოცდახუთისა ვარ... ასე ათი-თხუთმეტი წელიწადი...

— ესე იგი, ოთხმოც წლამდე.

— ასე გამოდის.

— არ გინდა, ახლა რომ ასოცი წლის იყო და რაც მთავარია,

ნორმალურად აზროვნებდე და მოძრაობდე?

— რაა?! რად უნდა მინდოდეს?! მოიცა, მაღადავებ?

— სულაც არა. ტარას, კარგად დაფიქრდი, ღმერთი თუ ბუნება ადამიანს ერთხელ აძლევს სიცოცხლეს გარკვეული ხანგრძლიობით. ხომ შეიძლებოდა შენ გასულ საუკუნეში დაბადებულიყავი და გეცოცხლა ასოცი წელი, ამ და მომდევნო საუკუნეში მოსალოდნელი, თუმცა არაგარანტირებული, ოთხმოცის ნაცვლად.

— მერე?! ვერ გავიგე, რას მთავაზობ!

— სულ უბრალოდ გასაგებ რამეს: ოთხმოცის ნაცვლად ასოცი წლის სიცოცხლეს.

— თანახმა ვარ, თუ ეგ აწი იქნება!

— რა მნიშვნელობა აქვს, ეგ ასოცი წელი, შენ რომ გეკუთვნის, ისტორიის რომელ მონაკვეთში მოთავსდება, წარსულში თუ მომავალში. ხომ შეიძლებოდა, საერთოდ არ დაბადებულიყავი?

— კაი რა, თუ ძმა ხარ, ნუ გამაგიჟებ ამ დილაადრიან! ჩემი საფიქრალი მეყოფა!... წავედი ორ წრეზე!

ნიკო ტესტირებისაგან სხვა შედეგს არც მოელოდა. ისე თავადაც არ იყო ბოლომდე დარწმუნებული ტესტის კორექტულობაში.

— ვაჰ, ნიკოს ვენაცვალე! მოგესალმება პროფესორი ბენიამინ მახათაძე! უნდა გაგახარო: შენგან ნასწავლები ვარჯიში თერთმეტჯერ შევასრულე! აჰა, შეხედე, მუცელს თითქმის ვეღარ ვგრძნობ. ეს რა კარგი რამე მასწავლე, შენ შემოგევლე, ნამდვილი მეგობარი ხარ!.. ერთი წუთით, მეგობარო! - შესძახა ძუნძულით ჩავლილ გიგა ბელთაძეს, რომელმაც მოხედა, მაგრამ სვლა არ შეუნელებია, - ერთი წუთით! - მახათაძე ძუნძულით დაემგზავრა ბელთაძეს, - მე პროფესორი ბენიამინ მახათაძე ვარ და უნდა გითხრათ, რომ მთელი ხეობა პატივს გცემთ და უყვარხართ!

ბელთაძემ მხარს ზემოდან გადმოხედა აქოშინებულ

პროფესორს, ნაძალადევად გაუღიმა და ნაბიჯს აუჩქარა.

მახათაძე კმაყოფილი მოტრიალდა, გაბადრული იღიმებოდა.

— ბენიამინ, ერთი ეს მიბრძანე, ყველას სახელით ლაპარაკი ვისგან გადაიღე? რატომ გგონია, რომ ეგ პერსონაჟი ყველას გულზე ეხატება? იქნებ ვინმე სხვანაირად ფიქრობს?

— ეს ისე, ვასიამოვნე, რა!.. – აბლუკუნდა მახათაძე, - რა დავაშავე?

— არა ხარ სწორი!.. ჰო, სულ მინდოდა მეკითხა, პროფესორი ვარო, რომ გაიძახი, მეცნიერების რომელ დარგში გაინავარდე?

— არ მითქვამს, ნიკოს შემოვევლე?! პედაგოგიკაში, ჩემო კარგო. ორი დისერტაცია მაქვს დაცული. ჩამოგითვალო?

— თუ არ შეწუხდები...

— პირველი, საკანდიდატო, ქუთაისის მესამე საშუალო სკოლის მეათე-მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთა შორის ღირსებისა და საკუთარი ფასეულობების შეგნების კვლევას მივუძღვენი.

— ქუთაისის რატომ? იქ ცხოვრობდი?

— არა, კაცო! მე ხო ნაღდი თბილისელი ვარ, დოლიძეზე დავიბადე და გავიზარდე. ქუთაისში სკოლის დირექტორი ჩემი მეგობარი იყო. კვლევის პროცესში საათებიც მომცა და ხელფასს ვიღებდი.

— სადოქტორო?

— ეგ ცოტა რთული საქმე იყო, მაგრამ თავი მაინც გავართვი, ნიკოს შემოვევლე. თემად ბათუმელი ახალგაზრდობის ზნეობრივი სახე ავიღე. სამი ზაფხული ვიკვლიე!

— ბათუმში ვინ გყავდა ახლობელი?

— განათლების მინისტრის მოადგილე ჩემი ნასტუდენტარი იყო და ყველანაირად მიწყობდა ხელს. სასტუმროში კაპიკს არ მახდევინებდა, სამჯერადი კვება უფასო მქონდა.

— ცოლ-შვილთან ერთად?

— რა თქმა უნდა, ნიკოს ვენაცვალე. სხვათა შორის, სადოქტოროც მანდვე, ინსტიტუტში, ახლანდელ უნივერსიტეტში, დავიცავი.

— მაგარი კვლევები ჩაგიტარებია. მაინც რით გამოირჩევა ბათუმელი ახალგაზრდის ზნეობრივი სახე თბილისელის, თელაველის, ქუთაისელის, სიღნაღელის, ზუგდიდელისაგან?

— კაი რა, ჩემო ნიკო, რით უნდა განსხვავდებოდეს? ეგ ხო სადისერტაციო ბლეფია! მთავარია, რომ თემამ გაიმარჯვა და ოციდან თექვსმეტი თეთრი მივიღე. სამმა ნაძირალამ შავი მომცა, ერთი ბიულეტენი გაუქმდა.

— დაადგინე ვინ იყვნენ?

— რა დადგენა უნდოდა, წინასწარ ვიცოდი.

— რანაირად?! გითხრეს შავი უნდა მოგცეთო?!

— არა, მთლად მასე არ იყო. საბჭოს წევრებიდან ჩვიდმეტი შეკერილი მყავდა, ზოგი რით, ზოგიც რითი. ეგ სამი ჯიხვისშუბლა გამოდგა, არც კი მომისმინეს. იქნებ ოქროს ზოდებს ვპირდებოდი! ერთი სიტყვით, მაგათ ჯინაზე მაინც გავედი!.. პალკოვნიკს ვახლავარ, პროფესორი ბენიამინ მახათაძე გესალმება!.. ეგა, ჩემო ნიკო, თავის დროზე მეორე კაცი იყო ემვედეში. ახლა რო ძლივს დაბაჩუნობს, ეგრე კი არ იყო... ქალბატონო, რა მშვენიერი ბრძანდებით! ნეტავ თქვენი ფინია ვიყო და ეგრე საბელგამობმული დაგყავდეთ! ჩემ პროფესორობას და დოქტორობას თქვენ გაღიმებაში გავცვლიდი!. არ გეწყინოთ, თქვენ გენაცვალეთ!.. ვხუმრობ, ჰა-ჰა!

ნიკოს უკვე მიტოვებული ჰყავდა „მეგობარი“ და კარგა მოშორებით, კოპიტების ხეივანში, მიაბიჯებდა. მოსახვევი რომ გაიარა, შემხვედრი, ხვნეშა-ხვნეშით მონაბიჯე, ჯოხოსანი დაინახა. პატარა კაცი, წითელლოყება, კასრისტანა, მიესალმა და სიარულის მცდელობა შეწყვიტა. ნიკოც შეჩერდა.

— წნევებმა მომკლა! – შესჩივლა ლოყებდაჟღაჟამ.

— ვატყობ, - უთანაგრძნო ნიკომ, - მიზეზი უნდა დაადგინო და იმკურნალო!

— ვიცი მიზეზი. სმა მიშვრება.
— მერე?! მოეშვი!
— რას მოვეშვა?
— რაც მაგას გიშვრება – სმას.
— ადვილი სათქმელია.
— სცადე და ვერ მოეშვი?
— მაგიტომ არა.
— აბა.
— სმას რო თავი დავანებო, რიღასთვის ვიცოცხლო?
— შენ ეგა თქვი! – გვარიანი პაუზის მერე დაეთანხმა ნიკო და მდინარისკენ დაეშვა.

ასეთი, უკაცრავად პასუხია, ადამიანები, აი, კასრისტანა რომაა, სასაკლაოზე რიგში მდგარი საქონელივით ელოდებიან ცელმომარჯვებულ მიქელგაბრიელს. ალბათ, ერთხელაც არ დაფიქრებულან, რისთვის გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე, ან გენიოსები რისთვის იღვწოდნენ, რატომ თმობდნენ ნებით ამქვეყნიურ კომფორტსა და სიამეებს. რატომ?.. რატომ?.. რატომ?..

უამრავი "რატომ?" დაფარფატებს, მაგრამ თუნდაც ერთზე პასუხი მაინც უნდა მოიძიო შვიდი ან რვა ათეული წლის მანძილზე..

კიდევ ბევრი საინტერესო რამ შეიძლება ითქვას ვერეს ხეობაში მოსიარულეებზე და თუ დრომ უფლება მოგვცა, უსათუოდ დავუბრუნდებით. ამჯერად კი საკმაოდ დაშორებულ და საამო წარსულში გადაფრინდა ნიკოს ცნობიერება.

მანგლისი. ფიჭვების ჭალა

თბილისელების ამოჩემებული კურორტი, მანგლისი, განსაკუთრებით, ომისშემდგომ, ორმოცდაათიან, წლებში. ორი, ეგრეთწოდებული „სანატორიუმი", რომელთაც ამ სახელწოდებასთან არაფერი აკავშირებდათ გარდა სახელწოდებისა, კერძოდ გაქირავებული ბინები და რაც

მართლა აღნიშვნის ღირსია, ფიჭვების დიდებული ჭალა, სადაც ნებისმიერი რანგის დამსვენებელი იყრიდა თავს ყოველდღიურად, ცხადია, წვიმიანი დღეების გამოკლებით.

სკოლის ბოლო და სტუდენტობის პირველ ორ წელიწადს ნიკოს მშობლებს რეგულარულად მოჰქონდათ მაგლისის სანატორიუმის საგზური, დაახლოებით ერთთვიანი.

მანგლისში გამგზავრების სამზადისი ნიკოსთვის ერთი და იგივე სტანდარტით მიმდინარეობდა: აუცილებელი ზოლიანი სააგარაკო პიჟამა, ფართხუნა, საშინელი თარგის და წიგნებით გატენილი ჩემოდანი. არ ყოფილა შემთხვევა, ერთი წიგნი მაინც თუნდაც შუამდე ჩაეკითხოს საკურორტო ცხოვრების პროცესში, მაგრამ მაინც ჯიუტად ტენიდა ჩემოდანს წლიდან წლამდე.

პირველ დღეებში რომელიმე განაპირა ფიჭვის ძირს ამოიჩემებდა, საგულდაგულოდ მოიკალათებდა გაფენილ ფარდაგზე და ვითომ დიდი გულისყურით ჩაჰკირკიტებდა სქელტანიან წიგნს. ცალი თვალი გოგოებისკენ ეჭირა და სიამოვნებდა, როცა მათ ცნობისწადილიან გამოხედვას დაიჭერდა. მისი რეიტინგი არა დღეობით, არამედ საათობით იზრდებოდა მანამ, სანამ წიგნი ისევ ჩემოდანში საკურორტო ცხოვრების ბოლომდე შებრუნდებოდა. ამის მერე ნიკო უსწრაფესად „იშიფრებოდა“: უკარება და ბრძენი წიგნის ჭიის ნაცვლად ჩვეულებრივ, მხიარულ და კარგ საძმაკაცო ბიჭად ევლინებოდა კოლეგა დამსვენებლებს. გიტარა, იუმორი, სპორტული ბუნება თითქმის ყველასთვის სასიამოვნო პარტნიორად ხდიდა.

როცა თბილისიდან სერგო დათუნაშვილი ჩამოვიდა, ნიკოს მიეკედლა. ვიძმაკაცოთო, შესთავაზა. ნიკოს რა უნდა ჰქონოდა საწინააღმდეგო: სერგო, გარდა გარეგნული ხიბლისა და უშუალობისა, მშვენივრად უკრავდა გიტარაზე და ფორტეპინოზე, მღეროდა და ნიკომ ყურმოკვრით იცოდა, რომ ნიჭიერი მოკრივეც იყო.

სხვათა შორის, მათი „ძმაკაცობა“ როგორ უცაბედადაც დაიწყო, ისევე უეცრად დამთავრდა. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ურცხვად განუცხადა: შენთან აღარ ვძმაკაცობ, ნოდარ ხუციშვილი ჩამოვიდაო! ნიკოს ერთი პირობა კი გაუკვირდა ასეთი მოულოდნელი მეტამორფოზა, მაგრამ მალე ხელი ჩაიქნია, ალბათ, „აქ“ ასეთი წესიაო.

ისე, ნოდარ ხუციშვილი მართლაც საინტერესო კაცი გამოდგა. ნიკოზე ბევრად უფროსი, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სულ ღიმილს აფრქვევდა და პოპულარულ თბილისელებთან კონტაქტებზე უყვებოდა სმენადქცეულ ბიჭებს. მაგალითად, როგორ გაათენეს სიმღერ-სიმღერით ინოლა გურგულიას კამპანიაში. თან ასეთი პირობით: არც ერთი მელოდია არ უნდა გამეორებულიყო და სიმღერებს შორის პაუზა ნახევარ წუთს არ უნდა გადასცილებოდა.

— მთელი ღამე?! – გაუკვირდა ნიკოს.

— კი, მთელი ღამე, - გაეცინა ხუციშვილს.

— ნახევარწუთიანი პაუზებით?!

— ჰო, რა იყო?

— ან არ მოგშივდათ, ან წყლის დალევა არ მოგინდათ, ან ტუალეტში...

— შენ იურიდიულზე ხომ არ სწავლობ?

— სამწუხაროდ, არა, - გაიცინა ნიკომ.

— შეგატყე. შენ არ გაითვალისწინე, რომ კამპანია, ესე იგი, ბეგობრების წრე იყო შეკრებილი, ყველანი ვმღეროდით...

— მივხვდი, - აღარ გააგრძელებინა ნიკომ, - ათიდან ხუთს რომ ემღერა და დანარჩენი ტუალეტში გასულიყო...

— რათა მაინც და მაინც ტუალეტში, შე კაი დედმამიშვილო, - სიცილი წასკდა ხუციშვილს, რომელსაც ყველანი აჰყვნენ, სიცილი და მთქნარება ხომ გადამდებია, - იქნებ ლუკმისთვის ან ჭიქა სითხისთვის, როგორც ადრე გვიბრძანე...

მანგლისური ყოფიდან რამდენიმე ეპიზოდის გახსენება, ალბათ, ღირს. ერთ მათგანს წინ საკმაოდ გრძელი ასოციაციური

ჯაჭვი უძღოდა.

ზამთარში ბობიკას ოჯახში ერთი გამოკვეთილ ქალურ-ნაკვთებიანი, სახემშვენიერი, გოგო გამოჩნდა. ესაო, ბობიკამ, მამაჩემის ალვანელი ძმაკაცის ქალიშვილია, სწავლას და მუშაობას აპირებს და ჯერ-ჯერობით ჩვენთან იცხოვრებსო. მზია ჰქვიანო, დაი არა მყავს და დასავით მეყვარებაო. მამამისი ჯიხვებზე ნადირობისას ჭიუხზე გადაიჩეხა და დაიღუპაო.

თვრამეტი წლის ნიკო თავითფეხამდე ჩაეფლო მთიელი გოგოს ხიბლში. მზიაც ყურადღებას არ აკლებდა და ზოგჯერ ისე გაუღიმებდა, ნიკო ადგილს ვერ პოულობდა. ვერა და ვერ მოახსერხა პაემნის თაობაზე დალაპარაკება. ოჯახისაც ერიდებოდა და მთიელი ქალის პირდაპირობისაც: ემანდ თავი არ შევირცხვინოო! ერთი კი მოახერხა - გაიგო, სად მუშაობდა, რომელ დღეებში და საათებში. გადაწყვიტა სამსახურთან დალოდებოდა და ვითომ სრულიად შემთხვევით გადაყროდა. მზია სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა და იმ დღეს ხუთ საათზე ამთავრებდა ცვლას.

ნიკო ხუთის ნახევარზე დადგა „პოსტზე“. უნდოდა ვაჟკაცურად, სიგარეტით ხელში, დახვედროდა ქალს და ყოველი შემთხვევისთვის ორი კოლოფი „პრიმა“ მოიმარაგა. საერთოდ არ ეწეოდა, სკოლა ისე დაამთავრა, თამბაქოს არ გაკარებია. ახლა ზედიზედ უწევდა ქაჩვა. მართალია, ბოლს არ ყლაპავდა, მაგრამ ხანდისხან გადასცდებოდა სასულეში და მწარედ ამოახველებდა.

ხუთი რომ შესრულდა, პაუზის უფლება აღარ იყო და სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა. კიდევ კარგი, მზიას დიდხანს აღარ შეაგვიანდა, თორემ ცუდად იქნებოდა ნიკოს საქმე.

როგორც იქნა, გამოჩნდა, გოგოებთან ერთად მოდიოდა. ნიკოს თვალი მოჰკრა და ნაბიჯი შეანელა. გოგოებმა უმალ შეაფასეს სიტუაცია, საჩქაროდ დაემშვიდობნენ მზიას და სიცილ-კისკისით გაიფანტნენ.

მზია ფერწასულ ნიკოს მიუახლოვდა:

— ნიკო?! აქ რას აკეთებ?!

— არაფერს... - ძლივს ამოთქვა - აქეთ ვიყავი და ვიფიქრე, დაველოდები-თქო... ბარემ სახლამდე გავაცილებ-თქო...

ნიკომ სიგარეტი გადააგდო და მორიგ ღერს მოუკიდა.

— ნიკო, ეწევი? ადრე არ შემიმჩნევია!

კარგა მანძილი დუმილით იარეს. ნიკოს ყველანაირი სასაუბრო თემა გაუფრინდა თავიდან. მზიას შეკითხვებს მოკლე რეპლიკებით პასუხობდა და თავს უბრაზდებოდა. ერთ მომენტში, როგორც იქნა, მიაგნო:

— ჰო, მართლა, სულ მინდოდა მეკითხა, მამაშენს რა ერქვა?

— შენა გგონია, რახან თუში იყო, რაიმე მთიულური უნდა რქმეოდა? შენ წარმოიდგინე, კაკო ერქვა.

— ხედავ?! - უადგილოდ გაიკვირვა ნიკომ. ხიდზე გადადიოდნენ. - ბაღში ხომ არ ჩამოვსხდეთ? შევისვენოთ! – შესთავაზა და თავადვე შეეშინდა, ეს რა გავუბედეო!

მზიამ არც ჰო უთხრა, არც - არა.

ნიკომ გაუმეორა შეთავაზება.

— იცი რა, ნიკო, დედაჩემმა მითხრა, კაცებს არ ენდოო.

— კი, მაგრამ დღისით-მზისით, თანაც ნაცნობთან, ბაღში სკამზე ჯდომა რა ამისთანა სახიფათოა?!

მზიამ არც ახლა უპასუხა. ერთხანს უბრად იარეს. მერე ბობიკაზე ილაპარაკეს. ამასობაში მის სახლსაც მიადგნენ.

— ხვალ ხომ არ შევხვდეთ? - თავზე ხელი აიღო ნიკომ, - შაბათია.

— რა მოვიმიზეზო? - უარი არ უთქვამს მზიას.

მოულოდნელმა თანხმობამ ნიკოს ფრთები შეასხა:

— რამე მოვიფიქროთ... ჰო, შაბათობა! სამსახურში შაბათობა გვაქვს-თქო!

— კარგი, ეგრე ვიტყვი.

— თორმეტ საათზე ქაშუეთთან დაგელოდები.

— ოღონდ იცოდე, ნიკო, კინოში არ შემოვალ და არც

ბაღში დავჯდები!

— კარგი, ბატონო, ეგრე იყოს.

უნდა გენახათ, როგორ ემზადებოდა ცხოვრებაში პირველი პაემანისთვის ნიკო. აბანოში მამედა მექისესთან „გაიძრო“ კანი. წვერი სუფთად გაიპარსა, ულვაში ფრანგულ ყაიდაზე დაიყენა, ქოჩორზე ბრიოლინი წაისვა, სუნამო მიისხურა, სარკეში ჩაიხედა და ფრიად კმაყოფილი დარჩა. მზიას დასაწუნი რა მჭირსო, გაიფიქრა.

თორმეტ საათზე ქაშუეთთან იდგა. იდგა პირველის ნახევარზეც, პირველზეც. სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა. მზია არ მოვიდა. რაიმე ხომ არ შეემთხვაო, შეფიქრიანდა და პირდაპირ ბობიკას ბინას მიაკითხა.

— ვა, ნიკ?! დღეს ხო ჯოკერი არ არი! – გაუკვირდა ბობიკას, რომელიც აბაზანიდან ახალგამოსული თავზე შერჩენილ რამდენიმე ღერ თმას ფრთხილად იმშრალებდა. – ხვალ ვიკრიბებით.

— დღეები ამრევია და ეგ არი, ჩემო ბობიკ, - ნიკო ფეხს ითრევდა, მზიას ამბავი აინტერესებდა, - რეპეტიციაზე მიდიხარ?

— ჰო, ცოტა ხანს დაჯექი, ერთად გავიდეთ. აგე, წინაპრებიც მოვიდნენ.

კიბისთავზე ბობიკას მშობლები გამოჩნდნენ, მძიმე ჩანთებით დატვირთულნი.

— ოჰ, ნიკოს გაუმარჯოს! - ალექსანდრემ ხვნეშით შემოათრია სავსე ჩანთა, - ყოველდღე ძვირდება ყველაფერი.

— კი, ცეცხლი ეკიდება ბაზარს, - დაუდასტურა ქალბატონმა ნუნუმ, - სადაა მზია?

— სად იქნება? - ბობიკა უკვე ჰალტუხს იბნევდა, - სამზარეულოში. დავუძახო?

დაძახება აღარ დასჭირდა, მზია ხმაურზე გამოვიდა. ნიკოს ისე მიესალმა, წარბიც არ შეჰხრია და სამზარეულოში სანოვაგის შეტანაში მოეხმარა ბობიკას მშობლებს.

ხათრიანი და მიმტევებელი ბუნების მიუხედავად, ნიკომ ვერაფრით აპატია იმდღევანდელი საქციელი მზიას და კმაყოფილმა შენიშნა, რომ გამძაფრებული გრძნობები თითქმის ნულამდე ჩაუცხრა. ბობიკასთან სიარულიც შეწყვიტა. მანგლისში ისე წამოვიდა, ერთხელაც არ შეუვლია, ჯოკერზეც კი...

წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა ფიჭვების ჭალაში შეეფეთა ალვანელ ქალიშვილს.

— ვა, მზია?! საიდან... როდის?!

კინაღამ უთხრა, თუ აქეთ აპირებდი, რატომ არ გამაგებინეო. ისე, პირდაპირ უნდა ითქვას, არავითარი მღელვარე ემოცია არ ჰქონია. საქმიანად მოიკითხა, ალბათ ხშირად შევხვდებითო და დაემშვიდობა.

შეხვედრები მართლაც ყოველდღიური გამოდგა. მზია სანატორიუმის მახლობელ ჭალაში ბანაკდებოდა აქ შეძენილ დაქალებთან ერთად. თბილი მისალმების და ორიოდე სავალდებულო ფრაზის შემდეგ ნიკო „თავის გზას“ გაუდგებოდა და რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით „ჩაუშვებდა ღუზას“.

ერთ მშვენიერ დღეს, ჩვეული მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ, მზიამ შეაჩერა;

— დღეს ჩემი დაბადების დღეა!

— მართლა?! მომილოცავს!

— მადლობა! საღამოს გამოდი, აღვნიშნოთ. ჩემი ბინა ხომ იცი, თხუთმეტ ნომერში. გიტარა არ დაგავიწყდეს!

— ვიცი.

— ასე, შვიდი საათისათვის.

საღამოთი ნიკო, მხარზე გიტარაგადაკიდებული, დამსვენებელ გოგონასთან ერთად, მიადგა თხუთმეტ ნომერ ეზოს. პურღვინო ღობის გადმოღმა, ფიჭვების ქვეშ იყო გაშლილი, ბალახზე გაფენილ სუფრაზე. მზიას აშკარად შეეტყო, რომ ნიკოს თანმხლები ქალიშვილის დანახვა არ ესიამოვნა. არ იფიქროთ, რომ ნიკომ შურისძიებისთვის იახლა ის ლამაზი

გოგო. უბრალოდ, სიმღერა კარგად გამოსდიოდათ. შურისძიება ხომ სიყვარულის ან სიძულვილის გამო ხდება. ნიკო, ამჯერად ორთავე გრძნობისგან დაცლილი გახლდათ. გაუკვირდა კიდეც, მზია რომ ემოციებს ვერ მალავდა და პურობის დასასრულს რომ განზე გაიხმო:

— ნიკო, ვერ მაპატიე ხომ პაემანზე მოუსვლელობა!

— რა სისულელეა! ალბათ გადაუდებელი საქმე გქონდა სამზარეულოში. ხომ ვერ მიატოვებდი?.. არ გეწყინოს, გეხუმრები.

— ნიკო, მორჩა ყველაფერი?

გაოცებული ნიკო ატყობდა, რომ ქალიშვილი ძლივს იკავებდა ცრემლებს.

— ყოველ შემთხვევაში, ჩემი მიზეზით არა.

— ყველაფერი სიცრუეა ამქვეყნად... - თვალებზე ცხვირსახოცმიფარებულმა ნიკოს ზურგი შეაქცია.

ამ სცენის შემდეგ, თანაგრძნობის ნაცვლად, სრული გულგრილობის განცდა დაეუფლა ნიკოს. ასეთია კაცის ბუნება, იოლად მოპოვებულს ფასი არა აქვს. შეძლეულ ლუკმას ძაღლიც კი პირს არიდებს.

ასეა თუ ისე, ალვანელი ლამაზმანი საბოლოოდ ამოიშალა ნიკოს ცხოვრებიდან.

არ ვიცი, ღირდა თუ არა ამ ეპიზოდზე დროის, ენერგიისა და თაბახის დახარჯვა, ამას წამკითხველი დაადგენს, მაგრამ ის ეპიზოდი, რომელზეც ახლა ვაპირებ თქვენი ყურადღების შეჩერებას, ვფიქრობ, გაგახალისებთ.

სანატორიუმის ერთფეროვან ცხოვრებაში საგანგებო შემთხვევა შემოიჭრა: თბილისიდან საკონცერტოდ და როგორც შემდგომ გაირკვა, დასასვენებლადაც, ჩამოვიდა დუეტი, ბარიტონი თენგიზ ჩოჩუა და ლირიკული ტენორი ავთო მთვრალაშვილი.

საოპერო მუსიკის კონცერტი სასადილო დარბაზში გაიმართა ნავახშმევს. ჩოჩუა, მაშინ უკვე ცნობილი „ყაყაჩოს“

ავტორი, ფორტეპიანოზე აკომპანიმენტს იკეთებდა. მშვენიერი, ხავერდოვანი ბარიტონით იმღერა კიაზოს არია „სულო ბოროტო“. ავთო მთვრალაშვილმა, ჩოჩუას აკომპანიმენტით, კანიოს არიოზო ჩააბულბულა. სანატორიუმის სასადილოს, ალბათ, არასდროს ღირსებია მსგავსი ტაში და ოვაცია. ამ ოქროსფერთმიან ახალგაზრდას იშვიათი სილამაზის ტენორი ჰქონდა, რომელიც თანაბარი სიძლიერით ჟღერდა ყველა რეგისტრში. კიდევ რამდენიმე არია იმღერეს მონაცვლეობით და მიადგნენ პროგრამის კულმინაციას – აბესალომის და მურმანის განთქმულ დუეტს. პირველი ნახევარი რომ ჩაამთავრეს, ხანგრძლივი ტაშისცემა ატყდა, ოვაციაში გადაიზარდა და დუეტის მეორე ნახევარი შეუსრულებელი დარჩა.

როგორც ადრე მოგახსენეთ, მომღერლები სანატორიუმში დარჩნენ და რიგით დამსვენებლებად გადაიქცნენ. მათთან ურთიერთობა ყველას აინტერესებდა და არც ისინი გაურბოდნენ. ავთო მთვრალაშვილმა ნიკოს ხელში გიტარა დაინახა, მიუჯდა და ჰკითხა:

— ჭრიჭინას სიმღერა თუ იცი?

— რომელი, „გაზაფხულის მაისმა...“? აბა-დელი-დელი-დელა?

— ჰო.

— რა თქმა უნდა.

— შეგიძლია მასწავლო?

— მეხუმრები?

— არა, დედას გეფიცები! სმენა არა მაქვს.

— კარგი რა, ავთო, ნუ გამაცინებ! ის არიები და დუეტი როგორღა იმღერე? მაგას ვჭამ? - სიცილი აუტყდა ნიკოს.

— სულ ტყუილად იცინი. სმენა მართლა არა მაქვს. ახლავე აგიხსნი: რაც ვიმღერე, ნოტებით მექანიკურად დავიზეპირე. დუეტის მეორე ნახევრის სიმღერას არც ვაპირებდი, ვერაფრით დავიზეპირე, ძალიან რთული შესვლებია.

— მართალს ამბობ?! - ნიკოს მაინც უჭირდა დაჯერება.

— თავიდან ბოლომდე. კონსერვატორიის მესამე კურსიდან გამოვედი, ვერც ერთი საოპერო პარტია ვერ მოვამზადე. ახლა უნივერსიტეტში ჩავირიცხე, ეკონომიურზე, მეორე კურსზე დამსვეს.

— ვაა, ეგეთი ხმის პატრონი?! რა პერტილე და რა შენ!

— ასე დავისაჯე, თუ სმენას არ მაძლევდა ის დალოცვილი ღმერთი, ხმა რა შავ ქვად მინდოდა!

მთვრალაშვილმა ეკონომიური დაამთავრა და გასტრონომის დირექტორად მუშაობდა რუსთაველზე. მეხუთეკურსელების საოფიცრო სტაჟირება ნიკოს და ავთოს ერთად ჰქონდათ ახალქალაქის გარნიზონში. უნივერსიტეტის ყველა მეხუთეკურსელი ბიჭი აქ იყო თავმოყრილი. უზარმაზარი ყაზარმის მესამე სართულზე ეძინათ. ძილის წინ ზაურ ბარათელი, როგორც წესი, მთვრალაშვილს ევედრებოდა:

— ავთო, რამე იმღერე... თუ ძმა ხარ!

— რა ვიმღერო, არც ერთი სიმღერა არ ვიცი.

— ისე ამოუშვი ხმა, ერთი ნოტი.

— მიდი, ავთო, მიდი! – აქეზებდნენ აქეთ-იქიდან.

სხვა რა გზა იყო, გააღებდა პირს და ისეთ ხმას ამოუშვებდა, გაოგნებულები უსმენდნენ...

მანგლისური ცხოვრებიდან კიდევ ერთი ფრაგმენტის გახსენება ღირს, ალბათ. მურთაზ ინწკირველი, ახოვანი, მამაკაცური შადიანობით გამორჩეული ჭაბუკი გაოცებული ამბობდა ნიკოსთან მორიგი საუბრის მერე:

— ვაა, რა ჭკვიანი ხარ?! საიდან ამდენი რაღაცები?! წამო, ერთი ვინმე უნდა გაგაცნო, შენნაირი კაცი სჭირდება, ახლგაზრდულ ორგანიზაციას აყალიბებს. ანზორ პირველი გაგიგონია?

— თუ ემზარი?

— მაგის ძმაა.

— რა ორგანიზაციაზეა საუბარი?

— არალეგალურზე... თუ ძმა ხარ, არსად წამოგცდეს!

— რაზეა ლაპარაკი. ისე, ძაან სახიფათო საქმეა, თანაც, მე მგონი, უპერსპექტივო. ჩართული ხარ?

— ჯერ არა. შენ როგორ მირჩევ?

— მგონი არ ღირს, ფუჭი გასროლაა.

— შენ რო იცოდე, მეც ეგრე ვფიქრობ. გადავდოთ ეგ ამბავი.

მთავარი ამ ამბავში კი ის არის, რომ თავად ანზორმა მიატოვა იდეა, ორიენტაცია მკვეთრად შეიცვალა და ერთ მშვენიერ დღეს თბილისის ერთ-ერთი რაიონის აღმაკომის თავმჯდომარის სკამს მოერგო.

კი, ხდებოდა ასეთი პარადოქსები საბჭოთა იმპერიაში.

ფიქრის ფანჯარა

(ქუჩა)

— ნიკოს გაუმარჯოს!

— სალამი!

— როგორ ხარ?

— შეიძლესა უარესად.

— უარესად?! რატომ, კაცო?!

— თანაც გაცილებით.

ნიკოს რომ ჩვეულებრივი ტრაფარეტით ეპასუხა: „არა მიშავს“, „ვარ, რა!“, ან შემორჩენილი (და შემოჩენილი „კაროჩეს“ მსგავსად) „ნიჩევოთი“, ყველაფერი ამით დამთავრდებოდა. „უარესად“ და „გაცილებით უარესად“ კითხვების სერიას იწვევდა.

— ამაზე უარესად როგორ უნდა ვიყოთ? - ჩაეკითხებოდა მავანი.

— ლანდაუ გაგიგონია?.. ცნობილი ფიზიკოსი იყო. რამდენიმე წელი უგონოდ იწვა, გათიშული, ბოლოს გამორთეს. მიწისძვრის შემდეგ ნანგრევებში მოყოლილხარ? არა, ხომ?

ღმერთმა დაგიფაროს? ესე იგი, უარესი შესაძლებელი ყოფილა? ისე, შენ რას გულისხმობ, როცა ამბობ, ამაზე უარესად როგორ უნდა ვიყოო?

— რასაც ყველა, ცხოვრებას.

— ესე იგი, ცხოვრებისეულ დისკომფორტს?

— დიახ!

— აბა მე ცხოვრებას კი არა, სიცოცხლეს ვგულისხმობ, უმთავრესად.

— ვითომ რა განსხვავებაა?!

— პრინციპული. ცხოვრება სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაა, სიცოცხლე კი ჯანმრთელობის და ფსიქიკის მდგომარეობა. თუ ქუჩაში დამოუკიდებლად მოძრაობ და სკლეროზს არ უჩივი, კმაყოფილი უნდა იყო. ყოველთვის არსებობს მდგომარეობა, რომელზე უარესიც შესაძლებელია, უთქვამს ერთ ბრძენს.

ნიკოს ნაცნობ-მეგობრების უმეტესობამ იმდენად აითვისა მისი ახსნა-განმარტება, რომ მისალმებაზე პასუხს აღარ უცდიდნენ:

— შეიძლება უარესად, ხომ? თანაც გაცილებით!

ზოგიერთი დაამატებდა:

— სხვათა შორის, შენთან დილის შეხვედრა მთელი დღით ოპტიმიზმს მიღვიძებს.

იშვიათად მთავრდებოდა მისალმება მავანის სიცილისა და ხელის აწევის გარეშე.

ნიკო ისე მიეჩვია ამგვარ პასუხს, რომ რამდენიმეჯერ ახალგაცნობილ პიროვნებასთან, ოფიციალურ ვითარებაში, ვალის მოსახდელ, ფორმალურ, შეკითხვაზე - „როგორ გიკითხოთ?“, წამოსცდა: „შეიძლება გაცილებით უარესადო!“ როგორც წესი, შემკითხველი შეწუხდებოდა და დაინტერესდებოდა:

— რა პრობლემა გაქვთ?

— ისეთი არაფერი... რაც ყველას.

— აბა, უარესადო, რომ ბრძანეთ?

ნიკო მობოდიშებით, ღიმილის თანხლებით, შემოკლებით იმეორებდა იმ ახსნა-განმარტებას, რომელიც აგერ ახლა მოგასმენინეთ.

ერთი რამ დადებითი კი უსათუოდ ჰქონდა ნიკოსეულ მისალმებას: ფორმალობის, ტრაფარეტის, ჩარჩოს შლიდა და თუნდაც მცირე ხნით დაფიქრების სტიმულს იძლეოდა.

მიაბიჯებდა ნიკო ქუჩაში და თავშიდა არეში ფრიად საყურადღებო აზრები ებადებოდა. ქუჩა მხოლოდ ქუჩა როდიაო, დაასკვნა ერთხელ, ისევე, როგორც შარა-შუკა, გზატკეცილი და ავტობანი, თუნდაც ელემენტარული მთის ბილიკი. ქუჩა მხოლოდ სახლების რიგი და ბორდიურიან-უბორდიურო, ასფალტირებულ-მოკენჭილი, აღმართ-დაღმართი, მიხვეულ-მოხვეული რაღაც კი არ არის... არა, ბატონებო და ქალბატონებო! ყოველ ქუჩას თავისი სული, ფსიქიკა, თავისი სიცოცხლე და ცხოვრება აქვს, ისევე, როგორც უბანს, ქალაქს მთლიანად. ასე რომ არ იყოს, არ იმღერებდნენ: „ო, არბატ, შენ ჩემი რელიგია ხარ!“ (ოკუჯავა ქუჩას უმღერის). ან: „ჩემო ერთო, ჩემო ღმერთო, ჩემო თბილისო!“ ისე, ჩვენში დარჩეს და ქუჩის და ქალაქის გაღმერთება ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება.

რამდენია ისეთი მოქალაქე, რომელიც სადაც დაბადებულა, მთელი ცხოვრება იმავე ქუჩა-ეზოში გაუტარებია და იქვე აღსრულებულა. ხშირად გაიგონებთ: არა, ძმაო, სხვა ქუჩა-უბანში მე ვერ ვიცხოვრებო!

აქვე ერთი საჩოთირო საკითხი იჩენს თავს: ქუჩების სახელდება. სახელი, ადამიანივით, ქუჩასაც მოერგება ხოლმე და რამდენიც უნდა ცვალოს ხელისუფლებამ, უცვლელად გადადის თაობიდან თაობაში. ავიღოთ, თუ გნებავთ, ყველა თბილისელისთვის კარგად ცნობილი ხილიანის ქუჩა, ღოლიძის პარალელური. მართალია, დიდად დასაფასებელი პოეტის სახელით შეცვალეს, მაგრამ „ხილიანს“ გაიძახიან მაინც.

კი, ბატონო, ბოლშევიკური პარტიისა და მთავრობის მიერ პატივდებული რევოლუციონერ-ტერორისტების სახელ-შერქმეული ქუჩების „მეტრიკები“ უნდა შეიცვალოს და ღირსეული სახელები „ჩაიწეროს“, მაგრამ ქალაქის კოლორიტი არ უნდა შეიმღვრეს. მით უმეტეს, რომ მოქალაქეთა მეხსიერება სიჯიუტით და პარადოქსულობით ხასიათდება. აბა, სხვანაირად როგორ ავხსნათ დღესდღეობით ყოველ ნაბიჯზე მოსასმენი „ელიავას ბაზრობა“, „პლეხანოვზე“, „კამოს ქუჩაზე“ და რა ვიცი...

ქუჩისთვის სახელის დარქმევა-გადარქმევა ჰაი-ჰარად და ფიქრ-განსჯის გარეშე არ შეიძლება.

ისე, იმასაც ამბობენ, განსაკუთრებით, შეერთებული შტატებიდან ჩამობრძანებულები, რომაო, რა საჭიროა სახელწოდებებიო. ნიუ-იორკშიო, მაგალითად, დანომრილია მიყოლებით და სტრიტებად, ავენიუებად და კვარტლებად არის დაყოფილიო. ეს სისტემა არასოდეს შეიცვლება და მისაგნებადაც იოლზე იოლიაო. ალბათ ასეც არის, მაგრამ სახელებში რაღაც ისეთი დევს, რაც ქუჩების პერსონიფიცირებას ახდენს. მით უმეტეს, რომ ერთი პატარა (ნიუ-იორკთან, აბა, რას მივალთ) ქალაქი გვაქვს, მთაგორიანი და ოღრო-ჩოღრო.

“ტატრები“

მაშინდელ ჩეხოსლოვაკიაში, ბრატისლავის უნივერსიტეტ-ში, ნიკო ერთი თვით მიავლინეს. ერთი ეპიზოდის გამოკლებით, საგაგებოდ გამოსარჩევი არაფერი მომხდარა.

კვირა დღე იყო და ნიკომ გადაწყვიტა ქალაქის გარეუბანში, დაახლოებით იმგვარში, თბილისისთვის რომ მცხეთაა, გაესეირნა.

ამ ადგილს, დუნაისპირას, „დევინი“ („ქალწულისა“) ერქვა და მთაზე აღმართული ციხის ნანგრევებით იყო ცნობილი. ნიკო ავტობუსში ჩაჯდა და სულ მალე პირველი სიურპრიზის მოწმე

გახდა: გზა მიუყვებოდა რკინის ცხაურს, რომელზეც ყოველ ოც-ოცდაათ მეტრში ეკიდა ფირფიტა წარწერით: „სახელმწიფო საზღვარი“. ესე იგი, ცხაურს გადაღმა უკვე კაპიტალისტური ავსტრია იყო. საბჭოეთში, როგორც ცნობილია, საზღვართან მხოლოდ სამ კილომეტრზე შეიძლებოდა შინაურის თუ გარეულის მიახლოება.

ავტობუსის ბოლო გაჩერება მთისძირა მოედანზე იყო. ნიკოს სულმა წასძლია და ბისტროში შევიდა გემრიელი სარდელის, მდოგვის და სლოვაკური ლუდის დასაგემოვნებლად. ტრაპეზის შემდეგ, მხარზე გადაკიდებული ფოტოკამერით, მთას შემოუარა და დუნაისპირას გავიდა. აქ კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდა: მესაზღვრის საგუშაგო და მის წინ ატუზული ავტომატიანი ჯარიკაცი. ფოტოაპარატის დამალვა აღარ ესწრებოდა. ემანდ შარს არ გადავეყაროო, ნიკომ ნაბიჯი შეანელა. მზად იყო ფოტოაპარატი პირველი მოთხოვნისთანავე უსიტყვოდ ჩაებარებინა. გაოცებულმა შენიშნა, რომ სახელმწიფო საზღვრის დარაჯს სულაც არ აინტერესებდა არც ნიკო და არც მისი „შეიარაღება“. ავსტრიულ სანაპიროზე კი არც ჯიხური ჩანდა და არც თოფინი ჯარისკაცი. სამაგიეროდ, მდინარისპირა პლაჟი სავსე იყო მოკისკისე მობანავეებით.

გათამამებული ნიკო მთის კორტოხზეც ავიდა, ციხედარ-ბაზის ქონგურების ნაშთებიც გადაიღო და დუნაის პანორამაც.

სხვა, რაიმე საგანგებოდ მოსათხრობი, არაფერი გადახდე-ნია. ეს კია, რომ მირო მარცელიმ, გასლოვაკიელებულმა იტალიელმა, ორთვიანი ვიზა გამოატანა ორი პიროვნებისათვის. ორი თვით არც მოგზაურობა ხიბლავდა ნიკოს და ნანას და არც მასპინძლობა სლოვაკ კოლეგებს. საქმე ის იყო, რომ საზღვარგარეთ წამსვლელებს ფულს დღეების მიხედვით აძლევდნენ. ამის მიუხედავად, როცა ნიკომ სამგზავრო ბილეთები აიღო იქით-აქეთ, ერთი კვირის ინტერვალით, ნანამ ერთი ამბავი აუტეხა: შენაო, ერთი თვე ხო კარგად იბაირამე ბრატისლავასა და პრაღაში, ჩემთან ერთად კი კვირაზე მეტი

გემძიმებაო!

— ვერ გაძლებ მეტს, ჩემო კარგო!

— ძალიანაც გავძლებ. უსინდისო ხარ და მეტი არაფერი!

— კაი, ბატონო, თუ მოგეწონება და გაგიტკბება, ბილეთებს გადავცვლი.

ბრატისლავაში მასპინძლობა პროფესორმა მილან ზიგომ ითავა. თავისი წითელი "01"-ით მთელი სლოვაკია შემოატარა ქართველ ცოლ-ქმარს. თავადაც მეუღლესთან ერთად მოგზაურობდა. სტუმრები მოიხიბლნენ სლოვაკური ქალაქებისა და სოფლების მოწესრიგებულობით. ერთი კვადრატული მიწა რაა, ისიც კი გამოყენებული და მოვლილი ჩანდა. მაღალ სარებზე გალაღებული სვიის პლანტაციები, ლუდის აუცილებელი კომპონენტი. წითელსახურავიანი კოპწია სახლები სოფელ-სოფელ. გზები ყველგან გასისინებული, რაიმე ჩაკერების გარეშე...

ასე შევიდნენ მაღალმთიან ტატრებში. დაბურულ ტყეშიც კი უნაკლო ასფალტირებული გზატკეცილით შესრიალდნენ და რომელიღაც მწვერვალის ფუძეს მიადგნენ.

— ხომ არ მოგშივდათ? - იკითხა პროფესორმა.

— დროული შეკითხვაა, - სრული სერიოზულობით აღნიშნა ნიკომ.

— ახლავე მოვაგვარებ მაგ პრობლემას! – განაცხადა ზიგომ, სადღაც მიუხვია-მოუხვია და შუაგულ ტყეში რესტორანთან აღმოჩნდნენ.

როცა მაგიდას მიუსხდნენ, პროფესორმა მენიუ მიაწოდა ნიკოს, რომელიც ხუმრობის ხასიათზე მოვიდა, ვინაიდან სლოვაკური არ იცოდა და ეს გარემოება ზიგომაც კარგად უწყოდა.

— ჯიხვის მწვადი მინდა! – ნიკომ უკან გადააწოდა მენიუ.

ზიგომ დაკვირვებით ჩაიკითხა მენიუ და ისევ მიაწოდა სიტყვებით:

— სამწუხაროდ, დღეს ჯიხვის მწვადი არა აქვთ.

ნიკოს ესიამოვნა, პროფესორი რომ ხუმრობაში აჰყვა, მენიუ ყასიდად ჩაათვალიერა და ისევ დაუბრუნა:

—ხოხბის ჩახოხბილი მინდა, თანაც სამეფოსი ან ოქროსფერის!

მილან ზიგომ, როცა ისევ ჩახედა მენიუს, სრული სერიოზულობით უთხრა:

— დღეისთვის არც ეგ გაუთვალისწინებიათ!

— თუ არც ირმის მწვადები აქვთ, - აღშფოთდა ნიკო,

- შემირცხვენია ასეთი რესტორანი!

ნანას სიცილი აუტყდა და უკვირდა, მასპინძლებს წარბიც რომ არ შერხევიათ. თან უხაროდა, იუმორის ასეთი დახვეწილი გრძნობა რომ ჰქონდათ.

პროფესორმა სათვალე კარგად მოირგო, მენიუს ერთ ადგილას თითი ატაკა და საზეიმოდ განაცხადა:

— არის! არის ირმის ხორცი! კინაღამ თავი არ მოგვეჭრა ქართველების წინაშე?!

ახლა ნიკოს ჯერი დადგა, იცინა და რა იცინა:

— აგაშენოს, მილან, როგორ გამამხიარულე, მგონი, საჭმელი აღარც კი მინდა.

— მოიცა, ნიკო, რა გაცინებს? შენ გგონია, ვხუმრობ?!

— აბა რა, - სული მოითქვა ნიკომ, - გინდა დამაჯერო, რომ ამ ციცქნა რესტორანში, სადღაც ტყეში მიგდებულში, ირმის მწვადებს აშიშხინებენ?!

— სწორედაც რომ ტყეში მიგდებულში, აბა, სად?

— სად? ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, მოსკოვში, არბატზე...

— ერთ რამეს არ ითვალისწინებ, ნიკო, ამ რესტორანს „მონადირე“ ჰქვია და რაც შენ წელან ჩამოთვალე, თითქმის ყოველთვისაა, ცხადია, სამეფო და ოქროსფერი ხოხბის გამოკლებით. ჩვეულებრივი, ნაცრისფერ-მოყავისფრო, კი, ბატონო. მწვადისა რა მოგახსენო, მაგრამ ირმის ბიფშტექსს თხუთმეტ წუთში მოგვართმევენ.

ირმის ბიფშტექსი გემრიელად მიირთვეს და ზედ სლოვაკური სუფრის განუყრელი ატრიბუტი, ცივი ლუდი, დააყოლეს.

მსგავსი ეგზოტიკური პასაჟების მიუხედავად, მეოთხე თუ მეხუთე დღეს, ნანამ სხვათა შორის იკითხა:

— დასაბრუნებელი ბილეთები რომელი რიცხვისთვის გვაქვს?

— რატომ მეკითხები? გადავწიოთ?

— გადმოწევა არ შეიძლება?

— რაო?! – ყასიდად შეიცხადა ნიკომ, - შენ არ იყავი!..

— ჰო, კარგი, გეხუმრები.

— პრაღა ხომ უნდა მოვინახულოთ, უფასო სასტუმროს გვიკეთებენ ძველ ქალაქში. ხვალ მივდივართ.

ყველაფრის თავი და თავი კი ის გახლდათ, რომ იმ დილით ნანამ საფულეში ჩაიხედა და სამიოდე კრონის მეტი ვერ მოიძია. უფულოდ კი ბრატისლავაში და პრაღაში როგორი სასიარულოა? ამდენი ძვირფასად გამოტენილი მაღაზია, ნაირ-ნაირი კაფე-რესტორნები და ბისტროები. ეს კი ასეა, მაგრამ პრაღა, განსაკუთრებით, ძველი ქალაქი, უფულო და მშიერი ტურისტისათვისაც მიმზიდველი სანახაობაა. რამდენი საუკუნეა აქ ხელი არაფერს გაკარებია. მარტო კარლოსის ხიდი რად ღირს, თავისი ცამეტი ქანდაკებით

ნიკოს დაზოგილი კრონებით ორი დღე იცხოვრეს პრაღაში და ბრატისლავაში დაბრუნდნენ. მესამე დღეს უკვე კიევის მახლობლად, ბორისპოლის აეროპორტის რესტორანში, ისხდნენ და თბილისის რეისს ელოდებოდნენ.

— ლუდს ხომ არ ინებებთ? – ოფიციანტმა გოგონამ იკითხა.

— ლუდს? – გაეცინა ნიკოს, - იცით, საიდან მოვდივართ? ჩეხოსლოვაკიიდან. იქაური ლუდის შემდეგ...

— ტყუილად გგონიათ. იქნებ ჩვენიც გაგესინჯათ, უკრაინული!

გასინჯეს უკრაინული „ჟიგულევსკი“ და გაკვირვებუ-ლებმა დაასკვნეს, რომ ჩეხურ-სლოვაკურზე არაფრით ნაკლები არ იყო!

ფიქრის ფანჯარა

(ქელეხი შიმშილობის ათწლეულში)

ერთი თბილისელი ინტელიგენტის დედის ქელეხში ლორთქიას „პულკის“ სრული შემადგენლობა კომპაქტურად მოთავსდა გრძელი მაგიდის შუაში. ოთხმოცდაათიანი წლებია, უშუქობის, უგაზობის და შიმშილობის ათწლეული. ქელეხებში ჭირისუფლისთვის სახლში წასაღებად პურის ნაჭერიც კი არ რჩება, ლამის თეფშებიც შეჭამონ. მშობლები ბავშვებით დახუნძლულები მოდიან და ზოგჯერ ნათესავ-მეგობრები უადგილოდ რჩებიან.

ლორთქიას „პულკა“, ხუთი კაცის შემადგენლობით, რომელიც დანაყრების შემდეგ სათამაშოდ აპირებდა წასვლას, ოპერატიულად შეუდგა საქმიანობას. ათიოდე წუთში მათ წინა არეალში მწვანილის და ბოლოკის მეტი არაფერი ჭაჭანებდა. სწორედ ამ დროს შემოლაგდნენ და მოპირდაპირე მხარეს დასხდნენ კომპოზიტორები ბიძინა კვერნაძის წინამძღოლობით. მიიხედ-მოიხედეს და საკვების ნასახი რომ ვერ დალანდეს, იკითხეს, აქ საუზმის დაწყობა დაავიწყდათო? ძირითადი კერძების მოლოდინში, ვისაც კბილები საშუალებას აძლევდა, მარილში ჩაწებული ბოლოკის ღრღნას შეუდგა, ვისაც არა - მწვანილის ცოხნა სცადა.

როგორც იქნა, სუფრის თავიდან, სადაც თამადა იჯდა, კერძის ჩამოტარება დაიწყეს. კომპოზიტორების სიხარული ნაადრევი გამოდგა: კერძიანი თეფში მათ მისადგომებთან მოსუფთავდა. ამ დროს თვალი მოჰკრეს სუფრის ბოლოდან, სადაც ახლო ნათესავები ისხდნენ, წამოსულ ორთქლადენილ სინს. მგონი გვეშველაო, შვებით ამოისუნთქა ბატონმა ბიძინამ. რა გგონიათ? აქამდე სუფთად მოკრიალებულმა ჭურჭელმა მოაღწია.

ეს კი მეტისმეტიაო და ბიძინამ მომტანს მოუხმო:

— ბიძიკო, ჩვენ აქ მჭამელების საყურებლად კი არ მოვსულ-

ვართ. თუ ახლავე საჭმელს არ მოგვაწვდით, იძულებული ვიქნები იმ თქვენ გაპუტკუნებულ მასპინძელს ვუკბინო!

მომტანი სიცილ-სიცილით გავარდა და სავსე სინით ხელდამშვენებული მობრუნდა.

ამასობაში მასპინძლის და მისი მეუღლის სადღეგრძელო დაილია. მასპინძელმა ბოდიში მოიხადა, ცოლი გასულია და მალე გიახლებათო. როცა სადღეგრძელო მოთავდა, ცოლი მაშინ გამოჩნდა და მეუღლემ სუფრის გასწვრივ ჩამოატარა: ვინც არ იცნობთ, იცნობდეთ, ეს ქალბატონი ჩემი ცოლიაო!

— ეს რა ქელეხში მოვხვდი, ცოლებიც კი ჩამოტარებითააო! – ჩაილაპარაკა ბატონმა ბიძინამ.

სამლიტრიანი ქილა ნავთისათვის

საკმაოდ გრძელი დისტანცია გვექნება გასავლელი, სანამ ნავთისთვის გამიზნულ სამლიტრიან ქილას მივადგებოდეთ. ცხრაასოთხმოცდაცხრაში, აპრილის ცნობილი სისხლიანი მოვლენების შემდეგ, ნიკოს საშინლად გაუმწვავდა ნაღვლის ბუშტის შეტევები და საოპერაციოდ ცნობილ დასტაქარს, საშა ბეთანელს, მიაკითხა. ერთი წლით ადრე მან ამოკვეთა ატროფირებული სანაღვლე რეზერვუარი ნიკოს მეუღლეს.

ორიოდე სიტყვა უნიკალურ პროფესიონალსა და ადამიანზე, საშა ბეთანელზე. ერთი შეხედვით, გულჩათხრობილი და უხასიათო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. სინამდვილეში იუმორით სავსე და მშვენიერი მოსაუბრეა. ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა საშუალება ბატონი საშას ინტერვიუერი ყოოფილიყო, როცა წერილს ამზადებდა რეზო ჭეიშვილის ჟურნალ „მწვანეყვავილასთვის". მაშინ დასტაქარი კაი ოთხმოცი წლისა გახლდათ. რამდენიმე ფრაგმენტი ამ საუბრიდან:

— ბატონო საშა, საიდან მოხვდით ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფოში ქირურგად და საერთოდ, რა კავშირი გაქვთ ქუთაისთან?

— რას ქვია, რა კავშირი მაქვს?! ქუთაისში დავიბადე, ფალიაშვილზე და მე-2 ათწლედიც იქ დავამთავრე, ყოფილი სათავადაზნაურო, ქართულს დომენტი თომაშვილი და მამია ასათიანი მასწავლიდნენ. დედაჩემი, გათხოვებამდე, სწორედ მაგ მწვანეყვავილაზე ცხოვრობდა. მამაჩემი, მიხეილი, პირველი ვენეროლოგი იყო საქართველოში. ნახე ფოტო, რა ლამაზი კაცი იყო, მე კი არ მგავდა. ჰო, დედაჩემიც ექიმი იყო, სტომატოლოგი.

— ალბათ, ექიმობაც ოჯახური ტრადიციის გაგრძელება იყო.

— რა მოხდა, იცი: მამაჩემი ავადმყოფობდა და უფრო იმიტომ. ისე, რა დაგიმალო და ქიმიკოსობაზე ვგიჟდებოდი... თბილისში დავამთავრე სამედიცინო და ქუთაისში დავბრუნდი. ომის დრო იყო, ორმოცდაერთი. მაგ საავადმყოფოს მაშინ სამხედრო ჰოსპიტალი ერქვა. სხვათა შორის, მაგ შენობის ძველი მესაკუთრე, ისიდორე გამრეკელი, მეფის დროს ჟანდარმერიის პოლკოვნიკი ყოფილა. გადარჩა, არც მენშევიკებმა დაიჭირეს და არც ბოლშევიკებმა, კი, მისი სიკვდილით მოკვდა. ზოგს რა ბედი აქვს!..

— ცოლი როდის შეირთეთ?

— ორმოცდათვრამეტში, სტალინის სიკვდილის შემდეგ. ისიც მწვანეყვავილაზე ცხოვრობდა, დედაჩემივით და შენ წარმოიდგინე, სტომატოლოგი გამოდგა, დედაჩემივით. თუ გაგიგონია, მადონა ვასაძე, აკაკის და იყო, კი, მსახიობის. სხვათა შორის, ქუთაისში სახლი რომ გავყიდეთ და თბილისში გადმოვედით, წელიწადზე მეტი აკაკის ბინაში ვცხოვრობდით. იშვიათი ბუნების და ნიჭიერების კაცი იყო აკაკი, უჩემოდაც გეცოდინება.

— ალბათ, ხშირად ყოფილხართ ექსტრემალურ სიტუაციაში.

— როგორშიო, რა ბრძანე?

— საგანგებოში, რთულში, ასე ვთქვათ.

— იცოცხლე, ბევრჯერ!.. ერთხელ რაჭაში მომიხდა ნეიროოპერაციის გაკეთება, ფაქტობრივად, უინსტრუმენტოდ.

— რის გაკეთებაო, რა ბრძანეთ?

— ნეირო... (იცინის) კითხვა შემიბრუნე? თავის ქალაზე, ასე ვთქვათ.

— ხანჯლით?

— არც არაფერი აკლდა. ბენიამინ ფრანკლინი ხომ იცი, ამერიკის კონსტიტუციის დამწერი, მეხამრიდის გამომგონებელი... ჰო, ასე ამბობს: სპეციალისტმა უნდა ხერხოს ბურღით და ბურღოს ხერხით... ახლა უნდა გაგაცინო. ქუთაისში ორი ლენინგრადელი ქირურგი მესტუმრა, ებრაელები, კაზანსკი და სუხარევსკი. რა უნდა მეჩვენებინა: გელათი, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები და რაც მთავარია, დინოზავრის ნაკვალევები. გავუარეთ, ჩემო ბატონო, პეტრე ჭაბუკიანს, მაგ ნაკვალევების აღმომჩენს და გავედით სათაფლიაზე. პეტრემ მსმენელები მოიხელთა და ჩართო, ჯერ ხომ დინოზავრებზე მთელი ეპოსი ჩაარიხინა, მერე ნაკვალევების ანალიზზე გადავიდა. დააკვირდითო, ამ ნაბიჯის სიგრძე იმ ნაბიჯისას მთელი ნახევარი მეტრით ჩამორჩებაო, გავყვეთ ნაკვალევს და დარწმუნდებით, რომ ასე გრძელდებაო. მერე, ეგ რას მოასწავებსო, კაზანსკიმ. თქვენ რომ მაგას მეკითხებით, გამკვირვებია, დიახაცო, ქირურგები ხართ და როგორ ვერ ხვდებითო, ამასწინათ ერთი ცნობილი გეოლოგის მიუხვედრელობამაც გადამრიაო. მაინც რა არის ამ ასიმეტრიის მიზეზი, აგვიხსენი, ნუ დაგვაოსეო! რა არის ჩემო ბატონებო და ის დინოზავრი, ექვსი მილიონი წლის წინათ რომ დააბიჯებდა სათაფლიაზე, კოჭლი გახლდათო! ბევრი იცინეს. ცოტა ხნის მერე სუხარევსკი ეკითხება პეტრეს: ნაკვალევის გასწვრივ წვრილი ნახვრეტები რომ გასდევს, თუ გაგიშიფრავსო. პეტრე გადაირია, რა ნახვრეტები, რის ნახვრეტები, ეგენი სულ ლუპით მაქვს შესწავლილიო! ქირურგის თვალი მაინც სხვააო, სუხარევსკი ეუბნება. პეტრე გაოგნებული დგას და ერთი სული აქვს, სანამ ნაკვალევს

ხელახლა გდაამოწმებს. კაზანსკი ჩაეკითხა სუხარევსკის, რა ნახვრეტებზე ლაპარაკობ, ბარემ გვითხარიო. კი, ბატონოო, მოგახსენებთ ჩემს დაკვირვებასო. ყოველი ნატერფალის გვერდით ნახვრეტის არსებობა გვიდასტურებს, რომ კოჭლი დინოზავრი ყავარჯნით დადიოდაო! კაზანსკიმ იმდენი იცინა, ძლივს გადავარჩინეთ. პეტრემ იუმორი ქილიკად მიიღო, გაგულისდა და ჩვენს გალახვას აღარაფერი უკლდა. როგორც იქნა, დავაწყნარეთ. პურიც ვჭამეთ მერე ერთად.

— ბატონო საშა, ისევ მუშაობთ?

— ოთხ ადგილზე. ორ კლინიკაში ოპერაციებს ვაკეთებ, ორ ინსტიტუტში ლექციებს ვკითხულობ. სხვა ქალაქებშიც მიძახიან, დასავლეთ-აღმოსავლეთში.

— ტელევიზორს თუ უყურებთ?

— აპა-პა! იშვიათად. მხოლოდ „დისქავერის“ თუ შევხედავ. წიგნს ვკითხულობ და სერიოზულ, მელოდიურ მუსიკას ვუსმენ, თუ დრო მაქვს. მხოლოდ რიტმს და რახა-რუხს რატომ უძახიან მუსიკას, ვერ გამიგია. კატისთვის თუ აგისვამს ხელი ზურგზე, უკუღმა? უსათუოდ დეიჭყავლებს. ე, მასეთი დაჭყავლება მინდება მაგნაირ მუსიკაზე.

— რანაირად ინარჩუნებთ სპორტულ ფორმას, სიგამხდრეს, ამხელა ენერგიას, ვარჯიშობთ?

— მე კიდევ ვარჯიში მინდა?! ენაგადმოგდებული დავრბივარ. არ ვსვამ, არ ვეწევი. კაი მოზრდილი წიგნიც დავწერე ამ ბოლოს, პეტერბურგში იბეჭდება, მუცლის ღრუს ქირურგიას ეხება. შენ რა ამოგჭერი?

— ნაღვლის ბუშტი.

— რომ გამოვა, მოგართმევ!

— ნაღვლის ბუშტს?

— წიგნთან ერთად, რა თქმა უნდა!

ორთავენი ვიცინით.

— ბატონო საშა, როგორ მიხარია, ძველებურად რომ ხართ!

— „კტო ნე რაბოტაეტ, ტოტ ნე ესტ!“

ახლა ისევ ცხრა აპრილის მომდევნო პერიპეტიებს მოვუბრუნდეთ. ქვეყანა პარალიზებულია, ხალხი გულზეა გასიებული, სკოლებში და უმაღლესებში სწავლა შეწყდა. დემონსტრაცია დემონსტრაციაზე, აქცია აქციაზე იმართება. მოზარდები სხვადასხვა პოზაში მომარჯვებული მენშევიკების დროინდელი დროშებით დააბიჯებენ.

ელბაქიძის აღმართზე ბიჭი გადაუდგა ნიკოს მანქანას, დროშა კომბალივით გაედო მხარზე:

— გააჩერე! - უბრძანა, - გააჩერე-მეთქი! შენ გეუბნები!

ნიკომ დაამუხრუჭა. კარგა ხანს იდგა, სანამ დემონსტრანტების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა არ ჩაიარა ძახილ-ძახილით.

ეიფორიას მხოლოდ სასიხარულო, საზეიმო, განწყობილება არ იწვევს, სამწუხარო და ტრაგიკულიც იმავეს აკეთებს. ჰუმანური მიზნის მიუხედავად, ბატონობს ჭეშმარიტების სუროგატი - ეგრეთწოდებული „მოედნის“ ჭეშმარიტება. აგზნებულ მასას, აგრესიული ტონუსის შესანარჩუნებლად, წამდაუწუმ უნდა ჩასძახო ის, რის გაგონებაც მას სურს.

სწორედ იმ პერიოდში მოხდა სამწუხარო მოვლენა: ერთხმად შეაჩვენეს ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი, რომელმაც უმაღლეს ღირებულებად ჭეშმარიტება გამოაცხადა და განმარტა: თუ ჩემი ერი ჭეშმარიტებას განუდგება და მცდარ გზას დაადგება, მხარს ვერ ავუბამ და ჭეშმარიტებასთან დავრჩებიო.

აუუ, ამბავი ატყდა!

გამწარდნენ „ეროვნული იდეოლოგები“, რა აღარ დააბრალეს! ერის ღალატთან ერთად „უვიცობაშიც“ გამოიჭირეს. ვერ გაუძლო პატიოსანი მოაზროვნის გულმა, შუა გაგლიჯა უზნეობამ და მგლურმა ობსკურანტიზმმა.

იმ ხანებში, ერთ ნაშუადღევს, ნიკო თავისი „ნოლერთით“ უნივერსიტეტთან, ვარაზიხევში ჩამავალ შუქნიშანთან, შეჩერდა.

დაინახა, როგორ გადმოზვავდა პირველი კორპუსის ეზოდან ახალგაზრდების ტალღა და შუქნიშანთან მწკრივში მდგომ მანქანებში ჩასხდომა დაიწყეს. რამდენიმემ ნიკოს მანქანის კარები გამოაღო. წინა სავარძელში გიგა ბელთაძე ჩაეხეთქა და არც მოუხედავს, ისე ბრძანა:

— კინოსახლთან მიგვიყვანე!

— გიგა, რა მოხდა?!

— კოსტავა მოკლეს! წავედით!

კინოსახლთან ჩამოხდნენ და სამივე კარი ღია დატოვეს....

სამოქალაქო ომის სუნი ტრიალებდა. ხელისუფლება ოპოზიციას რადიკალურად გაემიჯნა. ყოველნაირად ცდილობდა მისთვის სახელის გატეხვას და ცილიწამებასაც არ ერიდებოდა. შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს „წითელ ინტელიგენტებს“ ეძახდა და კრიმინალურ საქმიანობაში ადანაშაულებდა. რაღას არ უგონებდნენ ოპოზიციონერებს ახალი „იდეოლოგები“. ძალზე პოპულარული იყო მანქანების ქურდობის, მათი გაყიდვის და ნაწილებად დაშლის თემა. ასეთ გამწვავებულ ვითარებაში ერთადერთ ოპოზიციურ გაზეთ „დრონი“-ში დაიბეჭდა ამ სტრიქონების ავტორის ფელეტონი „ბაზარი“, რომელსაც ძლიერი რეზონანსი ჰქონდა. როგორც ცნობილია, ნებისმიერი გაზეთი ერთ დღეს ან, ბევრი-ბევრი, ერთ კვირას ცოცხლობს. ამიტომ თავს ნებას მივცემ იმ პუბლიკაციის შემოკლებული ვარიანტი შემოგთავაზოთ.

„მანქანა ისე დამიძველდა, ნაწილებს გზადაგზა ვკარგავ. ახალ დეტალებს სანთლით ვერ მოიძევ და იძულებული ვარ შავ ბაზარს მივაკითხო.

როგორც იქნა, ჩამოდგა სამკარიანი ავტობუსი. შუა კარში შევეტენე და ფეხის დასაბიჯებელი ადგილი მოვძებნე. აკადემიის გაჩერებაზე ჩემდაუნებურად ყურადღება მივაქციე სამ ტყავისქურთუკიან მანდილოსანს, რომლებიც სამივე კარებში ერთდროულად დადგნენ და რაღაცნაირად, არამგზავრულად, შეგვათვალიერეს. ორმა მათგანმა თავიდან და ბოლოდან შუისკენ

იწყეს მოძრაობა და წარმოუდგენელი სიმარჯვით შეუდგნენ უსიხარულო ფიქრებისაგან გამოთაყვანებული მგზავრების ჯიბე-ჩანთების „დასუფთავებას“. განცვიფრებული ვუმზერდი მათ ხელოვნების რანგში აყვანილ პროფესიულ საქმიანობას. ჯინსის ჯიბეში ხელით მოვსინჯე ნასესხები ფული. ხმის ამოღება ვერ გავბედე: შუა კარში მდგომ მანდილოსანს საეჭვოდ ჰქონდა ხელი ჩაყოფილი ქურთუკის ჯიბეში და შავი „ჩოლკის“ მესერიდან შავ თვალებს ავად აკვესებდა. სადღაც მინახავს ეს თვალები, სადღაც მინახავს! ამასობაში ის ორი მანდილოსანიც მომიახლოვდა. ღმერთო, ნუ გადამრევ, ნუთუ ისინი არიან?!

— ხელი უშვი ჩანთას! - მეხივით გავარდა ავტობუსში ერთი გაჩხინკული გოგოს კივილი.

— ჯიბგირები! - იყვირა ვაღაცამ.

ავტობუსი გამოფხიზლდა, აყაყანდა, აწრიალდა. შუა კარში ჩამდგარმა ქალბატონმა „მაკაროვი“ დააძრო ქურთუკის ჯიბიდან და დასჭექა:

— თუ თავი არ მოგბეზრებიათ, ხმა ჩაიკმიდეთ და ხელები მაღლა გეჭიროთ!

ავტობუსში სიჩუმე ჩამოწვა.

მე კინაღამ ენა გადავყლაპე, ისე შევძრწუნდი: ვიცანი, სამთავე ვიცანი!

შუა კარში რეჟისორი ლანა ღოღობერიძე იდგა, ჯიბე-ჩანთებზე კი კინოსა და თეატრის ორი კაშკაშა ვარსკვლავი, ორი მედეა - ჯაფარიძე და ჩახავა „მუშაობდა“.

ღმერთო, დიდებულო, სადამდე დავეშვით-მეთქი, ამოვიგმინე, ვისარგებლე გაჩერებაზე გაღებული კარით და მსახიობთა ნაცნობობით, ელვის სისწრაფით გამოვვარდი გარეთ და სულ მალე სასურველ ბაზრობაზე აღმოვჩნდი.

„აჰა, ესეც შენი შემოქმედი ინტელიგენცია!“ - ტვინს მიბურღავდა აკვიატებული ფრაზა და გაჭირვებით ვუქცევდი გვერდს ხალხის ნაკადს, რომელიც გორაკ-გორაკ მოძრაობდა. ზოგი ყიდდა, ზოგი ყიდულობდა, ზოგიც ისე, ამბის წასაღებად

მოსულიყო.

შელმართზე იწყებოდა გრძელი რიგი, რომლის გარდიგარდმო, მიყოლებით, პირდაპირ მიწაზე, ორ წყებად ეყარა გასაყიდი ავტონაწილები.

ორ-სამ ადგილას განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყო მისეული. შეძენილი ავტონაწილებით გამოსულებს ხალხმრავლობის მიზეზს დავეკითხე და შედარებით იაფად ჰყიდიანო, მიპასუხეს. რათა-მეთქი და გაეცინათ, ტვინი გაანძრიე და მიხვდები, შე ინტელიგენტოო!

„ინტელიგენტი თავი გაბია-თქო!“ მინდოდა მეპასუხა, მაგრამ ჩხუბსა და კონფრონტაციას მოვერიდე.

გაჭირვებით შევყავი თავი ერთ წრეში და სწორედ იმ ნაწილების წინაშე აღმოვჩნდი, რომლებსაც ვეძებდი. განსაკუთრებით წინა პანელმა მიიტაცა ჩემი მზერა.

— რა ღირს წინა პანელი? - ვიკითხე გამყიდველის ფეხებს მიშტერებულმა.

— ათასორასი, გენაცვალე! - მიპასუხა ტკივილამდე ნაცნობმა ხმამ. ფეხებს მზერა ავაყოლე და როცა სათვალიან, ჭაღარა ქოჩორდაუვარცხნელ სიმპათიურ კაცს შევხედე, კინაღამ თვალთ დამიბნელდა:

— ბატონო ელდარ, თქვეენ?!

— დიახ, მე! - მშვიდად მიპასუხა სახალხო არტისტმა, სახელგანთქმულმა კინორეჟისორმა, ელდარ შენგელაიამ,

— რა გაგიკვირდა, აგე, თენგიზ სიგუა ათასხუთასად ყიდის.

— ნოდარ ნათაძე? - ვკითხე ირონიით.

— ნათაძეს პანელი არა აქვს, პომპას და დინამოს ვაჭრობს.

— ჭაბუა ამირეჯიბი?

— ჭაბუა ყალბ ტალონებს ბეჭდავს, რა იცი, რაში გამოგვადგება.

იქით გორაკზე ჯანსუღია, ჩარკვიანი, კაპოტებზეა.

— წივწივაძეც აქ არის? - ვკითხე იმედმოცემულმა.

— თამაზი, გურამ ფანჯიკიძე და ჩემი ძმა გიორგი მანქანების საქურდლად დარჩნენ ქალაქში. მომავალ კვირას ისინი ივაჭრებენ, ჩვენ საქურდლად დავრჩებით. ისე, თუ ყიდვას აპირებ, ჩვენთან გირჩევნია, სხვები გაცილებით ძვირად ყიდიან.

— ცოტას არ დაუკლებთ?

— ვერა, შემოქმედებისთვის ფული მჭირდება. მთავარია ფული და შემოქმედებითი ექსტაზი. შენ თუ ფული არა გაქვს, ჩვენს მაფიაში გაწევრიანდი და მანქანებს მიხედე. მოგიპარავს მანქანა?

— ჯერ არა.

— მერე? რას უყურებ, დროზე დაიწყე!

— სტარტერი არა გაქვთ?

— არა. მაგაზე თედო პაატაშვილი მივავლინეთ მოსკოვს, შევარდნაძესთან.

— როგორ, შევარდნაძეც?!

— გეტყობა ჭურში ზიხარ. პირველი მაფიოზია, აბა, რა გეგონა? სტოპრო წითელი ინტელიგენტია!

— არც აკუმულატორი გაქვთ?

— სიგუას ჰქონდა ნოლშვიდზე მოხსნილი მაგარი აკუმულატორი. აბა, ერთი, ვკითხავ, - ელდარმა სათვალე მოიხსნა და გასძახა, - ე, სიმონ, აკუმულატორი დაგრჩა?

— არა, ტო, - გავიგონე სიგუას პასუხი, - უკვე გავასუ-ხარე!

— ეგეთი პონტია, ძმაკაც, რას იზამ! - მითანაგრძნო ელდარმა და ფეხისგულებიდან კენჭები ჩამოიფერთხა. ახლაღა გავაცნობიერე, რომ ფეხშიშველა იდგა. ჩემი განცვიფრება შეამჩნია და ამიხსნა:

— მშობლიური მიწა რომ ვიგრძნო, იმიტომ გავიხადე ფეხზე. ქალაქში ასფალტია, აქ კი უშუალოდ ქართულ მიწას ვეხები. ფეხშიშველები დადიოდნენ ჩვენი დიდი მწერლები, ვაჟა

არაგვისპირელი და სულხან-ჯაბა ფშაველა.

— ნიკოლოზ გურამიშვილი? - ვკითხე ირონიით.

— სხვათა შორის, გალაკტიონ ჭავჭავაძეც. - ჩვეული სიმშვიდით მიპასუხა ბატონმა ელდარმა და უბის ჯიბიდან თავამოყოფილ პუშკინის ტომს სიყვარულით გადაუსვა ხელი...

გაოგნებული გამოვტრიალდი და ათიოდე ნაბიჯის შემდეგ, ბექობზე გადამდგარმა, საშინელი სურათი ვიხილე: რამდენიმე რიგად გაუნძრევლად იდგნენ თავმოჭრილი ადამიანები, იღლიაში საკუთარი თავები ამოეჩარათ და იდგნენ.

დავაკვირდი და თითქმის ყველა ამოვიცანი.

— ვინ მოჭრა თავები ამ სათაყვანებელ ადამიანებს? - ვიკითხე ჰაიჰარად.

— თვითონ მოიჭრეს! - მიპასუხა სივრცემ და აზრიალდა ექო, -თვითონ!.. თვითონ!..

თვალი გავახილე. ტელევიზორთან ჩამძინებია. მახსოვს, ნაღდ, არაწითელ, ინტელიგენციასთან ხელისუფლების შეხვედრის საყურებლად მოვკალათდი სავარძელში.

თავი მიბრუოდა. არ ვიცი, რა მოვუხერხო, მილიონი ინტელიგენტური სისულელით მაქვს გამოტენილი. არადა, უცნაური სიზმრებისაგან დაზღვეული გეგულებათ ვინმე?“

დადგა შავბნელი ოთხმოცდაათიანი წლები. დამოუკიდებლობის დეკლარირების ეიფორიას მოჰყვა ხელისუფლების მოუქნელი, ტლანქი პოზიცია, რომელმაც ლოგიკურად განაპირობა სამოქალაქო ომი, იმედების მსხვრევა და არაადექვატური მთავრობის განდევნა. სისხლიანი კონფლიქტის თავიდან აცილება, სამწუხაროდ, არც ერთმა მხარემ არ მოინდომა.

ძალისმიერმა ტრიუმვირატმა ძველი, კომუნისტური, ლიდერი ჩამოაბრძანა მოსკოვიდან, რომელმაც ვერაფერი უშველა სახსრებში მოშლილ ქვეყანას. გაილაღეს კრიმინალურმა სტრუქტურებმა, გაძლიერდა ქურდული მენტალიტეტი, იმატა მკვლელობამ და ძარცვა-გლეჯამ დღითა და ღამით. ცხოვრების

წესად იქცა მიზერული პენსია-ხელფასები და ისიც თვეობით „გაყინული“, უიმისოდაც „ჯუჯა“ ბიუჯეტის რეგულარული „სეკვესტრები“. უდენობა, უგაზობა, დაჭრილი რადიატორები, თუნუქის მხრჩოლავი მილები მრავალსართულიანი კორპუსების გამჭვარტლული ფანჯრებიდან. ქვეყნიდან გაზიდული ათასობით ტონა ლითონის „ჯართი“ და ძვირფასი ხის მერქანი.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ეროვნული ლიტერატურის კლასიკოსების ბიუსტები (ვაჟასი და ილიასი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოდან, ნოდარ დუმბაძისა და იმავე ილიასი ჭავჭავაძის პროსპექტიდან) დახსნეს და „ჯართად“ ჩააბარეს. გასაკვირი ისაა, ერთი ნაძირალას მიტანილი ბიუსტი რომ მეორე ნაძირალამ მშვიდი სინდისით ჩაიბარა „ჯართად“.

არ იქნა და არ ეღირსა ქვეყანას ჯართის საზღვარზე გადატანის ამკრძალავი კანონი ან ელემეტარული განკარგულება.

თურმე ნუ იტყვით და თავად მთავრობაში ითბობდნენ ხელს ამ და სხვა მრავალი ბიზნესით. მაგალითისთვის: ქალაქის ავტოსადგომებიდან ერთი თეთრიც არ შედიოდა მერიის ანუ სახელმწიფო ბიუჯეტში. მთელი თანხა ერთ-ერთი „სახელმწიფო“ მაფიოზის უძირო ჯიბეში მიდიოდა.

ამ უსაშველოდ გაუსაძლის ვითარებაში იყო ერთი ნათელი წერტილი: საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო გაერომ და სრულუფლებიან წევრად მიიღო. ისე, რა დასამალავია და ქუთაისელები ამ ამბავზე ასე ენაკვიმატობდნენ:

სერგია ერისთავი, მენშევიკების „ეპოქაში“, თეთრ ხიდზე, კალისტრატე ჩიკვაიძეს შეხვდა და შორიდანვე მიაძახა:

— მომილოცავს, კალისტრატე, გვიცნეს, გვიცნეს!

— რა იყო, სერგია, ვინ გვიცნო, სად გვიცნო?! – შეჩერდა შუა ხიდზე კალისტრატე.

— ერთა ლიგამ გვიცნო, საქართველო იცნო, ევროპამაც აღიარა!

— სერგია, გადეიხედე!

ადიდებულ რიონს დასცქერიან თეთრი ხიდიდან.

— ჩემო სერგია, ეგ ამბავი რას გავს, თუ იცი?

— ჰო, რას?

— რა და შენ რომ ადიდებულ რიონს მიქონდე და მე აქიდან გიძახდე, გიცანი, სერგია! სერგია, გიცანი!..

ტოტალური სიდუხჭირის, ქვეყნის ტერიტორიის მტკივნეული „სეკვესტრის“ მიუხედავად, ქართველმა კაცმა მაინც გაიტანა თავი.

მწერლებს ყოველთვიური, თუმცა სიმბოლური, მაგრამ მაინც „სტიპენდიად“ წოდებული თანხა დაენიშნათ. ზოგჯერ ნატურით დახმარებაც გამოჩნდებოდა: ფქვილი, ბრინჯი, ზეთი, შედედებული რძე...

ერთხელ უჩვეულო რამ მოხდა: ნიკოს დაურეკეს და უთხრეს, ამდენი და ამდენი ლიტრი ნავთი გეკუთვნის, ჭურჭელი მოიტანე და წაიღეო. ნიკომ მანქანის საბარგული ამოავსო „კანისტრებით“ და მწერალთა კავშირის ეზოში ჩამომდგარ ცისტერნას მიაკითხა. ყველა ჭურჭელი გაუვსეს, მაგრამ ხუთი ლიტრი კიდევ ეკუთვნოდა. ამ ძვირფასი სითხის დატოვებაზე ფიქრიც კი არ უნდოდა. იქვე, მაჩაბელზე, ცხოვრობდა მისი კათედრის პროფესორი, ბიძინა აგიაშვილი, ცოლს გაცილებული მარტოხელა. ნიკოს ვარაუდით, ახლა სახლში უნდა ყოფილიყო.

— ოჰ, ნიკო?! რას მივაწერო შენი უეცარი ვიზიტი?! – გაიკვირვა ფანჯრიდან გადმოყუდებულმა ბიძინამ.

— ბიძინა, რამე ჭუჭყიანი კანისტრა გეგდება სადმე და ხვალამდე მათხოვე!

— რა „კანისტრა“, ჩემო ნიკო, ცხოვრებაში არ მქონია და თუ დამიჯერებ, არც გამიგონია!

— „კანისტრა“ ლითონის ან პოლიეთილენის ჭურჭელია. არსებობს ხუთლიტრიანი, ათლიტრიანი, ოცლიტრიანი...

— მერე?! მე საიდან უნდა მქონდეს?!

ბიძინა აგიაშვილს კათედრის წევრები და საერთოდ,

ფაკულტეტის თანამშრომლები, „არხეინას“ ეძახდნენ. ყველამ იცოდა, რომ არავითარი საქმიანობა არ ეხერხებოდა, წერა-კითხვისა და ჭამა-სმის გარდა. მომვლელ-მზარეულად ერთი ხანდაზმული რუსი ქალი ჰყავდა დაქირავებული.

იქნებ სხვა რამე ჭურჭელი გამოვტყუოო, ხავსს ეჭიდებოდა ნიკო:

— ბიძინა, იცი, რაშია საქმე, ნავთს გვირიგებენ კავშირში უფასოდ და იქნებ სამლიტრიანი შუშის ქილა მათხოვო!

— კარგი, რა, უჯმაჯ, ახლა ქილა მოგინდა, ისიც სამლიტრიანი... თუ ძმა ხარ, რა!..

— მენანება დატოვება. შენთვის აიღე, არ გინდა?

— რა, ნავთი?! ხუმრობ?

ნიკომ კუთვნილი ნავთი იქვე, ეზოში მოძიებულ მომცრო ვედროში ჩაასხა და გვერდით, სავარძლის წინ, დადგა. გზაში მარჯვენა ხელი თითქმის არ მოუცილებია ვედროსთვის, მაგრამ ქალაქის ოღრო-ჩოღრო ქუჩებში ჯაყჯაყისგან ბლომად დაიღვარა. მთელი თვე ნავთის სუნი ვერ მოსპო სალონში. მანქანაში არავინ უჯდებოდა და მარტო დარიხინებდა.

სამლიტრიან ქილასთან დაკავშირებულმა ეპიზოდმა კიდევ ერთი ბზარი გაუჩინა ნიკოს ხათრიანობას.

„კაი კოწიას“ ამბავი

— ლორთქი, რეზო ჭეიშვილმა მთხოვა მამაშენზე პატარა წერილი გავუმზადო მისი ჟურნალისთვის. ხო კონსტანტინე ერქვა?

— მეტრიკაში კოწია ეწერა და კონსტანტინე არავის დაუ-ძახია რუსის გარდა. მეც კონსტანტინოვიჩს მხოლოდ რუსები მეძახდნენ. მამაჩემს „კაი კოწიათი“ იცნობდა ყველა. იმიტომ კი არა, რომ დანარჩენი კოწიები „არაკაი“ იყვნენ, მაგრამ კაი კოწია მაინც ის იყო. რით იყო კაი? ტკბილი სიტყვით, სტუმრის სიყვარულით, საამო სიმღერით. სხვათა შორის, იშვიათი

სილამაზის ტენორი ჰქონდა. სამი წელი კონსერვატორიაში სწავლობდა ვრონსკისთან.

— რატომ დაანება თავი?

— ძმაკაცები შეუჩდნენ, რა გჭირს, კოწია, სხვისი სასწავლებელი, იქით უნდა ასწავლიდეო... ძნელი დასადგენია, რაღაც არ აეწყო ცხოვრება ისე...

კი, ასეა, ცხოვრების პროზა ხშირად ჯაბნის პოეზიას და რომანტიკას. კოწია მოსკოვს წაბრძანებულა და ეკონომიური დაუმთავრებია. სიმღერა არ მიუტოვებია, პროფესიონალად დარჩა ბოლომდე.

— ოცდაჩვიდმეტში, მოსკოვში, ქართული კულტურის დეკადაზე, ანსამბლთან ერთად იმღერა. ნაკონცერტევს, თხუთმეტ შერჩეულ მომღერალთან ერთად, კრემლში, საბანკეტო სუფრასთან დაუსვამთ. სტალინიც იქვე მჯდარა, რაც მთავარია. კრემლის „ხაზეინი“ კაი ხასიათზე ყოფილა, გულღიად საუბრობდა თურმე, ხუმრობდა, მოკლე და საინტერესო სადღეგრძელოებს ამბობდა, მომღერლებს აქებდა და სიმღერას სიმღერაზე უკვეთავდა. ის კი არა, გვერდით მოჯდომია და მათთან ერთად უმღერია. მშვენიერი, რბილი ტენორი ჰქონდაო, იგონებდა კოწია. ჰო, არ დამავიწყდეს, „კაი კოწია“ ირაკლიმ შეარქვა, აბაშიძემ. სხვათა შორის, ჩვენთან ხშირად იკრიბებოდნენ ქალაქში და ქვეყანაში ცნობილი ადამიანები. ყველა მახსოვს, მაგრამ არ ჩამოვთვლი, ვაღაცა უსათუოდ გამომრჩება და შთამომავალს ეწყინება. აუ, რა ხალხი წავიდა, ბიჭო, რა კოლორიტები, რა მაგრები. დრო, დრო, ასაკი... რამდენიმე მაინც მინდა დავასახელო ჩვენი ხშირი სტუმრებიდან: გერონტი ქიქოძე, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, ლევან ასათიანი, ცნობილი მსახიობი და მომღერალი მიშა გელოვანი, რომელიც „კირკაჟ“, ამოულესავ, ლობიოზე გიჟდებოდა.

ახლა რამდენიმე ეპიზოდს მოგიყვები კოწიას მონაწილეობით.

ოცდაჩვიდმეტი წელია, დაჭერა დაჭერაზე მიდის. ალიოშა

შელიამ, ცნობილი მუსტაფა შელიას მამამ, შვიდი წლისა სიონში წამიყვანა, სადაც საიდუმლოდ მომნათლა თავად კათალიკოს-პატრიარქმა, კალისტრატე ცინცაძემ. ალიოშა ბიძიამ მამაჩემის სამსახურში მიმიყვანა, ბანკში. შეეედი თუ არა, კოწიას მივახარე:

— მამიკო, ბაბუა კალისტრატემ მომნათლა ეკლესიაში!

ხალხით სავსე ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კოწია გათეთრდა, მერე გაწითლდა, მერე გამწვანდა.

— სიზმარი უნახავს ბოვშს! - უგერგილოდ სცადა მდგომარეობის განმუხტვა ალიოშა შელიამ.

ამჯერად გადავრჩით, არავის მოუკითხავს კოწიას წასაყვანად. ისე, იმ წელიწადს მაინც აღმოჩნდა დასაჭერთა სიაში. „კაგებეს“ პოლკოვნიკი, ტიტე ლორთქიფნიძე, ამ სიით ბერიასთან შესულა და კოწიასთვის შეუწევია რამდენიმე სიტყვა. ლავრენტი პავლოვიჩს უთქვამს, კი, მეც მსმენია კაი კოწიას ამბებიო და სიიდან ამოუღია.

ასე გადავრჩით მეორედ.

კოწია ცნობილი იყო უწყინარი და ხათრიანი ბუნებით, მაგრამ შენ წარმოიდგინე, ნამეტანი გამძაფრებული ჰქონდა თავმოყვარეობის და საკუთარი ღირსების დაცვის ინსტინქტი. აბა, რა დავარქვა? ინსტინქტია ეგ, მა რა ჯანდაბაა?! მაგან ბერჯერ ჩააგდო განსაცდელში კაი კოწია.

ერთ მათგანზე მოგიყვები.

კუკუნა იაშვილი, პაოლოს და ტუპიას ძმიშვილი, სკოლის მერხიდან აიყვანეს და თვრამეტი წელი იჯდა არაფერზე. ჯანღონით და გულოვნებით გამორჩეული ვაჟკაცი იყო. ციმბირის გადასახლებიდან კიდევ უფრო გამძლავრებული ჩამოვიდა. ჩამოსვლის აღსანიშნავი პურ-ღვინო რომ ჩამთავრდა, მთელი კამპანია ტაქსის რიგში ჩადგა. მოეხეტა ვიღაც უტიფარი ჯეელი და ურიგოდ მოინდომა ტაქსში ჩაჯდომა.

— ყმაწვილო, არ გეკადრება ეგ, მანდილოსნებს მაინც ეცი პატივი.

პატივისცემას ვინღა ჩიოდა, იმ ნაძირალამ უწმაწური გამოთქმა იხმარა. კუკუნიას ესღა უნდოდა? თვალი ვერ შეასწრეს, ისე დააწეპა ასფალტს ის უბედური.

— ჯემივით დაასხა ასფალტზეო, - იცინოდა მეორე დღეს კოწია.

მალე აღმოჩნდა, რომ სასაცილოდ სულაც არ იყო საქმე, რომელიც სასამართლომდე მივიდა.

კოწია მთავარ მოწმედ გადიოდა. ძმაკაცებმა საგანგებოდ გააფრთხილეს, საქმე „ჩაწყობილია“ და უნდა თქვა, არაფერი დამინახავსო.

სასმართლოზე კოწიამ, ნახე, რა განაცხადა:

— ბატონებო და ქალბატონებო! ცხოვრებაში რანაირი ჩხუბი, რანაირი დარტყმა არ მინახავს, კოლია ქვარიანის და სანდრო მხეიძისთვის მიყურებია, მაგრამ ამნაირს არაფერს შევსწრებივარ. გენაცვალე, კუკუნია, მარჯვენაში!

ატყდა სიცილ-ხარხარი, დარბაზი ძლივს დააწყნარეს. კუკუნია დიდი ჯახირით გადაარჩინეს დაჭერას...

ეჰ, რა ხალხი წავიდა! იცი, ეგ რა თაობა იყო? მთელი ცხოვრება ერთმანეთის ფერებაში იყვნენ, ჭირსა და ლხინში გვერდიგვერდ იდგნენ და დაუწერელ კაცურ კოდექსს ურყევად მისდევდნენ. კაი კოწია იყო ყველა თავშეყრის მოთავე.

ცხადია, დრო ყველაფერს წაშლის, მაგრამ ამ წასული თაობის ღირსებები და ცხოვრების წესი შთამომავლობის გენოფონდში გაიბრწყინებს უთუოდ.

კოშმარი

მაშინ ნიკო საკმაოდ მიახლოებული იყო ორმოცს და უძილობას ჯერ არ უჩიოდა, მაგრამ იმ ღამეს გატანჯა კოშმარულმა სიზმარმა. ბორგავდა, ღმუოდა, შიგა და შიგ უაზროდ წამოროშავდა რაიმეს.

— ნიკო, რა მოგივიდა?! ნიკო! - აღვიძებდა ნანა.

— ა!.. რა იყო!.. არაფერი. - გვერდს შეიცვლიდა და შიშით უბრუნდებოდა სიზმარს, რომლის სიუჟეტი არ იცვლებოდა: გამოეცხადებოდა თეთრანაფორიანი მათემატიკის მასწავლებელი, გენადი თაბაგარი, რომელსაც ნესტოებიდან და ყურებიდან ბღუჯა თმები ჰქონდა გამოშვერილი, ლოგინიდან წამოაგდებდა წელსქვევით შიშველს და მკაცრად მოძღვრავდა: „შეამოწმე, მართლა თუ არ კვეთენ ერთმანეთს პარალელური ხაზები უსასრულობაში, თორემ ორიანს გამოგაყოლებ წლის ბოლოს!“

— გენადი მასწ, მაგას რა შემოწმება უნდა, ეგ ხომ აქსიომაა, გეომეტრიაში არ გვასწავლეთ?

თაბაგარის ნება ურყევი იყო.

რა უნდა ექნა? დაადგებოდა იმსიგრძე პარალელურ ხაზებს და მიქანაობდა წყვდიადში. ამ უნუგეშო მოგზაურობას ცოლის ხელისკვრა წყვეტდა.

ახლაც მოეჩვენა, რომ ხელი უბიძგეს.

თვალი გაახილა და შეფარვით გააპარა თვალი მეუღლის საწოლისკენ. ლოგინი ცარიელი დახვდა.

ნიკომ ფანჯარაში გაიხედა. მზე მოპირდაპირე კორპუსის მეხუთე სართულის ფანჯრებს აბრჭყვიალებდა. ნიკო კი მაშინ დგებოდა, როცა მნათობი მერვე სართულის მინებს მიადგებოდა.

საკვირველი ამბავია - ამ ფაქტს ნიკო მშვიდად შეხვდა, არავითარი რეაქცია! სხვა დროს ფიცხლად წამოხტებოდა, ფაცხაფუცხით შეიმოსებოდა და უზმოდ გავარდებოდა ბინიდან. ახლა რა ჭირი შეეყარა? ფანჯრიდან მზერა ჭერზე გადაიტანა და გაირინდა.

კი, სამი სართულით იგვიანებს. ჰო-ჰო, დიდი ამბავი!

უცნაური განცდა დაეუფლა, ყველაფერი ეუცხოვებოდა: ეს დილა, მზე რომ ასე ანათებდა და არა სხვანაირად, ფანჯრებიდან რომ ასეთი ხედი მოჩანდა და არა სხვაგვარი, საწოლი ოთახის კედლები რომ ცისფერი იყო რატომღაც. არა, რატომ მაინც და

მაინც ცისფერი?!

ახლა, ამ წუთში, ადრე დილიდან მოკიდებული, მილიონობით ადამიანი მიიჩქარის სამსახურში ან რაღაც უმნიშვნელო საქმეზე, რომელიც მას უაღრესად მნიშვნელოვანი ჰგონია. ასე იყო გუშინ, გუშინწინ, იმის წინ... ასე იქნება ხვალ, ზეგ, იმის შემდეგ... ასე იყო და ასე იქნება. ასე ცხოვრობდა წინა თაობა, იმის წინა... ასე იცხოვრებს მომდევნო...

ვბუდობთ ჩვენ-ჩვენ პატარა ოჯახებში, პატარა ქალაქში, ციცქნა პლანეტაზე... სამყარო კი უსაზღვროა, უნაპირო!

დავუშვათ, სამყარო არ არის უსასრულო, ესე იგი, დასასრული აქვს. ხოლო თუ დასასრული აქვს, როგორც რეზინის ბურთს, რა არის იმის იქით? სივრცე? აკი ბრძანა აინშტაინმა, რომ ცარიელი სივრცე აბსურდია, არ არსებობსო. თუნდაც არსებობდეს, ისიც ხომ სამყაროს კუთვნილება იქნება? აქედან კეთდება ლოგიკური დასკვნა: სამყარო უსასრულოა იმიტომ, რომ არ შეიძლება დასასრული ჰქონდეს!

რანი ვართ ჩვენ, ადამიანები. ამხელა, უსასრულო, უკიდენაპირო, სამყაროში?

რომელიმე, მცირე მანძილით ჩვენგან დაშორებული (სამყაროს მასშტაბით) ვარსკვლავი დღეს რომ ჩაქრეს, დედამიწაზე (თუკი ადამიანი კვლავ იბოგინებს), ათი-თხუთმეტი მილიონი წლის შემდეგ შეიტყობენ.

— ნიკო, აღარ ადგები? - მეუღლე ყვირის სამზარეულოდან.

ნიკო დუმს, ნიკო აზროვნებს.

რა სასაცილოა ყველაფერი: ადგომა, ჩაცმა, დილის ტუალეტი, სტანდარტული საუზმე. წასვლა-მოსვლა, წასვლა-მოსვლა... ტელევიზორით ვითომ დიდად ღირებული ინფორმაციების, გამომთაყვანებელი „თოქ-შოუების“ და უკბილო იუმორის ყურება...

კაი, რა, თუ ძმა ხარ!

— ავად ხომ არ ხარ? - ნანა შემოვიდა, საწოლზე ჩამოჯდა

და შუბლზე ხელისგული დაადო.

რა სასაცილოა! რა მნიშვნელობა აქვს, ავად ვარ თუ არა ვარ ავად? რა საცოდავები ვართ ჩვენი მოკროსკოპული განცდებით. სიცხე ხომ არ მაქვს? გინდაც მქონდეს და გინდაც საერთოდ არ ვიყო, ნეტა რა შეიცვლება სამყაროში? ჰე-ჰე!

— ხმა ამოიღე, ბიჭო! - სერიოზულად შეშფოთდა ნანა, - თუ წასვლას არ აპირებ, დავრეკავ.

წარმოუდგენელი უაზრობაა: სად დარეკავს, რატომ დარეკავს... რა სისულელეა, იარე სამსახურში ყოველდღე, იჯექი ერთსა და იმავე მაგიდასთან, უყურე და ესაუბრე ერთსა და იმავე ადამიანებს. ყოველდღე, ყოველდღე... ა! დავრეკავო?!

— ნიკო! - ცოლის ხმაში აშკარად გაჟღერდა ტრაგიკული ნოტები.

ნიკომ მშვიდად მიაპყრო მზერა. უყურებდა, მაგრამ ვერ ხედავდა.

— გადი! - და მზერა კვლავ ჭერზე გადაიტანა.

ნანას თვალის გუგები გაუფართოვდა, ქვედა ტუჩი მოიკვნიტა და უკუსვლით გავიდა ოთახიდან.

„ჰგონია, რომ გავაფრინე, - გაიფიქრა ნიკომ, - მერე რაო, ვითომ გიჟი და ეგრეთწოდებული ჭკვიანი პრინციპულად განსხვავდება?.. დარეკავს ახლა ფსიქიატრიულში.“

ნიკოს მოეჩვენა, რომ ცოლმა ყურმილი აიღო.

—ნანა! - იყვირა და როცა თვალებაწყლიანებულმა ცოლმა კარი შემოაღო, ხმადაბლა, მაგრამ მძაფრად უთხრა:

— არ გაბედო დარეკვა!

— სად, ნიკო?!

— არც იქ და არც იქ!

მეტის თქმა დაეზარა, გვერდი იცვალა, ცოლს ზურგი შეაქცია და ისევ ფანჯარას მიაშტერდა. მზე კიდევ ერთი სართულით ჩამონაცვლებულიყო.

— გაიხურე კარი და სანამ არ დაგიძახოთ, არავინ გაბედოს შეწუხება! – თავმოუბრუნებლად მიუგდო და კვლავ ფიქრებში

ჩაიძირა.

წარმოიდგინეთ ნანას მდგომარეობა: კაცი, რომელიც ცვილივით დამყოლი ხასიათისაა, ხმა იშვიათად, ისიც ნახევრადხუმრობით, თუ აუმაღლებია, ასე უეცრად გარდაიქმნა სრულიად არაადექვატურ პიროვნებად. რა უნდა ეფიქრა?

ნიკო თითქოს სხვა განზომილებაში გადავიდა. საკვირველი განცდა ჰქონდა: თითქოს ძალიან მაღლაც იყო და ამავე დროს სადღაც ჩაკარგული უზომოდ პაწაწინა ნაწილაკი, მნიშვნელოვანიც და უმნიშვნელოც.

ის, რასაც დღევანდელ დილამდე აკეთებდა, უაზრობად, დროის ფუჭ ხარჯვად ეჩვენებოდა. რაიმე უჩვეულო საქმის ნაცვლად, ყოველდღიურ რუტინაში ჩაიძირა. ო-ჰო-ჰო! სად გაუტია?! ვითომ „ყოველდღიური“ და „უჩვეულო“ ერთი და იგივე არ იყოს!

თუ გნებავთ, კაცობრიობის ისტორია ავიღოთ... „კაცობრიობა“... „ისტორია“... სადაა კაცობრიობა?! ან კი ოდესმე ყოფილა?! აფრიკის ჯუნგლებში ახლაც ცხოვრობენ აბორიგენები, რომელთაც წარმოდგენაც კი არა აქვთ ევროპულ და ამერიკულ ცივილიზაციაზე. თუ კაცობრიობა არ არსებობს, არც მისი ისტორია იარსებებს. ბლეფია, სუფთა ბლეფი!

ვამაყობთ ჩვენს ერამდე გამოთლილი სპილოს ძვლის კოვზით, რომელიც ხელოვნების შედევრად მივიჩნიეთ.

„ჩვენს ერამდე“ - ჰი-ჰი! ერთი წამია სამყაროსთვის... რის ერთი წამი, მგონი, მისი მემილიონედია. ადამიანის არსებობის პერიოდს წამებითაც ვერ გაზომავ, ცალკეული ინდივიდისა ხომ სიცილადაც არ გეყოფა! შვიდი საოცრებაო, პართენონიო, სიქსტეს მადონა და ვენერა მილოსელიო! ამ ილუზიებით ვიკვებებით, თავი სამყაროს გვირგვინად მოგვაქვს. ვინახავთ ქვიშაში ნაპოვნ მუმიებს, ველოლიავებით სარკოფაგებს, დოქებისა და ჯამების მიწიდან ამოთხრილ ნატეხებს რაღაც განსაკუთრებულ ღირებულებას ვანიჭებთ.

ჰა-ჰა!

დრო? გარბის, გარბის... მიიპარებიან დღეები, თვეები, წლები...

სახლი - სამსახური, სამსახური...- სახლი...

ნიკო წამოხტა, წიგნის თაროდან სტუდენტობისას შეძენილი თხელი წიგნი გამოაძრო, მაგიდას მიუჯდა და კარგა ხანს ფურცლა. მერე თაბახზე გადმოიწერა:

„მე ვიწყებ იმის შემეცნებას, თუ როგორი ვარ მე!“

დეკარტე, მეტაფიზიკური განაზრებანი.

ცოტა ხანს უყურა, არ მოეწონა და წაშალა. ერთხანს გაშტერებული უყურებდა ფანჯარას. მერე წერას შეუდგა:

„ყურადღება!

ყველაფერი დღესავით ნათელია, თვალებს ლიბრი ჩამოვაფხიკე!“

კაიხანს წერდა. ამასობაში მზემ მოპირდაპირე კორპუსის ბელეტაჟში შეანათა. არც კი შეუმჩნევია, როგორ ფეხაკრეფით შემოვიდა ცოლი და მაგიდის კიდეზე საუზმე გაუწყო.

მზემ რომ ფანჯარაში შემოიჭყიტა, უკანასკნელი ძახილის ნიშანი დასვა და ლაზათიანად გაიზმორა. ძვლებმა სულ ჭახა-ჭუხი ატეხეს.

მისდაუნებურად ძველებურ კედლის საათს შეხედა. ქანქარა ზანტად ირხეოდა და გულგრილად ითვლიდა წამებს. ნიკოს სულ ეჩვენებოდა, რომ კედლის საათი უფრო ნელი იყო, ვიდრე დროის მზომელი თანამედროვე აპარატები.

კედლის საათზე პირველს წუთები უკლდა. ნიკოს სულაც არ აინტერესებდა რა დრო იყო, მაგრამ ინსტინქტურად მოძებნა მაჯის საათი და დააფიქსირა, რომ კედლის საათი არ ტყუოდა.

ამ მომენტში მისი ყურადღება მიიქცია ტელეფონმა, რომელიც „თავს იკლავდა“ მეზობელ ოთახში. აუჩქარებლად გავიდა და ყურმილი აიღო:

— ალო, გისმენთ!

— ნიკო ხარ?

— ალბათ.

— რა ბრძანეთ?!

— ჰო, ნიკო ვარ.

— სადა ხარ, კაცო, შეფმა ბარე ხუთჯერ გიკითხა. ავად ხომ არ ხარ?

— ავად არა!.. რას მტენით ამ ავადმყოფობას, ვერ გამიგია!

— მეე?! მოიცა, რომელი ნიკო ხარ, სხვაგან ხომ არ მოვხვდი?

— აქამდე უჯმაჯურიძე ვიყავი...

— მერე?!

— რა, მერე?

— შენ, თუ ძმა ხარ, ხომ არ გააფრინე?!

— რომელი ხარ შენ?

— პუშკინი ვარ, ალექანდრ სერგეევიჩი... გედეონი ვარ, ვითომ ვერ მიცანი. მორჩი ახლა ღადავს!

— ა, გენო, ხო ხარ მაგრად, რამ შეგაწუხა?

— გადამრევს ეს კაცი! მარსზე ხომ არ იყავი ამ დილით?!

— შენ წარმოიდგინე, ვიყავი.

— რას მაიმუნობ!.. დაგავიწყდა დღეს რომ მოლდაველი სტუმრები მოდიან, „მახარეს“ ისტორია აინტერესებთ.

— აუჰ, გენო!

— მადლობა ღმერთს!

— რა დროს მოდიან?

— წუთი-წუთზე აქ იქნებიან.

— გამოვფრინდები! თუ მომასწრეს, რითიმე დააკავე, თუ ძმა ხარ! აუჰ, მოლდაველები!..

ნიკომ გაიგონა, როგორ გაიღო კარი და როგორ მიჯახუნდა. ნანა მოვიდა შესვენებაზე.

ნიკოს გარშემო მდებარე საგნებმა ნელ-ნელა დაიბრუნეს მიწიერი მნიშვნელობა. მოპირდაპირე კორპუსიც ისეთ შენობად იქცა, როგორც ეკადრებოდა.

აღარც ის მოჩვენებია სასაცილოდ, ცოლმა რომ ფრთხილად

შემოაღო ოთახის კარი და საყვედურიანი მზერა შეავლო გაციებულ ჩაის.

— მოხვედი? - უადგილოდ იკითხა ნიკომ და საჩქაროდ დაუმატა, - საუზმე გააწყვე, თუ ქალი ხარ.... ასე ნუ მიყურებ, ახსნა-განმარტება მქონდა დასამთავრებელი.

გახარებულიმა ნანამ საშზარეულოს მიაშურა.

„ვერასოდეს მიხვდება, რა მოხდა, - გაიფიქრა ნიკომ, - ახსნასაც აზრი არა აქვს, ვერ გამიგებს... ვერც ვერავინ...“

დილის ტუალეტი სწრაფად მოითავა, ჩაიცვა და საშზარეულოს მაგიდას მიუჯდა. ცოლი თავადაც ჩამოჯდა სკამზე და კმაყოფილი უმზერდა საუზმით გართულ მეუღლეს.

ნიკომ გაუღიმა და საპასუხო ღიმილიც დაიმსახურა. ქალის თვალებში ეჭვის ბოლო ნაპერწკალიც ჩაქრა.

— ბიჭი არ მოსულა სკოლიდან? - იკითხა ნიკომ, - „ღმერთო, რა ტუტუცი ვარ! ბალღივით მოვიქეცი!“

უსიტყვოდ შეთანხმდნენ: არც ერთი სიტყვა არ თქმულა დილანდელზე და ისეთი პირი უჩანდა, რომ არც არასდროს ითქმებოდა.

ნიკომ საჩქაროდ ჩაამთავრა დილის ტრაპეზი, საწოლ ოთახში შევიდა, ჩანაწერები აკრიფა, შუაზე გაკეცა და ფიჯაკის გარეთა ჯიბეში ჩაიდო.

— გავრბივარ! - უთხრა ცოლს და მარდად ჩაირბინა ოთხი სართული.

პირველივე ურნასთან მივიდა, შუაგაკეცილ ქაღალდებს შიგ ჩაუძახა და სიმსუბუქის ჩვეული განცდით მიუჯდა მანქანის საჭეს.

ზოგი რამ ჯვებეზე

სტუდენტობისას ნიკო მისი კბილა დეიდაშვილის, ჟანის, ოჯახის ხშირი სატუმარი იყო. იქ გატარებული ბევრი მხიარული საღამო და უქმე დღე ახსოვს, განსაკუთრებით კი ჟანის მამის,

იოსების, მიერ ჟურნალ „ცისკრის“ ერთი პუბლიკაციის ხმამაღალი კითხვა. ჟურნალის ყოველი ახალი ნომრის გამოჩენა იოსების ხელში იქ თავმოყრილი ახალგაზრდების ნამდვილი ზეიმი იყო. ზოგჯერ სიცილ-ხარხარი ისეთ პიკს მიაღწევდა, რომ აღარც დეკლამატორს შეეძლო კითხვის გაგრძელება და მსმენელებსაც სულის მოთქმისთვის გვარიანი პაუზა სჭირდებოდათ.

ხვდებით, ალბათ, რა პუბლიკაციაზეა ლაპარაკი: იბეჭდებოდა ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გაგრძელებებით. შეიძლება ითქვას, დასაწყისის გამოქვეყნებისთანავე მწერლის სახელი ყველას პირზე ეკერა და დღემდე ასეა.

როცა ნიკომ ტელევიზიაში დაიწყო მუშაობა და „მახარეს“ საახალწლო გამოშვებას ამზადებდა, ერთი გვერდი სწორედ ნოდარ დუმბაძეს, იგივე ჯვებე დუმბავას, მიუძღვნა. საახალწლო მილოცვის ავტორი პოეტი ანზორ აბულაშვილი იყო:

„სოსო ხარ თუ ზურიკელა, შენ, ნოდარა დუმბაძეო,
ცრემლი რაფრა გოურიე იუმორის უბანზეო?
ჩემო ჯვებე, ამ ახალ წელს როგორ არ მოგილოცავო,
ხარ რომანი, იუმორი, თეატრიც და კინოცაო.
გაგიმარჯოს, აწი ლექსით არ გვიპირებ სტუმრობასო?
მე რომ შენზე ხუმრობა ვთქვი, ვაი ამფერ ხუმრობასო!“

როცა „მნათობში“ ნიკოს მოთხრობები დაიბეჭდა, ედიშერ ყიფიანმა უთხრა:

— შენს მოთხრობებში იუმორისტული ხედვა ჩანს და „ნიანგში“ რატომ არ თანამშრომლობ? ნოდარ დუმბაძე იშვიათი პიროვნებაა, გაგაცნობ.

როგორი საქმეა თითქმის ლეგენდად ქცეული მწერლის გაცნობა. საკმაოდ ღელავდა, როცა დათქმულ დროს მივიდა რედაქციაში, სადაც ედიშერი დახვდა და რედაქტორს წარუდგინა.

— ეს ვაჟია?

ნოდარმა ნიკოს ხელი ჩამოართვა და გაუღიმა. ნიკო მიხვდა, რომ ედიშერს ნაქები ჰყავდა მასთან და თავს უხერხულად გრძნობდა, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ საქმე უაღრესად უბრალო და შინაურულ პიროვნებასთან ჰქონდა. ეს გურული კილოკავით მშვიდად მოსაუბრე კაცი საკვირველი ხიბლით და აურათი ატყვევებდა ახალგაცნობილს. მით უფრო გასაკვირი იყო, რომ მტერიც (ცოტა ხმამაღლაა ნათქვამი), უფრო სწორად, არაკეთილმოსურნეც, ჰყავდა. მცირე რაოდენობით, თითზე ჩამოსათვლელი, მაგრამ მაინც... შეიძლებოდა მათი დასახელება, მაგრამ არ ღირს, არ იმსახურებენ...

ნიკოს უფრო სატელევიზიო ფელეტონებზე ჰქონდა ხელი გაწაფული და ვიდრე საჟურნალოს გემოს გაუფცქვნიდა, საკმაო დრო გავიდა, მაგრამ რედაქტორი უმწიფარ მასალასაც დაუხანებლად უბეჭდავდა. ნიკო ცდილობდა თავი არ შეერცხვინა და ის დროც დადგა, როცა ნაწერით ხელში წელგამართული შედიოდა მეგობრულად მომზირალ რედაქტორთან.

ერთ-ერთი ვიზიტისას, როცა ხელნაწერი გამოართვა, თვალი გადაავლო და რეზოლუცია დაადო, წასასვლელად გამზადებული ნიკო მიიხმო:

— მეიწი აქეთ! აგერ ჩვენი ცეკას დადგენილება მომივიდა. ლიტერატურის ნაწილში გეგეშიძის და უჯმაჯურიძის მოთხრობებია გაკრიტიკებული როგორც უიდეო, არასოციალისტური სულისკვეთების. „მნათობის“ პუბლიკაციაზეა ლაპარაკი. შენია?

— კი, ჩემია. – ნიკომ არ იცოდა, გახარებოდა თუ წყენოდა ეს მოულოდნელი ინფორმაცია.

— ახლა, ჩემო ნიკო, - უთხრა ნოდარმა, - საკითხავად არ მცალია, თუ დრო მაქ, ვწერ, მაგრამ რაკი ცეკას დადგენილებაში მოხვდი, უეჭველად წევიკითხავ მაგ უიდეო მოთხრობებს.

ნიკოს, ცხადია, ძალიან აინტერესებდა, მართლა წაიკითხა თუ არა ნოდარმა პარტიის იდეოლოგების მიერ დაწუნებული მისი მოთხრობები, მაგრამ კითხვა ვერ შეჰბედა.

ნოდარ დუმბაძე რომ საყოველთაო სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა, ნიკო კიდევ ერთხელ დარწმუნდა „მახარესა“ და „ნიანგის“ ერთობლივი „რეიდის“ დროს თბილისის ერთი ძველი უბნის მცხოვრებთა გაჭიანურებული კონფლიქტის გასარკვევად. ნიკო განცვიფრებული უყურებდა, როგორ ჰიპნოზივით მოქმედებდა ნოდარის მწერლური იმიჯი და პიროვნული ჯადო სამკვდროდ წაკიდებულ მეზობლებზე. ისე ელაპარაკებოდნენ, როგორც ძველ ნაცნობს, რა თქმა უნდა, ყოველგვარი „თქვენობის“ გარეშე.

წარმოიდგინეთ, სუფრაც კი გაიშალა „ნეიტრალურ მოედანზე“, საერთო აივანზე. მოდავე მხარეებმა ყველაფერი გამოალაგეს მაცივრებიდან და კარადებიდან. ნოდარმა მოკლე სადღეგრძელო თქვა და ჭიქა მოსვა. გულაჩუყებულმა მეზობლებმა ჯერ ხელი გაუწოდეს ერთმანეთს და მერე პირზე კოცნაც არ დაიშურეს...

— ნოდარ, - სიცილით უთხრა ნიკომ, როცა რედაქტორის „ვოლგით“ გამობრუნდნენ, - შენ მოსამართლედ უნდა გემუშავა.

ხომ იყო ილია, ერთხანობას, მომრიგებელი მოსამართლე...

ერთი სიტყვით, ძველი თბილისის უბანში, ერთ-ერთ აივანზე, სიმშვიდემ დაისადგურა.

ფიქრის ფანჯარა

(ბენუარის ლოჟა)

„მეგობარი“ ან „მეგობარო!“ საყველპურო სიტყვებად იქცა, ასე ვთქვათ, გაცვდა თითქოს.

— ბევრი მეგობარი მყავს! – საჯაროდ, თანაც ამაყად, აცხადებს მავანი.

„მეგობარი“ და „ბევრი“ რატომღაც ერთად ვერ თავსდება,

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „მეგობრის“ ყველასთვის მისაღები შინაარსის დადგენა შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი უნდა იყოს. ჩემთვის, სიტყვაზე, უმარტივესი საზომი არსებობს: თუკი მეგობრებისთვის შეთავაზებული ორი ვაშლიდან ერთ-ერთი მათგანი უდიდესს აირჩევს, ის მეგობარი აღარ არის, უფრო სწორად, არც ყოფილა.

სამოცდაათს გადაბიჯებულმა ნიკომ ერთ მშვენიერ დღეს გაკვირვებულმა დაადგინა, რომ ამსიგრძე ცხოვრების მანძილზე მეგობარი არ ჰყოლია. ამ დასკვნამდე გამორიცხვის მეთოდით მივიდა.

თანაკლასელებიდან რამდენიმესთან, სხვებთან შედარებით, უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ სკოლის დამთავრებასთან ერთად ის „მეგობრობაც“ დამთავრდა. მოწაფეობის წლებში ორიოდე წლით უფროს არასკოლელებთან მეგობრობდა. ხუთნი იყვნენ, ზოგიერთი თქვენთვის უკვე ნაცნობია: დემურ კილასონია, რეზო ლებანიძე და პეტრე ჩართოლანი. ყველაზე უფრო თქვენთვის უცნობმა, თამაზ გუგულაშვილმა, აუცრუა გული მათ „ოფიციალურად“ აღიარებულ მეგობრობაზე.

რომელიღაც სახელგანთქმული გასტროლიორი მომღერლის სპექტაკლზე ბენუარის ლოჟის ხუთი ბილეთი აიღეს, სათითაოდ ჩაიდეს ჯიბეში და დათქვეს, პირდაპირ ლოჟაში მოვიყაროთ თავი ხვალ საღამოსო.

ნიკო და რეზო სხვებზე ადრე მივიდნენ და ლოჟაში ჩამოსხდნენ. ცოტა ხანში დანარჩენებიც მოგროვდანენ. პეტრე და დემური მოაჯირიდან მცირე მანძილით დაშორებულ სკამებზე, ასე ვთქვათ, მეორე რიგში, მოთავსდნენ. გუგულაშვილი იდგა და ხელში ბილეთს ატრიალებდა.

— დაჯე, რას დგეხარ? – ჰკითხა დემურმა.

— ჩემ ადგილზე ნიკო ზის, მოაჯირთან.

— შენი რატომაა ვითომ?! – გაუკვირდა ნიკოს, - ბილეთები ხომ ერთად ავიღეთ. ეგ ნომერი შემთხვევით აღმოჩნდა შენთან.

ხომ შეიძლება ჩემთან ან პეტრესთან ყოფილიყო?

— მე არ ვიცი, ვისთან უნდა ყოფილიყო, - მოიქუფრა ისედაც უხიაგი ფიზიონომიის პატრონი გუგულაშვილი და ღრმად შემალული თვალები აარიდა, - ბილეთი მე მაქვს და ეგ ადგილი ჩემია!

ნიკომ მზერა მოატარა ძმაკაცების სახეებზე. გაოცებულმა შეატყო, რომ არც ერთი არ აპირებდა გამოსარჩლებას. წამოდგა, სკამი დაუთმო და სცადა მშვიდი წინადადება გამოსვლოდა:

— კაი, ბატონო, დაბრძანდი! - პაუზის შემდეგ მაინც ვერ მოითმინა, — ჩემი სახელი აღარ ახსენო!

— შენ ხომ არ გაგიჟდი?! აბა, რას ამბობ, მეგობრობას სასწორზე დებ?! რისი გულისთვის?! - აყაყანდნენ „ძმაკაცები“

„თქვენც იგივე გეხებათო“, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხათრიანობამ გადასძალა და დარჩა ბენუარის ლოჟაში.

ურთიერთობის რიტმი ერთხანს გაგრძელდა, მაგრამ მათი მაგობრობა იმ საღამოს, ბენუარის ლოჟაში, დასრულდა.

ტელევიზიის თანამშრომლებთან და საუნივერსიტეტო კოლეგებთან კონტაქტებს, ცხადია, ხალას მეგობრობას ვერ დავარქმევთ.

იქნებ „ძმათა სექტის“ წევრებს შორის ვეძებოთ ნაღდი მეგობარი.

პავლემ, იგივე პაკომ, მახალდიანმა, „მშენებელმა“ ინჟინერმა, „სექტის“ ერთ-ერთმა ძირითადმა წევრმა, რისკიანი, მაგრამ ჭკვიანური კომბინაცია გააჩალიჩა და დიდი „მაყუთი“ იშოვა.

ერთ ცხელ ზაფხულს ნიკოს პაკოს დახმარება დაჭირდა. სურამში ცოლ-შვილისთვის დაქირავებული ბინის ფული დააკლდა და პაკოს მიაკითხა. როცა ისადილეს და ჭადრაკის დაფა გაშალეს, ნიკომ ფულის სესხება თხოვა სექტემბრამდე. პაკომ წაუყრუა. როცა თამაში მოათავეს, ნიკომ თხოვნა გაუმეორა.

— რა ხალხი ხართ, ბიჭო, - როგორც იქნა ამოღერღა

პაკომ, — მაშინ მომადგებით, როცა სახარჯოს მეტი კაპიკი არა მაქვს.

— ხუმრობ? – გაეცინა ნიკოს.

— თქვენ ყველაფერი ხუმრობა გგონიათ.

— ვის „თქვენ“?!

— კაი და გასესხე, ხუთასის გადამხდელი ხარ, ისიც სექტემბერში?

— პაკო, ველარ გცნობ! შენ არ იყავი, ჩემი ასპირანტობისას მოსკოვში ფულს და პროდუქტებს რომ მიგზავნიდი?!

— კაია, რომ გახსოვს.

— რა დამავიწყებს. მაშინ ხელფასზე იჯექი და მჩუქნიდი. ახლა სესხად გთხოვ. რა დაგემართა?!

— არა მაქვს, ძმობას გეფიცები, გლდანში სახლ-კარი ვიყიდე, აქ გვერდის ბინა შემოვიერთე და გავარემონტე, ფირმა მანქანა ვიყიდე, ნაწილი გავასესხე.

— პროცენტით?

— დავუშვათ. რა, დანაშაულია?

ცხადია, ფულის გაპროცენტება დანაშაული არ არის, მაგრამ ამის მიუხედვად, ნიკოს და პაკოს ძმაკაცობას ამ ინციდენტით დაესვა წერტილი.

ავად მოსაგონარ ოთხმოცდაათიან წლებში ნიკოს ოჯახის სიდუხჭირემ პიკს მიაღწია. იყო მომენტი, როცა უყველობის გამო სოფლიდან გამოგზავნილი სიმინდის ფქვილისგან გამომცხვარ მჭადს მარილწყალში აწებდნენ. კარადა და მაცივარი ერთდროულად გამოცარიელდა. არადა, მარილის, შაქრის და ზეთის გარეშე შეიძლება შიმშილით სული ამოგხდეს. ვის მიადგები, ყველას უჭირს. ვისაც - არა, უფულო კაცს ხელს არ გაუმართავს. ამ დროს საქმიანი, კომერციული, კრუიზიდან ჩამოვიდა ნიკოს დიდი ხნის თანამშრომელი და ოჯახებით დამეგობრებული პიროვნება.

— ჯემალ, ათი ლარი მინდა ერთი კვირით, - მიადგა ნიკო ერთ კვირადღეს ტახტზე წამოგორებულ მასპინძელს.

— არა მაქვს, გეფიცები! რომ მქონდეს... ხომ იცი...

ნიკომ საოცარი უხერხულობა იგრძნო და რომ გაექარწყლებინა, მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე ჩამოუგდო სიტყვა. როცა წასასვლელად წამოდგა, ჯემალს უცნაური შეკითხვა წამოცდა:

— კი, მაგრამ, ისე გაგიჭირდა, რომ ათი ლარი გაგიხდა საესხებელი?!

ვფიქრობ, კომენტარი უხერხულია!

მზის სიკვდილი

ჟურნალისტი გოგონა ეკითხება ასტრონომ ჯუმბერ ლომინაძეს:

— ბატონო ჯუმბერ, თქვენი სტატია წავიკითხე, რა საშინელ რამეებს წერთ?

— საშინელს?!

— დიახ. მართალია, რომ მზის ენერგია ამოიწურება და ჩაქრება?

— სამწუხაროდ!

— ესე იგი, დედამიწაზე სიცოცხლე მოისპობა?

— ასე გამოდის.

— მერე? ჩვენ რა გვეშველება?

— ჩვენ?! ეს ხომ მილიარდი წლის შემდეგ მოხდება.

ჟურნალისტს, როგორც ჩანს, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მილიარდი თუ არა, მილიონი წელიწადი ივარგებს დედამიწა საცხოვრებლად.

ადამიანს რატომღაც სჯერა, რომ პრობლემა, რაც უნდა რთული და ძნელად მოსაგვარებელი იყოს, საბოლოოდ მაინც გადაწყდება და ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგება.

ადამიანი გამოუსწორებელი, უსფუძვლო ოპტიმისტია: როგორ მძიმედაც უნდა იყოს ავად, დარწმუნებულია, რომ სენი გაივლის და ძველებურად ჯანზე იქნება. ვერაფრით დაიჯერებს,

რომ ავადმყოფობა შეიძლება უკანასკნელი იყოს. ოთხმოცდაორი წლის მინდია თოიძე, უკვე ლანდად ქცეული, ცხოვრებისეულ და შემოქმედებით პროექტებზე ფიქრობდა:

— კარქათ რომ შევიქნები, წავალ ოზურგეთში, იქინე გადამყობიან ზეთ. ჩაქას ვითამაშებ, ბახმაროში ავალ, ისევლე ძველი მინდია ვიქნები!

სიკვდილამდე ორი საათით ადრე მიხვდა, რომ ეს მისი ბოლო ავადმყოფობა იყო...

როდის მიხვდება „კაცობრიობად“ წოდებული ადამიანი, რომ მისი საცხოვრებელი გარემო სერიოზულადაა ავად და შეიძლება ეს ბოლო ავადმყოფობა იყოს!

მოგებაზე, მოხვეჭაზე, ორიენტირებული გლობალური მასშტაბების იდუსტრია პლანეტის ფლორას და ფაუნას კატასტროფისკენ მიაქანებს. აღებ-მიცემობაში, ფულთან ერთად, თუ გონიერება და სიყვარული არ ჩაერთო, არაფერი გვეშველება.

იქნებ სიყვარულმა გადაგვარჩინოს!